კვირის პალიტრა

ობიექტივი

N9(90) 28/II.-6/III.2002. ფასი 60 თ.

მოსახლეობის კლებამ საგანგაშო ზღვარს მიაღწია

სიმსუქნე თუ სიგამხდრე

1168
2002

60 წლის შემდეგ

გამქრალებული მარადიული სიყვარული

გია ჭანტურია დაჭერას ლაიმა ვაიკულემ გადაარჩინა...

ნუგზარ საჯაიამ ბორის ნიფურია თვითმკვლელობისგან იხსნა

გია მაჭარაშვილი:

„ბასა ფოცხიშვილმა მთხოვა, რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები დამეწერა. 5 ნაწარმოები დავწერე, აქედან სამი, ახლა სერიალში „ტრიალებს“. ამ სერიალს ბევრი სისულელეს ეძახის, მაგრამ მე ძალიან ვხალისობ ხოლმე...“

ᲛᲔᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲐ
№9 (90)
28 თებერვალი - 6 მარტი 2002
ფასი 60 თეთრი

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„იმ თებერვლების ხსოვნა იყოს...“ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲛᲡᲯᲔᲠᲚᲘ
„ᲕᲘᲜᲪ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ, ᲜᲣᲑᲖᲐᲠ ᲡᲐᲮᲐᲘᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲜᲣᲑᲖᲐᲠ ᲡᲐᲮᲐᲘᲐᲓ!“ 5
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲢᲘ
ᲜᲣ ᲐᲣᲓᲒᲔᲑᲘᲗ ᲤᲔᲮᲖᲔ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲰᲘᲛᲜᲡ! 8
ᲨᲝᲣᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ
ᲖᲘᲐ ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ ᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ ᲚᲐᲘᲛᲐ ᲕᲐᲘᲙᲣᲚᲔᲛ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ... 10
ᲢᲔᲡᲢᲘ
ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ 12
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲡ ᲤᲡᲘᲥᲘᲐᲢᲠᲘᲣᲚ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐᲡ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲔᲑᲔᲜ 14
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 16
ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ
ᲒᲐᲚᲔᲚᲘ ᲙᲝᲭᲝᲘᲐ ᲓᲐ „ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲪᲐ“ ᲒᲐᲚᲘᲐ 16
ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ
ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲚᲔᲑᲐᲛ ᲡᲐᲑᲐᲜᲒᲐᲨᲝ ᲒᲦᲕᲐᲠᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ 18
ᲡᲐᲣᲜᲯᲔ
ᲭᲝᲢᲘ ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲐ ᲐᲜᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ „ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲩᲘᲜᲐ“ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ ᲭᲝᲢᲘᲙᲐᲛ ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ ᲙᲝᲢᲔᲢᲘᲨᲕᲘᲚᲡ 21
ᲐᲥᲪᲘᲐ
ᲖᲘᲐ ᲛᲐᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲝᲛᲐ ᲠᲣᲡᲘᲚᲐᲫᲘᲡ „ᲮᲐᲜᲣᲛᲝᲑᲘᲡ“ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲝᲯᲐᲮᲓᲐ 24
ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ
ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲛᲧᲝᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲙᲘ, ᲛᲐᲗᲗᲔ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲘᲙᲚᲔᲑᲔᲜ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ 26
ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ
„ᲩᲔᲛᲘ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲙᲐᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲣᲠᲘᲐᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲩᲝᲮᲘᲡ ᲙᲐᲚᲗᲐᲡ ᲛᲘᲔᲙᲠᲐ, ᲒᲐᲜᲒᲔ ᲒᲐᲓᲒᲐ...“ 28
ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲐᲖᲠᲔᲑᲘ
ᲐᲣᲠᲘᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝ�პᲔᲓᲘᲐ 31

„ᲕᲘᲜᲪ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ, ᲜᲣᲑᲖᲐᲠ ᲡᲐᲮᲐᲘᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲜᲣᲑᲖᲐᲠ ᲡᲐᲮᲐᲘᲐᲓ!“

„40 წელია, რაც ნუგზარ საჯაიას ვიცნობ... უნდა ვაღიაროთ, რომ საჯაია იყო შესანიშნავი შემსრულებელი ყველანაირი დავალებისა, თუმცა, ალბათ საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ზოგ ისეთ საქმეშიც იყო გარეული, რაც მას ღირსებას ულახავდა...“

5

ᲖᲘᲐ ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ ᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ ᲚᲐᲘᲛᲐ ᲕᲐᲘᲙᲣᲚᲔᲛ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ...

„დარდუბალა“, სამწუხაროდ, ბოლოს, უკვე აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ თამაშებში. „დარდუბალადან“ ჩემი წამოსვლის მიზეზიც, სხვასთან ერთად, ესეც იყო. პირველ რიგში, დავკარგე ინტერესი. ამასთან, გამიჩნდა „ჩვენი ეზოს“ გადაღების იდეა.

10

ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲡ ᲤᲡᲘᲥᲘᲐᲢᲠᲘᲣᲚ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐᲡ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲔᲑᲔᲜ



დასკვნაში გარკვევით წერია, რომ გელა ნოზაძე მძიმე მდგომარეობაში იყო: სტალინის მოადგილე ვარ და შევარდნაძე მოსაკლავად დამდევსო – ასეთ ფრაზებს გაიძახოდა თურმე და ეს ოქმში ოფიციალურად არის დაფიქსირებული.

14

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲨᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐ ᲛᲫᲝᲜᲓᲐ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ 100 ᲬᲔᲚᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ...

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ, „ᲛᲐᲠᲐᲙᲐᲜᲐᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ, 160 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲒᲐᲕᲛᲐᲠᲗᲔᲗ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲔᲑᲘᲪ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ: ᲡᲝᲙᲠᲐᲢᲔᲡᲘ, ᲖᲘᲙᲝ, ᲤᲐᲚᲙᲐᲝ.

36

სამყარო

მოძრაობის შემგზღუდველი სკამი 32

ტრადიციები

თბილისს ყარაჩოღელი უსდებოდა... აი, კინტოსი კი, რა მოგახსენოთ!.. 34

სპორტსმენი

თენგიზ სულაქველიძე: „შვედეთში ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს 100 წელი გავიდა...“ 36

ფავორიტები 39

მოგზაურის დღიურები

„კარგი ცხოვრების“ მაძიებელნი კალატოზებადაც დაგვიწუნეს... 40

პარსკვლავი

ელიზაბეტ შუ კვლავ „პატარა ბიჭუნად“ გრძნობს თავს 43

რომანი

ბესიკ კეკელიძე. უსასრულობა (დასაწყისი) 46

ავტო 50

აქეთური-იქითური 52,53

ჯანმრთელობა

- პროფილაქტიკა-მკურნალობა: სხივური დაავადება 54
- ხალხური მედიცინის საგანძური 55
- დიასახლისის კუთხე 55

მოდა

თმისთვის მაინც ბუნებრივი საშუალებები სჯობს 56

მსახიობი

„მისტერ წუნდაუდებელი“ ტალახის გუნდების სამიზნედ იქცა 58

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (4-10 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

ნამდვილი სიყვარული გეწვიათ თუ უბრალო გატაცება 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

თბილისს ყარაჩოღელი უსდებოდა... აი, კინტოსი კი, რა მოგახსენოთ!..

ყარაჩოღელები წამწამს გამოიძრობდნენ თურმე, ქვაზე დანაყავდნენ და ამით ეფიცებოდნენ ერთმანეთს ძმობას და ამ ძმობის ერთგულება ბოლომდე შეეძლოთ.

34

ელიზაბეტ შუ კვლავ „პატარა ბიჭუნად“ გრძნობს თავს

ელიზაბეტი 16 წლის იყო, როცა პირველად გადაიღეს რესტორნის რეკლამაში. აგენტები მისმა სინორჩემ და უმანკოებამ ძალიან მოხიბლა და გოგონა ჰოლივუდში მიიწვიეს. თავიდან, ლიზს მხოლოდ რეკლამებში იღებდნენ.

43

„ემვიდოგის დესპანობა“ ანუ როგორ გადავრჩით არაგვთან „ხელჩართულ ომს“



ოფისის მენეჯერი საქმეზე გადავიდა: „უმაღლესი განათლების მქონეთათვის სამუშაო არა გვაქვს, შემიძლია შემოგთავაზოთ ელექტრომექანიკოსის, კალატოზის, მზარეულის და მატარებლის მემანქანის ადგილები. გადაიხდით 200 დოლარს და მისამართსაც მოგცემთ“.

40

წყვეტილობა

– ხედავ? – მკითხა საბამ.

მე უფრო ახლოს მივიწიე, ფანჯარა გამოვაღე და განცვიფრებული, ფოთლებს დავაკვირდი.

– მთელი ღამე ხეზე ვიჯექი და სიყვარულის ფოთლებს გიხატავდი, მოგწონს?

46

№ 391

„იმ თებერვლების ხსოვნა იყოს...“

„დრონი მეფობენ და არა მეფენი...“

„დრონი ცვალებადობენ და მათთან ერთად ჩვენც ვიცვლებით...“

კიდევ უამრავი ციტატის მოყვანა შეიძლება ანტიკურ თუ უფრო გვიანდელ ბრძენთა გამონათქვამებიდან, რომელიც კაცობრიობის მარადიულ პრობლემას – დროსა და მის შეუჩერებლობას შეეხება...

ერთმა დიდმა ქართველმა პოეტმა კი თქვა „მე იგივე ვარ მარად და მარად“-ო, მაგრამ იქვე დააყოლა: „არ ვსდევ უამთა ცვლას...“ ე.ი. ამ „უამთა ცვლას“, ანუ დროის ულმობელ დინებას არც ის უარყოფს...

ჰოდა, რატომ წამოვიწყე ამ ზოგადსაკაცობრიო სატკივარზე საუბარი?! რა დიდი დრო მე გამიტარებია ქვეყნად, რომ ასე მტკივნეულად განვიცადო წლების მატება?! მართალია – არც ისე ბევრი, და წესით, ჯერ ცხოვრებას უნდა შევხარ-ოდე, მით უმეტეს – ასეთ ქვეყანაში ცხოვრებას და ასეც არის, ოღონდ თებერვლის ორისამი დღის გარდა... ბევრი არ გვინდა, თხუთმეტ-ოცი წლით უკან დაკიხითთ და მაშინდელი „თებერვლის ბოლოები“ გავიხსენოთ: ორი დიდი დღესასწაული, რიგგარეშე დასვენების დღე, „გალუბოი აგანიოკი“ ტელევიზორში, „სერვილადის“ ტალონები სამსახურში და მთელი ამბავი...

იყო ერთი გრიალი და გნიასი მსოფლიოს ერთ მეექვსედზე – მილოცვა, ვახტანგურები და **День Победы**-ს დაგუგუნება... სხვათა შორის, ყველაზე მეტად ის მიკვირდა, რომ თანაკლასელი გოგონები ისე გვილოცავდნენ ბიჭებს 23 თებერვალს, თითქოს, სულ მცირე, წითელი არმიის „პრაპორშიკები“ ვყოფილიყავით. თუმცა, პირადად მე, მართლა მეკუთვნოდა, ისეთი პათოსით ვკითხულობდი ამ დღისადმი მიძღვნილ სასკოლო „ზეიმზე“ ლექსს, რომელიც ასე იწყებოდა: „საბჭოთა ჯარისკაცი ვარ, სალ კლდეზე უფრო მაგარი...“ თავზე კი წითელვარსკვლავიანი „უშანკა“ მეხურა...

მაგრამ ყოფილ საბჭოთა კავშირში ყველამ იცოდა, რომ საქართველო „პრივილეგირებული“ რესპუბლიკა იყო – ყოველ შემთხვევაში ზეიმ-დღესასწაულებისა და გრიალის ამბავში მაინც, და ერთი კინკილა 23 თებერვალი გვეყოფოდა?! არც გვყოფნიდა! დავიწყებდით 23-ში, გამოვიდოდით „პახმელიაზე“ 24-ში და ისევ „შევუბერავდით“ 25-ში. აი, ის იყო თუ იყო დღესასწაული: საიმდღესასწაულო ლექსიც მქონდა ბავშვობაში ნასწავლი: „თებერვალო, საქართველოს გაზაფხული ხარ!“ არ იყო თუ რა?! ისე თებერვლის გაზაფხულობა იმ უცნაური გეოგრაფიისა და ასტრონომიის ნაწილია, რომელსაც მზე ჩრდილოეთიდან ამოჰყავდა. ჩვენ ყველანი ხუთოსნები ვიყავით ამ საქმეში... ეეჰ... მართლაც რომ „ვაჰ დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად...“

წავიდა ის დრო და თან წაიღო... თან წაიღო იმ „თებერვლების ბოლოების“ სიხარულები, სიხალისეები და წითელი სევდა დაგვიტოვა... ახლა?! ახლა რა?! რით გავიხაროთ და რამ გვახალისოს?! – ჩრდილოური მზე ხანდახანღა ამოდის, დასავლურის სხივები კი გასათბობად ვერ გვწვდება სიშორის გამო; გაზაფხული თებერვალში კი არა, როცა საჭიროა, მაშინაც არ მოდის; ტელევიზორში „გალუბოი აგანიოკი“ არა და, „გალუბოების პარადი“ ყოველდღე იმართება; „სერვილადი“ იმდენია, რომ სადაც გინდა...

P.S. თებერვალი კი, თებერვალი რა – მოდის და შიდის, მიდის და მოდის, ხეში წყალი დგება და შრება, დგება და შრება... თუმცა ხეც აღარ დარჩა ამ ქვეყანაში იმდენი...

ისე, „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, – ნათქვამია და ერთი ჩემი მეგობრის ოხტში კი ამოვედი: ისე არავისი შემშურებია, როგორც მაგისი – 24 თებერვალს ჰქონდა დაბადების დღე! ამაყობდა, იჯგიმებოდა: სამივე დღეს „მიზეზიანად“ ქეიფობდა! დარჩა ახლა ხახამშრალი და... „ახლა ჩემი დროა“: 29 აგვისტოს – გაგანია ტერაქტის დღეს ვარ დაბადებული.

პროვოკატორი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიზრი ალდამოვი – ხადორჰესის „კრიშაა“?

— რამდენად შეეფერება სინამდვილეს ცნობები იმის შესახებ, რომ პანკისის ხეობაში მშენებარე ხადორჰესის „კრიშობის“ მსურველთა რიცხვი დღითი დღე იზრდება? გავრცელებული ინფორმაციით, კონკურსანტთა შორის ყოფილა ხიზრი ალდამოვიც, თუმცა, მოარული ხმების თანახმად, მანამდე, სანამ ელექტროსადგურის „კრიშობით“ ვინმე შოთა ჭიჭიაშვილი და რუსლან გელაევიც დაინტერესდებოდნენ...

ხიზრი ალდამოვი, *ჩეჩნეთის არაოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში:*

— ეს არის მორიგი ბინძური ცილისწამება, რომელიც ერთ-ერთი ჟურნალისტის მიერ არის შეთხზული. სულ მალე, მე და ის ჟურნალისტი (სხვათა შორის, ქალბატონია) ერთად დავსხდებით მოსამართლის წინ და გავარკვევთ, საიდან მოდის ცილისწამების ეს ნიაღვარი. მე წარმოდგენა არა მაქვს, რა ხდება ხადორჰესზე, ვინ იცავს მას ან ვის უნდა მისი „კრიშობა“. მე ვარ პოლიტიკური პირი, რომელიც ჩეჩნეთის წარმომადგენლის მოვალეობას ასრულებს და ამ მშენებლობასთან არანაირი შეხება არ მაქვს. საერთოდ, ამ დღეებში ისეთი რამ მოხდა, რომ ამის მერე მაინც, ყველა უნდა დაუფიქრდეს, რას წერს. ჟურნალისტები, რომლებიც ხშირად უნებურად ასრულებენ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დავალებას, ზოგჯერ კრიმინალებს აქცევენ ხოლმე გმირებად, ზოგჯერ კი, გმირებს აიძულებენ, თვითმკვლელობით დაასრულონ სიცოცხლე. პანკისის ხეობაში სიწყნარეა. რამდენადაც ვიცი, ხადორჰესის მშენებლობა მშვიდად მიმდინარეობს და მისი „კრიშობისთვისაც“ არავინ იბრძვის. ყოველ შემთხვევაში, ხიზრი ალდამოვი აქ არაფერ შუაშია. რაც შეეხება გელაევს რამდენადაც ვიცი, ის საქართველოში არ იმყოფება და არც ის მგონია, რომ მას ამ დეზინფორმაციასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს. ■



აშშ-ის სპეცრაზმი პანკისის ხეობაში – ჭორი თუ სიმართლე?

— ახალი ამბების სააგენტომ KM-NEWS-მა, თბილისელი ანონიმი ექსპერტის მოსაზრებაზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია, რომ მოსკოვი დათანხმდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ჩაატაროს კონტრტერორისტული ოპერაციები პანკისში და მალე იქ ამერიკული სპეცდანიშნულების რაზმი ჩავა. მისვე ვარაუდით, ამის სანაცვლოდ მოსკოვი ამერიკას წაუყენებს მოთხოვნას, რომ საშუალება მისცეს რუსეთს, თავისი კონტროლის ქვეშ შეინარჩუნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები! ეს კი საქართველოს სახელმწიფოს დაშლას ნიშნავს... ამის შესახებ თუ არის თქვენთვის რაიმე ცნობილი და რამდენად შეეფერება ეს ინფორმაცია სიმართლეს?

გიორგი გარამიძე, *პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:*

— მე არ ვიცი, რატომ ან ვისგან ვრცელდება ასეთი მცდარი ცნობები. გამორიცხულია, რომ პანკისში ამერიკის სპეცსამსახურები გადაისროლონ! ასე რომ, ეს ინფორმაცია ჭორია და მეტი არაფერი... ■

ნათია ლაზაშვილი „კურიერიდან“ არ წასულა

— უკვე მეორე კვირაა, რაც „რუსთავი 2“-ის ეკრანიდან პოპულარული ტელეწამყვანი — ნათია ლაზაშვილი გაუჩინარდა. ქალაქში გავრცელდა ხმა, თითქოს ჟურნალისტი ტელეკომპანიის ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო, სამსახურიდან წავიდა. მართალია?

ნანა ლეჟავა, *ტელეპროგრამა „კურიერის“ კორესპონდენტი:*

— არანაირი უთანხმოება ნათიასა და ხელმძღვანელობას შორის არ ყოფილა. ეს ჩვეულებრივი ჭორია და მეტი არაფერი. უბრალოდ, ნათიამ შვებულება აიღო — პირადი პრობლემები აქვს, ოჯახის ერთ-ერთი წევრი ავად ჰყავს და ამიტომ. ასე რომ, სულ მალე ისევ დაგვიბრუნდება... ■

პანკისში ელექტროსადგურის აფეთქება მეოთხედ სცადეს

— რა ოპერატიულ ინფორმაციას ფლობს კახეთის სამხარეო ადმინისტრაცია მშენებარე ელექტროსადგურის აფეთქებასთან დაკავშირებით?

ზურაბ ტუშური, *კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი:*

— 26 თებერვალ., პანკისის ხეობაში მშენებარე ელექტროსადგურ ხადორჰესს დაახლოებით 03.00 საათზე, დაუდგენელმა პირებმა ყუმბარმტყორცნი ესროლეს. მშენებარე ობიექტი დაზიანებულია. მომხდარი ფაქტის შესახებ ინფორმაცია გამთენიისას მივიღეთ და ამის შემდეგ ხადორჰესზე მომხდარ შემთხვევას ოპერატიული საგამოძიებო ჯგუფი იკვლევს. აღსანიშნავია ის, რომ ამ ელექტროსადგურს უკვე მეოთხედ აზიანებენ: პირველად დაზიანდა ჰესის დამცავ-გამანაწილებელი, მეორედ ააფეთქეს ხადორჰესისკენ მიმავალი ხიდი, მესამედ, მშენებარე ობიექტს ესროლეს, ახლა კი, ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. საგამოძიებო ჯგუფი მუშაობს. მოკვლეული მასალები პროკურატურას გადაეგზავნება. ■

„ვინც რა უნდა თქვას, ნუგზარ საჯაია მაინც დარჩება ნუგზარ საჯაიად!“

კულუარებში ხშირად აღნიშნავდნენ: როგორც კი ედუარდ შევარდნაძე პრეზიდენტის სავარძელს დატოვებს, მისი მარჯვენა ხელი — ნუგზარ საჯაიაც ერთგულად დაასრულებს თავის კარიერასო... ყველაფერი სხვაგვარად მოხდა... ვერავინ წარმოიდგენდა, რომ „რუხ კარდინალად“ წოდებული კაცი, მოარული ხმებით, სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტისას, საკვანძო როლს რომ ასრულებდა, ერთი საბედისწერო გასროლით დაუსვამდა წერტილს სიცოცხლესაც და კარიერასაც!.. უშიშროების საბჭოს მდივანმა 25 თებერვალს საკუთარ კაბინეტში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. გასროლა ნაგანის ტიპის მცირეკალიბრიანი რევოლვერიდან მოხდა. ტყვია მიბჯრით იყო ნასროლი. ბუნებრივია, ამ თვითმკვლელობის ირგვლივ უამრავი ვერსია გაჩნდა. გენერალურ პროკურატურაში კი უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე 115-ე მუხლით, რომელიც ამგვარად არის განმარტებული: „თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა მსხვერპლისადმი მუქარით ან სასტიკი მოპყრობით, ანდა მისი პატივის და ღირსების სისტემატური დამცირებით, ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 5 წლამდე...“ საინტერესოა, ვინ იქნება ბრალდებული, ვინ დაისჯება — ის, ვინც ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი „შავბნელ“ საქმეებში — კერძოდ, ასლან აბაშიძის წინააღმდეგ ტერაქტის მომზადებასა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში დაადანაშაულა; ის, ვინც პირდაპირ დარტყმა საჯაიას პიროვნულ ღირსებებზე მიიტანა, თუ კიდევ ვინმე სხვა?

ვის აძლევდა ხელს გზიდან საჯაიას ჩამოცილება

გივი თარგამაძე, ანტიკორუფციული საბჭოს წევრი:

— მე ვიცი, კონკრეტულად ვის აწყობდა ნუგზარ საჯაიას გზიდან ჩამოცილება. მე, როგორც ანტიკორუფციული საბჭოს წევრს, ხშირად მქონდა საშუალება, საკუთარი თვალით მენახა სხდომებზე, რომელიც პრეზიდენტთან იმართებოდა, ვინ იყო საჯაიას მიმართ ყველაზე აგრესიულად განწყობილი. ეს პიროვნება, პირველ რიგში, იყო კახა თარგამაძე და ის ამას არც მალავდა. რადგან, უშიშროების საბჭოს მდივანი იყო ის პიროვნება, რომელმაც დიდი როლი შეასრულა თარგამაძის შს მინისტრის პოსტიდან ჩამოცილებაში, უფრო შორს მიმავალ გეგმებზე რომ არაფერი ვთქვათ, შურისძიების გრძნობაც საკმარისია იმისათვის, რომ განვაცხადო: საჯაიას თანამდებობიდან ჩამოცილება შედიოდა კახა თარგამაძის ინტერესებში, რადგან ამის შემდეგ, კვლავ გაიზრდება მისი გავლენა ძალოვან სტრუქტურებზე, კობა ნარჩემაშვილი საჯაიას მფარველობის პირობებშიც კი არ იყო ყოფილი მინისტრის ზეწოლისგან თავისუფალი. ამის შემდეგ კვლავ დადგება თარგამაძის თანამდებობაზე ყოფნის აუცილებლობის საკითხი. მეორე პიროვნება, ვის ინტერესებშიც შეიძლება შედიოდეს საჯაიას პრეზიდენტისთვის გვერდიდან ჩამოცილება, არის ასლან აბაშიძე. ამ ორი პიროვნების ინტერესთა თანხვედრა არა მხოლოდ ამ საკითხში ემთხვევა ერთმანეთს. როგორც ვიცით, „ომეგას“ სიგარეტის ბიზნესში აბაშიძეს და თარგამაძეს მრავალწლიანი პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებს. ესეც არ იყოს, მათ, ოჯახებით ჰქონდათ ძალიან ახლო ურთიერთობა. მამია თარგამაძე (კახა თარგამაძის მამა), წლების განმავლობაში იყო აჭარის პოლიციის

> **„ჩემი აზრით, საჯაიას თვითმკვლელობის ნამდვილი მიზეზი არის არა ის პუბლიკაცია, რომელზეც საუბრობენ, არამედ ის კომპრომატები, რომელიც კახა თარგამაძეს ვიდეოკასეტაზე შეიძლებოდა ჰქონოდა“.**

უფროსი და იქ მის სახელს დღესაც პატივისცემით მოიხსენიებენ. ამას ემატება ამ ორი პიროვნების რუსეთთან ორიენტაციის საკითხზე ჩამოყალიბებული შეხედულებები. აქვე შეიძლება გავიხსენოთ რუშაილოს ვიზიტი საქართველოში. იმ რუშაილოსი, რომელიც თარგამაძის უახლოეს მეგობრად ითვლება (ჩემთვის ცნობილია ის, რომ მას თარგამაძემ „პოდმოსკოვიეში“ ორი აგარაკი შეუძინა). რუშაილოს ვიზიტამდე ორიოდე კვირის წინ კი, პრესაში გავრცელებული ის ინფორმაციებიც ნუ დაგვავიწყდება, რომლის მიხედვითაც, უახლოეს მომავალში მოსალოდნელი იყო საკადრო ცვლილება — საჯაიას ადგილზე თარგამაძის დანიშვნა (ეს ხმები რამდენჯერმე უარყო შევარდნაძემ). მე კი დარწმუნებული ვარ, ამ ინფორმაციას თვითონ თარგამაძე ავრცელებდა იმ ჟურნალისტების მეშვეობით, რომლებთანაც დიდი ხნის განმავლობაში თანამშრომლობდა, და რომლებიც ყოველთვის მის პოზიციას გამოხატავდნენ. ჩემი აზრით, საჯაიას თვითმკვლელობის ნამდვილი მიზეზი არის არა ის პუბლიკაცია, რომელზეც საუბრობენ, არამედ ის კომპრომატები, რომელიც კახა თარგამაძეს ვიდეოკასეტაზე შეიძლებოდა ჰქონოდა. როგორც ცნობილია, ის ამგვარი კომპრომატების მოპოვების დიდოსტატია. და ამით იყო დაკავებული, როგორც წარსულში, ისევე ახლაც. სულ მალე პრეზიდენტი დადგება რთული არჩევანის წინაშე: ჯემალ გახოკიძის ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში, უშიშროების საბჭო გადაიქცევა ბუტაფორიად. კახა თარგამაძის დანიშვნას კი, ღრმად ვარ დარწმუნებული, საქართველოში ფართო ხასიათის აქციები მოჰყვება. პრეზიდენტის ადგილას მე ასეთ უგუნურ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი. ასევე ფართო მასშტაბის აქცია მოჰყვება ამ ტრაგიკული ფაქტის გამოყენებას თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ. ერთხელ რაც მოჰყვა მედიის წინააღმდეგ გალაშქრებას, ეს ხელისუფლებამ უკვე გამოსცადა თავის თავზე. „აღორძინების“ განცხადებას იმის თაობაზე, რომ კაკუბავას აბაშიძესთან არ შეუთანხმებია ის ბრალდებები, რომელიც ავთო იოსელიანს და ნუგზარ საჯაიას მისამართით გაკეთდა, ახლა, როცა საქმე უკვე „გაკეთებულია“, „აღორძინებას“ უკვე აღარ სჭირდება კაკუბავა. ისინი მას გაწირავენ. კაკუბავას დამკვეთებს ახლა, როგორც არასდროს, აწყობთ მისი დაპატიმრება. საერთოდ კი, ვფიქრობ, ისეთი ტიპის ბრალდებების ორგანიზება, რასაც ამ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, მხოლოდ საქართველოს დონეზე არც იგეგმება და არც სრულდება.

ნანა ქიბიშაური

სად უნდა ვეძებოთ მორალური ტერორის საფუძველი?

— როგორ არის ფორმულირებული კონსტიტუციაში უშიშროების საბჭოს და მისი მდივნის უფლებამოსილებანი და რეალურად, რა როლს ასრულებდა ნუგზარ საჯაია იმ პოლიტიკური თუ საკადრო საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს სცილდებოდა? აქ ხომ არ უნდა ვეძებოთ მორალური ტერორის საფუძველი? — ამ კითხვით მივმართეთ პარლამენტარ **ვახტანგ ხმალაძეს,** რომელსაც კონსტიტუციასა და კანონპროექტებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

— კონსტიტუციის შესაბამისად, უშიშროების საბჭო უნდა ჩაერიოს მხოლოდ იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც სამხედრო აღმშენებლობის და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციას ეხება. მაგალითად, სამხედრო ძალთა რაოდენობის განსაზღვრა უშუალოდ არის უშიშროების საბჭოს პრეროგატივა, რომელსაც მისი წარდგინების შემდეგ ამტკიცებს პარლამენტი. წესით, უშიშროების საბჭოს არ აქვს სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღების უფლება, არც ეკონომიკური საკითხების შესწავლა ეხება და არც კორუფციასთან ბრძოლა, თუკი ისინი ქვეყნის თავდაცვას და სამხედრო აღმშენებლობას უშუალოდ არ უკავშირდება. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ უშიშროების საბჭოს აკისრია სათათბიროს ორგანოს, მის მდივანს კი, პრეზიდენტის მრჩევლის როლი, მაგრამ იქიდან გამომდინარე, თუ როგორი იყო პრეზიდენტის დამოკიდებულება უშიშროების საბჭოს შემადგენლობასთან და როგორი იყო მისი ნდობის ფაქტორი უშუალოდ საჯაიას მიმართ, ცხადია, რომ უშიშროების საბჭოს მდივნის ვერც ერთ რეკომენდაციას თუ კონსულტაციას, თუნდაც ის არაოფიციალურად, კულისებს მიღმა ყოფილიყო ნათქვამი, ვერც ერთი თანამდებობის პირი გვერდს ვერ აუვლიდა. საჯაიას რეალურად ჰქონდა ზუსტად იმდენი ძალაუფლება, რამდენადაც პრეზიდენტი უწევდა მის რჩევებს ანგარიშს. აი, ამიტომ ჰქონდა მას კანონით მინიჭებულ უფლებაზე მეტი გავლენა იმ სფეროებზე, რომელიც კონსტიტუციით უშიშროების საბჭოს კონტროლს არ ექვემდებარებოდა. როდესაც საჯაია სამართალდამცავი სტრუქტურების კოორდინაციას ახდენდა, ის ასრულებდა პრეზიდენტის დავალებას. მე არ ვიცი, რას და როგორ აკეთებდა საჯაია კულისებში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის იყო ერთგული შემსრულებელი, რომელიც პრეზიდენტის მითითებების თუ დავალების გარეშე ნაბიჯსაც არ გადადგამდა. რა შეიძლებოდა ყოფილიყო მორალური ტერორის საფუძველი? ამის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ ვერსიების დონეზე შეიძლება ვისაუბროთ. მიზანი იყო ერთი: ჩამოეშორებინათ საჯაია პრეზიდენტისათვის. თუ როგორ განხორციელდებოდა ეს, შეიძლება მათთვის, ვინც ეს კამპანია დაგეგმა, უკვე მეორეხარისხოვანი იყო. ან მოხდებოდა საჯაიას კომპრომეტირება, ან (უკეთეს შემთხვევაში) პრეზიდენტი თვითონ მიიღებდა გადაწყვეტილებას — თავიდან მოეცილებინა უშიშროების საბჭოს მდივანი, ან, უარეს შემთხვევაში, პრეზიდენტს შეერყეოდა მის მიმართ რწმენა და ის რეალური გავლენა, რაც საჯაიას ძალოვან სტრუქტურებზე ჰქონდა, შესუსტდებოდა. შეიძლება უფრო შორს მიმართული მიზანიც იყო: არა მარტო ჩამოეშორებინათ საჯაია, არამედ ჩაენაცვლებინათ კიდეც, მათთვის სასურველი კონკრეტული პირით. საჯაიამ კი თავი მოიკლა. რატომ გააკეთა მან ეს არჩევანი? — ამის შესახებაც ისევ ვერსიების დონეზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ. კამპანია, რომელიც ადამიანის ფსიქოლოგიაზეა გათვლილი და მასმედიის საშუალებით ხორციელდება, მრავალ ასპექტს მოიცავს. შეიძლება ისეთი ფაქტები, რომელიც საგაზეთო მასალაში იყო მოყვანილი, მართლაც არსებობდა. შესაძლოა იყო აბსოლუტური ცილისწამება, შესაძლოა, მესამე ვარიანტიც — ორივე ერთად. სამივე ვარიანტში საჯაიას ფსიქოტიპის ადამიანმა შეიძლება თავი მოიკლას: 1) დადგე იმ ფაქტის წინაშე, რომ ყველაფერი ის, რაც აქამდე დაფარული იყო, გამომზეურდება; 2) როცა გაბრალებენ, რომ აქლემი ხარ; თან გეუბნებიან — დაამტკიცე, რომ აქლემი არ ხარ და კუდი არ გაქვსო. ბოლოს და ბოლოს, აიწევ პერანგს და დაანახვებ, რომ კუდი არ გაქვს, მაგრამ ზოგჯერ მარტო პერანგის აწევა არ შველის საქმეს. თუ ისეთი რამეა, დაბრალებული, რასაც ვერ აჩვენებ, აქ თავის დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელია. თუ გინდა იპოვო დამნაშავე, უნდა იცოდე, ვის აძლევს ხელს ის, რაც მოხდა. როდესაც დაინიშნება უშიშროების საბჭოს ახალი მდივანი, მისი ვინაობა იქნება ერთ-ერთი პარამეტრი იმისა, რაც ხელს შეუწყობს დასკვნის გაკეთებას. თუმცა, საბოლოო დასკვნის გაკეთებისთვის ეს არ იქნება საკმარისი. იმის გასარკვევად, თუ რა მოხდა სინამდვილეში, საჭიროა უფრო მეტი ინფორმაცია. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება კულუარებში, რომელსაც დიდ პოლიტიკაში უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ოფიციალურ მიღებებსა და განცხადებებს. მე ვფიქრობ, საჯაიას თვითმკვლელობა ერთი კაცის ტრაგედიას სცილდება და მას უფრო დიდი პოლიტიკის სუნი უდის. იმ საკითხზე კი, ახალი უშიშროების საბჭოს მდივნის დანიშვნის შემდეგ, უშიშროების საბჭო ჩაჯდება თუ არა კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილების ჩარჩოში, მე ვერაფერს გეტყვით. ეს დამოკიდებულია პრეზიდენტზე და მხოლოდ პრეზიდენტზე.

> „ცხადია, რომ უშიშროების საბჭოს მდივნის ვერც ერთ რეკომენდაციას თუ კონსულტაციას, თუნდაც ის არაოფიციალურად, კულისებს მიღმა ყოფილიყო ნათქვამი, ვერც ერთი თანამდებობის პირი გვერდს ვერ აუვლიდა“.

ნანა ქიბიშაური

„ნუგზარ საჯაიას ბიოგრაფია ჩემთვის, შევარდნაძის ეპოქით არ დაწყებულა...“

ნუგზარ საჯაია 1941 წლის 25 დეკემბერს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში დაიბადა. ოჯახში ხუთი ბავშვი იზრდებოდა: სამი ძმა და ორი და. უფროსი ძმა ფილოსოფოსი იყო. ის განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა. 29 წლის ასაკში მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დასრულა.

ნუგზარ საჯაიამ სოფელ ჯვარის საშუალო სკოლა დაამთავრა. თბილისში რომ ჩამოვიდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაბარებინა, რადგან პოეზია ბავშვობიდან უყვარდა. ეს სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. მეგობრების წრეში ის ხშირად კითხულობდა გალაკტიონის ლექსებს. თბილისში ბატონი ნუგზარი ფიზიკით და მათემატიკით გატაცებული ახალგაზრდების წრეში მოხვდა, გადაწყვეტილება შეცვალა და სწავლა მაშინდელ პუშკინის სახელობის ინსტიტუტში, ფიზიკის ფაკულტეტზე განაგრძო. ექვსი თვე ფიზიკის მასწავლებლად მუშაობდა...

ნუგზარ საჯაია თანამშრომლებთან ურთიერთობაში ყოველთვის კორექტულობას იჩენდა. თუმცა, ზოგჯერ ზედმეტად მკაცრიც იყო. თურმე მის თანამშრომლებს საჯაროდ ჩხუბი ეკრძალებოდათ. საერთოდ, ბატონი ნუგზარი იმდენად გაწონასწორებული იყო, რომ საკუთარი თავის კონტროლს არასდროს კარგავდა. განსაკუთრებით აღიზანებდა დაუმსახურებელი ჭირება, ინტრიგები, ვერ იტანდა, როცა ცდილობდნენ, მისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ის სწორედ შეურაცხმყოფელ განცხადებებსა და პუბლიკაციებს შეწირა. მის კაბინეტში მისივე მაგიდაზე, მისი სიკვდილ-

ის შემდეგ ნახეს გაზეთი, რომელშიც დაბეჭდილი იყო წერილი — „საჭაია ყველაზე ბინძურ საქმეებს აკეთებს შევარდნაძის აპარატში“.

ეკეში, ნუგზარ საჭაიას სახლში, სადაც მისი ნეშტია დასვენებული, ვერ მალავენ აგრესიას მათ მიმართ, ვინც ბატონი ნუგზარი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. აგრესიულები არიან მსმენლის მიმართაც. ამიტომ გასაუბრება, **ბორის ციფურიას** გარდა, ჯერ-ჯერობით მოვახერხეთ.

— ბატონო ბორის, როდის გაიცანით ნუგზარ საჭაია?

— ნუგზარ საჭაიას ბიოგრაფია და ცხოვრება ჩემთვის, შევარდნაძის ეპოქით არ დაწყებულა — მე მას ვიცნობდი უფრო დიდი ხნით ადრე, როგორც კარგ ადამიანს, რაფინირებულ ინტელიგენტს და მართალ კაცს; მე ის გავიცანი ფოთში, როცა ნუგზარი ფოთის პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი იყო. ფოთში ვიღებდით ფილმ „მიზანს“. წელიწადნახევარი გრძელდებოდა გადაღებები. ნუგზარი იყო საოცრად კომუნიკაბელური, ყველასთან ახერხებდა საერთო ენის გამონახვას და ურთიერთობის მოწესრიგებას. მახსოვს, ფოთში ჩვენი ყოფნის პერიოდში, ჩატარდა პარტიული კონფერენცია; ედუარდ შევარდნაძე, როგორც საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, პირველად ჩამოვიდა. კონფერენციაზე შავი ზღვის სარდალი ბალტინიც ჩამოჰყვა. ისინი აღტაცებულები დარჩნენ ნუგზარ საჭაიას პიროვნებით. ამას მოჰყვა კიდეც მისი გადმოყვანა თბილისში, დიდ თანამდებობაზე... გავიდა წლები და მე ნუგზარ საჭაიასთან თხოვნით მივვარდი. გახსოვთ ალბათ, ჩვენი ფეხბურთელები დიუსელდორფში მიდიოდნენ ევროპის თასის ფინალში სათამაშოდ. მე ვიყავი გულშემატკივართა ერთ-ერთი ლიდერი. თავიდანვე მქონდა გადაწყვეტილი, რომ წავყოლოდი გუნდს. როცა მივედი პროფკავშირებში (მაშინ პროფკავშირების მეშვეობით გაიცემოდა ყველანაირი საგზური. — ავტ.) ფულის გადასახდელად, მითხრეს — სიაში არა ხართო. გავიქეცი ნუგზარ საჭაიასთან. როგორც კი შევედი მის კაბინეტში, გამოვაღე ფანჯარა და ვუთხარი: ბატონო ნუგზარ, მე ახლავე გადავხტები აქედან და თავს მოვიკლავ, თუ თბილისის „დინამოს“ გერმანიაში არ გავყვები-მეთქი. ისე ვიყავი განერვიულებული, მართლა ჩავიდენდი ამას. გაიცინა: რად უნდა გადახტე? — არ შეიძლება, სიაში რომ არ იყოო... ხუთ წუთში გაირკვა, რომ თურმე სიაში ვყოფილვარ.

— როგორი მეგობარი იყო ბატონი ნუგზარი?

— არაფერი ეშლებოდა. საოცრად ღვთისნიერი ადამიანი იყო. სულ ვტუქსავ ჩემს თავს — ფუნაზე ამოსული ამ კაცის ნათქვამი რომ წავიკითხე, რატომ არ დავურეკე და არ ვანუგეშე. კაკუბავას ალარ აქვს უფლება, თქვას კოლხი ვარ და კაცი ვარო... სამწუხაროდ, ნაძირალებს გადაჰყვა ნუგზარ საჭაია და არა მარტო ის, არამედ მისი ოჯახი, მისი პატარა შვილი დათუნა. ეს ბავშვი წელს, საახალწლოდ, ჩემს პროგრამაში გამოიყვანე და მას საახალწლო სადღეგრძელო ვათქვევინე. გადაღება ორი საათი გაგრძელდა. არ დამავიწყდება, როგორ მთხოვდა: მამიკოსთან მინდა, არ მინდა გადაღებაო. ორი საათი ვერ გაძლო ბავშვმა მამის გარეშე! ეს რომ მახსენდება, ცრემლებით მევსება თვალები. ახლა როგორ უნდა გაძლოს მან თავისი მამიკოს გარეშე?!.

დათო ახლა 11 წლისაა. თბილისის 53-ე საშუალო სკოლაში სწავლობს. ბატონი ნუგზარის ფიქრი და ოცნება სულ მას დასტრიალებდა. უნდოდა, რომ ღირსეული პიროვნება აღეზარდა. მიუხედავად მამა-შვილს შორის არსებული დიდი ასაკობრივი სხვაობისა, ისინი მაინც უგებდნენ ერთმანეთს. ერთად ფეხბურთსაც თამაშობდნენ და ყველა თამაშს, ხან თავად ბატონი ნუგზარი იგონებდა, ხან კი, პატარა დათო. კვირა დღეს, როგორც წესი, მამა, შვილთან ერთად ატარებდა. ფეხით სასეირნოდ დადიოდნენ. ხშირად, ბატონი ნუგზარი დათოს მათემატიკაში ამეცადინებდა, შვილს ამოცანებსაც უხსნიდა.

ერთი შეხედვით ცივი და უკარება ნუგზარ საჭაია, პირად ცხოვრებაში საოცრად თბილი და ყურადღებიანი ადამიანი იყო. პირველად მეოთხე კლასში შეუყვარდა თეორმაფთიანი გოგონა, მერე კი, სულ ვიღაც უყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ პოეზიის დიდი მოყვარული იყო, თავისი შეყვარებულისათვის სატრფიალო ლექსები არასდროს დაუწერია... საკმაოდ გვიან დაოჯახდა. მისი მეულლე, რუსიკო გასვანი, წარმოშობით ფოთელია, პროფესიით — ფილოლოგი. მათ ერთმანეთი ფოთში გაიცნეს და დაოჯახდნენ კიდეც. ნუგზარ საჭაიას სიკვდილის ამბავმა პირველ რიგში ქალბატონი რუსიკო შეძრა. ეს ამბავი მისთვის ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდა...

ლელა ჭანკოტაძე

„სამწუხაროა, რომ თავისი ღირსების დაცვა თავადვე ვერ შეძლო...“

— გაოგნებული ვარ მომხდარით, რა უნდა ვითხრათ?! მოულოდნელი იყო ასეთი ნაბიჯის გადადგმა იმ პიროვნებისგან, რომელსაც უზარმაზარი ნებისყოფა ჰქონდა! ამიტომაც ბევრი რამ ჩემთვის აუხსნელია... 40 წელია, რაც ნუგზარ საჭაიას ვიცნობ: ჩვენი ერთობლივი მუშაობა კომკავშირში დაიწყო, როდესაც ნუგზარი მცხეთის რაიკომის მეორე მდივნად დანიშნეს. ყველასგან გამორჩეული ახალგაზრდა იყო — განათლებული, ერუდირებული, პოეტურიც — მახსოვს, ახლობლების წრეში ძალიან უყვარდა ხოლმე ლექსების კითხვა... მეგობრული, მაგრამ იმავდროულად, ძალიან თავშეკავებული და თავდაჭერილი გახლდათ. ის ყველაფერს გრძნობდა და ყველაფერს ხედავდა, მაგრამ თავის წარმოჩენას ყოველთვის ერიდებოდა... მისი სამუშაო პროცესი ბოლო პერიოდში ძალიან რთული იყო. ნუგზარ საჭაიას, როგორც წესიერ და პატიოსან, დიდი გამოცდილების მქონე პიროვნებას, ისე ვიცნობდი. ის მშვენივრად ხვდებოდა, რომ საქართველოში შექმნილ მძიმე მდგომარეობას ვერ გაექცეოდა და კარგად გრძნობდა პასუხისმგებლობას... უნდა ვაღიაროთ, რომ

ჯუმბერ პატიაშვილი:

„ნუგზარ საჭაიას, როგორც წესიერ და პატიოსან, დიდი გამოცდილების მქონე პიროვნებას, ისე ვიცნობდი. ის მშვენივრად ხვდებოდა, რომ საქართველოში შექმნილ მძიმე მდგომარეობას ვერ გაექცეოდა და კარგად გრძნობდა პასუხისმგებლობას...“

საჭაია იყო შესანიშნავი შემსრულებელი ყველანაირი დავალებისა, თუმცა, ალბათ საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ზოგ ისეთ საქმეშიც იყო გარეული, რაც მას ღირსებას ულახავდა... არ მინდა დავიჯერო, რომ თვითმკვლელობის მიზეზად მხოლოდ პრესაში გამოქვეყნებული მასალები და კაკუბავა-კიტოვანის ბრალდებები იქცა, რაც თავისთავად იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოში მართლაც არსებობს მორალური ტერორი. აქ არის სულ სხვა ნიუანსები, რაშიც, სამწუხაროდ, ჩვენ არავინ ჩაგვახედებს... საოცარია, ასე

მოულოდნელად ასეთი გადაწყვეტილება რატომ მიიღო?! მას ჰქონდა ბრძოლის უნარი და უნდა ებრძოლა კიდეც, რომ ყველა ის ბრალდება, რაც წამოუყენეს, გაბათილებინა და გაენეიტრალებინა. საკადრისი პასუხი უნდა გაეცა ყველასთვის!.. თვითმკვლელობით ხომ ბევრი რამ უფრო ამოუხსნელი და ამოუცნობი დარჩა?! ამიტომაც, ვერანაირ გამართლებას ვერ მოვუძებნი მის გადაწყვეტილებას, მით უმეტეს, რომ ნუგზარს დარჩა პატარა ბიჭი, რომელსაც მომავალი წინ აქვს... ერთი რამ კი უნდა აღინიშნოს: ვინც რა უნდა თქვას, ნუგზარ საჭაია მაინც დარჩება ნუგზარ საჭაიად! — მას თავისი ადგილი ჰქონდა და საზოგადოებაში იცნობდნენ, როგორც წესიერ პიროვნებას? სამწუხაროა, რომ თავისი ღირსების დაცვა თავადვე ვერ შეძლო...

ნინო ჯავახიშვილი

ნუ აუდგებით ფეხზე არარსებული ქვეყნის ჰიმნს!

ვეიან ვურული

ჩვენი სპორტსმენების წარმატებებს გადაჩვეულ ქართველებს მორაგბეთა ეროვნული ნაკრებიღა დარჩა საამაყოდ და საგულშემატკივროდ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში რამდენიმე ქართველმა ათლეტმა უფრო მაღალი დონის რეგალიებს მიაღწია – მსოფლიო ჩემპიონობა იქნება ეს, თუ ევროპისა, ქართულ ლელოზე დამყნობილი ინგლისური რაგბი, თითქოს ქართული სპორტის, ურთიერთგატანისა და ვაჟკაცობის სიმბოლოდ იქცა ქომაგთათვის...

მით უმეტეს, როდესაც ეროვნულ ნაკრებზეა საუბარი – იმ გუნდზე, რომლის თამაშის წინაც სახელმწიფო ჰიმნი ჟღერს, ხოლო ტაბლოზე არა რომელიმე საკლუბო გუნდის სახელი, არამედ „უბრალოდ" – საქართველო აწერია და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად საუბრობენ, სპორტისა და პოლიტიკის ერთმანეთში არევა არ შეიძლებაო, მაინც უნდა ითქვას: ქართველ მორაგბეთა პოპულარობა და მათით საყოველთაო სიამაყე, დიდწილად იმითაც იყო გამოწვეული, რომ ზემოთ ნახსენებ ტაბლოზე ბოლო წლებში უკვე სამჯერ ეწერა: „საქართველო – რუსეთი" და ჩვენი გამარჯვების მაუწყებელი ანგარიში!

დიახ, რამდენიც არ უნდა ვიტყუოთ თავი, სპორტი პოლიტიკაც არის, მით უმეტეს – ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრები (რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ახლახან დასრულებულმა ზამთრის ოლიმპიადამ) და სახელმწიფოს ზრუნვაც ამად არის აუცილებელი სპორტისთვის...

თუმცა, ზოგადი მსჯელობა გადავდოთ და ამ წერილის მთავარ მიზეზსა და მიზანს მივუბრუნდეთ:

3 მარტს, თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, კიდევ ერთი დიდი სარაგბო ბატალია იქნება, კვლავ „საქართველო-რუსეთი"! კვლავ იქნება ბრძოლა არა მარტო ქულებისთვის და ქართველ ვაჟკაცთა შემართებით აღტაცებულ გულშემატკივართა ყიჟინა... და იმის თქმა ახლავე შეიძლება, რომ არც ერთ მათგანს სასაყვედურო და მით უმეტეს – სალანძღავი სიტყვა არ წამოსცდება ჩვენს მორაგბეთა მიმართ, იმის მიუხედავად, რომ ღმერთმა ნუ ქნას და, მატჩის შედეგი ჩვენს სასარგებლოდ არ იყოს...

მაგრამ მატჩზე მეტად მატჩისწინა ცერემონიაზე გვსურს გესაუბროთ, რისი მიზეზიც ამ წერილის ავტორთან ერთი „საინიციატივო ჯგუფის" წარმომადგენელთა საუბარი გახდა, რომელიც 20-25 კაცს შეადგენს და „პირობა მომცეს", რომ 3 მარტამდე კიდევ უფრო გამრავლდებიან. ეს ხალხი სრული კატეგორიულობითა და სერიოზულობით აცხადებს, რომ სტა-

დიონის ტრიბუნაზე რუსეთის ჰიმნის გაჟღერებისთანავე ზუსტად ისეთ აქციას ჩაატარებს ტრიბუნაზე, როგორსაც სურათზე ხედავთ!

კარგია ეს თუ ცუდი, ლამაზია თუ უშნო, უზრდელობაა თუ პროტესტის ორიგინალური ფორმა — ამაზე არ ვაპირებთ საუბარს. მით უმეტეს, რომ იმ ადამიანებზე ჩვენმა თხოვნამ და დარწმუნებამ არ გაჭრა. უბრალოდ გვინდა, რომ ვისაც ეგების, გამოსავალი შევთავაზოთ და არა იმიტომ, რომ ვიღაც „ნუდისტი ხულიგნების“ ახირებას დაემორჩილონ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი აზრით, ის ხალხი მართალია (ცხადია, „სიმართლის დამტკიცების“ გამოხატვის ფორმაში არ ვეთანხმებით)!

ახლა კი კონკრეტულად: როდესაც რამდენიმე წლის წინ იგივე მორაგბეთა, შემდეგ კი ფეხბურთელთა ნაკრები ეწვია თბილისს რუსეთიდან, არავითარ ექსცესს მატჩისწინა ტრადიციული ცერემონიის დროს ადგილი არ ჰქონია — ორმოცდაათი ათასი კაცი ადგა და გარინდული, როგორც წესი და რიგია, ისმენდა მეზობელი ქვეყნის ჰიმნს...

მაგრამ მას შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა რუსეთში და მათ შორის — სახელმწიფო ჰიმნიც. ახალი „დამოუკიდებელი“ რუსეთის ჰიმნი უდღეური აღმოჩნდა და სახელმწიფო სათათბიროში შეჯერებულმა „წითლებმა“ პირველი, რაც გააკეთეს, ძველი, საბჭოთა „სოიუზ ნერუშიმის“ „უკვდავი“ მელოდიის დაბრუნება იყო! დღეს რუსეთის ჰიმნი ზუსტად ის არის, რომლის ჰანგების ქვეშაც საქართველოს კოლონიზაცია და გარუსება ხდებოდა! მართალია, ტექსტი შეცვლილია, მაგრამ მელოდია ძველ ასოციაციას აღძრავს. ამიტომ არც ერთი ქართველი არ არის მოვალე, ფეხზე წამოუდგეს, ანუ პატივი სცეს ასეთი სახელმწიფოს ასეთ სიმბოლოს! უფრო მეტიც — იქნებ საკუთარი ქვეყნის, მისი დამოუკიდებლობის აბუჩად აგდებაც იყოს ეროვნულ(!) სტადიონზე „დიადი საბჭოეთის“ ჰიმნის მოსმენისას სმენაზე გაჭიმული ათიათასობით ქართველი.

არ გვინდა, მკითხველმა ჩვენი წერილი რუსოფობიად მიიღოს, ჩვენ უბრალოდ, იმ „უცნაური“ აქციის ამთავითვე აღკვეთას ვცდილობთ, რომელიც ნამდვილად არ შემატებს ღირსებას ჩვენს ქვეყანას, თუნდაც საერთაშორისო მასშტაბით, სადაც ამას ერთობ „თავისებურად“ გააფორმებენ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები.

მაშ, რა ვქნათ?! საერთოდ არ დაუკრან არც მასპინძელთა და არც სტუმართა ჰიმნი? არ შეიძლება, წესი წესია და თანაც, ამასაც არანაკლები სკანდალი მოჰყვება.

სანამ ერთობ საჩოთირო სიტუაციიდან ჩვენეულ გამოსავალს შემოგთავაზებდეთ, თვით რუსების — მათი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლების აზრს მოგახსენებთ „ძველი ახალი“ ჰიმნის შესახებ:

ვალენტინ გაფტი (რუსეთის სახალხო არტისტი, მსახიობი): „მე თავს დათრგუნვილად და შეურაცხყოფილად ვგრძნობ. მე ამ ჰიმნის მოსმენისას ფეხზე არ ავდგები. დაე, პასუხი მაგებინონ, იმ რომელიღაცა მუხლით, რომლითაც სახელმწიფო სიმბოლოებისადმი უპატივცემულობას სჯიან!“

ვიქტორ ასტაფიევი (მწერალი, რომელიც არასოდეს გამოირჩეოდა საქართველოსადმი „გარდარეული სიყვარულით“): „ღმერთო, რა უბედურებაა, რომ მუდმივად გრცხვენია შენი საყვარელი ქვეყნის გამო. ეს რუსეთის ჰიმნი არ არის და სირცხვილია — რუსეთს სხვა ქვეყნის, თანაც უკვე მკვდარი ქვეყნის ჰიმნი აქვს...“

როლან ბიკოვი (რუსეთისა და სსრკ სახალხო არტისტი, რეჟისორი): „არათუ არ ავდგები, არამედ დავუსტვენ კიდეც ამ მელოდიის მოსმენისას და სწორედ იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა!“

კიდევ შეიძლებოდა ციტატების მოყვანა, მაგრამ ვფიქრობთ, — საილუსტრაციოდ ესეც საკმარისია.

თუმცა არა, ერთი გამონათქვამი კიდევ უნდა გაგაცნოთ და სწორედ იმ კაცის, რომელმაც „მკვდრეთით აღადგინა“ საბჭოთა ჰიმნი: **გენადი ზიუგანოვი**, თანამედროვე რუს კომუნისტთა წინამძღოლი: „ჩვენ ეს ჰიმნი გვჭირდება, გვჭირდება მხოლოდ იმიტომ, რომ არ დაგვავიწყდეს, რანი ვიყავით და ვიოცნებოთ და ვიღვაწოთ იმისთვის, რომ თითქმის განახევრებული რუსული სხეული კვლავ აღვადგინოთ „სახელმწიფოობანას თამაშით“ გართული ტერიტორიების(!) ხარჯზე!“

ესეც ასე! და ჩვენ ფეხზე უნდა ავდგეთ და პატივი ვცეთ?!! მე არ ავდგები, ისევე, როგორც ვალენტინ გაფტი და ბევრი წესიერი რუსი!

რა მოხდა მერეო, — ბევრი იკითხავს. ალბათ, სწორედაც რომ მოხდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისრაელში ოფიციალურად არ იქნებოდა აკრძალული ვაგნერის მუსიკა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჰიტლერს უყვარდა! იმის მიუხედავად, რომ თვით კომპოზიტორი და ნაციზმი შორს იდგნენ ერთმანეთისგან.

თავად განსაჯეთ, აკრძალეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჰიტლერსა და გენოციდს ახსენებთ! ჩვენ?! ჩვენ რას გვახსენებს ეს ფრაზა: „შეურავს მუდმივად(!) დიდ რუსეთის ხალხს!“

ანდა წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა იმავე ისრაელის რომელიმე სტადიონზე, ან თუნდაც პოლონეთისა თუ ბელგიის სარბიელებზე, მათი ეროვნული ნაკრები გერმანიისას რომ ეთამაშებოდეს და ორიოდე წლით ადრე, ვიღაც „გერმანელ ზიუგანოვს“ აზრად ნაციონალურ-სოციალისტების დროინდელი „დოიჩლანდ იუბერ ალეს“ აღდგენა მოსვლოდა...

მოკლედ, სიტუაცია ერთობ დელიკატურია და გამოსავალიც, ვფიქრობ, ერთადერთი, თანაც უკვე აპრობირებული: კონსერვატორმა ინგლისელებმაც კი, როდესაც ნახეს, რა რეაქცია ჰქონდა ხალხს ბრიტანულ ჰიმნზე მათ ყოფილ კოლონიებში, ტექსტიდან ის ფრაზა ამოიღეს, სადაც მსოფლიო ბატონობაზე იყო საუბარი და რადგან მელოდია იგივე დარჩა, კარგა ხანს, ოფიციალური შეხვედრებისას (არა მარტო სპორტული ასპარეზობებისას) ჰიმნი აუცილებლად ტექსტის თანხლებით ჟღერდა.

ასე რომ, ჩვენც შეგვიძლია რუსეთის სათათბიროს უმცირესობის იმ მიღწევით ვისარგებლოთ, რომელმაც ძველსაბჭოური ტექსტის აღდგენა მაინც არ დაუშვა ჰიმნში და ვისაც ეს ევალება, რუსეთის ჰიმნიც ტექსტიანად ააჟღეროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც მინიმუმ, ოცი ჩვენი თანამოქალაქე გაცივდება იმ დღეს, რადგან სინოპტიკოსთა პროგნოზით, არცთუ ისე თბილი ამინდია მოსალოდნელი 3 მარტს.

■

ნდობის ტელეფონი
822-009044
დღე-ღამის განმავლობაში
(18 წლიდან)

გია ჭანტურია დაჭერას ლაიმა ვაიკულემ გადაარჩინა...

გია ჭანტურიამ და ედუარდ შევარდნაძემ ერთმანეთს პოპულარობა შემატეს. იმასაც ამბობენ, სადაცაა გია ჭანტურია პოპულარობით პრეზიდენტსაც გაუსწრებსო... უფრო საინტერესოა, დაჩრდილავს თუ არა „დარდუბალას" პოპულარობას „ჩვენი ეზო"...

გია ჭანტურია ცდილობს, პოლიტიკისგან შორს იდგეს. თავის ახალ ანიმაციურ სერიალშიც თავს არიდებს პოლიტიკურ ქვეტექსტებს, თუმცა „ჩვენი ეზოს" პერსონაჟებს ხალხი მაინც პოლიტიკოსების სახეებთან აიგივებს...

გია ჭანტურიას „რუსთავი 2"-ის ოფისში შევხვდით. გია კმაყოფილია თავისი სამსახურით და სურვილი აქვს, მომავალში ამ არხზე ბევრი საინტერესო პროექტი განახორციელოს.

ლელა ჭანკოტაძე

— როგორ დაიწყო გია ჭანტურიას პოპულარობა?

— დაიწყო ალბათ უნივერსიტეტიდან და „სტუდენტური დღეებიდან". თანაც იყო პერიოდი, როცა მე ვუკრავდი „ზუმბაში". მქონდა წარმატებებიც.

— სტუდენტობის პერიოდში თუ გქონდა გადაწყვეტილი, რომ ცხოვრების ამ გზას აირჩევდი?

— არა. მაშინ სხვა გეგმები მქონდა — ენათმეცნიერი მინდოდა გავმხდარიყავი, მაგრამ მივხვდი, რომ ამ საქმეს ჩემზე უკეთ სხვები აკეთებდნენ. მე მხოლოდ რიგითი ფილოლოგი შეიძლებოდა ვყოფილიყავი. არადა, შემეძლო სხვა რამ უკეთესად მეკეთებინა.

— რისი კეთება გეხერხება? რა გამოგდის იოლად?

— წესიერად, თავადაც ვერ გეტყვით, რას ვაკეთებ და რას — ვერა. ხალხშიც ასეთი — „მრავალფეროვანი" იმიჯი მაქვს. ზოგისთვის, ედუარდ შევარდნაძის გამხმოვანებელი ვარ, ზოგისთვის — ის ადამიანი, ვინც მულტფილმებს აკეთებს. ჩემი სურვილია კარგი და ლამაზი ფილმების კეთება — როგორც ანიმაციური, ასევე კინოფილმებისა. მგონია, რომ ეს გამომივა. უბრალოდ, ქვეყანა არ მიწყობს ხელს, რადგან ქვეყნის პოლიტიკა, იდეოლოგია და ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებს იმას, რომ კინოინდუსტრია აღარ არსებობს. ყველას, ვისაც მყარი მატერიალური მდგომარეობა აქვს, ურჩევნია ფული ჩადოს მომგებიან საქმეში. კინო საქართველოში ვერასოდეს იქნება მომგებიანი, რადგან ჩვენთან არ არის იმის ბაზარი, რომ კინომ საკუთარი თავი შეინახოს. საჭიროა გადაიღო ისეთი კინო, რომელიც მთელ მსოფლიოს აალაპარაკებს. მე ვაპირებ ასეთი კინოფილმის გადაღებას.

— თუ გაგიკეთებია უკვე ისეთი საქმე, რომელიც გეამაყება?

— დავიწყოთ „კავეენით" *(მხიარულთა და საზრიანთა კლუბი. — ავტ.)*. ჩვენ ერთადერთი გუნდი ვიყავით, რომელიც მართლა ყველას უყვარდა. რუსეთში „კავეენშიკების" წრეში, დიდი სიყვარულით ვსარგებლობდით, რადგან გრძნობდნენ, რომ ქართველებს სხვანაირი იუმორი გვახასიათებს. ამბობდნენ, იუმორით ისინი ყველაზე წინ არიანო. სასიხარულოა, რომ ბევრი გუნდი დღეს ჩვენი სტილით თამაშობს.

— რასაც თქვენ მიაღწიეთ, ის წინა თაობის ბიჭებმა ვერ მოახერხეს, მაგრამ საკუთარი გამორჩეული კვალის დატოვება თუ შეძელით?

— ასეა. რუსეთში არსებობს „კავეენის" სკოლა, ამ სკოლაში ლექციებს კითხულობენ ანდრეი მარფინი და მიხეილ ჩიხურინი. ისინი ხშირად იყენებენ ჩვენი გუნდის მაგალითებს და ხუმრობებს. ჩვენ ნამდვილად დავტოვეთ ჩვენი სერიოზული კვალი. აღსანიშნავია ისიც, რომ შეიქმნა სიმბოლური მსოფლიო ნაკრები, სადაც ერთადერთი კავკასიელი მე ვიყავი. სამწუხაროდ, ვერ ჩავედი.

— ქართული მხარე თუ ხვდებოდა თქვენს წარმატებებს სიხარულით? თუ გქონდათ მა



ფრაზები გენიალური

სიტყვის თავისუფლება განსაკუთრებით ძვირფასი მაშინ არის, როცა მაგრად მოქნეული ჩაქუჩი თითზე მოგხვდებათ.

მარშალ ლამბდენი

ტერიალური მხარდაჭერა?

— რუსეთში ჩვენ გვცნობდნენ. იყო ასეთი შემთხვევა: არბატზე გაგვაჩერეს, საბუთები არ გვქონდა. შემთხვევით, ჯიბეში აღმომაჩნდა ლაიმა ვაიკულესთან გადაღებული სურათი. ეს ფოტო რომ ნახეს მილიციელებმა, მაშინვე გვითხრეს: გიცნობთ, გვახსოვხართო — და გაღიმებულებმა გაგვიშვეს. ჩვენ რაც გავაკეთეთ და როგორი იუმორიც ვუჩვენეთ ხალხს, ყველასთვის მისაღები და გასაგები იყო. ამიტომაც შეგვიყვარა ყველამ. რაც შეეხება მხარდაჭერას — უნივერსიტეტი მყარად გვედგა მხარში. ყოველთვის ვახერხებდით შეჯიბრებაზე წასვლას. მხარდაჭერა ბიზნესმენებისგანაც გვქონდა — ოღონდ, იმ პირობით, რომ ამის აფიშირებას არ დავიწყებდით... ფაქტია, რომ „კავეენით" დაიწყო ჩემი პოპულარობაც და იგივე „რადიო 105"-ის „გაბრწყინება".

— მაყურებელმა დაგიმახსოვრა გადაცემიდანაც — „მილიონი სიხარული ოქტაგონზე". ფაქტობრივად, საზოგადოების თვალში „კარგი ბიჭის" იმიჯი შეგექმნა. ამის შემდეგ, სარისკო ხომ არ იყო „დარდუბალას" გაკეთება? არ გიფიქრია, რომ მას საზოგადოების გაღიზიანება შეიძლებოდა გამოეწვია?

— ჩემთვის „დარდუბალა" ბევრს ნიშნავს. უფრო მეტად, მას ტექნიკური ღირებულება აქვს, იმიტომ, რომ ანიმაცია, როგორც დარგი, საქართველოში მკვდარი იყო. ბოლო პერიოდში, არც ანიმაციური ფილმები შექმნილა და არც ამის პერსპექტივა ჩანდა. ისე მოხდა, რომ მე და ვიქტორ წიკლაურმა ძალიან მოვინდომეთ, რომ რაღაც გაგვეკეთებინა და არჩევანი შევაჩერეთ ე.წ. ლიმიტურ ანიმაციაზე, რომელიც ტექნიკურად იოლი გასაკეთებელია, რადგან მასში მხოლოდ ტეხილი, ფაზირებული მოძრაობებია. შევთავაზეთ ჩვენი მანსანკანის *(მხატვრულთა და საზრიანთა კლუბის ქართული აბრევიატურა. — ავტ.)* ბიჭებს, რომ იმ ხუმრობების საფუძველზე, რომელიც „რადიო 105"-ის ეთერში გადიოდა, ანიმაციური ფილმი გადაგვეღო. თავიდან უარი მივიღეთ, მაგრამ შემდეგ, შალვა რამიშვილმა იფიქრა და შემოგვთავაზა, გაგვეკეთებინა ანიმაციური სერიალი. თავიდან, კვირაში 7-8 წუთიანი სერია უნდა შეგვექმნა. პირველი სერიის გაკეთებას თვე-ნახევარი მოვანდომეთ, მეორე სერიაზე უკვე ერთი თვე ვიმყოფინეთ... შემდეგ მოთხოვნილებაც გაიზარდა და უკვე ათწუთიანი სერიები გავაკეთეთ. თავიდან, სერიალმა გაღიზიანება გამოიწვია, თუმცა, მუქარის ზარები არ ყოფილა, — უბრალოდ, გვირეკავდნენ და შინაურულად გვთხოვდნენ: რა საჭიროა ამის გაკეთებაო?!.

— „დარდუბალას" სერიების ნახვისას იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ის ვიღაცა, ვინც ამ საქმეს აკეთებდა, კარგად იყო ჩახედული პოლიტიკასა და პოლიტიკურ სამზარეულოში...

— ანიმაციის შესაძლებლობები უსაზღვროა. „დარდუბალა", სამწუხაროდ, ბოლოს, უკვე აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ თამაშებში. „დარდუბალადან" ჩემი წამოსვლის მიზეზიც, სხვასთან ერთად, ესეც იყო. პირველ რიგში, დავკარგე ინტერესი. ამასთან, გამიჩნდა „ჩვენი ეზოს" გადაღების იდეა. ესეც ჩემი და ირაკლი კაკაბაძის პროექტი იყო. მასში ნაკლებია პოლიტიკა. „დარდუბალამ" კი, ბოლო დროს, მთლიანად პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. ბევრ უმტკივნეულო პატარა ხუმრობაზე უთქვამთ: ყოჩაღ, რა დიდი აზრი ჩაგიდია შიგ, საიდან იცოდიო? არადა, უბრალოდ, ხუმრობა იყო და არანაირი პოლიტიკური დატვირთვა არ ჰქონია... ბოლო დროის „დარდუბალა" ჩემთვის აღარ იყო მისაღები, თუნდაც იმიტომ, რომ გარკვეული კონტროლი დავკარგე მასში განვითარებულ მოვლენებზე... ყველაზე კარგ სერიად მე მაიმუნების სერია მიმაჩნია, რადგან მას მხატვრული ღირებულება აქვს.

— რა შეგიძლია თქვა შენს პერსონაჟზე? ხომ არ მიგაჩნია, რომ ის თანდათან, უფრო საყვარელ პერსონაჟად იქცა?

— ჩვენს მხატვარს, ვიქტორ წიკლაურს უყვარს ანიმაცია და ნებისმიერი გმირი მისთვის საყვარელია, არა აქვს მნიშვნელობა — დადებითი გმირია თუ უარყოფითი...

— „დარდუბალა" ახალ არხზე გადავა. შენც ხომ არ გიფიქრია საკუთარ არხზე?

— შალვა რამიშვილი ქმნის თავის არხს და ალბათ კარგიცაა. მე ამაზე არ მიფიქრია, თუნდაც იმიტომ, რომ პროფესიონალი არ ვარ.

— როგორ ფიქრობ, „ჩვენი ეზო" გახდება პოპულარული?

— ჯერ მხოლოდ ცხრა სერია გავიდა. ვიცი, რომ „ჩვენს ეზოსა" და „დარდუბალას" ერთი და იგივე მაყურებელი არ ეყოლება, რადგან ძალიან განსხვავდება ერთიმეორისაგან: „ჩვენი ეზო" უფრო რთული და „შინაურული" სერიალია. ჩვენი მიზანი ის არ არის, რომ ადამიანებს გული მოვაფხანინოთ, — უბრალოდ, გვინდა მაყურებელმა ისიამოვნოს. პერსონაჟად, არც ედუარდ შევარდნაძე გვყავს და არც ქვეყნის პრეზიდენტი. „ჩვენი ეზოს" პერსონაჟები ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან. თითქმის ყველა ტიპის ადამიანი გვყავს გამოყვანილი. ყველას შეუძლია მათში საკუთარი თავი ან ნაცნობები დაინახოს. „ჩვენი ეზო" პატარა ქვეყანაა...

— „ჩვენ ეზოს" გარდა, რა გაქვს გეგმაში?

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. სიცოცხლის ბოლოს, გოგი ცაგაძე დიდი გატაცებით ხსნიდა:

✓ა) კროსვორდებს;
ბ) საჭადრაკო ეტიუდებს;
გ) მათემატიკურ ამოცანებს.

2. დასახელებულ ცნობილ მსახიობთაგან რომელი იყო ვასო გოძიაშვილის მეუღლე?

ა) ეკატერინე ვერულეიშვილი;
ბ) ვერიკო ანჯაფარიძე;
✓გ) სესილია თაყაიშვილი.

3. რას ნიშნავდა ამერიკიდან შემოსული სიტყვა „ჩოკოლატლი“ — შოკოლადი?



✓ა) მწარე ბალახისგან დამზადებულ სასმელს;
ბ) მეფურ სიამოვნებას;
გ) ენერგიის აღდგენას მოკლე დროში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

— გეგმები ძალიან დიდი მაქვს, მაგრამ ბოლო ოთხი თვეა, „ჩვენი ეზოს“ გარდა, არაფერზე მიფიქრია. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ „რუსთავი 2“-ზე მოვედით. ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფის მოსვლა „რუსთავი 2“-ისთვის ძალზე რთულ პერიოდს დაემთხვა, მაგრამ პრობლემები უკან დარჩა. პერსპექტივას მე სხვა ტელევიზიაში არ ვეძებ. რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვიქნები, თუ ვინმე უფრო უკეთეს არხს შექმნის და გაჩნდება ჯანსაღი კონკურენცია.

— „კავეენის“ ბიჭები, ყველანი, მაინც მეგობრებად რჩებით?

— ჩვენ მეგობრებად დავრჩით. არა აქვს მნიშვნელობა, იმ უსიამოვნებაში, რომელიც ჩვენ შორის მოხდა, ვინ იყო მტყუან-მართალი. არა ვარ ისეთი, რომ საქმეები ვარჩიო. ყველას თავისი გზა აქვს ცხოვრებაში. მე მჯერა, რომ ისინი ნიჭიერები არიან და ბევრ კარგ საქმესაც გააკეთებენ.

— თუ არის შესაძლებელი, რომ ოდესმე პოლიტიკაში მოხვიდე?

— არანაირი სურვილი არა მაქვს და არც მინდა. ერთმა რუსმა სტუდენტმა თქვა: ბავშვობაში „კევის“ ღეჭვას მიშლიდნენ; იმდენი მიშალეს, რომ სიგარეტის მოწევა დავიწყე; სიგარეტი რომ დამიშალეს, პლანზე გადავედი; პლანის მოწევაც რომ ამიკრძალეს, ნარკოტიკების სერიოზული მომხმარებელი გავხდი; ამასაც თუ ძალიან, ძალიან დამიშლიან — პოლიტიკაში წავალო... მე ჯერჯერობით, ჩემი საქმიანობით, „საღეჭ რეზინს ვღეჭავ“...

— როგორ შეძელი, ასე კარგად შეგეთვისებინა შევარდნაძის მეტყველების მანერა? როდის გაგიჩნდა პაროდირების სურვილი?

— ჩემს საკვირაო განრიგში, გახმოვანებას მხოლოდ ნახევარი საათი უკავია. პირველად, „კავეენში“ დამჭირდა სხვისი ლაპარაკის მიმსგავსება. იოლად მივბაძე ყველას, ვისი მიბაძვაც მოვინდომე. ახლა „ჩვენს ეზოში“ ყველა პერსონაჟს მე ვახმოვანებ.

— სცენის ნოსტალგია ხომ არა გაქვს?

— მაქვს. მაგრამ დრო აღარ მყოფნის. ბავშვობაში სულ მჭონდა სურვილი, სცენაზე გამოვსულიყავი ან კინოში მეთამაშა. სცენაზე დგომა რთულია, ბევრ შრომას, უამრავ რეპეტიციას მოითხოვს. ისე, თუ შემომთავაზებენ სცენაზე გამოსვლას, თავს არ შევიკავებ და უარს არ ვიტყვი... ჯერჯერობით „რუსთავი 2“-ში ვარ. მინდა, აქ ჩემს მეგობრებთან ერთად, ბევრი კარგი საქმე გავაკეთო, ცოტა ტელევიზიის სპეციფიკაშიც გავერკვე. ძალიან მინდა, მომავალში სერიოზული ანიმაციური სტუდია ჩამოვაყალიბო. „ჩვენი ეზო“, ტექნიკური თვალსაზრისით, საოცრება არ არის, მაგრამ იმის წინაპირობას კი იძლევა, რომ მომავალში უკეთესი ანიმაციური ფილმების გადაღება გახდეს შესაძლებელი. ჩვენთან ძირითადად, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები მუშაობენ.

გიამ მთხოვა — პირად ცხოვრებაზე ნუ მალაპარაკებთ, ყველაფერი წესრიგში მაქვს, ჩემს ოჯახში ყველანი კარგად არიან — იმდენად კარგად, რომ ამაზე წერა არც ღირსო... გია თურმე, კვირაში ორ ღამეს მაინც, მუშაობაში ათენებს და მთელ დროს „ჩვენს ეზოში“ „გატარებას“ უთმობს... ■

რუსეთში, „კავეენშიკების“ წრეში, დიდი სიყვარულით ესარგებლობდით, რადგან გრძნობდნენ, რომ ქართველებს სხვანაირი იუმორი გვახასიათებს.

ჯანსაღი ცხოვრება «ყაზბეგთან» ერთად

„ცივი ჩაის" გვერდით ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე ს/ს „ყაზბეგის" ნატურალურ ხილზე დამზადებულმა ტარხუნის, ლიმონის, მსხლის და ფორთოხლის ლიმონათმა გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა.

ართული კაცი ოდითგან დიდი გემოვნებით გამოირჩეოდა და ეს ჩვენს ხელოვნების და კულტურის განვითარების კვალდაკვალ ალკოჰოლური თუ უალკოჰოლო სასმელების მრავალფეროვნებაშიც გამოიხატა.

მსოფლიოში ცნობილი ქართული ღვინის, კონიაკის, მინერალური წყლების გვერდით ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა უალკოჰოლო, გამაგრილებელ სასმელებს. დღეს კი საქართველოს ბაზარზე, როგორც სპირტიანი, ისე უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში სრული ქაოსი და განუკითხაობა სუფევს. პროდუქტი, რომელიც მწარმოებლისგან მოითხოვს ტექნოლოგიური და სანიტარული ნორმების დაცვას, უმეტეს შემთხვევაში, მზადდება დაბალი ხარისხის ნედლეულზე. ამ მხრივ ქვეყანაში განსაკუთრებული ქაოსი შეიმჩნევა ლიმონათის წარმოებაში. ესენციებით, საკვები საღებავებით გაჯერებულ სასმელს, რომელიც მრავლადაა სავაჭრო ქსელში, პირობითად თუ ვუწოდებთ ლიმონათს, ქიმიური შემადგენლობის გამო, ამგვარი სახის სითხის მიღება ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათოა.

ამის მიუხედავად, ლიმონათის ფალსიფიკატორი, თუ ლეგალური მწარმოებელი, თავის პროდუქციას ნატურალურ, ხილის წვენისგან დამზადებულ პროდუქტად ასაღებს, არადა, მთელ ქვეყანაში რეალურად რამდენიმე მწარმოებელი თუ იქნება, რომელიც ლიმონათს ნატურალური ხილისგან ამზადებს. ამგვარ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს ს/ს „ყაზბეგის" ლიმონათი. ხილისა და თითოეული ინგრედიენტის მხოლოდ ზუსტი და ფაქიზი შერჩევა იძლევა საშუალებას, მიღწეულ იქნას ის განუმეორებელი სურნელი და გემო, რითაც ხასიათდება ეს ღვთაებრივი სასმელი.

კომპანიის ტექნოლოგების განმარტებით, ნატურალური გაზიანი სასმელების დამზადება რთული და ხანგრძლივი ტექნოლოგიური პროცესია. მისი დამზადების ხანგრძლივობა ერთ თვეს შეადგენს. ეს აუცილებელი ტექნოლოგიური პროცესია და მხოლოდ ამგვარი წესით ხდება გამაგრილებელ სასმელში ვიტამინების და მიკროელემენტების შენარჩუნება, რითაც ასე მდიდარია „ყაზბეგის" მიერ წარმოებული „ცივი ჩაი" და ლიმონათი.

რაც შეეხება ლიმონათის დამზადების ტექნოლოგიას, იგი მზადდება ხილ-კენკრის დასპირტული ან დადუღებული წვენებისგან-ექსტრაქტებისგან, რომლებსაც ემატება შაქრის ორგანული მჟავები და ნახშირორჟანგი. როგორც ვხედავთ, ხილი ლიმონათის წარმოებისთვის აუცილებელი კომპონენტია. ს/ს „ყაზბეგმა" 2001 წელს ქართველი გლეხებისგან 100 ტონა სხვადასხვა სახეობის ხილი შეიძინა, რომლითაც დაამზადა ნატურალური არომატიზატორი, რითაც მდიდრდება „ყაზბეგის" „ცივი ჩაი" და ლიმონათი. არომატიზატორების წარმოება, თავისთავად სიახლეა კვების მრეწველობაში, რომელსაც კომპანია „ყაზბეგმა" ქართველ მეცნიერთა დახმარებით მიაღწია. ქართული უგემრიელესი ხილისგან დამზადებული ჟოლოს, ატმის, ტარხუნის, ფორთოხლის, მსხლის, ფეიხოას „ცივი ჩაის" ჩამოსხმა, კომპანიამ რამდენიმე წლის წინ დაიწყო. ამას მოჰყვა გასულ წელს ნატურალური ლიმონათის წარმოება. „ცივი ჩაის" გვერდით ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე „ყაზბეგის" ლიმონის, ტარხუნის, მსხლის და ფორთოხლის ლიმონათმა გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა.

®

განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს ფსიქიატრიულ შემოწმებას ჩაუტარებენ

უზენაეს სასამართლოში დაწყებული სისხლის სამართლის საქმის განხილვა, რომელიც ორ მძიმე დანაშაულს ეხება, გაურკვეველი ვადით გადაიდო. ამის მიზეზი, სასამართლო კოლეგიის წინაშე წარდგენილი ორი პატიმრისგან, ერთ-ერთის ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმების აუცილებლობა გახდა. ადვოკატების თქმით, განზრახ მკვლელობის მუხლით ბრალდებული გელა ნოზაძე, როგორც სულით ავადმყოფი, ქ. რუსთავის ფსიქო-ნევროლოგიურ საავადმყოფოში მკურნალობდა და ეს დამოწმებულია ექსპერტების მიერ.

ბრალდებულები: გელა ნოზაძე (მარცხნივ) და ზაზა შიოლაშვილი

მეგი ცანავა

„დასკვნაში გარკვევით წერია, რომ გელა ნოზაძე მძიმე მდგომარეობაში იყო: სტალინის მოადგილე ვარ და შევარდნაძე მოსაკლავად დამდევსო — ასეთ ფრაზებს გაიძახოდა თურმე და ეს ოქმში ოფიციალურად არის დაფიქსირებული. თანაც, აღსანიშნავია, რომ მას სულით ავადმყოფი ორი ძმა ჰყავს. აქედან გამომდინარე, ჯერ უნდა გაირკვეს, თუ რა მდგომარეობაშია გელა ნოზაძე ამყამად. წინაადმდეგ შემთხვევაში, სასამართლო განხილვისას მისი ჩვენების გაზიარება წარმოუდგენელია“, — განაცხადა ნოზაძის ადვოკატმა და მოსამართლის წინაშე, განსასჯელის სასამართლო-ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, შუამდგომლობა დააყენა. უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ ექსპერტიზის დანიშვნა საფუძვლიანად მიიჩნია და შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

36 წლის გელა ნოზაძესა და 29 წლის ზაზა შიოლაშვილს პროკურატურა ყაჩაღურ თავდასხმასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებაშენახვაში ადანაშაულებს. გარდა ამისა, გელა ნოზაძეს, გამოძიება შვიდი წლის წინ ჩადენილ განზრახ მკვლელობასა და განზრახ მკვლელობის მცდელობაში სდებს ბრალს.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, გელა ნოზაძემ დანაშაული 1995 წლის 10 აპრილს, რუსთავში, ღამის ორის ნახევარზე ჩაიდინა. ამ დროს, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ნოზაძე, მეზობლის — ალექსანდრე ბეიტრიშვილის ბინის კარს მიადგა (ბეიტრიშვილი თავისივე ბინაში ვაჭრობდა სხვადასხვა სასურსათო ნაწარმით). გვიანი ღამე იყო და ბეიტრიშვილების ოჯახის წევრებს ეძინათ. ნოზაძემ ყვირილი დაიწყო: გააღეთ, გელა ვარ ნოზაძეო, — თან კარზე აბრახუნებდა. *„კაკუნის ხმამ გამოგვაღვიძა. ქმართან ერთად, დერეფანში გავედი, მაშინ მივხვდი, რომ კართან გელა ნოზაძე იყო. ჩემმა მეუღლემ, კარი გააღო თუ არა, მთვრალი გელა ბინაში შემოვიდა და სიგარეტი მოითხოვა. ვუსაყვედურეთ — ასე გვიან სიგარეტისთვის შეწუხება როგორ შეიძლება-თქო“,* — წერს ჩვენებაში დაზარალებული მაშო ბეიტრიშვილი.

გელა ნოზაძემ შენიშვნა იუკადრისა და ბეიტრიშვილებს ვინება დაუწყო. გამოძიების მასალების თანახმად, მან ალექსანდრე ბეიტრიშვილის ქალიშვილს — მარინა ბეიტრიშვილს ხელი მოუქნია და მისთვის სახეში გარტყმა სცადა, თუმცა, ამ უკანასკნელმა დარტყმა აიცდინა, ნოზაძის მუშტი კი მამამისს მოხვდა. გაბრაზებულმა ალექსანდრე ბეიტრიშვილმა, ოჯახის წევრების დახმარებით, გელა ნოზაძე სახლიდან გაადო და კარი მიუხურა.

მაშო ბეიტრიშვილი:

„გელა კარს ხელებსა და ფეხებს თითქმის 10-15 წუთის განმავლობაში ურტყამდა, გვაგინებდა და უხეში სიტყვებით გვლანძღავდა. ბოლოს კი, დაგვემუქრა — კაცი არ ვიყო, თუ დედა-ბუდიანად არ ამოგწყვიტოთ და არ აგაფეთქოთო.“

გელა ნოზაძე იქიდან სახლში წავიდა. სამართალდამცავთა თქმით, შინიდან მან უნებართვოდ შენახული ხელყუმბარა აიღო და დაახლოებით ღამის 3 საათისთვის კვლავ ბეიტრიშვილების ბინისკენ გაეშურა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ნოზაძემ ხელყუმბარა ეზოდან ლოჯიაში შეაგდო. სამართალდამცავთა თქმით, ეს მან ბეიტრიშვილების განზრახ მოკვლის მიზნით ჩაიდინა.

მაშო ბეიტრიშვილი:

„ღამით, მეორედ, შუშის მსხვრევის ხმამ გამაღვიძა. ლოჯიის ფანჯრები ჩაიმსხვრა. იმწამსვე მოხდა აფეთქება და ცეცხლის ალი ავარდა. ჩემი მეუღლე ტახტიდან გადავარდა, იატაკზე დაეცა და თან ყვიროდა — მიშველეთო! მე აფეთქების შედეგად ცუდად გავხდი, მარჯვენა ხელიდან სისხლი მომდიოდა, თითქმის უგონოდ ვიყავი, მაგრამ ოთახში რომ ჩემი ქალიშვილი, სტუმარი გოგონა და კიდევ რამდენიმე მეზობელი შემოვარდნენ, ეს მახსოვს“.

დაჭრილები მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს. მაშო ბეიტრიშვილი მსუბუქად დაჭრილი აღმოჩნდა, მისმა მეუღლემ კი, სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები მიიღო, რის შედეგადაც, დილის 8 საათზე გარდაიცვალა.

გელა ნოზაძე მეორე დღეს ქალაქ რუსთავიდან წავიდა. იგი სამართალდამცავებს ხუთი წლის განმავლობაში ეძალებოდა. 2000 წლის ნოემბერში ნოზაძე პოლიციამ დააკავა. მან თავი დამნაშავედ არ ცნო და თავდაპირველად, დუმილის უფლება გამოიყენა. სამართალდამცავებს მან ჩვენება მხოლოდ ბრალდების წარდგენის შემდეგ მისცა.

გელა ნოზაძე *(წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებიდან):*

„... რამდენიმე წუთში ალექსადრემ კარი გამიღო. სიგარეტი და კანფეტები ვთხოვე და ფული მივაწოდე. ამ დროს

კართან მისი ქალიშვილი მარინა მოვიდა. ჩხუბი დამიწყო – აქ, რა, მალაზია ხომ არ არის, ასე გვიან რატომ მოდიხარ, რისთვის გვაწუხებო?.. მეც შევეპასუხე, მაგრამ იგი ჩემს ლანძღვასა და წყევლას მაინც განაგრძობდა.

ნასვამი ვიყავი, ველარ მოვითმინე და გაბრაზებულმა, მარინას ხელი მოვუქნიე დასარტყმელად. მოხვდა თუ არა, არ მახსოვს. იმწუთას მე თვითონ მომხვდა თავში რაღაც და კარიც მომიხურეს. განაწყენებულმა გინება დავიწყე, კარზეც ვაბრახუნებდი, თან ვამბობდი – ოჯახს გადაგიბუგავთ-მეთქი. მაშინ ამ სიტყვებს უაზროდ ვამბობდი, მთვრალი ვიყავი და თავს კონტროლს ველარ ვუწევდი. კარი აღარ გამიღეს და მეც სახლში წავედი. შინ მისვლისთანავე დავწექი და დავიძინე. ვინ შეაგდო მათ ბინაში ხელყუმბარა, მე არ ვიცი, თუმცა, ძილში აფეთქების ხმა მეც გავიგონე და გამეღვიძა. როცა შევიტყვე, რომ ბეიტრიშვილების ოჯახში ვილაცამ ხელყუმბარა შეაგდო, შემეშინდა, რადგან ვიცოდი, ეჭვი ჩემზე ექნებოდათ. ამიტომაც, მაშინვე ჩავიცვი და მშობლების ბინიდან წავედი. ამის შემდეგ რუსეთში გავემგზავრე და წლების მანძილზე ქალაქ როსტოვში ვცხოვრობდი. იქიდან საქართველოში 2000 წლის 2 ნოემბერს ჩამოვედი. 3 ნოემბერს, გვიან ღამით, ქალაქ რუსთავში, ერთ-ერთ სკვერში ყოფნისას, ჩემთან პოლიციის მუშაკები მოვიდნენ, დამაკავეს და პოლიციაში მიმიყვანეს".

სამართალდამცავთა მტკიცებით, მიმალვაში მყოფმა გელა ნოზაძემ სხვა მძიმე დანაშაული, კერძოდ – ჯგუფთან ერთად ყაჩაღური თავდასხმაც ჩაიდინა. საქმის მასალების მიხედვით, ეს 1999 წლის 31 იანვარს მოხდა, რაც ნოზაძის მიერ მიცემულ ჩვენებას, – რომ ის 2000 წლის ნოემბრამდე რუსეთში იმყოფებოდა, ეწინააღმდეგება.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, აღნიშნულ დღეს, გელა ნოზაძე თავის ძმას – ფრიდონ ნოზაძეს, ბაგრატ ქოჩორაშვილს, დავით ქოჩორაშვილსა და ზაზა შიოლაშვილს დაუკავშირდა. ისინი წინასწარ შეთანხმდნენ და გადაწყვიტეს, სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანში, ერთ-ერთი იქაური შეძლებული კაცის – ელგუჯა ინაშვილის ოჯახი დაეყაჩაღებინათ.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ღამით, ისინი, ბაგრატ ქოჩორაშვილის „მოსკვიჩით", რომლის უკანა სავარძლის ქვეშ ცეცხლსასროლი იარაღები ჩააწყვეს, სოფელ ტიბაანისკენ გაემგზავრნენ. მანქანა მათ ინაშვილის სახლიდან 700 მეტრის მოშორებით გააჩერეს. ბაგრატ ქოჩორაშვილი ავტომანქანასთან დარჩა, სხვები კი სახლისკენ გაემართნენ. ნიღბებაფარებულებმა და ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებულებმა, შესასვლელი კარი შეამტვრიეს და ბინაში შეიჭრნენ.

ხმაურზე ინაშვილის ოჯახის წევრებს გაეღვიძათ. ბოროტმოქმედები მათ საწოლებთან მივიდნენ და მოკვლის მუქარით მოსთხოვეს, ხმა არ ამოეღოთ. მიუხედავად ამისა, ელგუჯა ინაშვილმა ბალიშის ქვეშიდან პისტოლეტი მაინც გამოიღო და თავდამსხმელთა მისამართით სამჯერ გაისროლა. საპასუხოდ ბოროტმოქმედებმაც ისროლეს. ამ დროს, შემთხვევით, გელა ნოზაძის იარაღიდან გასროლილი ტყვია მისივე ძმას – ფრიდონს მოხვდა ფეხში. ელგუჯა ინაშვილის პისტოლეტიდან გასროლის შედეგად კი, ზაზა შიოლაშვილი დაიჭრა.

ბაგრატ ქოჩორაშვილი *(წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებიდან):*

„1999 წლის 31 იანვარს, საღამოს, ჩემმა ბიძაშვილმა – დავით ქოჩორაშვილმა მომაკითხა, მანამდე ერთი წლით ადრე, ჩემთან ცეცხლსასროლი იარაღები მოიტანა და შენახვა მთხოვა, ახლა კი, გამოიტანეო – მითხრა და მანქანის უკანა სავარძლის ქვეშ ჩავაწყვეთ. იმავე დღეს, ფრიდონ ნოზაძესთან, გელა ნოზაძესა და ზაზა შიოლაშვილთან ერთად, კახეთისკენ გავემგზავრეთ. გზაში ვივახშმეთ, თითო ჭიქა არაყიც დავლიეთ და გზა განვაგრძეთ. სოფელ ტიბაანში მისვლისას, მანქანა, შიოლაშვილის მითითებით, ერთ-ერთ უბანში გავაჩერე. ყველანი გადავიდნენ, იარაღი გადაიტანეს და ვიღაცის სახლში შევიდნენ. ცოტა ხანში, იქიდან სროლის ხმაც მოესმა. პირველად ჩემთან დათო და ზაზა მოვიდნენ და მითხრეს – შიოლაშვილი და ფრიდონ ნოზაძე დაიჭრნენო. მათ მანქანით მივუახლოვდით, დაჭრილები ავტომანქანაში ჩავსვით და ტიბაანიდან წამოვედით. სწორედ გზაში შევიტყვე, რომ სახლი დაუყაჩაღებიათ. მე შემეშინდა და მათ ვუთხარი – შეიარაღებულებს ვერსად წაგიყვანთ, იარაღი ვინმეს სახლში შეინახეთ-მეთქი. ამის გამო ზაზამ თავისი ნათესავის სახლთან მიგვიყვანა და იარაღიც იქ დატოვა..."

იარაღი ბოროტმოქმედებმა ვინმე ალექსანდრე კევლიშვილის ოჯახში დატოვეს. *„1999 წლის, 31 იანვრის ღამეს, ჩემთან „მოსკვიჩით" ხუთი პირი მოვიდა. ერთ-ერთი ჩემი ნათესავი – ზაზა შიოლაშვილი იყო. მან ცელოფანის ტომარაში ჩადებული რაღაც რკინის საგნები დამიტოვა და მთხოვა – ეს შენთან შემინახე, ჩვენ ავადმყოფი მიგვყავს თბილისში და მეც ცუდად ვარო. 1999 წლის 25 თებერვალს ტომარა გავხსენი და ვნახე, რომ მასში რამდენიმე ცეცხლსასროლი იარაღი იდო. იარაღი იმავე დღეს, სიღნაღის პოლიციაში წავიღე და სამართალდამცავებს ჩავბარე"*, – წერს ალექსანდრე კევლიშვილი.

ფრიდონ ნოზაძე და ბაგრატ ქოჩორაშვილი სიღნაღის რაიონის შს სამართველოს თანამშრომლებმა სწორედ 1999 წლის 25 თებერვალს დააკავეს. აგვისტოში ისინი უკვე სიღნაღის რაიონის სასამართლომ გაასამართლა და ორივეს თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. დავით ქოჩორაშვილი დღემდე იმალება, ხოლო რაც შეეხება ზაზა შიოლაშვილს, იგი 2000 წლის 30 დეკემბერს დააკავეს. მას ამჟამად უზენაესი სასამართლო გელა ნოზაძესთან ერთად ასამართლებს.

ზაზა შიოლაშვილი, ისევე როგორც გელა ნოზაძე, თავს უდანაშაულოდ აცხადებს.

გოგიტა გაგაიძე, ზაზა შიოლაშვილის ადვოკატი:

„საბრალდებო დასკვნაში წერია, თითქოს შიოლაშვილი თავს დამნაშავედ ცნობს, მაგრამ ეს ასე არ არის. გამომძიებელმა მას მოტყუებით მოაწერინა ხელი ოქმზე. საქმის სასამართლო განხილვისას მე ამის დამტკიცებას შევძლებ".



სასამართლო კოლეგია, თავმჯდომარე იური ტყეშელაშვილი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლეკალის
უბის წიგნაკიდან:

1. ლუჩანო პავაროტი ტენორია.
2. ხის მშვილდს ბზაკალს ეძახიან.
3. სიტყვა „ბურჟუა“ ფრანგულად მოქალაქეს ნიშნავს.
4. იაპონიაში რობოტები პროფკავშირულ გადასახადს იხდიან.
5. იური გაგარინის კოსმოსური ფრენა 1 საათსა და 48 წუთს გაგრძელდა.
6. კლასიკური კრუშონის დასამზადებლად სუფრის თეთრი ღვინოა საჭირო.
7. XV საუკუნეში შავმა ჭირმა ევროპის მოსახლეობის ერთი მესამედი (20 მლნ ადამიანი) ამოწყვიტა.
8. მუცლით შვილს, ყველაზე დიდხანს, 38 თვე, ალპური შავი სალამანდრა ატარებს.
9. ათროსანი გემის კურსს, რომელიც ქარის მიმართულებას ემთხვევა, ფორდევინდი ეწოდება.

10. ილია ჭავჭავაძე დუშეთში მომრიგებელ-მოსამართლედ მუშაობდა. მას საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება ჰქონდა დავალებული.
11. მოსკოვში მატარებლით ჩასული ნიაზ დიასამიძე ბაქანზე აყვირდა: – ნასილშჩიკ! – მოვიდა ერთი. ნიაზი მაინც ყვირის: – ნასილშჩიკ! მოვიდა კიდევ რამდენიმე. ნიაზი თავისას არ იშლის: – ნასილშჩიკ! – და როცა მებარგულები ბლომად მოგროვდნენ, ნიაზი კითხულობს: ვსე ზდეს? – ვსე! – ვამ პრივეტ ატ ტბილისსკიხ ნასილშჩიკოვ!
12. ატლანტის ოკეანე ძრავიანი თვითმფრინავით პირველად, ჩარლზ ლინდბერგმა გადალახა.
13. ზებრების 90%-ს ლომების გარემოცვაში უხდება მშობიარობა. დედალი დაწოლილი მშობიარობს და აბსოლუტურად დაუცველია. ამ დროს, მას მამალი დარაჯობს და ხიფათის მოახლოებისას ნიშანს აძლევს. ასეთ შემთხვევაში დედალს შეუძლია, რამდენიმე საათით შეაჩეროს მშობიარობა.
14. მიქელანჯელოს სიცოცხლეში ლექსები არ გამოუქვეყნებია. გარდაცვალების შემდეგ მისმა ძმისშვილმა, ბუონაროტი უმცროსმა შეკრიბა მიქელანჯელოს პოეტური ნაწარმოებები, დახვეწა და 1623 წელს გამოაქვეყნა. 1863 წელს ჩეზარე გუასტიმ, ხოლო 1867 წელს კარლ ფრაიმ მიაკვლიეს მიქელანჯელოს ავტოგრაფებს და მისი ლექსების თითქმის ზუსტი სია დაადგინეს.
15. გიორგი საკაძის ძეგლი 1988 წლის 16 სექტემბერს გაიხსნა. P.S. იოსებ ტბილე-

მარინა ბაბუნაშვილი

გალელი კოჭოია და „პოლკოვნიცა“ გალია

ეს ამბავი 80-იან წლებში მოხდა. გალელი ნოდარა მრავალშვილიანი ოჯახის ნაბოლარა შვილი გახლდათ და ბევრი ნაბოლარას მსგავსად, ზედმეტად განებივრებული ბრძანდებოდა. ხუმრობა ხომ არაა?! – ხუთი გოგონას მერე ქორჩილავებს ძლივს ეღირსათ ნანატრი ბიჭი.

ყველანი გადამეტებულად ეფერებოდნენ ბიჭს, რომელსაც სიყვარულით კოჭოიას ეძახდნენ. გადაჭარბებულმა ალერსმა თავისი ქნა და ნოდარა თვალსა და ხელს შუა „გაფუჭდა“. არა, უკადრებელს არაფერს კადრულობდა, მაგრამ ძალიან გაზარმაცდა – არც შრომა უყვარდა, არც სწავლაზე იწუხებდა თავს. მერვე კლასამდე უთმინეს მშობლებმა, ბოლოს იფიქრეს: გალში თავი მოგვეჭრება ამისთანა ზარმაცი შვილის გამოო და გადაწყვიტეს, სკოლის დამთავრებამდე წალენჯიხაში გაემწესებინათ კოჭოია, სადაც გაუთხოვარი და მშვენიერი ნანი დეიდა ცხოვრობდა. ნოდარას მშობლები იმედოვნებდნენ, რომ ნანის ხათრით მასწავლებლები ნიშანს წაუმატებდნენ „სტუმრად“ ჩასულ ბიჭს, თანაც დარწმუნებულები იყვნენ, რომ განათლებული დეიდა იმდენ რუსულს (განსაკუთრებით რუსული უჭირდა ნოდარას და ყოველ წელს საშემოდგომო გამოცდა ჰქონდა ხოლმე ჩასაბარებელი) მაინც ასწავლიდა, გაქცეულ რუსს რომ მოაბრუნებდა საჭიროების შემთხვევაში.

გავიდა ორი წელი და მართლაც საკმაოდ კარგი ატესტატით დაუბრუნდა მშობლებს კოჭოია. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და ოჯახმა მის ნიშნებს რომ დახედა, იურიდიული დიპლომიც მოინდომა, მაგრამ ნანი დეიდას სილამაზემ თბილისში ველარ გაჭრა და პირველივე გამოცდაზე ჩაჭრეს ჩვენი კოჭოია და იმ წელსვე გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. ქორჩილავების ნაბოლარა შვილი დიდი რუსეთის გზას დაადგა.

ექვსი თვე რომ გავიდა, კოჭოიამ წერილი მოსწერა ოჯახს: ქართველებს აქ ძღვენით აკითხავენ ახლობლები და ამის მერე უფროსობა მათ კაი თვალით უყურებსო.

დაფაცურდნენ ქორჩილავები. რა აღარ გაამზადეს წასაღებად – შემწვარი გოჭი, მოხარშული ქათმები, შებოლილი სულგუნი, კუპატები, სულ სათითაოდ შეახვიეს, რომ გზაში სუნი არ „დაეკრა“. არაფერი დაიშურეს იმისთვის, რომ რუსობისთვის მეგრული სუფრის ლაზათი ეჩვენებინათ.

მამა და ბაბუა რომ დაინახა კოჭოიამ, ცრემლები ველარ შეიკავა, გადაეხვია და ჩაკოცნა თავისიანები. ქორჩილავებმა ზრდილობიანად ითხოვეს,

ცოტა ხნით სამზარეულოში დაეთმოთ მათთვის ადგილი. ოფიცრებმაც უკვე კარგად იცოდნენ, რას მოასწავებდა მათთვის საქართველოდან ჩამოსულების ფაციფუცი, ამიტომაც სიხარულით შეუსრულეს თხოვნა...

ერთ საათში იმისთანა სუფრა გაიშალა, მთელ სამეთაუროს თვალები გაუბრწყინდა. მოილხინეს, მაგრამ რა მოილხინეს!.. ლხინის დასასრულს კი, პოლკოვნიკი ზახაროვი და ოფიცერი გრებეცკოვი, მამა-შვილ ქორჩილავებს ენის ბორძიკით დაჰპირდნენ: დარდი ნუ გექნებათ – თქვენს ნოდარჩიკს ცივ ნიავს არ მივაკარებთ, ისე გავუფრთხილდებითო. ჰოდა, მეორე დღეს გახარებულები წამოვიდნენ მამა და ბაბუა.

მართლაც, კოჭოიას „რეიტინგმა“ ერთი-ათად მოიმატა და მის ბედს, დემობილიზაციამდე, ძაღლი არ დაჰყეფდა, რომ არა ერთი შემთხვევითი გაუგებრობა.

პოლკოვნივ ზახაროვს ლამაზი ცოლი ჰყავდა – გრძელფეხება და ქერა გალია. მის ყოველ გამოჩენაზე ბიჭები ოხრავდნენ – დიდად მაცდუნებელი ვინმე იყო გალია: ჩაიცვამდა დეკოლტირებულ კაბას და ჯარისკაცების გულის გასახეთქად, როცა ისინი, დაღლილ-დაქანცულნი, დასასვენებლად „პიტაკოჩზე“ მიეყრებოდნენ, მაშინ დაიწყებდა სარეცხის რეცხვას. ვერ გაუძლო ქართველის გულმა (კოჭოიას გარდა, ნაწილში კიდევ ექვსი ქართველი ბიჭი მსახურობდა – სამი თბილისელი, ორი თელაველი და ერთიც კასპელი), გამოელაპარაკებოდნენ, გაეხუმრებოდნენ, დახმარებას შესთავაზებდნენ: ზოგი წყალს მიურბენინებდა, ზოგიც შეშას დაჩეხდა, ზოგი კიდევ, სარეცხის გაფენისას შეაშველებდა ხელს... ბოლოს, თბილისელები ისე გათავხედდნენ, რომ „უადგილო ადგილას“ ჩქმეტაც კი გაუბედეს პოლკოვნიკის თანამეცხედრეს... მხოლოდ კოჭოია ვერ უბედავდა ახლოს მისვლას: რცხვენოდა თავისი რუსულის გამო და ეშინოდა, ქალმა არ დამცინოსო...

ქართველების ყურადღება გალიასაც სიამოვნებდა, მაგრამ ერთ თბილისელს შემოსწყრა რატომღაც (ალბათ ბიჭმა სულსწრაფობა გამოიჩინა და ცოტა გაუსწრო მოვლენებს...) და ერთხელაც, გაწიწმატებულმა, ბიჭები ქმართან დაასმინა:

– Вчера твои солдатушки мне глазки моргали.

– Как моргали? – გაოცდა ზახაროვი.

– А вот так! – თვალი ჩაუპაჭუნა გალიამ ქმარს და გამომწვევად გადაიკისკისა...

სისხამ დილით, თავისი ნაწილი ხაზზე დააყენა ზახაროვმა. მომაკვდინებელი მზერა მოავლო ყველას და ჩუმი, მაგრამ ცივი ხმით იკითხა:

– Кто вчера Гале моргал?

ბიჭები დუმდნენ. ქართველებს ცივმა ოფლმა დაასხათ. მხოლოდ კოჭოიამ დაცქვიტა ყურები – ვერ გაეგო, რას კითხულობდა „კამანდირი“: „რაო? გალელი მარგალი (ანუ მეგრელი) ვინ არისო? ხომ არ მომეყურა ნეტავ?“

– Я вас спрашиваю, кто Гале моргал? – დამარცვლით, უკვე ხმამაღლა გაიმეორა პოლკოვნიკმა.

„არა, ნამდვილად გალელ მეგრელს კითხულობს! ნეტავ, რაში დასჭირდა მაგის გამოძიება? განა არ იცის, რომ მეგრელი ვარ?!“

კოჭოიამ გაუბედავად წადგა წინ ნაბიჯი და ასევე გაუბედავად თქვა:

– Я моргал!

ზახაროვი არ მოელოდა ნოდარასგან ასეთ თავხედობას. ცოტა არ იყოს, დაიბნა კიდეც.

– Почему моргал, – наглец?

– □ак почему.. Мой дед моргал, отец моргал и я тоже моргал! – ჯარში ნასწავლი რუსული ერთბაშად დახარჯა კოჭოიამ.

განრისხებულმა ზახაროვმა იფიქრა: ალბათ სუფრა რომ გაშალეს ამ თავხედმა ქართველებმა, გალიას მაშინ დაადგეს თვალი, რაც ბაბუამ და მამამ ჩაიდინეს, იმავეს იმეორებს შვილიცო...

ამ დროს „რიადავოი“ ქორჩილავა მამა აბრამის ბატკანივით იდგა და თვალებს უცოდველივით ახამხამებდა.

– □ ну-ка, Корчилава, подойди ко мне!

კოჭოია მწყობრი ნაბიჯით მიუახლოვდა პოლკოვნიკს.

– □от тебе за моргание, наглец! – უთხრა და იმისთანა სთხლიშა ყბაში, რომ კოჭოიას თვალებიდან ნაპერწკლები დასცვივდა. მერე მეორეც მოხვდა და კიდეც გაითიშა...

როცა ნოდარა გონს მოვიდა, მიხვდა, რომ „ნაუბახტში“ ეგდო. „ოხ, ამ გაუმაძღარი რუსების დედაც... ხომ გამოტყვრა ბაბუაჩემის ჭაჭის არყით, ხომ ამოიყორა მუცელი მეგრული კუპატით და ელარჯით? ახლა იმისთვის მხია, მეგრელი რატომ ხარო?! მე თქვენი „ჩაშკალოჟკობა“ რა ვთქვი?!.“

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

ლის „დიდმოურავიანში“ ასეთი აფორისტული დახასიათებაა: „თავო ჩემო, ვით გასრულო, სევდიანო, როგორც წყლულო, საქართველოს რჯულისათვის ათას ფერად წამებულო, – აღარ შეგრჩა ნოსტეს ლხინი, ალაბს, სტამბოლს დაკარგულო“.

16. „დიოსკურიის მახლობლად სვანები (საონები) ცხოვრობენ... ისინი ძალგულოვანნი და თავიანთი გამბედაობითა და საბრძოლო ძლიერებით თითქმის ყველა ხალხზე შეუპოვარნი არიან. კავკასიის მაღალი მთებიც უჭირავთ

და ყველა მეზობელ გვარტომს განაგებენ. ჰყავთ მეფე და სამასკაციანი საბჭო. ამბობენ, რომ სვანებს შეუძლიათ გამოიყვანონ 200 000 კაცისგან შემდგარი ლაშქარი, რადგან მთელი ხალხი ერთნაირი ძალით მებრძოლია“, – წერდა ისტორიკოსი სტრაბონი.

17. სახელოვანი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი (1827-1906 წლები) რუსეთის მეფის ალექსანდრე მეორის კარის მხატვარი იყო. მან დაასურათა „ვეფხისტყაოსანი“ და 34 სურათი უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს. ეს ნამუშევრები დღეს, ხელოვნების მუზეუმში ინახება.

18. ივანე მრისხანემ თავისი ერთ-ერთი ცოლი წყალში დახრჩობინა. ექვსი დანარჩენი მონასტერში გამოკეტა.

19. „დღევანდელი ქართული პოლიტიკა ნიჭიერი ხალხის ასპარეზი არ არის“, – მტკიცედ სწამს გივი სიხარულიძეს.

20. იულიუს-კლავდიუსები, სევერუსები, ანტონინები, ფლავიუსები, – ეს რომის იმპერატორთა დინასტიების ჩამონათვალია. P.S. ანტონინების დინასტიის მმართველობის დროს, რომი მთლიანად თავდაცვაზე იყო გადასული.

21. სამაჯურიანი საათი მფრინავმა გამოიგონა. მას უნდოდა საათისთვის ისე დაეხედა, რომ აეროპლანის შტურვალისთვის ხელი არ გაეშვა.

22. იდეალური საათის შექმნა შვეიცარიელი მესაათეების განუხორციელებელ ოცნებად დარჩა. ისინი თავად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ასეთი საათი არასოდეს იარსებებს. მათი აზრით, ასეთი მხოლოდ ის საათი იქნება, რომელიც ადამიანის სიცოცხლის მხოლოდ ბედნიერ წუთებს აღნიშნავს.

■

მოსახლეობის კლებამ საგანგაშო ზღვარს მიაღწია

მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებამ საქართველოში დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებლებზე ძალზედ ცუდი გავლენა მოახდინა: შემცირდა შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, საგანგაშო მასშტაბს მიაღწია ემიგრაციამ. არადა, ეს მოვლენა ყოველთვის უცხო იყო ჩვენი ხალხისთვის. ილია ჭავჭავაძე წერდა: „ერთხელ ერთს ადგილას დაბინავებული კაცი ძნელად გამოიმეტებს ხოლმე თავის მამა-პაპის ბინას და მიწა-წყალსა, დიდის სიმძიმით და გულისტკივილით ჰშორდება იმ ადგილს, საცა დაბადებულა, საცა უმოქმედია, ოფლი და სისხლი უღვრია მამა-პაპისა, საცა ულოცნიათ, უჭირნახულიათ, ულხენიათ და დასასრულ საცა დამარხულან...“

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ანზორ თოთაძე წლების მანძილზე იკვლევს დემოგრაფიულ საკითხებს.

საქართველოს ისტორიაში პირველად, 2000 წელს გარდაცვლილთა რაოდენობამ ახალშობილთა რიცხვს გადააჭარბა

ლელა ჭანკოტაძე

— ბატონო ანზორ, რამდენად მძიმეა დემოგრაფიული მდგომარეობა, რომელიც სადღეისოდ შეიქმნა საქართველოში?

— დემოგრაფიული მდგომარეობა საქართველოში ურთულესია. შეიძლება ითქვას, რომ უკვე დადგა დემოგრაფიული ზამთარი. საქართველოს ისტორიაში პირველად, 2000 წელს გარდაცვლილთა რაოდენობამ გადააჭარბა ახალშობილთა რიცხვს, ე.ი. ქვეყანაში მოსახლეობის კლება აღინიშნა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2000 წელს 928 ადამიანით მეტი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა. კლების პროცესი წლების წინ დაიწყო: 1998 წელს გარდაცვლილებმა გადააჭარბეს დაბადებულებს კახეთსა და გურიაში, ხოლო 1999 წელს იგივე განმეორდა იმერეთსა და სამეგრელოში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმერეთი ყველაზე დიდი რეგიონია საქართველოში. 2000 წელს, აღნიშნულ რეგიონებს დაემატა თბილისი, შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2000 წელს სულ 40.392 ბავშვი დაიბადა და 41.320 ადამიანი გარდაიცვალა.

— მოარული ხმებით, საქართველოში ყოველწლიურად 100.000 კაცამდე იღუპება...

— ეს არ შეეფერება სიმართლეს. ეს ციფრი მოგონილია სიტუაციის გასამწვავებლად. 100.000 კაცი რომ გარდაიცვალოს, გამოდის, რომ ყოველ 1.000 კაცზე, 22 იღუპება. სიკვდილიანობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი არც ერთ ქვეყანაში არ არის დაფიქსირებული. უნდა ითქვას, რომ ჩვენსაზე გაცილებით ცუდი მდგომარეობაა რუსეთში: იქ ათას კაცზე წელიწადში 15-16 ადამიანი იღუპება, ხოლო ჩვენთან — დაახლოებით 9 კაცი. ასე რომ, სიკვდილიანობის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია სხვა ქვეყნებში, ვიდრე საქართველოში. ამის მიზეზი კი, მოსახლეობის დაბერებაა.

— რას ნიშნავს მოსახლეობის დაბერება?

— როცა საზოგადოებაში ხანდაზმულთა წილი ჭარბობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანები იქ დიდხანს ცოცხლობენ. მაგრამ, ხანდაზმულებში ხომ სიკვდილიანობა საკმაოდ დიდია. ამიტომაც არის სიკვდილიანობის დონე უფრო მაღალი აზიაში.

— ე.ი. საქართველოს მოსახლეობა უკვე წასულა კლებისკენ. რა ხნის შემდეგ მივუახლოვდებით კატასტროფულ ზღვარს?

— არსებობს შობადობის სხვადასხვაგვარი მონაცემი. ერთ-ერთი გახლავთ შობადობის ჯამური კოეფიციენტი. მისი მაჩვენებელი ეყრდნობა იმას, თუ რამდენ შვილს აჩენს ერთი ქალი. ყველა ქალმა ორი ბავშვი რომ გააჩინოს, ერი, გარკვეული დროის შემდეგ, აღარ იარსებებს, გადაშენდება, — თუნდაც იმიტომ, რომ ყველა ბავშვი ვერ აღწევს 18 წლამდე — ანუ იმ ასაკამდე, როცა თვითონ უნდა გახდეს მშობელი. ამასთანავე გარკვეული ნაწილი არ დაოჯახდება. ამდენად, აუცილებელია, თითოეულმა ქალმა ორ ბავშვზე მეტი გააჩინოს. დავაზუსტებ: ლაპარაკია არა მარტო გათხოვილ, არამედ თითოეულ ქალზე. ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში თითოეული ქალი საშუალოდ, ერთზე ცოტა მეტ ბავშვს შობს. თუ ერთი ქალი მხოლოდ ერთ ბავშვს გააჩენს, ერთი დემოგრაფიული თაობის (ოცდაათი წელი) შემდეგ, ქართველი მოსახლეობა გადაშენდება. აღსანიშ-

ნავია ისიც, რომ საქართველო ტრადიციულად არ არის მრავალშვილიანი ქვეყანა. მაგალითად, XIX ს-ის II ნახევარში უკრაინასა და რუსეთში ორჯერ მაღალი იყო შობადობა, ვიდრე საქართველოში. მესხეთ-ჯავახეთში, როცა ქალი თხოვდებოდა, ძმა ასე ლოცავდა ხოლმე: შეგეძინოს სამი ვაჟი და ერთი ქალიო. ტრადიციულად, საქართველოში 3-4 ბავშვს აჩენდნენ.

— თუ გაქვთ რამდენადმე ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ საუკუნეში ვიყავით ქართველები ყველაზე მეტნი?

— მოსახლეობის აღწერები საქართველოში უძველესი დროიდან ტარდებოდა. ქართლის ცხოვრებაში წერია, რომ აღწერა VI საუკუნეში ჩატარებულა, მაგრამ აღწერის შედეგები საბერძნეთში წაუღიათ. შემდეგ XI საუკუნეში ჩატარებულა, მაგრამ ოფიციალური მონაცემები მხოლოდ XIII ს-ის აღწერის შესახებ მოგვეპოვება. მონღოლთა ბატონობის დროს, სწორედ მათ ჩაუტარებიათ საქართველოს მოსახლეობის აღწერა (1254 წ.) და იმის გარკვევას ისახავდა მიზნად, თუ რამდენი მოლაშქრე შეიძლებოდა მიეღოთ ქართული მოსახლეობიდან. თურმე გვყოლია 900.000 ოჯახი. თუ ამ ციფრს 5-6 კაცზე გავამრავლებთ (რადგან სავარაუდოდ, თითო ოჯახში ამდენი წევრი იქნებოდა), გამოდის, რომ XIII საუკუნეში ჩვენ დაახლოებით 5 მლნ ვყოფილვართ.

— ე.ი. მცდარია მოსაზრება, თითქოს იყო პერიოდი, როცა საქართველოში 12 მლნ ადამიანი ცხოვრობდა?

— დიახ, მცდარია. არათუ საქართველო, არამედ სხვა, უფრო დიდ ქვეყნებშიც (ვთქვათ, იმავე საფრანგეთში) არ ყოფილა ასეთი დიდი მოსახლეობა.

— ყველაზე ცოტანი როდის ვიყავით ქართველები?

— მონღოლთა შემოსევიდან ოცი წლის შემდეგ, ქვეყანა ისეთი მოოხრებული იყო, რომ, რა თქმა უნდა, ხუთი მილიონი აღარ იქნებოდა საქართველოს მოსახლეობა. იმ მონაცემებით, რამაც დღემდე მოაღწია, შემიძლია გითხრათ, რომ ყველაზე ცოტანი ვიყავით ერეკლე მეორის მეფობის დროს: 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხა გვამცნობს, თუ რამდენი ადამიანი ცხოვრობდა ქართლ-კახეთში, ამის გათვალისწინებით ვვარაუდობთ, რომ მაშინ საქართველოს მოსახლეობა მთლიანად, 761.000 კაცს შეადგენდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან გამუდმებულმა ომებმა დაასუსტა ქვეყანა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ, როცა მშვიდობიანი პერიოდი დგებოდა, მოსახლეობა ძალიან სწრაფად მრავლდებოდა ხოლმე. როგორც ცნობილია, ქართველი ერის საუკეთესო ნაწილი უცხოეთში გასაყიდად გაჰყავდათ, ამან კი უმძიმესი კვალი დაჩნია ჩვენს დემოგრაფიულ მდგომარეობასაც და სულიერ განვითარებასაც.

— ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ახლა საკუთარი ნებით მიდის საზღვარგარეთ და გარკვეული დროის განმავლობაში არ იძლევა შთამომავლობას. ამასთან, ჩვენი გოგონები უცხოელებზე თხოვდებიან. ალბათ, ესეც უარყოფითად მოქმედებს ისედაც მწვავე დემოგრაფიულ მდგომარეობაზე...

— მიგრაცია, რა თქმა უნდა, დადებითი მოვლენა არ არის, მით უმეტეს, რომ ძირითადად, ახალგაზრდები — ე.ი. ნაყოფის მომცემი თაობა მიდის. დემოგრაფიული თვალსაზრისით, ეს, რასაკვირველია, საზიანოა. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ მუდმივად საცხოვრებლად წასულები საქართველოდან ბევრნი არ არიან. მათი რაოდენობა, სავარაუდოდ, 50.000-ს აღწევს. დანარჩენები მიდიან, მაგრამ შემდეგ, ბრუნდებიან. საერთოდ, ბოლო დროს, ძალიან გამძაფრდა ეროვნული თვითშეგნება: სხვადასხვა ეროვნების ადამიანები უბრუნდებიან თავიანთ ისტორიულ სამშობლოს. ასე ხდება მთელ მსოფლიოში. რაც შეეხება საქართველოს — ჩვენგან წავიდა დაახლოებით 200.000 რუსი, 75.000 ბერძენი და ა.შ. ამის გამო, ქართველების წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში გაიზარდა. თუ აქამდე ქართველები მოსახლეობის 70%-ს შეადგენდნენ, ახლა დაახლოებით 80-82%-ია.

— ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი. სოფლები დაცარიელდა, დემოგრაფიულ პრობლემას კი, ყოველთვის, სოფელი წყვეტდა, რადგან მრავალშვილიანი ოჯახები უფრო მეტად, სწორედ სოფლებში იყო...

— მართალია. გამრავლების თვალსაზრისით, სოფელი დიდ როლს ასრულებდა. ჩვენს სოფლებში, თითოეულ ოჯახში, რამდენიმე თაობა ცხოვრობდა ერთად. ამის გამო, მოხდა ეროვნული ფასეულობების შენახვა, რადგან მოხუცები, თაობიდან თაობას გადასცემენ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სიბრძნეს. შობადობა ყველა ქვეყანაში, სოფლად უფრო მაღალია. იყო დრო, როცა საქართველოში სოფლის მოსახლეობა 46%-ს შეადგენდა, მაგრამ ახლა სოფლები ცარიელდება. თუ სახელმწიფო არ გაატარებს აქტიურ დემოგრაფიულ პოლიტიკას, მალე კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. წარმოიდგინეთ, შარშან, მთელ ქვეყანაში მხოლოდ შვიდი ისეთი ქალი დაფიქსირდა, ვინც ათი და მეტი ბავშვი გააჩინა. 1989 წელს მეორე შვილი 31.000 ოჯახს შეეძინა. თუ ამ ოჯახებში მესამე ბავშვი გაჩნდება, მხოლოდ მაშინ გაიზრდება ქვეყნის მოსახლეობა 31.000-ით...

— საქართველოში უფრო მეტად, ყოველთვის ვაჟის დაბადება უხაროდათ. სხვა ქვეყნებშიც თუ აღინიშნება ვაჟის ასეთი „გაკულტება“?

— თქვენ, უნებლიეთ, ქალთა უფლებების დარღვევას შეეხეთ. მთელი თავისი არსებობის მანძილზე, კაცობრიობა საშინელ ძალადობას სჩადიოდა ქალის მიმართ და, სამწუხაროდ, ეს ძალადობა დღესაც გრძელდება. ბევრი კულტურა ახლაც უშვებს ქალების მიმართ გარკვეულ ძალადობას და როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ამას თვითონ ქალებიც კი ამართლებენ. ამერიკის შეერთებულ შტა-

ტებში, ყოველ 15 წუთში, ერთ ქალს სცემენ, რუსეთში კი, ყოველწლიურად, ქმრის მიერ ნაცემი 12.000 ქალი იღუპება, ხოლო 54.000 – სხეულის დაზიანებას იღებს. შვედეთში ყოველთვიურად, პარტნიორის მსხვერპლი ხდება 16 ქალი, რაც წლის განმავლობაში ჩადენილი მკვლელობების ერთ მეექვსედს შეადგენს. XX საუკუნის დასასრულს, ძალადობის ახალი სახეობა გაჩნდა: ქალს, ჯერ კიდევ არ დაბადებულს, მუცლად ყოფნისას უსპობენ სიცოცხლეს, ერთადერთი მიზეზით – სურთ ვაჟიშვილი და არ სურთ ქალიშვილი. მსოფლიოში 60 მლნ გოგონა, ნაყოფის სქესის წინასწარი დადგენის შედეგად გაკეთებული აბორტის მსხვერპლი ხდება. ამ მხრივ, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა ჩინეთში, სადაც ყოველწლიურად, მილიონ გოგონას კლავენ აბორტით. ამჟამად ჩინეთში, 100 გოგონაზე 118 ვაჟი იბადება – ე.ი. ქვეყანაში მილიონობით მამაკაცი ვერასოდეს დაქორწინდება, ქალების სიმცირის გამო. ვაჟიშვილის დაბადებისადმი აშკარა უპირატესობის მინიჭება ბევრი ხალხის ზეპირსიტყვიერებაშიც აისახება. მაგალითად: სომხური ანდაზა ამბობს, რომ „ერთი ბრმა ვაჟიშვილი შვიდ ჯანმრთელ ქალიშვილზე უკეთესია...“

— რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

– საქართველოში ვაჟის კულტი ოდითგანვე იყო. ამჟამად ჩვენში ვაჟების სიმრავლემ არნახულ მასშტაბს მიაღწია და ამის მიზეზი ორსულობის დროს ბავშვის სქესის დადგენა გახდა. საერთოდ, ახალგაზრდა ქალებს უფრო ხშირად, ვაჟი უჩნდებათ, ვიდრე უფრო ასაკოვნებს. საქართველოში კი, პირიქით – ყველაზე ნაკლები ვაჟი 20 წლამდე ასაკის დედებს ჰყავთ, ხოლო ასაკის მომატებასთან ერთად, დაბადებულ ვაჟთა რაოდენობაც იზრდება. ამასთან, მეცნიერებაში ისიც ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალია დაბადებათა რიგითობა – ე.ი. რაც უფრო მეტ შვილს აჩენს ქალი, მით უფრო ნაკლები ვაჟი იბადება. საქართველოში ეს კანონზომიერებაც დარღვეულია და რიგითობის მატების პარალელურად, ვაჟების რაოდენობაც მატულობს. აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ჩვენში, პირველი შვილის გაჩენისას, გოგონაც რომ იყოს, მუცელს არ იშლიან, რადგან პირველი შვილი, რომელი სქესისაც არ უნდა იყოს იგი, „მაინც შვილია“. მაგრამ მეორე ორსულობის დროს, თუ ისევ გოგონას გაჩენაა მოსალოდნელი, ქალი წყვეტს ორსულობას.

საქართველოში, ახალშობილებში ვაჟების რაოდენობის არნახულ ზრდას სქესის დიაგნოსტირება განაპირობებს, რასაც ძალზედ უარყოფითი შედეგები მოჰყვება მოსახლეობის გამრავლებისა და საერთოდ, საზოგადოების განვითარებისათვის. ამიტომაც, ბევრმა ქვეყანამ აკრძალა ადრეულ ეტაპზე ნაყოფის სქესის დადგენა.

ხალხში არსებობს თქმულება იმის შესახებ, რომ ომიანობის დროს და მოუსავლიან წლებში, უფრო მეტი ვაჟი იბადება, – რაც სინამდვილეს შეესაბამება: დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემების თანახმად, დიდი კლიმატური და სოციალური კატაკლიზმების დროს (ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებები, გვალვა, შიმშილობა, ომი), როდესაც იზრდება სიკვდილიანობის მაჩვენებელი, იმავდროულად ახალშობილთა შორის, ვაჟების მატების ტენდენცია შეიმჩნევა. ასეთივე ტენდენციაზე მიუთითებენ მეცხოველეებიც: რაც უფრო კარგად უვლიან პირუტყვს, მით უფრო ნაკლები მამრი იბადება.

I მსოფლიო ომის დროს, ევროპის მეომარ ქვეყნებში 1-2,5%-ით მეტი ვაჟი იბადებოდა, მშვიდობიან წლებთან შედარებით. მაქსიმალურ მატებას ადგილი ჰქონდა გერმანიაში, სადაც ყოველ დაბადებულ 100 გოგონაზე 108,5 ახალშობილი ვაჟი მოდიოდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, კერძოდ, 1943 წელს, ინგლისსა და საფრანგეთში, ეს თანაფარდობა, ვაჟების სასარგებლოდ, მშვიდობიან პერიოდთან შედარებით, 1,5-2%-ით შეიცვალა. ამ მოვლენის ასახსნელად, რომელიც ცნობილია „ომიანობის წლების ფენომენად“, მრავალ ფაქტორს ასახელებენ.

არსებობს აგრეთვე მონაცემები, რომლის თანახმად, იმ ადამიანების შთამომავლობაში, რომლებსაც ენდოკრინული დარღვევები აწუხებთ (მაგალითად, ნიკრისის ქარი), გოგონები ჭარბობს, ხოლო მელოტი მამაკაცების შთამომავლობაში (თმის ცვენაში, გარკვეულ როლს, სქესობრივი ჰორმონები ასრულებს) ვაჟების რიცხვი გოგონებზე ერთნახევარჯერ მეტია.

ნაყოფის მომცემ ასაკში, ჩვეულებრივ, სქესთა თანაფარდობა შეინიშნება, რადგან ერთ წლამდე გაცილებით მეტი ვაჟი იღუპება, ვიდრე გოგონა. მაგალითად, 1980-1997 წლებში, ერთ წლამდე ასაკში 17.225 ვაჟი და 12.541 გოგონა გარდაიცვალა.

თუ ამ მონაცემებს დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევდით, რომ დედაბუნებამ დააპროგრამა თავისი ჰარმონიული განვითარების კიდევ ერთი საფუძველი – სქესთან თანაფარდობა. მართალია, ერთ წლამდე ასაკში მეტი ვაჟი იღუპება, ვიდრე გოგონა, მაგრამ სამაგიეროდ, ვაჟი მეტიც იბადება. სამწუხაროდ, ადამიანი ბუნების მიერ ნაბოძებ, ამ ჰარმონიული განვითარების პროცესშიც, უხეშად ჩაერია. საშუალო და უფროს ასაკობრივ ჯგუფებში რისკ-ფაქტორების (ტრავმა, ავარია, ალკოჰოლი, თამბაქოს წევა, კრიმინოგენული აქტივობა) გამო, მამაკაცი უფრო ხშირად იღუპება, ვიდრე ქალი, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, შობადობის დონეს ამცირებს.

ანსამბლ „ქართული ხმების“ წევრმა, ჟურნალისტმა თემურ ჭკუასელმა სიჭარმაგეში ისევ კალამთან მიბრუნება სცადა. ასე დაიწერა ორი მშვენიერი წიგნი, რომელთაგან პირველი — „წინ, წინაპრებისაკენ!“ (რედაქტორ-გამომცემელი პაატა ნაცვლიშვილი) მთლიანად ქართულ ხალხურ სიმღერას ეძღვნება. ჩვენი საუბრის მთავარი თემაც, საუკუნეების სიღრმიდან წამოსული ქართული სიმღერის ფონზე გაშლილი დღევანდელობა გახდა...

თემურ ჭკუასელი

ჭოჭი მთელ მსოფლიოში სიბრძნის სიმბოლოა ანუ როგორ „გაღვეძრინე“ სოდოგრძელი ჭოჭიკაც ვახუშტი ქოჭაბიშვილს

რუსუდან ლებანიძე

— **ბატონო თემურ, რას ამბობს ქართული ხალხური სიმღერა, მაინც ვინ ვართ ქართველები, ვისი „ჩამონატეხი“?**

— ო-ო-ო! თქვენ ისეთ თემას შეეხეთ, რომელზეც საათობით შეიძლება საუბარი. მე, რა თქმა უნდა, რაიმეს აღმოჩენის და, მით უმეტეს, გაშიფვრის პრეტენზია ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ ერთ იდეას კი მოგაწვდით. ამ რამდენიმე წლის წინ, საზღვარგარეთიდან ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი გამომიგზავნეს, ერთი კორსიკის პოლიფონიური სიმღერების ფესტივალზე მოგვითხრობს, მეორე — ხმელთაშუა ზღვის აუზის ხალხთა სიმღერების გენეზისის დადგენის ცდაა. პირველი ფილმის უმეტესი ნაწილი, ქართულ სიმღერაზეა, მეორეში — კორსიკელების, სარდების, სიცილიელების, ლიგურიელების, პორტუგალიელების, ესპანელებისა და ბასკების სიმღერებია მიმოხილული. ანუ იმ უჩვეულო პოლიფონიაზეა ლაპარაკი, როგორიც სხვაგან არსად გვხვდება და გამოთქმულია ვარაუდი, რომ ფუძე ამ სიმღერებისა, აღმოსავლეთისკენაა საძებარი. ამის შემდეგ, ეკრანზე საქართველოს რუკა ჩნდება და ულამაზესი ქართული ხალხური სიმღერაც იწყება...

მე, პირადად, დასახელებულ არეალს კიდევ უფრო გავაფართოებდი, ხმელთაშუა ზღვას დროებით მივატოვებდი და ტიბეტს ვეწვეოდი. იქ, მაღლა, მთებში, არის ერთი ტომი, რომელსაც ჩვენი მსგავსი ანუ ჩვენნაირი საოცარი პოლიფონია ჰქონია; და კიდევ — უელსის მთიანეთში, ჩრდილოეთშიც ავიდოდი... ერთი სიტყვით, ეს უცნაური და უჩვეულო პოლიფონია ისეთ ხალხებშია შემორჩენილი, რომლებიც ცოტანი, მაგრამ უძველესნი არიან და დღეს პატარ-პატარა კუნძულებივითღა მოჩანან...

— **ძალიან მინდა დაგიჯეროთ, მაგრამ სად საქართველო და სად, ვთქვათ, ტიბეტი ან უელსი?**

— აკი გითხარით — მე არაფრის მტკიცებას არ ვაპირებ-მეთქი, მაგრამ ჩვენი ენათმეცნიერები ფიქრობენ, რომ იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხებს ანუ ქართველურ ენებზე მოსაუბრეთ, ხალხთა დიდი მიგრაციის დროს, გარკვეულ მონაკვეთში, სიცილიაზე, კორსიკასა და სარდინიაზე უცხოვრიათ. ამ თეორიას იბერიის ნახევარკუნძულზე, ესპანეთში, უძველესი ენობრივი შრეებიდან შემორჩენილი სიტყვებიც ადასტურებს, სიმღერებიც და ჰარმონიებიც. აქედან გამომდინარე, აფხაზებზე როცა ვსაუბრობთ, ხომ ვამბობთ, რომ ზოგი დღევანდელი აფხაზი ჩრდილო კავკასიიდან არის ჩამოსახლებული — ადიღეური მოდგმის ხალხია, — ზოგი კიდევ, ისეთივე ქართველია, როგორიც, ვთქვათ, გურულიო... არადა, რად უნდა ამას ამდენი დავა-კამათი?! — ეს ხომ ერთ წუთში მტკიცდება სიმღერებით: ძირძველი აფხაზების სიმღერები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავიანთ ენაზე მღერიან, მაინც იგივე მეგრული სიმღერებია — წყნარი, მშვენიერი, ლირიზმითა და სევდით სავსე, — ხოლო ამ მიწაზე გუშინ მოსულებს სუფთა ჩრდილოკავკასიური სიმღერები აქვთ... ის ხალხი, ვინც ასეთ სიმღერებს მღერის, ჩამოსულია და მორჩა!.. ასე და ამრიგად, ან ჩვენ ვართ ამ მიწაზე მოსულები და სხვა დანარჩენი მეზობლები უკვე აქ დაგვხვდნენ, ან ქართველები ვართ აბორიგენები, სხვები კი — მერე შემოგვიერთდნენ, მაგრამ ორივე შემთხვევაში, ჩვენი და ჩვენი ახლო თუ შორეული მეზობლების შეხვედრა მაშინ მოხდა, როცა ქართველებს, ჩვენი ხალხური სიმღერები უკვე იმ სიმაღლემდე გვქონდა აყვანილი, რომ ვეღარავინ შესწვდა!.. არადა, მართლა საოცრება არ არის? — ჩრდილოეთ იტალიაში მცხოვრები ლიგურიელები რომ ვახსენე, დღესაც „ქართულ-ხალხურად“ მღერიან: ბანებითა და პირველი-მეორე ხმებით, — ზუსტად ჩვენნაირად, გესმით?..

— **ახლა პირადად თქვენ შესახებ მითხარით — რა არის თქვენთვის სიმღერა?**

— რომ გითხრათ, ბავშვობიდანვე სიმღერის გარემოცვაში ვიზრდებოდი-მეთქი, მართალი არ ვიქნები. უბრალოდ, მოხდა ისე, რომ მამაჩემი აგროვებდა თავის დროზე ფირფიტებს, რომელზეც ქართული ხალხური სიმღერები იყო ჩაწერილი. მე კი შემდეგ (ერთი ძველი პატეფონი გვქონდა სახლში), ვუსმენდი და ძალიანაც მომწონდა. ასე მივეახლე ქართულ სიმღერას, მაგრამ თავად სიმღერა, ისევე, როგორც ყველაფერი ცხოვრებაში, საკმაოდ გვიან — ასე, 30 წლის ასაკში დავიწყე...

— **ცხადია, პროფესიულ სცენაზე სიმღერას გულისხმობთ?**

— რა თქმა უნდა. თორემ ისე, ლამის მართლა ბავშვობიდან, პირველივე ქეიფიდან ვმღერი... სამწუხაროდ, ჩვენში ათეულობით წლების მანძილზე ყველაფერი მხოლოდ

მოჩვენებითი იყო, ამიტომ, არც ნიჭიერი მომღერლის აღზრდაზე ფიქრობდა ვინმე და არც გულიანი მსმენელის. არადა, ძველად, ხალხური სიმღერის საკითხებს ხალხივე აგვარებდა. ლამის ყველა სოფელში მოქმედებდა სიმღერის საშინაო სკოლები, სადაც ბავშვებს აბარებდნენ და საიდანაც, ყველა კარგი მომღერალი თუ ვერა, სიმღერის კარგი მსმენელი და დამფასებელი მაინც ნამდვილად გამოდიოდა... ერთ საინტერესო ცნობას გავიხსენებ: XVI საუკუნეში, სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის დავალებითა და ხარჯით, უძველესი ქართული ეკლესიის — პეტრე იბერის მიერ აგებული პალესტინის ჯვრის მონასტრის ფრესკები განახლეს. განახლებულ ფრესკებზე კი, ვახტანგ გორგასალთან, დავით აღმაშენებელთან, მარიამ დედოფალთან, ლევან დადიანთან და სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად, იცით, ვინ გამოსახეს? — მგალობელი ვინმე გიორგი! გინახავთ სადმე სხვაგან ფრესკებზე მგალობელი — მეფეთა და დიდებულთა გვერდით? ხედავთ, როგორ პატივს სცემდნენ ჩვენი წინაპრები მგალობლებს? დღეს ის თუ მაინც იცის ვინმემ, რამდენი მგალობელია საქართველოში? პირადად თქვენ თუ იცით რომელიმე?

— **სამწუხაროდ, არა...**

— არადა, ხომ გაგიგონიათ, გალობა რა არის? — „ხმა ღვთისა". სიმღერა? — „ხმა ერისა". ჰოდა, როცა ჩვენში მგალობლებს ისე დააფასებენ, როგორც ამას ჩვენი დიდი წინაპრები აკეთებდნენ, ქართული სიმღერაც სწორედ მაშინ დაფასდება. ერთი რამ მახარებს და მაიმედებს: ყველაზე ნაღდად და შეურყვნელად ქართველებს ნიჭი რომ შემოვრჩა. ისევ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან: გერმანიაში გასტროლების დროს, ჩვენი ანსამბლის წევრებს ერთი პატარა ქალაქის წარჩინებულებმა რესტორანში საგანგებო შეხვედრა მოგვიწყვეს. ქალაქის თავს — ბურგომისტრს (სხვათა შორის, ქალბატონი გახლდათ) სპეციალური მისასალმებელი სიტყვაც კი ჰქონდა მომზადებული, რომელიც ოფიციალურად წაგვიკითხა. ჩვენ, ასეთ შეხვედრას ნამდვილად არ ველოდით და ამიტომ, სამადლობელი სიტყვის თქმა ექსპრომტად მოგვიხდა. მახსოვს, მიკროფონი მე გადმოვაწოდეს და სხვა რაღა გზა მქონდა, სათქმელიც იქვე მოვიფიქრე და უცბადვე ჩამოვარაკრაკე. შემდეგ სუფრასთან მიგვიწვიეს. თუმცა, სად იყო სუფრა? — მაგიდებთან ცალ-ცალკე, ოთხ-ოთხი კაცი მიგვსვეს. ცოტა ხანს კი ვისხედით ასე, მაგრამ მალე მოგვწყინდა და მეც ისევ სიტყვა ვითხოვე: ერთი სათხოვარი მაქვს — იქნებ, მაგიდები გაგვერთიანებინა-მეთქი. — როგორც ინებებთო — და ატყდა ერთი ორომტრიალი და მალე, ყველანი ერთ სუფრასთან აღმოვჩნდით. მოდი, ახლა ვითამადებ-მეთქი, — ისევ შევაპარე. უარი არც ამაზე უთქვამთ. რამდენიმე სადღეგრძელო ვუთხარი. მივხვდი, მოეწონათ. შემდეგ ვუმღერეთ — აღფრთოვანდნენ... შემდეგ ისევ სადღეგრძელოები ვთქვით... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჩვენც კარგად მოვილხინეთ და ჩვენმა მასპინძლებმაც. შეხვედრის ბოლოს კი, ერთი დარბაისელი გერმანელი მომიახლოვდა: ამ ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი, ბიზნესმენი ვარ, ამ საღამოს მოსაწყობად საკმაოდ სოლიდური თანხაც გავიღე, მოსვლით კი, მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ მეგონა, ნახევრად ველურ ადამიანებს შევხვდებოდი და ეგზოტიკით გავერთობოდი, აქედან კი იმ შთაბეჭდილებით მივდივარ, რომ ნახევრად ველურები ჩემი თანამემამულეები არიან, რომლებიც მთელი საღამო ხომ თქვენს ჭკუაზე ატარეთ და ბოლოს, ისე გამოათვრეთ, რომ კაცი კაცს აღარა ჰგავს და ქალი — ქალს, თქვენ კი, თითქოს, სასმლისთვის პირიც არ დაგიკარებიათო...

— **სუფრასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ: დღევანდელ ხალხმრავალ და მიკროფონიან სუფრაზე ჭეშმარიტი ქართული სიმღერის ადგილი თუ დარჩა?..**

— სუფრის ერთი ბოლოდან მეორეში რომ ადამიანს ჩვეულებრივად ვერ დაელაპარაკები და სათქმელს ვერ გააგებინებ, — ეს უკვე სუფრა არ არის: ასეთ სუფრასთან არც ჭეშმარიტი ლხინი გესტუმრება და ღვინოც უსაგნოდ და უსაზღვროდ ისმევა... ეს კი არც ქართულ სუფრას ეკადრება და არც ღვინოს. იცით, ერთხანს, რაც კი ვინმე ცნობილ მეცნიერსა და ფილოსოფოსს ღვინოზე რაიმე უთქვამს, — შინ სულ კედლებზე მქონდა გამოკრული, მაგრამ მერე მეუღლემ ჩამომიხსნა...

— **მეუღლე რა ხელობის ქალბატონია?**

— ექიმი.

— **გასაგებია...**

— ისე, ღვინოს მე თავადაც ვწურავ... გურიაში, ჩემს სოფელში — საჭამიასერში მაქვს პატარა ვენახი... სხვათა შორის, თავის დროზე, ქუთაისის გუბერნატორი სტაროსელსკი, რომელიც მეღვინეობითაც იყო დაინტერესებული, თავის ჩანაწერებში აღნიშნავდა: მთელ დასავლეთ საქართველოში ყველაზე კარგი სავენახე მიწები საჭამიასერში არისო. მე კი, იმასაც დავამატებდი, რომ მთელ საჭამიასერში ყველაზე კარგი სავენახე მიწა, ჩემია...

— **ეს ვიღასგან იცით?**

— ბაბუაჩემისგან. უფრო სწორად, სხვები ამბობდნენ სოფელში — ყველაზე კარგი ღვინო ვიქტორ ჭკუასელს აქვსო... მერე, ბაბუა რომ აღარ იყო, იქაურობას მამაჩემი უვლიდა, — მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცნობილი ფიზიკოსი, დიდი მეცნიერი იყო, ყველა ქართველივით, ერთი ფეხი მაინც სოფელში ედგა. ბოლოს, ბაბუაჩემის ვენახი დაბერდა და მე და მამაჩემმა, ჩემი უფროსი ბიჭის სახელზე, ახალი ჩავყარეთ. ახლა ის ვენახი, ჩემი ბიჭივით, 24 წლისაა და ასე, 300 ლიტრამდე ღვინოსაც ვწურავ... თანაც, თბილისში — იშვიათად, ან სულ არ ჩამომაქვს — როცა სოფელში ჩავდივარ, იქაურ მეზობლებთან ერთად ვსვამ... იცით, როგორ უხარიათ ჩემი ჩასვლა? იციან, რომ საუკეთესო ღვინოს დალევენ...

— **თანაც, საუკეთესო ღვინოს, სიმღერაც საუკეთესო მოჰყვება და ჩინებული თამადაც ეყოლებათ, ხომ?**

— თამადა, ჰო... ამას წინათ, ერთი პატარა წიგნი გამოვიდა — „ქართული სადღეგრძელოები". იქ ვახუშტი კოტეტიშვილის ერთი სადღეგრძელოა შესული, რომელიც მე „გადავურჩინე".

— **„გადასარჩენი" რაღა სჭირდა?**

— რა და, აღარ ახსოვდა ბატონ ვახუშტის, რომ ერთხელ, „მუხრანთუბანში" პურობისას თქვა, მაგრამ მე ხომ მახსოვდა... — ეს უბრალო სადღეგრძელო კი არა — კარგა გვარიანი მონოლოგია. აი, მისმინეთ, რა თქვა მაშინ ბატონმა ვახუშტიმ: ნისლიან ალბიონში ერთი ძირი ვაშლის ხე იდგა, რომელსაც ერთადერთი ვაშლი ება; ერთადერთი

მეცნიერი ჰყავდათ ინგლისელებს — ისააკ ნიუტონი და იმასაც, მაინცდამაინც იმ ერთადერთი ვაშლის ძირში მოუნდა წამოწოლა; მოსწყდა ის ერთადერთი ვაშლი და ნიუტონს დაეცა თავში და მას შემდეგ, მთელი მსოფლიოს ბავშვები იტანჯებიან ნიუტონის კანონის სწავლითო. აი, ჩვენთან, გორის მაზრაში, — გააგრძელა შემდეგ ბატონმა ვახუშტიმ, — ჩემს საყვარელ ქართველებს თავები სულ დახეთქილი აქვთ ვაშლებით, მაგრამ კი არ აბაზრებენო... მაშ, მოდი, ამ ჭიქით იმ კაცს გაუმარჯოს, თავში ვაშლი რომ მოხვდება და არ გააბაზრებსო...

— ბატონო თემურ, მოდით რა, მე კიდევ, თქვენ „გადაგირჩენთ“ ერთ სადღეგრძელოს...

— 1988 წელს (მაშინ მე და გოგი დოლიძე, ჯერ კიდევ ტელევიზიაში ვმუშაობდით), ჩვენს რედაქციას საახალწლო გადაცემის მომზადება დაავალეს. შემდეგ იმ გადაცემამ, სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო, დღის სინათლე ვეღარ იხილა, მაგრამ მაშინ დაწერილი სცენარი დღემდე მაქვს შენახული და მას „თემები საახალწლო სუფრისათვის“ ჰქვია. ამ სცენარის მიხედვით, ჩვენი გადამღები ჯგუფი საქართველოს სხვადასხვა კუთხეს უნდა სწვეოდა და ჩვენი იქაური მასპინძლებისთვის სადღეგრძელოს თქმა, უფრო ზუსტად კი, სადღეგრძელოსთვის თემის მოწოდება უნდა ეთხოვა, თავად სადღეგრძელოს კი, შემდეგ მაყურებელი იტყოდა და დალევდა კიდეც.

— ცხადია, გურიაშიც ჩახვიდოდით...

— კი, გურიაში ჩასვლაც გვქონდა გათვალისწინებული და ჩვენმა იქაურმა მასპინძელმა, მოხუცებულმა გურულმა კაცმა, თავის მხრივ გვთხოვა: წამომყევით, ბიძიებო, შემოქმედის მონასტერშიო, — მონასტერში მისულები კი, მარმარილოს საფლავის ქვასთან მიგვიყვანა, რომლის ქვეშაც კახელი თავადი, დავით ვახვახიშვილი და მისი ძმა, ზაქარია, განისვენებდნენ. საფლავის ქვაზე ეწერა: „აქ არის დასაფლავებული კახელი თავადი დავით ზაალის ძე ვახვახოვი. მე და ჩემთან დასაფლავებული ზაქარია ვართ ერთად დახოცილნი იმ საშინელს გენერალ ანდრონიკოვის ოსმალთან ომში, 1855 წელსა, ივნისსა ცხრასა დღესა... მხილველს ვთხოვთ თითო შენდობას და გებრალებოდეთ, რათა ძვალთა ჩვენთა ვეღარ ნახეს სამშობლო ჩვენი ქვეყანა“. გესმით, რა ხდება? — გურიაში, შემოქმედის მონასტერში დასაფლავებული კახელი თავადი იმაზე მოსთქვამს, რომ „ძვალთა ჩვენთა ვეღარ ნახეს სამშობლო ჩვენი ქვეყანა“-ო. არადა, იცით, როდის გვეშველება ქართველებს? როცა, ვთქვათ, მე, გურულ კაცს, თუ კახეთში დამასაფლავებენ, იმას აღარ ვიფიქრებ, რომ ჩემი ძვლები ჩემს სამშობლოში არ განისვენებენო...

— ... ანუ ეს იმ დროს გაუმარჯოს, როცა...

— ეს იმ დროს გაუმარჯოს, როცა საქართველოს ნებისმიერი კუთხის შვილის, ნებისმიერი ქართველის ტკივილი, ჩემი ტკივილიც იქნება, ჩემი ტკივილი კიდევ — მისი. აი, მაშინ იქნება ყველაფერი რიგზე ჩვენს ქვეყანაში.

— ღმერთმა გისმინოთ. მანამდე კი ისევ სიმღერას მივუბრუნდეთ...

— იცით, რა არის? სიმღერა, იცოცხლე, კარგია, მაგრამ მიმაჩნია, რომ სიმღერაში ჩემი შესაძლებლობები, პრაქტიკულად, ამოწურულია და ახლა, უფრო მეტად — სიტყვასთან შეჭიდება მაქვს გადაწყვეტილი...

— ნუთუ მხოლოდ ახლა? მე კი მეგონა, ამ საქმეშიც დიდი გამოცდილება დაგიგროვდათ: მე პირადად, თქვენთან, პირველ რიგში, თქვენი წიგნით — „წინ, წინაპრებისაკენ!“ აღფრთოვანებამ მომიყვანა...

— ...ტრაბახად თუ არ ჩამითვლით, ამ წიგნთან დაკავშირებულ ერთ ამბავსაც გავიხსენებ. თუმცა, რატომ უნდა ჩამითვალოთ ტრაბახად? — ეს ინფორმაცია არსებობს და კიდეც უნდა გავრცელდეს. ამას წინათ მიამბეს, რომ ქართველი ახალგაზრდების ერთი ჯგუფისთვის, რომელიც ბედის საძებნელად, ამერიკაშია წასული, ჩემი წიგნიდან ამოწერილი რამდენიმე ფრაგმენტი გაუგზავნიათ (ნეტავი, გამგზავნი მანამდე შემხმიანებოდა — მათთან გასაგზავნად, წიგნს გავატანდი) და ის ხელნაწერი, თურმე, კარგა ხანს, ხელიდან ხელში გადადიოდა, ბოლოს კი, ერთად შეკრებილა ამერიკაში მცხოვრები ასამდე ქართველი ახალგაზრდა და ფიცი დაუდიათ, რომ ყველანი საქართველოში დაბრუნდებოდნენ. აბა, ამაზე სასიხარულო რა უნდა იყოს, როცა შენს დაწერილს ასეთი ძალა აქვს...

— თქვენი შვილები თუ დაადგნენ თქვენს გზას? — სიმღერას ვგულისხმობ...

— ორი ვაჟი მყავს — 24 წლის დავითი და 23-ის მამუკა. პროფესია ორივეს არჩეული აქვს, მაგრამ ჯერ ბოლომდე მაინც ვერ გაურკვევიათ, ამ ცხოვრებაში რა უნდა აკეთონ. მამუკა სტუდენტია, ფიზიკას ეუფლება, დავითმა უცხო ენების ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ ახლა კონსერვატორიაში გააგრძელა სწავლა — კომპოზიტორობას აპირებს; უკვე რაღაც-რაღაცებს წერს კიდეც, თუმცა, ჯერ მე არ მასმენინებს. ისე, სხვები ამბობენ, ძალიან ნიჭიერიაო. ვნახოთ... მთავარია, ნორმალური და წესიერი ადამიანები, კარგი ქართველები იყვნენ, დანარჩენს ყველაფერს მოასწრებენ.

— თავის დროზე, ჟურნალისტმა თემურ ჭკუასელმა მომღერალი თემურ ჭკუასელი ასე დაახასიათა: „თემურ ჭკუასელი — ბანი, კრიმანჭული. თვალებით ჭოტს ამსგავსებენ, ხმით — მამლის ყივილს. ისე კაცია“. ამ სიტყვებს დღეს ხომ არაფერს დაუმატებდით?

— ალბათ, არა...

— ჰო, მართლა, ჭოტიკას რატომლა გეძახიან?

— ჰოო... ესეც მთელი ამბავია... მეათე კლასში ვიყავი, ჩვენი ოჯახი საცხოვრებლად საბურთალოზე რომ გადავიდა. საბურთალო, როგორც უბანი, ის-ის იყო, ფეხს იდგამდა და ახალ სკოლაშიც, ქალაქის სხვადასხვა უბნიდან გადმოსულმა ბიჭებმა მოვიყარეთ თავი. ერთმა ჩემმა კლასელმა და მოგვარემ, მერაბ ჭკუასელმა სასწრაფოდ ყველას მეტსახელები ჩამოგვირიგა: თავად მენჩხო გახდა, გივი ყვარელაშვილი — კუკრუჭა, ნუგზარ მახარაძე — გარბუშა. მე — ჭოტიკა... ზოგს, ცხადია, ბოლომდე შემორჩა მეტსახელი, ზოგს — არა. მე ბოლომდე ჭოტიკა დავრჩი და რადგანაც მოგვიანებით, ამ მეტსახელს ახსნა და გამართლებაც სჭირდებოდა, მეც ავდექი და საკუთარი ინტერპრეტაცია მოვიგონე: ჭოტიკა იმიტომ მქვია, რომ ჭოტი მთელ მსოფლიოში სიბრძნის სიმბოლოა-მეთქი... ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ისე, მთელ ამ ამბავში ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ ჩემი მეტსახელი ჩემს შვილებზეც გადავიდა და მათ ახლა პატარა ჭოტიკებს ეძახიან... ერთხელ, მახსოვს, ჩემს შვილს მეგობარი ეძებდა და ტელეფონზე მე შევხვდი: ჯერ ჩემი ბიჭი მოიკითხა, შემდეგ კი — ალბათ ეგონა, რომ მე აღარ ვუსმენდი, — გვერდით მყოფ სხვა მეგობარს გადაულაპარაკა: მაცალე, ბიჭო, ჯერ დიდ ჭოტიკას ველაპარაკებიო. ასე გავიგე, რომ უკვე დიდი ჭოტიკაც გავმხდარვარ...

■

შვილებთან: დავითთან (მარცხნივ) და მამუკასთან ერთად

გია მაჭარაშვილი რომა რცხილაძის „ხანუმოზის“ წყალობით დაოჯახდა

20 წლის წინ შეიქმნა პოპულარული როკ-ანსამბლი „თეატრონი“. მართალია, ეს ანსამბლი დღესდღეობით აღარ არსებობს, მაგრამ მისი წევრები აქტიურად მოღვაწეობენ ქართულ ესტრადაზე. ერთ-ერთი მათგანია, ცნობილი კომპოზიტორი და მრავალი სიმღერის არანჟირების ავტორი, გია მაჭარაშვილი.

ხათუნა ჯავახიშვილი

— როდის და როგორ შეიქმნა როკ-ანსამბლი „თეატრონი“?

— 1981 წლის ნოემბერში ბიჭები შევიკრიბეთ და ხმის ჩამწერ სტუდია „მელოდიაში“ ჩანაწერები გავაკეთეთ. ჩვენი ანსამბლი ტელევიზიას ეკუთვნოდა და ტელევიზიის მუსიკალურმა რედაქციამ და რადიომ 1982 წლის იანვარში ჩვენი ჩანაწერები მსმენელს მიაწოდა. უსახელო ჯგუფი ვიყავით, უბრალოდ — როკ-ანსამბლი გვერქვა. 1983 წელს პარიზში ვიყავით ფესტივალზე, სადაც ჩვენი ბას-გიტარისტი, მიშა ფოფხაძე დარჩა. ამ ფაქტს ჩვენს ანსამბლზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია. თბილისში დაბრუნებულებმა ჩვეულებრივად გავაგრძელეთ მუშაობა. შემდეგ წავედით კრუიზში გემით „შოთა რუსთაველი“, სადაც ჩვენზე მუსიკალურ ფილმს იღებდნენ. იქიდან დაბრუნებულებს „კულტურულ ფორმებში“ გვთხოვეს, დაგვეწერა განცხადებები და წავსულიყავით ტელევიზიიდან... ამის გამო ანსამბლი დროებით დაიშალა და წელიწად-ნახევრის განმავლობაში ჩემი პროფესიით — ინჟინრად ვმუშაობდი. გივი გაჩეჩილაძე, რომელიც ტელევიზიაში ჩვენი ყოფნის დროს, ტელერადიოკომიტეტის საესტრადო ორკესტრს ხელმძღვანელობდა, 1986 წელს მარჯანიშვილის თეატრში, მუსიკალურ ხელმძღვანელად მიიწვიეს. იგი დაგვიკავშირდა ანსამბლის წევრებს (ზურა კობეშავიძეს, თემურ ნიკოლაიშვილს, მერაბ სეფაშვილს და მე) და როკ-ანსამბლი აღდგა. მაშინ დავარქვით ანსამბლს „თეატრონი“, რაც ძველ ქართულ ლიტერატურაში პატარა სცენას ნიშნავს.

— ანსამბლის საბოლოოდ დაშლა რამ გამოიწვია?

— 1989 წელს დავიშალეთ. აირია ქვეყანა და ვიღას ემღერებოდა და ეცეკვებოდა საქართველოში?! ახლა ყველანი ცალ-ცალკე ვმოღვაწეობთ, თუმცა, დღემდე მეგობრებად დავრჩით. მერაბ სეფაშვილის კონცერტი ჩემთვის და ბიჭებისთვის დიდი სიხარულის მომგვრელი იყო. სურვილი იმისა, რომ თუნდაც წელიწადში ერთხელ გამოვჩნდეთ და კონცერტები ჩავატაროთ საქართველოს მასშტაბით, ძალიან დიდია, მაგრამ ყველაფერ ამას დაგეგმვა, ხარჯები, აპარატურა სჭირდება, რაც ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

— რატომ გაუძალიანდით ირმა სოხაძეს, გადაცემაში „მილიონი სიხარული ოქტაგონზე“ — რომ გეპატიჟებოდათ?

— წელიწად-ნახევარი მეხვეწებოდა ირმა, რომ გადაცემაში მიმეღო მონაწილეობა. მეუხერხულებოდა, რადგან სოლისტი-მომღერლის ამპლუაზე არასდროს მქონია პრეტენზია. როკ-ანსამბლის არსებობის პერიოდში 1-2 სიმღერას მეც ვასრულებდი, რომ ჩვენი გამოსვლა ცოტათი უფრო მრავალფეროვანი ყოფილიყო. მას შემდეგ, 10 წელი გავიდა და არასდროს მიფიქრია, გინდა თუ არა, უნდა ვიმღერო-მეთქი, ზოგმა რომ იცის „რქებით მიწოლა“... ყველამ უნდა იცოდეს საკუთარი ადგილი. თუმცა, დღევანდელ ზოგიერთ უნიჭო მომღერალს ნამდვილად ვაჯობებ, სუფთად მაინც ვმღერი... ისე, სიმართლე გითხრათ, სიმღერის სურვილი კი მაქვს ხოლმე. უახლოეს პერიოდში ალბათ შევაგროვებ და აუდიოკასეტაზე ან კომპაქტ-დისკზე ჩავწერ ჩემს სიმღერებს. თუმცა, ამით არც გამდიდრებას ვაპირებ და არც იმას დავიჩემებ — მისმინეთ, სოლისტი მომღერალი და ნამდვილი ვარსკვლავი ვარ-მეთქი...

— მუსიკა ბავშვობიდან გაინტერესებდათ?

— მუსიკის მასწავლებლებს საშინლად ვანერვიულებდი. ძალიან მიყვარდა ესტრადა და კლასიკას ფაქტობრივად, არ ვუკრავდი. გამოცდისთვის 3-4 ნაწარმოებს დავიზეპირებდი და დავუკრავდი, მაგრამ ნოტებს არც ვუყურებდი... სკოლა რომ დავამთავრე, ბიჭები სარდაფში ვიკრიბებოდით და იქ ვუკრავდით ხოლმე. ქუჩის მუსიკოსებივით ვიყავით. ამან ძალიან დიდი გამოცდილება შეგვძინა. სანამ ესტრადაზე გახვალ, გინდა — არ გინდა, საფუძველი უნდა შეიქმნა. სამწუხაროდ, დღეს ამას არ ანიჭებენ მნიშვნელო-



ბას. დღევანდელი მომღერლები 1-2 სიმღერას ჩაწერენ, გამოვლენ ესტრადაზე, მერე, ვიღაცის ან რაღაცის წყალობით, დაატრიალებენ ამ მასალას და როცა ის პოპულარული გახდება, 2-3 თვის თავზე, მათ უკვე ვარსკვლავებს უწოდებენ. ამ დროს, ტაშს უკრავენ ჩანაწერს და არა მომღერალს. ამის გამო, ძნელია გაარჩიო, ვინ არის მართლა მომღერალი და ვინ – ვაიმომღერალი და ვაიმუსიკოსი. ცოცხალი მუსიკა, ცოცხალი შესრულება სულ სხვა რაღაცაა. სწორედ ამ დროს შეგიძლია, რეალურად შეაფასო მომღერალი და მუსიკოსს.

— ეი. თქვენ ფონოგრამების წინააღმდეგი ხართ...

– ცუდად ჟღერს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ფონოგრამები, შეგიძლია დაატრიალო კაფეში, ბარში, მაგრამ კონცერტზე იმისთვის მოვდივარ, რომ ამ საღამოს შესრულებული სიმღერა მოვისმინო და შენ რა მატყუებ? – კვირაობით და თვეობით „ნაწვალებ" ჩანაწერს მასმენინებ? რატომ არის, რომ მერაბ სეფაშვილი ყველას მოსწონს და უყვარს? – იმიტომ, რომ ცოცხლად ასრულებს და საკუთარ ემოციებს მაქსიმალურად გადმოსცემს სცენიდან.

— მიუხედავად ყველაფრისა, მაყურებელი მაინც დადის ამ, ასე ვთქვათ, „მკვდარ კონცერტებზე". როგორ ფიქრობთ, რატომ?

– არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელსაც არ აინტერესებს, ვისი კონცერტია, რას მღერის, – უბრალოდ, მიდის საცეკვაოდ და დროს სატარებლად. მათ ყველა მოსწონთ და ყველას ტაშს უკრავენ. მერე იქიდან ღამის ბარში წავა, იცეკვებს, იჯლიგინებს და ოფლად დაიღვრება დილის 5 საათამდე. მაგრამ მსმენელთა ნაწილი შტერი არ არის და გადასარევად ხვდება ყველაფერს.

— რამდენიმე სიტყვით გაგვაცანით თქვენი ოჯახი...

– ჩემი მეუღლე ნინო კახნიაშვილია. მასთან 3 წლისა და 5 თვის გოგონა – ანა მყავს. მე და ნინომ რომა რცხილაძის „ხანუმობის" წყალობით გავიცანით ერთმანეთი.

— კონკრეტულად, როგორ?

– დიდი არაფერი – უბრალოდ, რომამ გაგვაცნო ერთმანეთი და შემდეგ თვითონ გავიკვლიეთ ერთმანეთისკენ მიმავალი გზა...

— როგორ გაიკვლით გზა?

– 1, 2, 5, 10 შეხვედრა და... ნოემბერში გავიცანით ერთმანეთი, 3 თებერვალს უკვე ხელი მოვაწერეთ და ჯვარიც დავიწერეთ. ეს ჩემი მეორე ქორწინებაა. პირველ მეუღლესთან 19 წლის გოგონა – ნინო მყავს, რომელიც სექტემბერში გათხოვდა და მალე, ალბათ, ბაბუაც გავხდები. მოსკოვში სწავლობს და იქ გათხოვდა.

— თქვენი სიძე ქართველი არ არის?

– არა, რუსია.

— გული არ დაგწყდათ?

– მთავარია, ორ ადამიანს უყვარდეს ერთმანეთი, ჰქონდეთ ერთმანეთის იმედი და იმის საშუალება და პირობები, რომ ოჯახი შეინახოს: ყოველთვის არ გეყოლება გვერდში დედა, მამა, ბიძა თუ დეიდა... მე, მაგალითად, სკოლა რომ დავამთავრე, პირველივე წელს ვერ მოვეწყვე ინსტიტუტში და სტაჟისთვის მუშაობა დავიწყე.

— სად მუშაობდით?

– 2 თვე სატელეფონო სადგურში ვიმუშავე – ტელეფონის გადამწვარ მცველებს ვარემონტებდი. ორ დღეში ერთხელ ვმორიგეობდი. ღამით მაგიდაზე მეძინა და გვერდებატკივებული ვბრუნდებოდი ხოლმე შინ... შემდეგ აქატის ქარხანაში გადავედი. მესამე თანრიგოსანი მუშა ვიყავი და ნიჩაბს, ბარსა და წერაქვს „ვიქნევდი" – ვთხრიდი და ვჩიჩქნიდი მიწას. მეორე წელს, დღის განყოფილებაზე ისევ ვერ მოვხვდი და ბიძაჩემის წყალობით, საღამოზე ჩავაბარე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. საღამოზე რომ სწავლობ, დღისით უნდა იმუშაო და მიკროძრავების ექსპერიმენტულ ქარხანაში მოვეწყვე. იქ უკვე სუფთა სამუშაო მქონდა – საკონსტრუქტორო ბიუროში, ნახაზებს ვადგენდი. 3 წელი ვიმუშავე, დღეს ვზივარ და სიმღერის არანჟირებებს ვაკეთებ. ცხოვრებაში ფული არავისთვის გამომირთმევია. ტელევიზიაშიც და თეატრშიც კარგი ხელფასი მქონდა. გარდა ამისა, საავტორო პროცენტები მერიცხებოდა: ნებისმიერ ქვეყანაში, რესტორანსა თუ საკონცერტო დარბაზში შესრულებული ჩემი სიმღერისთვის, საავტორო უფლებების დაცვის საგენტოდან ჩემს კუთვნილ თანხას ვიღებდი.

— დღეს, რა თქმა უნდა, ეს მექანიზმი აღარ მოქმედებს?

– ეს მექანიზმი დღეს რომ არსებობდეს, მეც და ჩემი კოლეგებიც საკმაოდ გამართულები ვიქნებოდით წელში.

— არანჟირების ფასი ყველანაირ სიმღერაზე ერთია?

– ფასი ყოველთვის ერთია – გარდა საბავშვო სიმღერებისა: საბავშვო სიმღერა მარტივია და ნახევარ ფასშიც გამიკეთებია. როდესაც ერთდროულად რამდენიმე სიმღერას ვუკეთებ მომღერალს, საკითხს „ამერიკულად" ვუდგები და ფასდაკლების პრინციპით ვმოქმედებ. ზოგჯერ დამკვეთი საქმეს გაგაკეთებინებს და მერე არ გამოჩნდება – არც ფული მოაქვს, არც თვითონ ჩანს და გამოდის, ტყუილად იწვალე და დრო დაკარგე. ისეც ხდება ხოლმე, რომ დამკვეთი თავისას წაიღებს და თანხა არ მოაქვს; თუ 2-3 თვეში გამოჩნდა, ხომ კარგი, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება, სულ დაიკარგოს – ესეც ხდება ხოლმე, ხომ იცით – ხალხი ჭრელია...

— თქვენ ტელესერიალის „ძილის წინ" მუსიკის ავტორი ხართ. რეჟისორმა გთხოვათ მუსიკის დაწერა?

– შარშანწინ ბასა ფოცხიშვილმა (ფილმის პირველმა რეჟისორმა) მთხოვა, რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები დამეწერა. 5 ნაწარმოები დავწერე, აქედან სამი, ახლა სერიებში „ტრიალებს". ამ სერიალს ბევრი სისულელეს ეძახის, მაგრამ მე ძალიან ვხალისობ ხოლმე, როცა სერიალს, „ძილის წინ" ვუყურებ. აბა, მარტო საინფორმაციო გადაცემებს რომ უყურო, გაგიჟდები კაცი: ამდენი მოკლეს, დაახრჩვეს, გააუპატიურეს, გაზისგან გაიგუდა...

■



ქალები უფრო დამყოლნი არიან, მამაკაცები კი, მათზე ადვილად იკლებენ წონაში

მთელ მსოფლიოში იმ ადამიანებზე, რომლებსაც სურთ მოიცილონ ზედმეტი კილოგრამები, სხვადასხვა კერძო კლინიკა, ზოგჯერ კი — უმსხვილესი ფირმებიც „ნადირობენ და ამ საქმით თავიანთი ბიზნესის აყვავებასაც ახერხებენ. თბილისის ქუჩებში, თითქმის ყველა ხეზე ფრიალებს სარეკლამო ფურცელი: „10 კილოგრამის დაკლება ერთ კვირაში!“ ამ დროს, ოფიციალური მედიცინა გვაფრთხილებს: გახდომის პროცესი მხოლოდ ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობით უნდა მიმდინარეობდესო, წონის დაკლების ნორმა კი, კვირაში 0,5-დან 1 კგ-მდეა და ამაზე მეტი, ორგანიზმისთვის საშიშიაო...

ლელა ჭანკოტაძე

ჭარბი წონის პრობლემაზე მსჯელობა თავად ჭარბწონიან ადამიანთან — 37 წლის მალხაზ ზუკაკიშვილთან საუბრით გვინდა დავიწყოთ, რომელიც აჟამად 160 კგ-ს იწონის.

ყველა უბანს ჰყავს თავისი კოლორიტი, გამონაკლისი არც ნაძალადევია. დიდი თუ პატარა — ყველა იცნობს მალხაზ ზუკაკიშვილს. ის თავისი ჭარბი წონით ყველასგან გამორჩეულია. მას განსაკუთრებულ პატივს სცემენ, რადგან დახმარებაზე უარს არავის ეუბნება — ყველას დაიცავს, თუ ამის საჭიროებაა... თავად, დაცვა არ სჭირდება, რადგან მაგარი მუშტი აქვს და საოცრად სწრაფიცაა. 200 კგ-ზე მეტი არასდროს ყოფილა. ბოლო დროს პურს აღარ ჭამს და ოცდაათი კილოგრამიც დაიკლო.

— დიეტაზე არასდროს ყოფილხართ?

— არა, რა საჭიროა. ჩემს წონას არასოდეს შევუწუხებივარ. პირიქით, ყველა მცნობს, უმეტესობას ვუყვარვარ, უნდათ ჩემთან მეგობრობა. არც სიარული მიჭირს — ისე დავდივარ, ერთხელაც არ შევისვენებ. სიარული არ მღლის. გაგიკვირდებათ, მაგრამ საკმაოდ მოძრავი ვარ, ადრე სპორტს მივდევდი — ვჭიდაობდი. მსოფლიო ჩემპიონი არ გავმხდარვარ, მაგრამ ბევრი ორთაბრძოლა მაქვს მოგებული... მერე მენისკის ოპერაცია გავიკეთე და იძულებული გავხდი, ჭიდაობისთვის თავი დამენებებინა. მას შემდეგ, გავსუქდი კიდეც.

— ბავშვობაში მსუქანი არ იყავით?

— არა. სხვა ბავშვებისგან დიდად არ გამოვირჩეოდი. როგორც ყველა მოჭიდავე, მეც ძვალმსხვილი ვიყავი. ბევრს ვვარჯიშობდი და ბევრსაც ვჭამდი, ზომაზე მეტი არასდროს მიჭამია. თუმცა, ქეიფი ყოველთვის ხშირად მიწევდა. წონაში მატება 1985 წლიდან დავიწყე.

— ბევრს სვამდით?

— ათ ლიტრს თავისუფლად ვსვამ. თან, მას შემდეგ, რაც სპორტს თავი დავანებე, სულ რესტორნებსა და სასადილოებში მიწევდა მუშაობა: ხან გამგედ, ხან „პოვრად“. ათ ლიტრზე მეტი არ დამილევია, რადგან სუფრასთან ყველა თვრება და ბოლომდე სმაში ვერავინ მომყვება. სამოთხ ბოთლ არაყს თავისუფლად ვსვამ... არაფერი მაწუხებს, ხარივით ჯანმრთელი ვარ.

— ნაძლევი თუ დაგიდიათ ჭამასმაზე?

— ნაძლევზე 100 ხინკალი შემიჭამია და ერთი ყუთი შამპანურიც დამილევია.

— ალბათ კურიოზებიც გქონიათ...

— კინოდან მოვდიოდი. ტაქსი გავაჩერე, ძველი მანქანა იყო — „ჟიგული 06“. ერთ ადგილას „იამკაში“ ჩაარტყა, „პოლი“ ჩაუტყდა და ჩემი სკამიანად ჩავვარდი...

— ტანსაცმელს იოლად შოულობთ?

— ფული თუ გაქვს, ჩაცმა პრობლემა არ არის. საერთოდ, ჭარბი წონა ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

— კარგად ჩხუბობთ?

— ჩხუბს ვერიდები, ვცდილობ, არ ვიჩხუბო, მაგრამ სამ კაცს, ნებისმიერ დროს, თავისუფლად გავლახავ. ხომ ამხელა ტანი მაქვს, მაგრამ ფეხს მაინც წკეპლასავით ვხმარობ — ჩემი თავის სიმაღლეზე ვწევ...

— როგორ დაიკელით ოცდაათი კილოგრამი?

— პურსა და ნამცხვარს არ ვჭამ. ახალი წელი ისე გავიდა, ტკბილეული არ მიჭამია. რად მინდა დიეტა?! — თუ მოვინდომებ, ლასტივით გავხდები.

ჭარბწონიანობა მთელი მსოფლიოს პრობლემაა. ისეთი უდიდესი ქვეყნები, როგორიცაა ამერიკა და რუსეთი, ჭარბწონიან ადამიანთა რაოდენობით ყველაზე წინ არიან. ევროპა ჯერჯერობით საგრძნო-

ბლად ჩამორჩება... რაც უფრო დაბალია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მით უფრო მწვავედ დგას წონის პრობლემა. რადგან, ამ მოვლენის გაძწვავება იმ შემთხვევაში ხდება, როცა ადამიანებს სრულყოფილი კვება არა აქვთ.

ჭარბწონიანებთან ერთად, დიდია იმ ადამიანთა რიცხვი, ვისაც წონაში მომატება სურს. საქართველოში ყოველთვის იყენებდნენ სხვადასხვაგვარ დიეტას, ბოლო დროს კი, ძალიან მოდური გახდა ენდოკრინოლოგების კონსულტაციები... მას შემდეგ, რაც მამუკა ონაშვილმა წონაში კლება დაიწყო და ინტერვიუში თქვა — ჩემი დიეტოლოგი, ქალბატონი ***ელენე გიორგაძეაო****, ამ ექიმს უამრავი ადამიანი მიაწყდა. ყველამ, ვისაც წონაში დაკლება სურს, ქალბატონ ელენეს მიაკითხა. ჩვენც ჭარბწონიანობის პრობლემის შესახებ სასაუბროდ, სწორედ მას ვეწვიეთ.*

— ქალბატონო ელენე, რამდენად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საქართველოსთვის ჭარბწონიანობა?

— ადამიანი, რომელსაც იმის შიში აქვს — შეიძლება, ხვალ ხელფასი აღარ მქონდესო, — პირველ რიგში, იმაზე ფიქრობს, რომ ოჯახი და საკუთარი თავი გამოკვებოს. ადამიანი, რომელსაც გარანტირებული შემოსავალი აქვს, სხვა პრობლემებზე ფიქრობს და არა იმაზე, რომ მთავარია ჭამა. ამასთან, მთელ მსოფლიოში მიაჩნიათ, რომ ჭარბწონიანობა სოციალური პრობლემაა და რაც უფრო მცირე ჯამაგირი აქვს ადამიანს, მით უფრო მსუქანია. სოციალურად დაუცველი ადამიანის რაციონში ძირითადად, შედის: პური, მაკარონი, კარტოფილი. რაც უფრო მყარი მატერიალური საფუძველი აქვს ოჯახს, მით უფრო სრულყოფილია კვება, მენიუდან ამოღებულია ზედმეტი ცომეული. მის ადგილს იკავებს: ძეხვი, თევზი, ბოსტნეული. საზღვარგარეთაც კი, ძვირად ღირებული პროდუქტები ეკოლოგიურად უფრო სუფთაა და მისი გავლენით, ორგანიზმში ნაკლები დარღვევა ხდება. ამასთან, ის ადამიანი, რომელსაც უზრუნველი ცხოვრება აქვს, ნორმალურად იკვებება და სპორტსაც მისდევს. საქართველოში ბოლო დროს მოდაშია სერიალები. დააკვირდით, რას მიირთმევენ ღარიბები: პიცას, მაკარონს, ჰოთ-დოგს. მდიდარ ოჯახებში დილით მიირთმევენ ფორთოხლის წვენს და რძიან ყავას. მთელი დღის განმავლობაში, ისინი ბანაობენ აუზში, იკეთებენ მასაჟს და ვარჯიშობენ. ბოლო დროს, ჩვენში ძალიან ბევრი სატრენაჟორო დარბაზი გაიხსნა. ჩემს პაციენტებს ვურჩევ: იარეთ შეიპინგზე, აერობიკაზე, სატრენაჟორო დარბაზებში, ვარჯიშები ხომ ადამიანს ცხოვრების ბოლომდე — თუნდაც ას წლამდე სჭირდება.

— რა უნდა გაითვალისწინონ ადამიანებმა, რომ არ შეემატონ ჭარბწონიანთა რიგს?

— აუცილებელია, როცა სამარშრუტო ტაქსით მგზავრობთ, ჩამოხვიდეთ ერთი გაჩერებით ადრე და დანიშნულ ადგილამდე ფეხით მიხვიდეთ. დასავლეთის ქვეყნებში ამის თქმა აღარავის სჭირდება. ადამიანი უნდა მიეჩვიოს რეჟიმულად ჭამას. ტყუილად კი არ არის მოგონილი ანდაზა: საუზმე თავად შეჭამე, სადილი მეგობარს გაუნაწილე, ხოლო ვახშამი მტერს დაუთმეო... როცა ვახშამი ძალიან მსუბუქია, უფრო სრულყოფილია ღამის ძილი, ნორმალურია სუნთქვაც, გადატვირთული არ არის კუჭ-ნაწლავი. ჩვენთან არ არის არც რეჟიმული კვების კულტი, არც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების კულტი და არც ვარჯიშისა და მოძრაობის კულტი. ქართველი კარდიოლოგების უმეტესობა ამბობს, რომ ადამიანმა ფეხით დღეში 10 კილომეტრი უნდა იაროს. ეს ნებისმიერმა ადამიანმა უნდა გაითვალისწინოს — მათ შორის დედებმა, რომლებსაც კონსულტაციაზე მიჰყავთ ხოლმე შვილები.

— დამეთანხმებით, ქართული სამზარეულო მადის აღმძვრელია. ჩვენთან არ არის სალათებისა და მსუბუქი საკვების ტრადიცია. ალბათ, ესეც იწვევს ჭარბწონიანთა რაოდენობის ზრდას?

— ქართული სუფრა რასაკვირველია, ძალიან მდიდარია კერძებით. ამასთან, არც ერთი უცხოელი მამაკაცი, ქართველივით ლიტრობით ღვინოს არ სვამს — თუნდაც იმიტომ, რომ იქ ღვინო ძვირია, რაც უფრო ძვირია ღვინო, მით უფრო სუფთაა იგი ეკოლოგიურად. იგივე ითქმის სურსათზე. ჩვენში ხომ უკალორიო პროდუქტის შეძენაა პრობლემა. გარდა ამისა, ადამიანებს ესმით, რომ აუცილებელია პირადი ჰიგიენის დაცვა, სახის კანის გაწმენდა, კბილების გახეხვა, მაგრამ ავიწყდებათ, რომ გაწმენდა ორგანიზმსაც სჭირდება.

— ორგანიზმის განტვირთვის მიზნით, მოსახლეობის დიდი ნაწილი მარხულობს.

— არ არის სწორი, მით უმეტეს, რომ სწორად არ მარხულობენ. მარხვის დროს უნდა ჭამონ ბევრი ხილი და ბოსტნეული. არ ვიცი, ვინ გამოიგონა სამარხვო ნამცხვარი. როგორ შეიძლება მარხვის დროს პურისა და მაკარონის ჭამა?! იცით, მარხვის დროს რას აკეთებენ? აიღებენ უზარმაზარ ლავაშს. წაუსვამენ, ზედ ხილფაფას და ამას მიირთმევენ...

— ისინიც კი, ვისაც მატერიალურად უზრუნველი ცხოვრება აქვთ, ასაკის მომატებისას სუქდება. რა არის ამის ძირითადი მიზეზი?

— 25-28 წლამდე ცხოვრების მოძრავ წესს მივდევთ: დავდივართ კინოში, თეატრში, ვსეირნობთ და ვხარჯავთ ენერ-



რთულ ამოცანებს დაუყოვნებლივ ვასრულებთ, შეუძლებელს — ცოტა მოგვიანებით.

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების დევიზი

ფრაზებ გენიალური

გიას. ოცდაათი წლის შემდეგ, წონის მომატება იმიტომ იწყება, რომ იცვლება ცხოვრების წესი: მამაკაცები უფრო მეტ დროს კაბინეტებსა და ავტომანქანებში ატარებენ, ქალები კი, მთელი დღე სამზარეულოში ტრიალებენ, რის გამოც, ყოველ ნახევარ საათში რაღაცას ჭამენ, ეს არ შეიძლება. აუცილებელია, დღეში სამჯერ ჭამა და ხილის გარკვეული რაოდენობით მიღება. ქალმა, რომელსაც არ შეუძლია ტრენაჟორებზე სავარჯიშოდ იაროს, შინ უნდა ივარჯიშოს. საღამოს, მეუღლე რომ მოდის, ცომეული კი არ უნდა დაახვედროს, არამედ ბოსტნეული, ხორცი, ხილი შესთავაზოს. ვახშმის შემდეგ კი, ხელი ჩაჰკიდოს მეუღლეს და ერთი საათი სუფთა ჰაერზე გაისეირნონ. მაშინ აღარ ექნებათ წონის პრობლემა. მთელ მსოფლიოში, შესვენების დროს, ადამიანები სადილობენ. ეს აუცილებელია, რათა საღამოს აღარ მოხდეს ერთდროულად ბევრი საკვების მიღება და ორგანიზმის გადატვირთვა.. საქართველოში მუშა-მოსამსახურეთა უმეტესობა, მთელი საღამო რაღაცას ჭამს. ეს დაუშვებელია. ის ადამიანები, რომლებიც ექვსი საათის შემდეგ არ ჭამენ, ინარჩუნებენ ნორმალურ წონას სულ ცოტა, ორმოცდაათ წლამდე მაინც.

— თუ მოდიან თქვენთან ისეთი ადამიანები, რომლებიც ბევრს არ ჭამენ, მაგრამ წონაში მაინც იმატებენ?

— ჩემთან მოსული პაციენტების ოთხმოცი პროცენტი საუბარს ასე იწყებს ხოლმე: იცით რა, ექიმო, მე ნამდვილად არ ვჭამ ბევრს, მაგრამ მაინც ვსუქდები. ასეთ პაციენტებთან ურთიერთობას პირდაპირ მკაცრი დიეტებით არ ვიწყებ — ვუნიშნავ ხუთდღიან საცდელ დიეტას, რომელშიც ძალიან მცირეა კალორიების რაოდენობა. ხუთი დღის შემდეგ, რომ მოდიან ეს პაციენტები აღნიშნავენ, რომ უკვე დაიკლეს ორი, სამი ან ხუთი კილოგრამი. დაუფარავად აცხადებენ: ვაიმე, თურმე რამდენს ვჭამდიო...

— თუ არსებობს გენეტიკური სიგამხდრე ან გენეტიკური სიმსუქნე?

— რა თქმა უნდა, არსებობს. მთელი დედამიწის მოსახლეობის 10-15%-ს აქვს ფერმენტაციის მაღალი აქტივობა. ასეთი ადამიანები ჭამენ ცოტას და ხშირ-ხშირად. მიაღწევენ თუ არა ოცდაათ წელს, იმაზე ფიქრს იწყებენ, თუ როგორ მოიმატონ წონაში. ასეთი ხალხი მოდის კონსულტაციაზე და მე ვცდილობ ავუხსნა, რომ კმაყოფილები უნდა იყვნენ, რომ არ სუქდებიან.

— თქვენი პაციენტებიდან, ყველაზე ჭარბწონიანზე მოგვიყევით რამე?

— სწორედ დღეს მყავდა ეს პაციენტი — 35 წლის მამაკაცი, რომელიც 220 კგ-ს იწონის. არ ვიცი, რამდენად ეყოფა საამისოდ ნებისყოფა, მაგრამ ასეთი წონის დაკლებაც კი შესაძლებელია. ჩემთან დადიოდა ქალბატონი, რომელიც 185 კგ-ს იწონიდა. მე თვითონაც ცოტა უიმედოდ ვიყავი განწყობილი, მაგრამ შეძლო და უკვე ოცდაათი კილოგრამი აქვს დაკლებული. ასეთი დიდი წონის დაკლება ძალიან რთულია. ასეთ დროს, ძალიან დიდი ყურადღება ენიჭება პაციენტის ფსიქიკას. ჩემთან მოსული პაციენტისთვის მთავარია დიდი ნებისყოფა, რადგან დიდი წონის დაკლებას ერთწლიანი შრომა მაინც სჭირდება: დაკლება თანდათან ხდება და ამის წყალობით არც ერთი ორგანო არ ზარალდება. მთელი ნახევარი წლის მანძილზე ვცდილობ, პაციენტი მივაჩვიო ნორმალურ კვებას. ჩემს პაციენტებს შიმშილი აწუხებთ, სამი თვე მაინც არის საჭირო, რომ მითხრან: შეგვიძლია საღამოს მხოლოდ ერთი ვაშლი ისე შევჭამოთ, რომ შიმშილი აღარ ვიგრძნოთო.

— თუ გყავთ პაციენტები, რომლებსაც წონაში მომატება უნდათ?

— ეს არ არის ნორმალური შემთხვევა. არ შეიძლება ამის გაკეთება. როცა ადამიანი ყველაფერს ჭამს, მაგრამ წონაში არ იმატებს, ეს კარგია.

— თუ მოდიან თქვენთან ადამიანები, რომლებიც გულს უჩივიან?

— ძალიან ბევრი კარდიოლოგი მიგზავნის პაციენტებს: ჭარბი წონა, პირველ რიგში, გულის დაავადებებს იწვევს, თუმცა, ასეთი პაციენტების დიდი ნაწილი ამბობს: ერთადერთი სიამოვნება, რაც გვაქვს, — ჭამაა და როგორ მოვიკლოთო?!. როცა პაციენტთან ვმუშაობ, აუცილებელია, მოვუძებნო მას „სუსტი წერტილი“ — ვთქვათ, ვუთხრა: მე არ მჯერა, რომ თქვენ დაიკლებთ... ამის საპასუხოდ, პაციენტები სიამაყით მიცხადებენ: ექიმო, თქვენ არ გჯეროდათ, მაგრამ მე თორმეტი კგ დავიკელიო. საერთოდ კი, ქალები უფრო მონდომებულები არიან, სამაგიეროდ, მამაკაცი უფრო იოლად იკლებს, ვიდრე ქალი.

— არის შემთხვევები, როცა ჭარბწონიანი ადამიანები ცდილობენ სხვადასხვაგვარი ოპერაციით წონის დაკლებას. ეს რამდენად გამართლებულია?

— მთელ მსოფლიოში კეთდება ასეთი ოპერაციები. მაგრამ ამის შემდეგ, პაციენტმა შესაბამისი დიეტის დაცვას უნდა მიჰყოს ხელი, თორემ ისევ მოიმატებს წონაში. თუმცა, ოპერაციას უმეტესად, ის პაციენტები იკეთებენ, რომლებსაც დიეტის დაცვა არ შეუძლიათ.

— როგორი მდგომარეობაა, ჭარბწონიანობის თვალსაზრისით ბავშვებში და როგორ უნდა განისაზღვროს მათთვის ოპტიმალური კვება?

— დაბადებიდან მშობელმა ბავშვი უნდა მიაჩვიოს სწორ კვებას. ამისთვის საჭიროა პედიატრის კონსულტაცია. ბავშვებმა უნდა იარონ ცურვაზე, ჩოგბურთზე, ცეკვებზე. შოკოლადი და „პეჩენია“ საშინელებაა. ბავშვის რაციონში შოკოლადი მოხარშული თევზით, ხილითა და ბოსტნეულით უნდა შევცვალოთ.

— რამდენად გამართლებულია, უექიმოდ შეარჩიო ან შეადგინო დიეტა?

— ბევრი ადამიანი თვითნებურად ირჩევს დიეტას. ეს არ შეიძლება. ჩემი პაციენტებიც გადასცემენ ხოლმე ჩემს დიეტებს თავიანთ ნაცნობებს. ეს იმდენად საშიში არ არის, რადგანაც ისინი უხსნიან, რა უნდა მიიღონ დამატებით დიეტასთან ერთად. მაგრამ, როცა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოწერილ დიეტას იცავენ, უკვე საგანგაშოა. ყოველთვის სჯობს, ექიმს მივმართოთ, თანაც — დროულად: ათი კილოგრამის დაკლება გაცილებით იოლია, ვიდრე 50-60 კილოგრამისა. ■

ფრაზა გენიალური

ცხოვრება ის არის, რაც გვემართება იმ დროს, როდესაც გეგმებს ვსახავთ.

ჯონ ლენონი

ლიანა ჭანკოტაძე

„ჩემი თეთრი კაბა რომ გაფრიალდა და მის ჩოხის კალთას შეეკრა, განზე გადგა...“

მაგიდაზე გაცრეცილი სამკუთხა ბარათები და ფოტოსურათები აწყვია. უზარმაზარ სევდასა და უსაზღვროდ დიდ ტკივილს აღძრავს გაყვითლებული ფურცლები, რადგან ის ერთი სიყვარულის განუმეორებელ ამბავს გადმოგვცემს. ის ადამიანები, რომლებმაც შეძლეს, ერთმანეთი სამუდამოდ შეეყვარებინათ, დღეს ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ ცოცხლობს და აღტაცებას იწვევს ის გრძნობა, რომელიც დაუჯერებელი და, შესაძლოა, წარმოუდგენელიც კი მოგვეჩვენოს...

ლიმონკა მთელ რაჭაში სასურველ საცოლედ ითვლებოდა

სიკვდილის წინ, ოთხმოცდაორი წლის ქალს თურმე თავისი შეყვარებული მოენატრა, მკერდზე ხელები დაიწყო და ღაწვები შეუფაკლდა იმის წარმოდგენით, რომ იმქვეყნად მიემგზავრებოდა, სადაც ის დახვდებოდა, ვინც მის სიცოცხლეს აზრი მისცა... გარდაცვალების შემდეგ, ახლობლებმა საოცარი რამ ნახეს: მიცვალებულს თხელი თავსაბურავით ჰქონდა მკერდი შეკრული, რათა გულზე დაფენილი სამკუთხა ბარათები არ დაჰფანტვოდა. სამოცი წლის წინ დაღუპული შეყვარებულის სამახსოვროდ დარჩენილი წერილები მკერდიდან ააცალეს და ახლა ის წერილები ჩემ წინ, მაგიდაზე აწყვია.

მართლაც გასაოცარია! – ოთხმოცდაორი წლის ქალი, ისევ თხუთმეტი წლის გოგონასავით უსაზღვროდ შეყვარებული იყო და ამ გრძნობით განმსჭვალულმა დატოვა წუთისოფელი...

წლების წინ, როცა ლიმონკას თვალებში ბავშვურ ოცნებათა ათინათი კიაფობდა, მოულოდნელად ტრაგედია დატრიალდა. მას და დედამისს მუცლის ტიფი შეეყარათ. ორივენი სიკვდილის პირას იყვნენ მისულნი. ლიმონკას მამა, სერგო მაისურაძე იმ დროს ბაქოში მუშაობდა. როგორც კი აუწყეს – შენი ცოლ-შვილი სიკვდილის პირას არისო, ყველაფერი მიატოვა და სოფელში დაბრუნდა. მუცლის ტიფი მასაც შეეყარა. საშინელი სიკვდილით გარდაიცვალა, მისი ცოლ-შვილი კი, გადარჩა და გამოჯანმრთელდა.

ლიმონკას დედა, ყავლაშვილის ქალი ყოფილა, რაჭაში თითქმის ყველაზე ლამაზ ქალად ითვლებოდა. მამამთილს უთქვამს მისთვის: ოჯახისა და შენი სახელის შერცხვენას, სჯობს გათხოვდე, – ლამაზ ქალს გვერდით პატრონი სჭირდებაო. დარიკო ზვარეთში გათხოვილა. ხუთი წლის ობოლი ლიმონკაც თან წაუყვანია, მაგრამ ბაბუამ ის მალევე დაებრუნებინა მამისეულ სახლში. გოგონას მამინაცვალთან ცხოვრებას, ბაბუის ოჯახში ყოფნა ერჩივნა. ასე გაიზარდა ლიმონკა ობლობაში, მშობლების სიყვარულს მოკლებული... შემდეგ მის ცხოვრებაში სიახლე შემოიჭრა. გოგონაზე თვალი ბევრს რჩებოდა, ბევრი ეარშიყებოდა შორიდან, სამუდამო სიყვარულსაც ჰპირდებოდნენ, მაგრამ ლიმონკას გული უკვე სულ სხვას ეკუთვნოდა – მას სოფლის რჩეული, სერგო ჯოხაძე შეჰყვარებოდა. სერგოს ვაჟკაცობაზე იმხანად ბევრს ლაპარაკობდნენ. სასურველი სასიძო იყო. გოგონები მის დანახვაზე წითლდებოდნენ. სერგოს გული კი, ლიმონკას ეკუთვნოდა. ზუსტად არც ერთმა არ იცოდა, როდის მოვიდა სიყვარული. თვრამეტი წლისებს ეგონათ, რომ ერთმანეთი მთელი ცხოვრება უყვარდათ და ამ ქვეყანას ერთმანეთისთვის მოევლინნენ. თავის დღიურში ლიმონკა წერდა:

ლიმონკი მაისურაძე

„ვინ იცის, ბედი როგორ მახეს დამიგებს... შევძლებ კი მის კერაზე დავფრთიანდე?!

ღამეა, ცივა. ჩემი გული და სული კი იწვის იმ ცეცხლით, რომელსაც ვერაფერი გაანელებს, ნაკვერჩხლად და ფერფლად აქცევს...“ (19/II 1939 წელი).

სოფელში არავინ იცოდა ლიმონკასა და სერგოს გამიჯნურების ამბავი. ახალგაზრდები სიყვარულს გულში საიდუმლოდ ინახავდნენ... სერგო რომ ცხენით ჩამოივლიდა, ლიმონკა მისი ცხენის ფლოქვებიდან ავარდნილ მტვერს გაუღიმებდა და გულში იტყოდა: „შენი ვარ... გენაცვალე...“ ამაყი იყო ლიმონკა, მუდამ თავაწეული დადიოდა. სერგოს წინ თავს არ დახრიდა, არ გაწითლდებოდა. მხოლოდ იშვიათად, თუ წყაროსთან, საცალფეხო ბილიკზე ერთმანეთს შეეყრებოდნენ, ორივეს სუნთქვა ეკვროდა, გული გამალებით უცემდა. ასეთ დროს, სერგო ყურში წასჩურჩულებდა: „ჩემი ხარ, გენაცვალე...“ ასეთი იყო მათი სიყვარული.

სეგგო ჯოხაძე (შუაში) მეგობრებთან ერთად

არავის შეეძლო ეფიქრა, რომ ლიმონკასა და სერგოს ერთმანეთისთვის საუკუნო ერთგულების ფიცი ჰქონდათ მიცემული. და მხოლოდ ლიმონკას გარდაცვალების შემდეგ, მისი წერილებითა და დღიურებით გახდა შესაძლებელი ამ ლამაზი საიდუმლოს გამჟღავნება.

„თუ ჩვენს სიყვარულს ხორცშესხმა არ უწერია, მე მაინც ბედნიერი ვიქნები. მე მის თვალებში დავინახე საუკუნო ერთგულება... ვუყვარვარ...

დიდი კაკლის ძირას შევეყარეთ ერთმანეთს. მე ვკანკალებდი. ჩემი სიმტკიცე გამქრალიყო. ისიც თავდახრილი იდგა, თითქოს ვაჟკაცობის ნატამალიც არ ეტყობოდა, მაგრამ ჩემი თეთრი კაბა რომ გაფრიალდა და მის ჩოხის კალთას მიეკრა, განზე გადგა. თვალიც ამარიდა. მისი მზერა როდი დააკვდა ჩემს წვივებს...

ხვალ ჯარში მივდივარ და შენი იმედი მაქვსო, — მითხრა. ჩემი იმედი საუკუნოდ გაცოცხლებს-მეთქი, — ვუპასუხე. მერე წავიდა. მოტრიალდა და თქვა: შენი თვალების სიმორცხვე მინდა დავიმახსოვროო...

ახლა უკვე სოფელში მარტო დავრჩი. ჩემი გულის სწორი შორსაა. მას მხოლოდ ჩემი სიყვარული და ჩემი ფიქრი მისწვდება, თვალი ვეღარ მოძებნის... გულისფანცქალით ველოდები მისგან წერილს.

1939 წ.“

წერილმაც არ დააყოვნა... ერთ წერილს მეორე მოჰყვა...

„სალამი, ჩემო, ჩემო ძვირფასო.

ჩვენი პოლკი სტანისლავსკში მივყავართ, იქიდან სად წაგვიყვანენ, არ ვიცი. სტანისლავსკში 30-ე სატანკო, მზვერავი ნაწილია. ტანკში ოთხ-ოთხი ვართ. „წამყვანი“, „პულიმიოტის“ მსროლელი, „პუშკის“ მსროლელი და რადისტი. რომ მწერ, ნოემბერში აქ თუ იქნებიო, ეს საეჭვოა, ჩვენი საგარეო მდგომარეობის გამო. ვფიქრობ, ომი გვიახლოვდება. მე მგონი, მსოფლიოს „გაწითლებას“ უპირებენ...

ისე, თავსაც ვირთობთ ხოლმე. კონცერტებს ვატარებთ. ქართველებმა „ფერხული“, „მაღლა მთას მოდგა“ და „სულიკო“ ვიმღერეთ. ძალიან მოეწონათ, მაგრამ „მადაური“ ცეკვა და „მადაური“ გარმონის ხმა სულ სხვაა...

გავიგე, ბიჭებს შეყვარებულები გათხოვებიათ. დაგვიბრიყვეს, არა? გვაცალეთ, ჩამოვალთ...

ნახვამდის, ჩემო ყველავ. გეფერებით ყველას.

ს. ჯოხაძე. 1940 წ.“

„ომი დაიწყო. თითქოს ჰაერშიც სიკვდილის სუნი ტრიალებს. ომმა შეწყნარება არ იცის. ვინ იცის, ვის კართან ჩამოდგება სიკვდილი...

არ მეშინია. ის ვაჟკაცია... ის ომის კლანჭებს დაუსხლტება, დამიბრუნდება. თუნდაც ხელი დაკარგოს, თუნდაც ფეხი... ორივე ფეხი... ორივე ხელი, ოღონდაც ვნახო, ოღონდ მისი სიახლოვე ვიგრძნო... ოღონდ მის კერაზე დავფრთიანდე.

სოფელი დაცარიელდა, კაცები წავიდნენ. ქალებს ლოდინით თვალები ამოულამდათ... ეხ, ნეტავ ვინმესთვის გამანდობინა ჩემი გულის წუხილი...

დღეს სოფელში უბედურების ზარმა დარეკა. ომმა სულ ახალგაზრდა კაცი იმსხვერპლა... დიდი ტირილია...

ლიმონკა, 1941 წ.“

„ჩემო ლიმო, როგორ ხარ? გისურვებ ჯანმრთელობას. ბედნიერად გევლოს იმ გზაზე, საითაც შენი მიზნებია დასახულ-მიმართული. ღმერთს გამარჯვებით ეტარებინე. ბოლოს გეთქვას, ტყუილად არ ვყოფილვარ ამქვეყნად მოვლენილიო. მენატრებით. ჩემი მთები, ჩანჩქერი, ჩემი ბორჯანა მენატრება...

ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, არა მიშავს. რა გეგმები მქონდა შემოდგომისთვის? ეს რა გვიყვეს ძაღლმა გიტლერმა და...

არ ვიცი, აქ რამდენ ხანს დავრჩებით. როცა შეტევაა, გული ისე მიიწევს საბრძოლველად, თითქოს „კამპანიაში“ მივდიოდე. რომ იცოდე, როგორი ხოში აქვს იმ დროს კაცს, როცა შენს მიწაზე უცხო დამპყრობელია შემოჭრილი... იცოცხლე, იგემეს ჩვენი გემო, ჩემი ტანკის „გუსინიცებმა“ ისე დაზილეს, როგორც საკრამიტე თიხა. ჯავრი მაინც ვერ ვიყარე. მიყვარხარ და ძალიან მინდა შენი ნახვა, მაგრამ ან სიკვდილი ან გამარჯვება! სიკვდილი სჯობია მონობას. ჯერ სამშობლო, მშობლები და მეგობრები, შემდეგ — პირადი გეგმები. იწერები, დაულაგებელი წერილიაო. ბოდიში, ძვირფასო. არაფერი რიგზე არაა, ჩემი ნერვებიც დაულაგებელია და წერილიც. ასეთია მდგომარეობა და მომეტევება ალბათ.

ნახვამდის, სადაც არ უნდა ვიყო, წერილს მოგწერ.



ლიმონკი მაისურაძე თანასოფლელებთან ერთად

ლიმონკი მაისურაძე

სერგო ჯოხაძე, 1942 წ.“

„ჩემო ლიმო, როგორ ხარ? მოკითხვა ყველას, გოგოებს და ბიჭებს. ომი მძვინვარებს. ნუ გეშინიათ, იმედიანად იყავით. მე დავბრუნდები, მშობლიური ნაქერალა და შენი ღიმილი დამაბრუნებს...

... ეხ, რა ვქნათ, ომი ომია და ბედი სად დაგვიგებს მახეს მტრის ხელით, არ ვიცით. ბევრი შეცდომა შეიძლება ეპატიოთ ჭკუამოკლეთ, მაგრამ ეს ომი დიდი შეცდომაა ღმერთის წინაშე... თქვენ ნუ შეშინდებით, იმხიარულეთ და იქეიფეთ. გარმონი მაგრად გაჭიმეთ. თუმცა, ჩვენ ვერ გავიგონებთ, მაგრამ რომ მოგვწერ, გაგვეხარდება. ერთი თქვენებური ნამღერი „სულიკო“, „მოხევური“, „ლალე“ და „რუსული პესნა“ გამაგონა.

ჩემო ლიმო, ომი დამთავრდება. ტკივილები გაყუჩდება. ჩემი და თქვენი ოცნებები ახდება.

სერგო ჯოხაძე, 1942 წ.“

ომიც დამთავრდა და ბევრი ოცნებაც ახდა, მაგრამ ყველაფერი გადაფარა შინმოუსვლელთა ოჯახების მოუშუშებელმა ტკივილმა... ომში წასულებიდან უმეტესობა სოფელში ვეღარ დაბრუნდა, მათ შორის — სერგო ჯოხაძეც...

ლიმონკასთვის არავის უჩვენებია სერგოს დაღუპვის ცნობა, რომელიც სავარაუდოდ, 1943-44 წლებში მოვიდა სოფელში. ტირილის ხმა რომ გაისმა ჯოხაძეების ეზოდან, ერდოზე მამალი დაიკლა, ლიმონკა მიხვდა: მისი სიყვარული ომმა შეიწირა...

სოფელში არავის გაუგია, როგორ გლოვობდა, როგორ დასტიროდა მას, ვისთვისაც უნდოდა ეცოცხლა. მის თვალზე ცრემლი არავის დაუნახავს, გულში კი, ისედაც არავის ჩაახედებდა...

მერე სოფელში სამკითხველო გახსნა... ზედ დაჰფოფინებდა ყოველ წიგნს, ყოველ გაზეთს. შრომისთვის უამრავი ჯილდო მიიღო, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება მიანიჭეს... მთელ რაჭაში სასურველ საცოლედ ითვლებოდა. ბევრი ნატრობდა მის ქმრობას. შიგნიდან რომ ძაძას ჩაიცვამდა, გარედან წითელი კაბით შეიმოსებოდა — ძაძებს მალავდა. არავის გამოუტყდა, არავის გაუზიარა ტკივილი. ბოლოს, ყველა შეეგუა იმ აზრს, რომ ლიმონკა არავის გაჰყვებოდა ცოლად, რადგან ძალიან წუნია იყო, თავისი ტოლი და სწორი არავინ ეგულებოდა...

გავიდა წლები, ათწლეულები და ბოლოს, სრულიად მარტო აღმოჩნდა.

რაჭა რომ მიწისძვრამ დაანგრია, ლიმონკას სახლიც მიწასთან გაუსწორებია. მხოლოდ ნივთები, წერილები და დღიურები გადარჩა. ლიმონკამ სერგოს ნათესავებისგან ის სახლი დაიქირავა, რომელშიც ოდესღაც სერგო ცხოვრობდა... სიბერეში მაინც დაეპატრონა თავისი გულის სწორის კარ-მიდამოს. ამ სახლში გარდაიცვალა კიდეც. ამ სახლიდან გაასვენეს...

მისი წერილები, სამკუთხა ბარათები და ფოტოსურათები პატარა სკივრში ეწყო. იქვე იდო გაყვითლებულ ფურცელზე დაწერილი ლექსიც:

დაეშვა ფარდა და არასდროს ის
არ აიწევს...
დაიწვა გული, მაგრამ მინდა
უფრო დაიწვეს.
ჩემთვის მზე უკვე ჩაესვენა, აღარ
ანათებს,
ალბათ, სხვაც ბევრი შესწირვია ასეთ
ბარათებს...

(ავტორი უცნობია)

P.S. ალექსანდრე დიუმა „მარგარიტა გოტიეში“ წერს: „ალბათ დაბადებამდე დიდი ცოდვები ჩავიდინეთ ან სიკვდილის შემდეგ დიდ ნეტარებას განვიცდით, რაკი უფალი ღმერთი გვაიძულებს, ამ ცხოვრებაში მონანიების ყველა ტანჯვა და განსაცდელის მთელი ვაება ვიგემოთ“...

ამ ლამაზი წყვილის ბედზეც იგივე შეიძლება ითქვას. ორივემ ცალ-ცალკე, ბევრი გაჭირვება და უბედურება გადაიტანა. მათი სიყვარული მათსავით ამაყი და უძლეველი აღმოჩნდა. ■

ადამიანის ფიქრები

თუ შეგიძლიათ, ნურავის ემტერებით.

არტურ შოპენჰაუერი

ერთსა და იმავე ხეს ხედავენ სულელი და ჭკვიანი, მაგრამ სულელს ერთნაირი ეჩვენება, ჭკვიანს სხვანაირი.

უილიამ ბლეიკი

ხალხი წინ მიდის, სწავლობს, იზრდება,
ცოდნის ნაკადი მოდის ზვირთებად...
განა შუღლი და შურისძიება —
გვმართებს მშვიდობის გზების ძიება.

ეჟენ პოტიე

მეშურნეები კვდებიან, შური კი უკვდავია.

მოლიერი

დავა შეიძლება მასთან, ვისაც არ ეთანხმები და თანაც, ვისიც კარგად გესმის.

ვისარიონ ბელინსკი

ცოდნას ყოველთვის წინ უსწრებს ვარაუდი.

ალექსანდრ ჰუმბოლდტი

კარგად მოსმენა, კარგად მიგება —
ორი ძვირფასი გახლავთ ღირსება.

ფრანგული ანდაზა

ავს კაცს ყოველი კაცი თავისი მსგავსი ჰგონია.

სულხან-საბა ორბელიანი

შიშზე საშინელი არაფერია.

ფრენსის ბეკონი

ეოკრაპის ეევფლეღვეი ს

ადამიანს თურმე საწოლის გარეშე გაძლება მშვენივრად შეუძლია – იაპონელები ხომ იატაკზე გაშლილ ლეიბებზე იძინებენ, ჯარადის გარეშეც ცხოვრობს ხალხი – ამ მიზნით ბებიის ნაქონი სკივრიც გამოდგება. შეიძლება მაგიდის გარეშეც იარსებოს თანამედროვე ადამიანმა, მაგრამ სკამზე იგი უარს ვერ იტყვის.

ითვლება, რომ სკამი დაახლოებით 4,5 ათასი წლის წინ ეგვიპტელებმა გამოიგონეს. 700 წლის მანძილზე ძველ ეგვიპტეში სკამი მხოლოდ ქურუმთა ვიწრო წრისთვის და ფარაონის ოჯახის ზოგიერთი წევრისთვის იყო ხელმისაწვდომი. ეგვიპტელთა მიერ შექმნილმა სკამის პირველმა ეგზემპლარებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბერძნებზე, რომლებმაც საბერძნეთიდან აფრიკამდე ზღვა გადაცურეს. კომფორტის მოყვარულმა ბერძნებმა ოდნავ შეცვალეს ეგვიპტელთა სკამის სწორი საზურგე, დასაჯდომი და მას თითქმის თანამედროვე იერი მისცეს. ხუთი-ათი საუკუნის შემდეგ სკამმა მყარად მოიკიდა ფეხი ხმელთაშუა ზღვისპირეთის მცხოვრებლებს შორის, მაგრამ შუა საუკუნეებშიც კი, ის კვლავ ფუფუნების საგნად ითვლებოდა და მხოლოდ შეძლებულთა ინტერიერს ამშვენებდა. ჩვეულებრივი ხის სკამიც კი, რომელსაც არც სპილოს ძვლის ინკრუსტაცია ჰქონდა და არც ოქროს ვარაყი, სახლში განძად ითვლებოდა და ოჯახის პრესტიჟს განსაზღვრავდა.

XX საუკუნის 20-იანი წლების დიზაინერები სკამის გამარტივების გზას დაადგნენ



სკამი მამიდან ვაჟიშვილს გადაეცემოდა და ნებისმიერი წარმომავლობის ქალიშვილის მზითევში ღირსეულ ადგილს იკავებდა.

სკამზე მჯდომის კომფორტზე იმ დროს არავინ ზრუნავდა. სკამებს გერბებით, ჩუქურთმებითა და გირლანდებით ისე რთავდნენ, რომ მასზე სწორი ზედაპირი თითქმის არ რჩებოდა.

სკამების მასობრივი დამზადება ავეჯის მწარმოებლებმა მხოლოდ გასულ საუკუნეში დაიწყეს, რადგან კუს ბაკნით ინკრუსტრირებულ და ფარჩით გაწყობილ სკამებზე ხელი ბევრს არ მიუწვდებოდა. ასე გაჩნდა სკამის პირველი გამარტივებული მოდელი.

„სკამის წარმოების საქმისადმი“ ახალი მიდგომის ნათელი მაგალითი ფრანგმა არქიტექტორმა, ლე კორბუზიემ გვიჩვენა. მან მეოცე საუკუნის დასაწყისში სრულად შეცვალა ხალხის წარმოდგენა ტრადიციულ სახლებზე. არქიტექტორი პარიზის დანგრევასა და ახალი ქალაქის აშენებაზე ოცნებობდა. კორბუზიემ შექმნა სკამ-სავარძელი „მოდელი №9“. ავტორის აზრით, მის ქმნილებაში ფუნქციურობა და უბრალოება იყო თავმოყრილი – სკამი მხოლოდ კარკასისგან და დაწნული დასაჯდომისგან შედგებოდა.

სკამის ნაისახეობათა შექმნის იდეები არასოდეს აძლევდა მოსვენებას ავეჯის ხელოსნებს, რომლებიც ამ მარტივი საგნისგან მუდამ რაღაც უჩვეულოს შექმნას ცდილობდნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით ინგლისელები გამოირჩეოდნენ. მათ სცადეს შეექმნათ ბერბიჭებისთვის განკუთვნილი სკამი, რომლის საზურგეც საკიდს ჰგავდა და მასზე ადვილად თავსდებოდა პიჯაკი, ხოლო დასაჯდომი ზემოთ იკეცებოდა და მასზე შარვლის დაკიდება ისე შეიძლებოდა, რომ იგი არ დაჭმუჭნილიყო. ცალკე იქმნებოდა

სკამები ავეჯის დიზაინერთა შემოქმედებითი წვის მუდმივი წყაროა. 90-იანი წლების პროდუქციის ნიმუშები



კუნძულ კუბას აკრავს ... ზღვა	ქონდრისკაცი სკანდინავიურ მითოლოგიაში	ჩოგბურთელი ... სელეში	გეომეტრიის ნაწილებია: სტერეომეტრია, ...	ბაღის მომვლელი	
ესპანელი	ღიმილიანი	ამერიკელი	ეკონომიკა	ამეგავლენი	
შენობის შესასვლელის დახახური	პატარა რესტორანი საფრანგეთში	ციტრუსი	ლენინის მკვლელი ქალი	100 სმ.	ერთუჯრედიანი „ცრუ ფეხით“	პატარა მდინარ

სკამი

სპეციალური სკამები კითხვისა და წერის მოყვარულთათვის.

20-იანი წლების დიზაინერთა წარმოსახვაში სკამი ინტერიერის იდეალური საგანი იყო – მოხერხებული, მარტივი და გამძლე. სწორედ იმ დროს შეიქმნა უახლესი ნივთი, რომელსაც ყოფიდან მასიური, მოჩუქურთმებული ფეხებით დამშვენებული ძველებური სკამი უნდა გაეძევებინა.

სკამის „ოქროს ხანა“ XX საუკუნის 50-იან, 60-იან წლებს დაემთხვა. იტალიასა და ფინეთში გაჩნდა სკამი-ტიტა, სკამი-ფარშავანგი, სკამი-ჯოკერი და სკამი-ზიგზაგიც კი. დასახელებები სკამის ფორმას მართლაც შეესაბამებოდა, მაგრამ ეს ეგზემპლარები მასობრივ წარმოებაში მაინც არ მოხვდა.

50-იან წლებში, ავეჯის მწარმოებლებს „ჩუმი რევოლუციის“ გადატანა მაშინ მოუხდათ, როცა რკინისფეხებიანი პლასტმასის სკამები გაჩნდა. ისინი მშვენივრად თავსდებოდა ერთმანეთზე და ეს, ადგილის ეკონომიას იძლეოდა. მასობრივმა წარმოებამ ეს „უწყინარი“ სკამები მონსტრებად აქცია – მათ სადგურები, კაფეები, სკოლები და ქარხნის სასადილოები წალეკეს.

მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ყველაზე კარგად, არა პლასტმასის, არამედ ყველასათვის კარგად ნაცნობი ვენური სკამი იყიდებოდა. იგი ნატიფი და მსუბუქია და დემოკრატიული სტილით გამოირჩევა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ვენურ სკამებზე მოკალათებულნი იყვნენ ჰერცოგები, ბანკირები, პრემიერ-მინისტრები, სტუდენტები, მხატვრები და სრულიად უბრალო მოკვდავნი. ვენური სკამი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გენიალურობა სიმარტივეშია. სწორედ იმ დროს გამოიგონეს დაგრეხით ხისთვის ნებისმიერი ფორმის მიცემის ხერხი.

დაგრეხილი ხისგან შექმნილი ავეჯი სახელოსნოდან პირველად 1859 წელს გამოვიდა, XX საუკუნის დასაწყისში კი 40 მლნ ამგვარი სკამი გაიყიდა, რაც იმ დროისთვის საუცხოო კომერციული შედეგი იყო.

თანამედროვე სკამს ბევრ მოთხოვნას უყენებენ. განსაკუთრებით მაშინ, თუ სამუშაო სკამზე ადამიანს დღეში ექვსი-რვა საათის გატარება უწევს. XX საუკუნის ბოლოს, დიზაინერებმა საქმეში ახალი მეცნიერების მონაცემების გამოყენება დაიწყეს. ერგონომიკა არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ როგორ რეაგირებს ადამიანის სხეული სხვადასხვა მდგომარეობაზე. დღეს დიზაინერების ამოცანა ბევრად უფრო რთულია: თანამედროვე სკამმა ადამიანს ზურგსა და ფეხებზე ზედმეტი დატვირთვა არ უნდა მისცეს. სკამის ამგვარად გათვლილი მოდელები მართლაც არსებობს. მაგალითად, ცნობილი პოპ-ვარსკვლავი მადონა ფილმ „ევიტას“ გადაღების დროს, სწორედ ასეთ მოხერხებულ სკამს მოითხოვდა, თანაც, არასოდეს ავიწყდებოდა, რომ ნებისმიერი, თუნდაც ფანტასტიკური შესაძლებლობების მქონე სკამი მაინც რჩება მოძრაობის შემზღუდველ საგნად. ამიტომ, გაითვალისწინეთ, რომ რაც შეიძლება ხშირად უნდა წამოდგეთ ხოლმე: ყოველ საათში ერთხელ, ხუთწუთიანი მოძრაობა, ორგანიზმში სისხლის ნორმალური მიმოქცევის შესანარჩუნებლად სავსებით საკმარისია.



ეგვიპტური სამეფო ტახტი – სკამების წინაპარი, დღესდღეობით ლუვრის საგანძურს ამკობს

ინგლისელთა აზრით, ერთადერთი სკამი, რომელიც შემოსასვლელს ამკობს, მრავალფუნქციური უნდა იყოს, მაგალითად საკიდარიც...



სკამი-ჯოკერი – ინტერიერის მრავალფეროვნების დამატებითი დეტალი

■

ხალი	პატარა მოთხრობა	ГПИ-ს ქართ. აბრევიატურა	ფიცარნაგი კრიფში შეჯიბრებისათვის	„ქვის სტუმარი“. პერსონაჟი დონ ...	სხვისი ... ღობეს ჩხირი	მგზარეული
ალკოჰოლური სასმელი	მსახიობი ... კილმერი	გაცვევების საწინააღმდეგო საშუალება „...-უპსა“	აკაკი ხორავას ერთ-ერთი კინოროლი	უნარი, გენია	მოაჯირის ხის პატარა სვეტი	ეკლიანი ბალახი

სალომე შოშიტაშვილი

თბილისს ყარაჩოღელი უსდებოდა...

აი, კინტოსი კი, რა მოგახსენოთ!..

ყარაჩოღელი (იგივე ყარაჩოხელი, თურქ. „შავჩოხიანი“) განუყოფელი იყო ძველი თბილისისთვის. ეს დარდიმანდი, ახოვანი, გულდინჯი და ამავდროულად გულალალი რაინდი შეუდარებელი აკაკი ხორავას გმირია ფილმიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. ამ ფილმით ავქსენტი ცაგარელმა და მიხეილ ჭიაურელმა თითქოს ძეგლი აუგეს ძველთბილისურ კოლორიტულ ფიგურას, XX საუკუნის 20-იანმა წლებმა რომ თან წარიტანა.

ეს ყომარბაზი კინგოა...

ყარაჩოღელს შალის გრძელი ჩოხა ეცვა, რაღა თქმა უნდა, შავი და ორჩაქიანი. შიგნით — წითელი, გულამოჭრილი აბრეშუმის პერანგი და შავი სატინის ან ატლასის ახალუხი. შავი, შალისავე განიერ შარვალზე ვერცხლის გობაკიანი ქამარი ერტყა ბაღდადით და თავზეც ბუხრის ქუდი ეხურა. საშინაოდ ქოშები ეცვა, საგარეოდ — ყაფაღიანი წაღები. ვერცხლის ჩიბუხი და ქისა წეკოთი მუდამ თან ჰქონდა.

ყარაჩოღელი რომელიმე ამქრის წევრი იყო. ამქრობა კი — ხელოსანთა პროფესიული გაერთიანება გახლდათ (რა თქმა უნდა, კომუნისტების დროინდელი პროფკავშირისგან განსხვავებული).

ივანე ჯავახიშვილი ამქრობას VIII საუკუნეს უკავშირებს, როცა საქართველო არაბეთის სახალიფოს ემორჩილებოდა, ხოლო ამქრობას (როგორც სიტყვას, ასევე ამხანაგობას) სწორედ არაბების შემოტანილად მიიჩნევს ტფილისში — „ჰამქარ“ სპარსული სიტყვაა და თანამოსაქმეობას ნიშნავს.

იოსებ გრიშაშვილი ამქრობას ყარაჩოღელთა კულტად თვლიდა, როცა წერდა: „ამქრობა ბოჰემის ერთი იმ ნატეხთაგანია, ურომლისოდაც ძველი თბილისის დარღვეული სახე ვერ შეკოწიწდება“.

თბილისური ამქარი წარმოუდგენელია ყარაჩოღელის გარეშე, თავად ყარაჩოღელი კი — უვერცხლისქამროდ.

მოქეიფე და ყომარის მოყვარულ ყარაჩოღელს შეეძლო, ერთ დღეს დაეხარჯა მთელი წლის სარჩო, ერთ საათში წაეგო მთელი ქონება, მაგრამ ვერცხლის ქამარს ხელს არ ახლებდა. იგი ერთგვარი განძი იყო, რომლითაც შეიძლებოდა, დიდი პატივით დაემარხათ ყარაჩოღელი...

ყარაჩოღელები წამწამს გამოიძრობდნენ თურმე, ქვაზე დანაყავდნენ და ამით ეფიცებოდნენ ერთმანეთს ძმობას და ამ ძმობის ერთგულება ბოლომდე შეეძლოთ.

დუდუკებზე მომღერალი ყარაჩოღელები გულში ჩამწვდომ მუხამბაზებს მღეროდნენ ან ლექსად ამბობდნენ. თუნდაც ასე:

არ მიყვარს, არა, არ მიყვარს,
კაცი ორპირი, ცბიერი,
არ შევჭამ იმის პურს, არა,
გინდა ვკვდებოდე მშიერი...

ჰაზირა

რა ზამბაბი, რა ატლასი,
რა ზარი ვარ,
იცი, განა?

საიათნოვა

გამიფრინდა სიხარულის ფრინველი...

დავით ბატონიშვილი

მუხამბაზო,
უცხო, ტკბილი ხმა ხარო...

შამჩი მელქო

და, ბუნებრივია, მათ რეპერტუარს ამშვენებდა გრიგოლ ორბელიანის შეუდარებელი მუხამბაზი:

გინდ მეძინოს,
მაინც სულში მიზიხარ!
თვალს ავახელ,
ზედ წამწამზედ მიზიხარ!..

მოგვიანებით კი, აკაკი წერეთლის პოეტური ხიბლით გაჯერებული სიმღერაც ისმოდა:

რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
გეფიცები, ტურფავ, შეგიყვარდები!

შავჩოხიანი დარდიმანდები გამორჩეული სასმისებით გამორჩეულ საღღეგრძელოებს წარმოთქვამდნენ. ხან ვერცხლის თასებით და თიხის ფიალებით, ხან აზარფეშებით, ხან ყელმოგრეხილი ყარყარებით, ხან კიდევ ქაშანური ჯამებით ხოტბას ასხამდნენ რაინდობას, სიყვარულს, ერთმანეთის გატანას, თბილისქალაქს...

ყარაჩოღელთა ჯგუფი – 1903-1904 წლების ფოტო

აი, თუნდაც ასეთი ცნობილი სადღეგრძელოები:

„ეს იმ მთვარეს გაუმარჯოს, რომელიც ალალმართალ კაცს ბნელში მიმავალს გზას გაუნათებს და ბეწვის ხიდზე გაატარებს“;

„ეს იმ ორ მტრედს გაუმარჯოს, ხის ტოტზედ რომ სხედან და ნიავის დაქროლვას ელიან, ერთმანეთს რომ ჩაეხუტონ“;

„ეს იმ კაცს გაუმარჯოს, წყალში ჩავარდნილს რომ თან გადაჰყვება და ნაპირზე გამოიყვანს, თვითონ თუნდ მოკვდეს“;

„ეს იმ გულს გაუმარჯოს, თბილისქალაქის სიყვარულში რომ დაიბუგება“ და მრავალი სხვა.

დროდადრო დუდუკს საზანდარი და ზურნა შეენაცვლებოდა და მოქეიფე ყარაჩოღელებით სავსე იყო ორთაჭალის ბაღები, მტკვარზე მოცურავე ტივები, დუქნები და ორთაჭალის განთქმული აბანოები... მათი ხმები ავსებდა თბილისის ღამეს, რომელსაც ყარაჩოღელებისავე დილის საარი მოჰყვებოდა თავისი განუმეორებლობით.

ვინ იცის, რამდენჯერ უქეიფია ყარაჩოღელებთან ერთად ნიკალა ფიროსმანიშვილს, რამდენჯერ თავისი ნახატების გმირებად უქცევია დარდიმანდი თანამეინახენი...

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ყარაჩოღელი მარტოოდენ ლხენა-ქეიფისა და რაინდობის ქურუმი როდი იყო. იგი კარგი ხელოსნობითა და უბადლო ოსტატობითაც იწონებდა თავს. ამიტომაც ასე უხდებოდა, როცა ჯომარდს უწოდებდნენ. ეს სპარსულიდან მომდინარე სიტყვა, უღალატო კაცურ კაცს ნიშნავს, კარგ მომლხენს, კარგ ტოლუმბაშს და კარგ მოკრივესაც. კრივში ხომ ყარაჩოღელები პირველნი იყვნენ.

დღეს ძნელია ძველი თბილისის ქუჩებში ყარაჩოღელის ყაიდის კაცის მოძიება, თუმცა ზოგჯერ არც უამისობაა და თითქოს ცოცხლდება შავჩოხიანი დარდიმანდის ტკივილი:

ჩემს დარდებსა ვინ ინაღვლის,
ვინ არის?

ერთი სიტყვით, რაც ვიცოდი და არ ვიცოდი ყარაჩოღელებზე, ყველაფერი მოგითხრეთ. აი, კინტოს რაც შეეხება, სიმართლე გითხრათ, არ მინდოდა, მასზე დამეწერა... მაგრამ დღეს ბევრი ერთმანეთში რომ ურევს ყარაჩოღელს და კინტოს და უფრო მეტიც, ორივე ერთი და იგივე რომ ჰგონიათ, ამიტომ გადავწყვიტე, ორიოდე სიტყვით კინტოებზეც გესაუბროთ.

ჩიკორა კაცს უწოდებდა იოსებ გრიშაშვილი კინტოს. კინტოსთვის ვაჟკაცობა უცხო ხილი იყო და არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ მისთვის სახელიც შესაფერი შეურჩევიათ. კინტო კისრით, კინწით თაბახის მზიდველს ნიშნავს. კვინტი კიდევ, ძველებურად კუდიანებსაც რქმევიათ. ჰოდა, კაცს რომ კუდიანს დაუძახებენ, მისი კაცობა რა სახსენებელია.

„ყარაჩოღელების ხანაში“ თბილისში კინტოც მრავლად ყოფილა. კოპლებიანი ჩითის პერანგებით, შავი, ზედმეტად განიერი შარვლებით, ქეჩის ქუდებითა და უქუსლო ჩუსტებით, აბრეშუმის სარტყლებით და უბრალო ხელსახოცებით დადიოდნენ კინტოები, დაჰქონდათ თავზე შემოდგმული ათასგვარი წვრილმანი გასაყიდი. ერთი სული ჰქონდათ, ვინმე მოეტყუებინათ და ორგროშიანი მოგებისთვის არაფერს დაგიდევდნენ – მუშტარსაც უშვერი სიტყვებით გალანძღავდნენ, ცუდ საქონელსაც შეაპარებდნენ და ტყუილზე და მამაძაღლობაზე უკან არ დაიხევდნენ...

თუნდაც კინტოს სიმღერა:

არღანჩიკო, დაუკარ,
ფაეტონჩიკ, გარეკე!

ან კიდევ:

ხოჯივანქში მატურები რომ არი,
იქ ამოდი, ვითამაშოთ ყომარი...

იოსებ გრიშაშვილსაც მოვუსმინოთ, როგორი კონტრასტულია ყარაჩოღელის და კინტოს მისეული შეფასება:

„ყარაჩოღელი ხშირად თვით იგონებს ათასგვარ გასართობს, რომელიც მერე ადათებში გადადის.

კინტო კი სპობს ამ ადათებს. მისი გასართობია: ყომარი, ბილწსიტყვაობა, სოდომგომორის ცოდვა და ხელმრუშობა...“

მაგრამ ძველი თბილისის მეხოტბე ბოლომდე მაინც ვერ სწირავს ამ კოლორიტულ, თახსირ მეწვრილმანეს და ამბობს, რომ კინტო რუს ბოსიაკ-საც ჩამოჰგავს და პარიზულ აპაჩე-საც, თუმცა კი, იმათთან შედარებით, დიდი ბოროტების ჩადენა არ შეუძლიაო...

■

თენგიზ სულაქველიძე: შვედეთში ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს 100 წელი გავიდა...

რამდენიმე წლის წინ, 80-იანი წლების თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა, თენგიზ სულაქველიძემ თავისი სახელობის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო აკადემია დააარსა. დღეს ეს სპორტული დაწესებულება ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესშია, თუმცა, უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს ნორჩ ფეხბურთელთა შორის, მის ადგილმდებარეობას კი, დილმის მასივში მოძრავი ნებისმიერი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლი ან მგზავრი მიგასწავლით. აკადემიის ტერიტორიაზე შესულებს ნუ გაგიკვირდებათ, თუ ბატონი თენგიზი თავის სამუშაო კაბინეტში არ დაგხვდებათ და გარეთ, მეგობრებთან ერთად ფიზიკურად მუშაობს. 1981 წლის 13 მაისის დიდი გამარჯვების ერთ-ერთი თანაავტორი, დღესაც ისეთივე შრომისმოყვარეობითა და დისციპლინით გამოირჩევა, როგორიც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში თბილისის „დინამოში“ თამაშისას იყო და ამ მხრივ, საუკეთესო მაგალითს აძლევს თავის აღსაზრდელებს.

ალექსი რეხვიაშვილი

— ქუთაისში არის ერთი უბანი, რომელსაც ჯობა ჰქვია. იქ დავიბადე 1956 წლის 23 ივლისს. ამ უბანში არსებობს ნიჩბოსნობის ბაზა, სადაც 6-7 წლის ასაკიდან ვვარჯიშობდი. 11-12 წლის ასაკში კი, ფეხბურთზე დავიწყე სიარული. ვვარჯიშობდი ქუთაისის „ტორპედოსთან“ არსებულ ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „კოლხიდაში“, სადაც ჩემი მწვრთნელი მიშა ლოსაბერიძე იყო. ოთხი წელი მასთან დავდიოდი, შემდეგ ქუთაისის „ტორპედოს“ მოსამზადებელ ჯგუფში გადამიყვანეს, რომელსაც კარლო ხურციძე ხელმძღვანელობდა. 17 წლის ასაკში უკვე ქუთაისის „ტორპედოს“ შემადგენლობაში მოვხვდი. მაშინ გუნდს გიგა ნორაკიძე წვრთნიდა. „ტორპედოს“ რიგებში 5 სეზონი ვითამაშე. 1977-78 წლებში ნოდარ ახალკაცმა თბილისის „დინამოში“ გადმოიყვანა, სადაც 10 წელი ვითამაშე. ამ ხნის მანძილზე, გუნდთან ერთად მოვიგე საბჭოთა კავშირის თასი და ევროპის თასების მფლობელთა თასი. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში კი, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლისა და ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი გავხდი. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრებში რამაზ შენგელიასთან, ვიტალი დარასელიასა და ალექსანდრე ჩივაძესთან ერთად ვთამაშობდი. 1989 წელს „დინამოდან“ წავედი, თუმცა, ამის შემდეგ რამაზ შენგელიასთან ერთად, ერთი წლის განმავლობაში, შვედეთში, მეორე ლიგის გუნდის შემადგენლობაში გამოვდიოდი. სამშობლოში რომ დავბრუნდი, ნოდარ ახალკაცმა დამოუკიდებელი საქართველოს ახალშექმნილ ფეხბურთის ფედერაციაში მიმიწვია, სადაც 4 წლის განმავლობაში სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარედ ვმუშაობდი და ამ საქმის პარალელურად, „დინამოს“ საფეხბურთო სკოლაში 1986 წელს დაბადებულ ბავშვთა ჯგუფს ვავარჯიშებდი.

1999 წელს დავაარსე საფეხბურთო აკადემია, რომლის პრეზიდენტიც თავად გახლავართ. მას შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ მეგობრებთან ერთად, დღე და ღამე ვმუშაობ, რათა აკადემიის საფეხბურთო ბაზას ისეთი სახე მივცე, როგორიც მსურს. დიდად მადლობელი ვარ მეგობრებისა, რომლებიც ყოველთვის გვერდში მიდგანან. ადრე ჩვენთან იყო ოთარ გაბელიაც, რომელიც ამჟამად საფეხბურთო სკოლა „მერანში“ მუშაობს. თბილისის „დინამოს“ ძველი შემადგენლობიდან აქ მუშაობდა აგრეთვე მალხაზ არზიანიც. აკადემიაში მყავს ჯგუფები, რომელსაც თავად ვავარჯიშებ. ამჟამად კიდევ ერთი ჯგუფი ავიყვანე, რომელიც 1991-92 წლებში დაბადებული ბავშვებითაა დაკომპლექტებული. ისე, ბავშვებს 7 წლის ასაკიდან ვიღებთ და შეუძლიათ 18 წლამდე ჩვენთან ივარჯიშონ, თუ მანამდე არ გამოჩნდა რომელიმე გუნდი, რომელიც თავის შემადგენლობაში მისი გადაყვანის სურვილს გამოთქვამს.

— ამა თუ იმ გუნდის ხელმძღვანელობას თქვენ სთავაზობთ გამორჩეულ მოზარდ ფეხბურთელებს, თუ ისინი მოდიან და თვითონ არჩევენ?

— ვინმეს რომ გული არ დავწყვიტო და მიკერძოებაში არ ჩამეთვალოს, მე თვითონ ვეუბნები ხოლმე ამა თუ იმ გუნდის ხელმძღვანელობას — მოდით, ნახეთ და ვინც მოგეწონებათ, წაიყვანეთ-მეთქი.

— ნორჩი ფეხბურთელების წაყვანის შემთხვევაში, აკადემიას საფასურს უხდიან?

— ჯერ მიჰყავთ ბავშვი, შემდეგ ფორმდება ხელშეკრულება და იმ ფეხბურთელის სხვა გუნდში გაყიდვის შემთხვევაში, გარკვეულ კომპენსაციას აკადემიასაც უხდიან.

— დღეისათვის თუ თამაშობს თქვენი აკადემიის აღზრდილი, რომელიმე გუნდში?

— ჩემი აკადემიიდან რამდენიმე ფეხბურთელი უკვე თამაშობს თბილისის „დინამოს“ მეორე გუნდში, რამდენიმე — ქუთაისის „ტორპედომ“ წაიყვანა, აკადემიის ერთ-ერთი აღზრდილი კი, კიევის „დინამომ“ მიიწვია.

— თქვენს აკადემიაში მოზარდები მხოლოდ ფეხბურთს ეუფლებიან თუ აქ იმ საგნებსაც სწავლობენ, რომელსაც ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში ასწავლიან?

— აკადემიაში ბავშვები მხოლოდ ფეხბურთს ეუფლებიან, ისინი გაკვეთილების შემდეგ მოდიან ვარჯიშზე, გარდა ამისა, ჩვენ ვმონაწილეობთ ყველა იმ ტურნირში, რომელსაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ატარებს სხვადასხვა ასაკის ბავშვთა გუნდებისთვის.

— უკვე გაქვთ ამ მხრივ რაიმე მიღწევა?

— შარშან ჩემი აკადემიის გუნდმა, რომელიც 1985 წელს დაბადებული ბავშვებით იყო დაკომპლექტებული, გივი ჩოხელის თასი მოიგო. ეს უკვე დიდი მიღწევაა, რადგან აკადემიამ ფუნქციონირება მხოლოდ 2000-2001 წლის საფეხბურთო სეზონში დაიწყო.

— საქართველოს ფარგლებს გარეთ თუ ყოფილა ტურნირზე აკადემიის რომელიმე გუნდი?

— დღევანდელი გაჭირვება ჩვენც ხელს გვიშლის, რის გამოც, ჯერჯერობით, საზღვარგარეთ გასვლას ვერ ვახერხებთ.

— აკადემიას მთავრობა ან რაიმე კომერციული ფირმა ეხმარება თუ მხოლოდ ბავშვთა გადასახადებით ფუნქციონირებთ?

— ბავშვთა გადასახადი მიზერულია, ამით მხოლოდ მწვრთნელთა ხელფასებს ვარიგებთ და საგადასახადო სამსახურს ვისტუმრებთ. ყველანაირ სამუშაოს ძირითადად, მე თვითონ ვასრულებ და, რა თქმა უნდა, მეგობრებიც მეხმარებიან.

— ბევრი კონკურენტი ჰყავს თქვენს აკადემიას?

— ჩვენ გვერდით მდებარეობს საბავშვო-საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკი“. დღეს აგრეთვე ფუნქციონირებს საფეხბურთო სასწავლებლები: „შევარდენი“, „მერანი“, „ავაზა“, ცნობილი 35-ე სკოლა, „დინამო“. ადრე სულ 2-3 საფეხბურთო სკოლა არსებობდა, დღეს კი მათი რიცხვი საკმაოდ გაიზარდა და ამ სკოლებს შორის ჯანსაღი კონკურენციაა. ბავშვებიც იქ წავლენ, სადაც უკეთესი პირობები ექნებათ.

— თქვენს საფეხბურთო აკადემიაში, ამ მხრივ, როგორი მდგომარეობაა?

— იმის გათვალისწინებით, რომ ჩემი საფეხბურთო აკადემია სულ ახალი შექმნილია, ვფიქრობ, ამ ეტაპზე პირობები ნორმალურია. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ აქ ბავშვებისთვის უკვე იდეალური საწვრთნელი გარემო გვაქვს შექმნილი. აკადემიის ტერიტორიაზე მუშაობა ყოველდღიურად მიმდინარეობს. ორ კვირაში მოედანზე დაითესება ბალახი, მინდორი სექტემბერში უკვე მზად იქნება. მინდა აგრეთვე გავაკეთო წიდიანი მოედანი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ზამთრის პერიოდშიც აქტიურად ვივარჯიშოთ. საშხაპე უკვე აშენებულია და მონტაჟდება.

— როგორც პროფესიონალს, ბავშვთა ფეხბურთის მთავარ პრობლემად რა მიგაჩნიათ?

— მთავარ პრობლემად, ისევ და ისევ, პირობები რჩება. საქართველოს ყოველთვის ჰყავდა ნიჭიერი ბავშვები და ამ მხრივ, არც დღეს გვაქვს საქმე ცუდად. შეძლებისდაგვარად, ყველა ბავშვს ვეხმარებით, ვისაც მატერიალურად უჭირს: ვჩუქნით ბურთებს, ვუშვებთ სავარჯიშო შეკრებებზე. მე თვითონ გაჭირვებაში ვარ გაზრდილი და მინდა, მატერიალურად გაჭირვებულ ყველა ბავშვს დავეხმარო. მაგალითად, ჩემი მშობლებისთვის რომ ეთქვათ — თქვენი ბიჭის ვარჯიშისთვის საფასური გადაიხადეთო, ფეხბურთელი ვერ გავხდებოდი. ამიტომ, შეძლებისდაგვარად, ყველას ვეხმარები.

— ფეხბურთის სპეციალისტები ხშირად ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ საქართველოში ნიჭიერი, ნორჩი ფეხბურთელები, რომ იზრდებიან და რატომღაც მერე იკარგებიან. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

— ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ქართულ საფეხბურთო კლუბებს შორის არ არსებობს კონკურენცია. მაგალითად, საბჭოთა კავშირის დროს, ქვეყნის სხვა გუნდებთან თამაშისას, თბილისის „დინამოს“ დიდი კონკურენციის პირობებში უხდებოდა უპირატესობის დამტკიცება. ეს ფეხბურთელების ოსტატობის ამაღლებას დიდად უწყობდა ხელს. ამჟამად უფრო ძნელია ფეხბურთელის ოსტატობის დახვეწა, რადგან ქართულ კლუბებს სულ ერთმანეთთან უხდებათ თამაში.

— მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მრავლად არიან სხვადასხვა ცნობილ, უცხოურ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელები, გუნდი მაინც ვერ აღწევს საერთაშორისო სარბიელზე წარმატებებს. თქვენი აზრით, რა არის საქართველოს ნაკრების წარუმატებლობის მთავარი მიზეზი?

— არც ისე დიდი დროა გასული მას შემდეგ, რაც საქართველომ თავისუფლება მოიპოვა. ფეხბურთში კი, ასე უცებ წინსვლა არ ხდება. როდესაც ნაკრების დონეზე ინგლისის, გერმანიის ან სხვა რომელიმე დიდი საფეხბურთო ქვეყნის გუნდს ეთამაშები, დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ ექცევი. ამასთან ერთად, ისიც უნდა გვახსოვდეს, თუ რა სიტუაციაა, თავად ქვეყანაში — ეს ფეხბურთზეც აისახება. თუმცა, გარკვეული წინსვლა მაინც შეიმჩნევა. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ, მშობელი ბავშვს ვარჯიშზე მარტო ვერ გამოუშვებდა, დღეს კი, ეს გაცილებით უსაფრთხოა, რადგან ქუჩებში იარაღიანი ხალხი აღარ დათარეშობს. იმედი მაქვს, რომ ცხოვრების დონე ნელ-ნელა ამაღლდება და ყველაფერს ეშველება. როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება, აღმავლობა დაეტყობა საფეხბურთო სკოლებსაც, გუნდებსაც და ნაკრებსაც. 2-3 წელიწადში საქართველოს ნაკრები თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის. ჩვენს გუნდში ისეთი პლეადაა შეკრებილი, რომ შეუძლებელია მან თავისი კვალი არ დატოვოს ქართული ფეხბურთის განვითარებაში. არველაძე, დემეტრაძე, ყაველაშვილი, იაშვილი, კალაძე და სხვები ისეთი დონის ფეხბურთელები არიან, რომ თავიანთი თამაშით აუცილებლად შეიტანენ წვლილს ეროვნული ნაკრების წარმატებაში.

— თქვენი საფეხბურთო ბიოგრაფიიდან, ყველაზე მეტად რომელი მატჩი დაგამახსოვრდათ?

— ეს იყო ნახევარფინალური მატჩი „ფეიენოორდთან“. მაშინ ორი ბურთი გავიტანე და „დინამომ“ ფინალის საგზური მოიპოვა. „ფეიენოორდთან“ ორი ბურთის გატანა კი, არც ისე იოლი საქმეა და, ღვთის წყალობით, მე ეს მოვახერხე...

— თუ გყავდათ საყვარელი ფეხბურთელი, რომლის მიბაძვასაც ცდილობდით?

— მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, ასეთ ფეხბურთელად მურთაზ ხურცილავა რჩება. ჩემთვის იგი, როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნება, ყოველთვის მისაბაძი იყო. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ თბილისის „დინამოში“ გადმოსვლამდე, ქუთაისის „ტორპედოში“ ორი წლის განმავლობაში მის გვერდით ვთამაშობდი. დღემდე ის ჩემთვის ყველაზე დიდ ფეხბურთელია, მათ შორის, ვისაც კი ოდესმე „დინამოში“ უთამაშია.

— უცხოელი ოსტატებიდან თუ გყოლიათ კერპი?

— საქართველოს იმხელა ფეხბურთელები ჰყავდა, რომ მგონია, გარეთ არც უნდა გაიხედო...

— და მაინც, მსოფლიო მასშტაბით, რომელ ფეხბურთელს გამოყოფდით?

— საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში სამჯერ მაქვს ჩატარებული მატჩი არგენტინის ნაკრებთან, რომელშიც იმ პერიოდში მარადონა თამაშობდა. მარადონას მსგავსი ფეხბურთელი არავინ მინახავს.

— ახლოვდება მსოფლიო ჩემპიონატი. ვისი ქომაგი იქნებით იაპონია-კორეაში გამართულ მატჩებში და თქვენი აზრით, ვინ გახდება 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონი?

— ცუდად თამაშობს თუ კარგად, მე ყოველთვის გერმანიის ნაკრების გულშემატკივარი ვარ ხოლმე. რაც შეეხება იმას, თუ ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი, — უნდა გითხრათ, რომ პროგნოზების გამოთქმა არ მიყვარს.

— მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში ხართ ნამყოფი; რომელმა დატოვა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

— ისევ და ისევ, გერმანიამ. ეს არის ქვეყანა, სადაც ადამიანმა ყველაზე კარგად იცის საკუთარი შრომის ფასი. წუთი-წუთზე აქვთ ყველაფერი გათვლილი. იგივე შეიძლება ითქვას შვედეთზე. ამ ხალხმა შრომის ფასიც იცის, დასვენებისაც და დროს ტარებისაც. ამ მხრივ, ისინი მართლაც სამაგალითონი არიან.

— თქვენც ცდილობდით, რომ ცხოვრების წესითა და დისციპლინით მათთვის მიგებაძათ?

— რა თქმა უნდა. ცხოვრებაში ვარჯიშზე არ დამიგვიანია. საათით, საათ-ნახევრით ადრე მივდიოდი საწავრთნელ ბაზაზე. არ შეიძლება ბაზაზე მიხვიდე, გამოიცვალო და მაშინვე ვარჯიში დაიწყო: როდესაც იქ მიხვალ, ცოტა ხანს უნდა შეისვენო და ამის შემდეგ შეუდგე ვარჯიშს, რომ შეგერგოს. ამ მხრივ, გერმანელებს ძალიან ვგავარ.

— თბილისის „დინამოში“ თამაშის დროს, სხვა გუნდებიდან თუ გქონდათ მიწვევა?

— მქონია მიწვევა ბრემენის „ვერდერიდან“, მოსკოვის „სპარტაკიდან“, კიევის „დინამოდან“, მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი საქართველოდან წასვლაზე — სხვაგან ცხოვრება არ შემიძლია. შვედეთში ერთი წელი ძლივს გავძელი. როდესაც საქართველოში დიდი არეულობა იყო, მაშინაც არსად წავსულვარ და ჩემს საქმეს აქ ვაკეთებდი. შვედეთში ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს 100 წელი გავიდა. შემეძლო კონტრაქტი გამეგრძელებინა და დავრჩენილიყავი, მაგრამ საქართველოში დაბრუნება ვამჯობინე. მგონია, რომ აქ უკეთეს საქმეს ვემსახურები.

— საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობასა და მის საფეხბურთო კონცეფციას რა შეფასებას მისცემდით?

— ჩემს დროს საბჭოთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლობანოვსკი იყო. იგი დღესაც ერთ-ერთ უდიდეს მწვრთნელად ითვლება. მან თავისი საფეხბურთო ტაქტიკით 15-20 წლით გაუსწრო მოვლენებს: გუნდს სწორედ იმ ფეხბურთს ათამაშებდა, რომელსაც დღეს ვუყურებთ. ყოველთვის დიდ მწვრთნელებად ითვლებოდნენ აგრეთვე ბესკოვი და ახალკაცი.

— ბ-ნო თენგიზ, თავად არასოდეს გაგჩენიათ სურვილი, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების ან რომელიმე კლუბის მწვრთნელი გამხდარიყავით?

— ჩემს აკადემიაში ისეთი დატვირთული ვარ, რომ აქედან გასვლის უფლება აღარ მაქვს. მირჩევნია, აქ მოსული ბავშვი გავზარდო და გუნდში გავუშვა, ვიდრე თავად ვიმუშაო რომელიმე გუნდის მწვრთნელად. ბავშვთა ფეხბურთი ჩემთვის სამსახურიცაა და მთელი ცხოვრებაც. მათთან ურთიერთობა ჩემთვის ყველაზე მთავარია. იმაზე სასიამოვნო რა უნდა იყოს, როდესაც შენი აკადემიის აღზრდილი ეროვნულ ნაკრებში ან რომელიმე დიდ კლუბში მოხვდება?

— რას იტყვით საკუთარ ოჯახზე? თქვენი მეუღლე როგორ გაიცანით?

— 19-20 წლის ვიყავი, როდესაც ჩემი მომავალი მეუღლე, მადონა გავიცანი. პირველი სიყვარულიც სწორედ მაშინ მეწვია. მე ფიზკულტურულზე ვსწავლობდი, ის კი, ქიმია-ბიოლოგიურზე. გაერთიანებული ლექციები გვქონდა და ერთ-ერთ ლექციაზე გვერდიგვერდ აღმოვჩნდით (მართლა ისე კი არ არის, რომ ამბობენ, — ფეხბურთელები ლექციებს არ ესწრებიანო...). ასე გავიცანით ერთმანეთი და ორი წლის შემდეგ დავქორწინდით კიდეც. უნდა ითქვას, რომ მადონა ყოველნაირად ხელს მიწყობდა, რათა წინსვლა მქონოდა ფეხბურთში. ნულიდან დავიწყეთ ყველაფერი და საკუთარი შრომით მოვიწყვეთ ოჯახი. გვყავს 19 წლის ვაჟიშვილი, თენგიზი, რომელიც „დინამო-2“-ში თამაშობს.

— თქვენი სურვილი იყო, რომ ვაჟიშვილიც ფეხბურთს გაჰყოლოდა?

— მე არ მსურდა, რომ ის ფეხბურთელი გამოსულიყო, რადგან, ფეხბურთი დიდ ენერგიას, წვალებასა და დროს მოითხოვს. თავადაც ყველაფერს დიდი წვალებისა და შრომის ფასად მივაღწიე. თუმცა, მინდოდა, რომ თენგიზი კალათბურთელი გამხდარიყო, მაგრამ ის ფეხბურთის ნამდვილი ფანატია და სპორტის ეს სახეობაც თავად ამოირჩია. ამჟამად უკვე მეც დიდი სურვილი მაქვს, რომ ის ცნობილი ფეხბურთელი გახდეს.

— საინტერესოა თქვენი, როგორც პროფესიონალის აზრი, იმის შესახებ, თუ რამდენად შეიცვალა ფეხბურთი მას შემდეგ, რაც თქვენ აქტიურ სპორტს ჩამოშორდით?

— ფეხბურთი წინ მიდის. ყოველი ჩემპიონატი რაღაც ახალს ტოვებს. თამაში უფრო სწრაფი გახდა, თუმცა, სანახაობა დაიკარგა. ფეხბურთელები მინდორზე მხოლოდ გამარჯვებისთვის თამაშობენ და სანახაობრივ მხარეზე ნაკლებად ფიქრობენ. თანაც დღეს მოთამაშეებს იმხელა თანხებს უხდიან, რომ მათ მინდორზე ლამისაა, დახოცონ ერთმანეთი. მაგალითად, ჩვენი ხელფასი 250 მანეთი იყო და თავიც რომ მოგვეკლა, მეტს არავინ მოგვცემდა. ახლა კი, თითო თამაშში იმხელა თანხას უხდიან ფეხბურთელებს, რომ ისინი ფსიქოლოგიურადაც სხვანაირი განწყობით გამოდიან მინდორზე.

— დიდი საფეხბურთო მატჩების მსვლელობისას, ხშირად მაყურებელი ძალიან აგრესიულად იქცევა. თქვენ თუ გახსოვთ ისეთი მატჩი, რომლის დროსაც ტრიბუნებზე მსხდომი გულშემატკივრების საქციელი განსაკუთრებულად დაგამახსოვრდათ?

— ეს იყო 80-იანი წლების პირველ ნახევარში, როდესაც ბრაზილიაში, „მარაკანას“ სტადიონზე, 160 ათასი გულშემატკივრის თანდასწრებით ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებთან ამხანაგური მატჩი გავმართეთ. იმ

ვითარებაში, როდესაც ამდენი ხალხი ერთად გუგუნებს, მართლაც ძალზე რთულია თამაში. თანაც, მაშინ ბრაზილიის ნაკრებში ისეთი ვარსკვლავები თამაშობდნენ, როგორებიც იყვნენ: სოკრატესი, ზიკო, ფალკაო. მიუხედავად ამისა, ის შეხვედრა 2:1 მოიგეთ. მატჩი ძალიან რთული იყო ჩვენთვის, მაგრამ ამასთან ერთად, სასიამოვნოც, რადგან ფეხბურთელი ყოველთვის გულშემატკივრისთვის თამაშობს. როდესაც მაყურებელი ასეთ ზეიმს გიწყობს, სულ სხვა გარემოში იმყოფები, ხოლო როდესაც ტრიბუნებზე მაყურებელი არ არის, ფეხბურთელსაც უჭირს თამაში. ამ დროს ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს ვარჯიშზე ხარ მისული... როდესაც „დინამოს“ სტადიონზე გამოვდიოდით, გადავხედავდით ხოლმე ტრიბუნებს და თუ ისინი ივსებოდა, ჩვენთვის ზეიმი იყო. ღმერთმა ქნას, რომ საქართველოში კვლავ გვენახოს ასეთი გაჭედილი ტრიბუნები.

— **ქართველ გულშემატკივარზე რას იტყვით?**

— საერთოდ, ქართველ გულშემატკივარს ძალიან კარგი ხასიათი აქვს. როდესაც მოედანზე გამოდიხარ, მთავარია, მას დაანახვო, რომ მოსაგებად ხარ გამოსული და თავს არ ზოგავ, მაგრამ თუ გამჩნევს, რომ მთელი მონდომებით არ თამაშობ, ძალიან ცუდია. ყოფილა ისეთი მატჩები, რომლებიც წაგვიგია, მაგრამ მაყურებელი ჩვენი თამაშით მაინც ნასიამოვნები დარჩენილა. ისე კი, ფეხბურთი ემოციური სპორტია. შეიძლება ხანდახან საკუთარ შვილსაც შეაგინო, თუმცა, რაც ტრიბუნებზე ხდება, ის იქვე რჩება. აბა დამუნჯებული მაყურებელი რად გინდა? ის ან იყვირებს, ან შეიგინება.

— **გაქვთ თუ არა რაიმე ჰობი, რითაც ფეხბურთისაგან თავისუფალ დროს ირთობთ თავს?**

— ძალიან მიყვარს ნადირობა და თევზაობა. თავისუფალ დროს, ხშირად ამ საქმით ვარ დაკავებული. თევზაობა ბავშვობიდან მიტაცებდა. ჯერ კიდევ ექვსი წლის ასაკიდან ვცურავდი რიონში. მიმაჩნია, რომ თევზაობის „პროფესორი“ ვარ, ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, ანკესით ვითევზავებ თუ ბადით. ნადირობით კი, ძირითადად, ფრინველზე ვნადირობ ხოლმე, დათვზე ცოტა მეშინია...

— **უახლოეს მომავალში რას ისახავთ მიზნად?**

— მინდა, რომ აკადემიის ტერიტორია ისე მოვაწყო, როგორც მე მსურს. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩემი აკადემიის რაც შეიძლება მეტი აღზრდილი მოხვდეს იმ ნაკრებ გუნდებში, რომელიც დღეს საქართველოშია. იმედი მაქვს, რომ არსებული მძიმე ვითარებიდან გამოვალთ და ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. ეს იმედი რომ არ მქონდეს, ფეხბურთში არც ვიქნებოდი... ■

ლენოქს ლუისმა სასამართლოში პანოს ელიადესს მოუგო

ნიუ-იორკის სასამართლოში სუპერმძიმე წონაში (86, 183 კგ-ზე მეტი) WBA და IBF-ის (კრივის მსოფლიო ასოციაცია და კრივის საერთაშორისო ფედერაცია) ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის, ლენოქს ლუისისა და მისი ყოფილი პრომოუთერის, პანოს ელიადესის დავის პროცესი დასრულდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ელიადესმა ლუისს 8 მლნ დოლარის კომპენსაცია უნდა გადაუხადოს. ლუისი ძალიან გაღიზიანებული საუბრობდა იმის შესახებ, რომ მისმა ყოფილმა მენეჯერმა, ფრენკ მელონმა აღნიშნული ფინანსური თაღლითობის შესახებ (რომლის მსხვერპლიც მსოფლიო ჩემპიონი აღმოჩნდა) ყველაფერი იცოდა, თუმცა ლენოქს უმალავდა. ბრიტანელი მსოფლიო ჩემპიონისა და მისი პრომოუთერის გარშემო ატეხილი ფინანსური სკანდალის პარალელურად, პრესაში ახალ-ახალი ცნობები ქვეყნდება იმის შესახებ, თუ სად გაიმართება ლუისტაისონის ორთაბრძოლა. ერთ-ერთ ინფორმაციაში, შეხვედრის ადგილად ნიგერია იყო დასახელებული და იმის ვარაუდიც იყო გამოთქმული, რომ ორთაბრძოლას დაახლოებით 100 000 მაყურებელი დაესწრებოდა. ■

კადაფის ვაჟიშვილი „იუვენტუსში“ ვარჯიშობს

ლიბიის პრეზიდენტის, მუამარ კადაფის ვაჟიშვილს თავისი გავლენიანი მამის სახელი დიდად დაეხმარა იმაში, რომ დიდი ხნის ოცნება აესრულებინა და ტურინის „იუვენტუსის“ რიგებში მოხვედრილიყო. თავად მუამარ კადაფიმ კი, „ბებერი ქალბატონის“ აქციათა ნაწილიც შეისყიდა. ამბობენ, რომ ალ-საადი კადაფი არცთუ ისე ურიგო ფეხბურთელია და უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც პროფესიონალ სპორტსმენად ჩამოყალიბებას ცდილობს. თავის დროზე მას თვით მარადონაც ავარჯიშებდა, თუმცა, ლიბიის მმართველის ვაჟიშვილის ყველაზე დიდ მიღწევად დღემდე ის ითვლება, რომ ის მალტის კლუბ „ჰიბერნიანში“ თამაშობდა და ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდშიც კი აქვს მიღებული მონაწილეობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ალ-საადი კადაფის ერთ-ერთ საუზმეზე „იუვენტუსის“ აღმასრულებელი დირექტორისთვის, ანტონიო ჯირომდოსთვის თავად უთხოვია კლუბში ვარჯიშის უფლება. მას შემდეგ, რაც მუამარ კადაფიმ იანვარში „იუვენტუსის“ აქციების 5,3 პროცენტი 20,5 მლნ დოლარად შეიძინა, ლიბიელებმა ტურინული საფეხბურთო კლუბის ფასიანი ქაღალდების საკმაოდ მნიშვნელოვანი პაკეტი მიიღეს, ალ-საადის კი, საშუალება მიეცა, „იუვეს“ ერთ-ერთ ხელმძღვანელთან ესაუზმა და მისთვის თავისი გულისწადილიც გაეზიარებინა. იტალიური ფეხბურთი დიდი პოპულარობით სარგებლობს ლიბიაში. ქვეყნის მოსახლეობას კი, თვით მუამარ კადაფის მოწოდებებიც (მისი აზრით, ტელევიზიით სპორტული პროგრამების ყურებას სჯობს, მისი თანამემამულეები თავად დაკავდნენ სპორტით) არ უშლის ხელს იმაში, რომ ტელევიზიით იტალიის სტადიონებზე მიმდინარე მატჩებს ადევნოს თვალი. ■

«კარგი ცხოვრების» მაძიებელნი კალატოზებადაც დაგვიწუნეს...

„მშვიდობის დესპანობა“ ანუ როგორ გადავრჩით არაბებთან „ხელჩართულ ომს“...

აკაკი გეგენავა

წინა წერილიდან („გზა“ №7) ალბათ გახსოვთ, როგორ გავიხლართეთ მე და ჩემი მეგობარი ვახო, ებრაელებსა და არაბებს შორის არსებული საუკუნოვანი პრობლემის ლაბირინთში. არადა, ამ პრობლემის მოგვარებას მთელი კაცობრიობა ცდილობს და არაფერი გამოსდის. მე კიდევ, რომელი „მშვიდობის დესპანი“ ვიყავი, რომ მანჰეტენის სასტუმროს იაფფასიან ნომერში გადამეწყვიტა საქვეყნო საქმე... იხტიბარი მაინც არ გავიტეხე, ებრაელები გავისტუმრე და არაბებს მივუბრუნდი.

— „შაითნები“ წავიდნენ? — მკითხა ახმედამ.

— ჰო, რაღაც საქმე ჰქონდათ, საღამოს დაბრუნდებიან, — „დავამშვიდე“, რამდენადაც შემეძლო.

— რომ გვცოდნოდა, აქ ებრაელები იყვნენ, ალაჰს ვფიცავ, არ შემოვიდოდით, — განაგრძო ახმედამ.

— რა იცი, რომ ჩვენც ებრაელები არა ვართ? — ხუმრობის ხასიათზე დავდექი (რაც არაფრით არ შეიძლებოდა).

— რაა?!! — სახე გაუქვავდათ არაბებს და კაცის მკვლელებივით დაგვიწყეს ყურება.

— რა ხდება აქ, კაკო, გამაგებინე!.. — ვახოს ჩვენი ლაპარაკი არ ესმოდა, მაგრამ სიტუაცია რომ გვარიანად დაიძაბა, ამის მიხვედრას სულაც არ სჭირდებოდა ინგლისური ენის ცოდნა.

— გადაგვივლიან, მოემზადე!.. — კიდევ უფრო დავმუხტე“ ისედაც „დამუხტული ატმოსფერო“.

— ვინა, ტო, ესენი?! ამათ ვუჩვენებ ახლა სეირს! — ეს თქვა ვახომ და ავისმომასწავებლად წამოიმართა.

არ მახსოვს, გითხარით თუ არა, რომ ჩემი ძმაკაცი საკმაოდ კუნთმაგარია, კარატეში და „ქართულ ჩხუბში“ ნავარჯიშევი, სიმაღლეც ხელს უწყობს და არც თბილისური თავმოყვარეობა აკლია. ერთი სიტყვით, ვახო შუბლაძეს ჩემი ცხოვრების ნახევარზე მეტია ვიცნობ და არაერთხელ ვყოფილვარ მოწმე იმისა, თუ როგორ ჩარეულა ხელჩართულ ჩხუბში და როგორ მიუწვენია ერთმანეთზე მოწინააღმდეგენი. მისი ხასიათიც ვიცოდი, არაფერზე დაიხევდა უკან და რომ წარმოვიდგინე, რა დღეში ჩაცვივდებოდნენ ჩვენი არაბი სტუმრები, შემეშინდა. ჩემს თავზეც გავბრაზდი, სულელური ხუმრობის გამო, უაზრო შარში ვეხვეოდით.

— დაწყნარდი, ვახო! მთლად ეგრე საგანგაშოდაც კი არ არის საქმე!.. — გავექანე და ჩემი ხელით დავსვი სავარძელზე აქოჩრილი ძმაკაცი.

... ახლა არაბებს მივუბრუნდი და მთელი ჩემი ცოდნისა და გამოცდილების გამომზეურება დამჭირდა, რომ მათთვის საქართველო და თბილისი გამეცნო — ჩვენ ისეთი ქვეყნიდან ვართ, სადაც ყველაზე მეტად ადამიანურ ურთიერთობებს ვაფასებთ-მეთქი. რომ მარტო თბილისში 200-ოდე კვადრატული მეტრის რადიუსზე ხუთი სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის სალოცავია. სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მოსახლეობა საუკუნეების განმავლობაში, ერთმანეთის გვერდით, მშვიდად ცხოვრობს... გამოვიყენე საბჭოთა საშუალო სკოლაში მიღებული მთელი ჩემი „ინტერნაციონალური განათლება“, რა თქმა უნდა, ეთნიკურ პრობლემებზე კრინტი არ დამიძრავს. ბოლოს, ჩემი ხანგრძლივი და შთამბეჭდავი ტირადა იმით დავამთავრე, ებრაელები არა ვართ, გაგეხუმრეთ-მეთქი.

ამანაც რომ არ გაჭრა, ყელიდან ოქროს ძეწკვი მოვიხსენი, რომელზეც ჯვარს ვატარებ და არაბებს ვაჩვენე ჩემი მართლმადიდებლობის უტყუარი საბუთი. სახე შეეცვალათ, თითქოს ჩემი ხუმრობა გაიგეს და კეთილშობილური ღიმილიც გამომეტეს...

— სუფთა მოსიარულე შარი ხარ!.. — ახლა ვახოს რეპლიკამ მომიღო ბოლო, რომელიც ახმედას მოუჯდა და გაურკვეველ ენაზე „ბაასი“ დაუწყო...

არაბებმა სამუშაო შემოგვთავაზეს. ადგილები ძირითადად სავაჭრო ობიექტებზე იყო. საკვები პროდუქტებით ქუჩებში ვაჭრობა ორივეს გვეხამუშა და შეთქმულებივით ერთდროულად ვთქვით უარი. არაბმა „შუამავლებმა“ ახლა რაღაც ოფისების მისამართები მოგვცეს, მიხვალთ და იქნებ „თქვენი პროფილის“ სამსახური იშოვოთო. მეგობრულად დაგვემშვიდობნენ და არც თავიანთი კოორდინატის დატოვება დავიწყებიათ.

— სხვა დროს ასე აღარ მოიქცე!.. — ვუსაყვედურე ვახოს.

— რა?! — შემომიღრინა.

— რა და, კუნთებზე რომ იყურები, თბილისი ხომ არ გგონია აქ. ისე ამოგვაყოფინებენ ციხეში თავს, ვერც კი გაიგებ!..

— შენ არ მითხარი, გადაგვივლიანო, თავი არ უნდა დაგვეცვა? — არ ცხრებოდა ვახო.

— ეს, ძმაო, ამერიკაა, დემოკრატიული ქვეყანა, აქ სხვანაირი გაგებაა... მოდი, ამაზე მერე ვილაპარაკოთ. ხვალ ბევრი საქმე გვაქვს და დავიძინოთ... — ვახოსთვის დემოკრატიული პრინციპების ახსნა ნამდვილად დამეზარა, თან ამდენი ემოციისგან დაღლილს თვალებიც მეხუჭებოდა...

ნიუ-იორკი ან ძალიან უნდა გიყვარდეს, ან... გეჯავრებოდეს

ნიუ-იორკში სულ ორი დღის ჩამოსულები ვიყავით და ხეირიანად ქუჩაში არც კი გაგვევლო. ლუდისთვის თუ გამოვიდოდით სასტუმროდან, გვერდით მდებარე მაღაზიაში და სულ ეს იყო. დილით, ვიფიქრეთ, ებრაელებთან ერთად გავსულიყავით ქალაქში, მაგრამ დროის სატარებლად ჩამოსული ჩვენი „თანანომრელები“, გამთენიისას დაბრუნდნენ და ძალიანაც რომ მოგვენდომებინა, მაინც ვერ

გავაღვიძებდით.

გადავწყვიტეთ, დამოუკიდებლად გამოვსულიყავით ქალაქში და სასურველი ოფისი მოგვეძებნა, სადაც სანატრელ სამსახურებს „ჩამოგვირიგებდნენ“.

ნიუ-იორკი ევროპის დიდი ქალაქებივით არ აშენებულა. არც ერთიანი გეგმა ყოფილა თავდაპირველად. ნებისმიერ ადამიანს, ვისაც ფული და სურვილი ჰქონდა, შეეძლო ნებისმიერი არქიტექტურის ნაგებობის აშენება. ამაზე არც არავინ მოსთხოვდა პასუხს და არც ქალაქის ხელმძღვანელობა აქცევდა ყურადღებას მსგავს ფაქტს. მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს მიიღეს გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქის შენობათა ჭადრაკისებურ განლაგებას. ქუჩებს კი სწორი კუთხით უნდა გადაეკვეთა ერთმანეთი.

საკმარისია გადავხედოთ მანჰეტენს ზემოდან და ადვილი მისახვედრია, თუ საიდან დაიწყო ქალაქმა განვითარება. ძველ უბნებში, რომელსაც დაუნთაუნს ეძახიან, სულ მიხვეულ-მოხვეული გზებია. აქ თითოეულ ქუჩას არა მარტო თავისი სახელი, არამედ თავისი ხასიათიც აქვს. ამ მიდამოებში რამდენჯერმე მაინც უნდა იყოთ ნამყოფი, რომ თავგზა არ აგებნეთ და არ დაიკარგოთ. თუმცა, თავის დაზღვევაც შეგიძლიათ – ნებისმიერ მაღაზიაში შეიძენთ სპეციალურ გზამკვლევ რუკას, რომელზეც ისეთი დაწვრილებითი მითითებებია, რომლის მიხვედრა ვახოსნაირებსაც კი არ გაუჭირდებათ...

სულ სხვა სიტუაციაა, როგორც კი მაღლა აუყვებით. იქ ქუჩები დანომრილია. ვერტიკალურად განლაგებული ავენიუები კუნძულის მთელ სიგრძეზეა გადაჭიმული (სულ ნიუ-იორკში 12 ავენიუა), ხოლო ჰორიზონტალური ქუჩები (ანუ სთრითები) 140-ს აღწევს.

ნიუ-იორკზე რას აღარ ამბობენ. აქ ბევრი ისეთი ადამიანი შეგხვდებათ, რომელიც მხოლოდ ამაგებს და არაფერი მოსწონს ამ ქალაქის. მათი აზრით, ნიუ-იორკი ეს არის ნაგვის, გარყვნილების და ყოველგვარი უკეთურობის ცენტრი, სადაც ნორმალური ადამიანი ვერ იცხოვრებს... ნიუ-იორკი ან ძალიან უნდა გიყვარდეს, ან... გეჯავრებოდეს. საშუალო გრძნობა აქ უნდა გამორიცხოთ... ჩემი აზრით კი, თუ დანაგვიანებულ ქუჩებს წინა პლანზე არ წამოსწევთ და ქალაქის ცხოვრების ნამდვილ რიტმს ჩასწვდებით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დადებით იმპულსს მიიღებთ და არც იმას ინანებთ, რომ ნიუ-იორკში მოხვდით.

ამ ინფორმაციის შესახებ გზამკვლევშიც გადავიკითხე რაღაც-რაღაცები და თამამად შევუდექით სასურველი ოფისის ძებნას. თითქოს ქუჩებში ორიენტირება არ უნდა გაგვჭირვებოდა, მაგრამ ზოგჯერ გზები გვერეოდა და იძულებულნი ვხდებოდით, გამვლელებისთვის გვეთხოვა დახმარება.

დილის საათები იყო. ფეხით მოსიარულენი ისეთი სიჩქარით დაქროდნენ, კითხვას კი არა, თვალის მოკვრას ძლივს ვასწრებდით. ყველა სადღაც გარბოდა და ისიც კი გავიფიქრე, ფრთხილად თუ არ ვიქნები, შეიძლება ვინმეს შევეჯახო და ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში მომიწევს თავის ამოყოფამეთქი. შეძლებისდაგვარად ვცდილობდი, მსგავსი შეჯახება არ მომხდარიყო, თუმცა ხომ გაგიგიათ, ბედს ვერსად გაექცევიო... სწრაფი ამერიკელები ხან მხარს წამკრავდნენ, ხან „დიპლომატს“, ხან კიდევ ქალის ჩანთა მხვდებოდა. არანაკლებ გასაოცარი იყო ის ფაქტიც, რომ ყოველ ასეთ დაჯახება-დარტყმას მოჰყვებოდა სიტყვები EXCUSE ME, SORRY (უკაცრავად, ბოდიში) და ხელოვნური ღიმილი. ამერიკელები ამ სიტყვებს ისე ხშირად წარმოთქვამდნენ და ღიმილიც ისე ავტომატურად გამოსდიოდათ, რომ სულ მალე მომაბეზრებელიც კი გახდა.

ქუჩაში მოძრაობის სწრაფმა რიტმმა ისე აგვიყოლია, რომ ჩვენც გავრბოდით, ოღონდ სად, თვითონაც არ ვიცოდით. ბოლოს გონს მოვეგეთ და სულის მოსათქმელად, პოპულარული „კოკა-კოლას“ საყიდლად, იქვე, მოზრდილ სუპერმარკეტში შევედი. ვახო გარეთ მელოდებოდა. „კოკა-კოლას“ ჩხირებიანი ორი მოზრდილი ერთჯერადი ჭიქით ხელში, უკან რომ გამოვბრუნდი, „მშვენიერი“ სანახაობის მოწმე გავხდი. დამდგარა ვახო მაღაზიის შემოსასვლელ კართან, აქედან კი ორი შავკანიანი ქალბატონი და რამდენიმე მამაკაცი რაღაცას ედავებიან. ვახო დაბნეული აქეთ-იქით იყურება, აშკარად მე მეძებს. დამინახა თუ არა, თვალები გაუბრწყინდა და ჩქარა, მიშველეო, – დამიძახა.

ვახოს უფიქრია, არ დავიკარგოო და პირდაპირ ვიწრო შესასვლელში „მოკალათებულა“, კაკო გამოივლის და მეც აქ შევხვდებიო. ამასობაში მაღაზიას ორი შუახნის ზანგი ქალი მოადგა თურმე (აი, ისეთები, ტელესერიალებში ფაშფაშა მზარეულების როლებში რომ გვინახავს). ქალებს ვახოსთვის მიუმართავთ:

– EXCUSE, PLEASE (უკაცრავად, თუ შეიძლება).

ვახოს უფიქრია, რაღაცას მეკითხებიანო და ყურადღებით დაკვირდა თურმე ქალბატონებს.

– PLEASE, MOVE... (თუ შეიძლება, გაიწიეთ) – გაიმეორეს მათ.

– NO!.. – ვახომ თავისი ინგლისური გამოიყენა, რითაც უნდოდა ეთქვა, რომ ინგლისური არ იცოდა.

– MOVE, MOVE!.. (გზა მოგვეცით!..) – იმეორებდნენ ქალები და თან იცინოდნენ. ვახოც უფრო და უფრო დაბეჯითებით გაიძახოდა NO-ს და ადგილიდან არ იძვროდა.

სეირის მაყურებლები მარტო ჩვენთან კი არ ყოფილან, აქაც მოგროვდნენ და ვახოს და ზანგი ქალების დიალოგს ჩაპლინის ფილმივით აღიქვამდნენ. ამაზე მთლად „წაიშალა“ ვახო და ცოტაც რომ დამეგვიანა, ხიფათი გარდაუვალი იყო...

– კაკო, რას ნიშნავს ეს EXCUSE? – მკითხა, როდესაც თავი სამშვიდობოზე დაიგულა.

– ოო! ეს ჯადოსნური სიტყვაა! ოღონდ, მთავარია დროზე გამოიყენო. დღეიდან შენი „ო'კეი“ და „ექსქიუზით“ მთელ ამერიკას თუ არა, ნახევარს მაინც დაიპყრობ... – ახლა უკვე თავს უფლება მივეცი, ძმაკაცს გავხუმრებოდი...

ულიცენზიოდ ჯალატოზობასაც ვერ გამოვჯარით ხელი და „ჯარგი ცხოვრებაც“ გაგვიფრინდა

გამოუცნობი ხალხია ამერიკელები. განსაკუთრებით, ფეხით მოსიარულენი. ძნელია ერთი სიტყვით შეაფასო ისინი. ნებისმიერ გამვლელი რომელსაც მისამართს ვეკითხებოდი, ჩერდებოდა და გულიანად მიხსნიდნენ. ზუსტი იყო თუ არა ეს მისამართი, მათ ნაკლებად აღელვებდათ. თანაც, უარს არც ერთ შემთხვევაში არ ამბობდნენ – ცდილობდნენ როგორმე „აეხსნათ“, რათა სასურველ ადგილამდე მიგვეყვნა. ასე ახსნა-ახსნით, როგორც იქნა, ნანატრი ოფისი ვიპოვეთ და შენობაში გამართულად შევაბიჯეთ.

როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ისეთი სამსახური, რომელიც მოქალაქეთა დასაქმებაზე მუშაობს, ნიუ-იორკში საკმაოდ ბევრია. მაშინ კი, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც კედლებზე გაკრული ფერად-ფერადი ფურცლებიდან ასევე „ფერად-ფერადი“, სხვადასხვა პროფილის სამუშაოთა ჩამონათვალი ვიხილეთ.

ყოველთვის როდი ვიცი, რას ვლაპარაკობ, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ მართალი ვარ

მუჰამედ ალი

ფრაზა გენიალური

ამერიკაში კარგი სამსახურის შოვნა რომ „კარგ ცხოვრებასთან“ ასოცირდება, ესეც კარგად მოგეხსენებათ და ჩვენ უკვე მეშვიდე ცაზე დავფრინავდით.

... სამწუხაროდ, ჩვენი ალმფრენა დიდხანს არ გაგრძელებულა.

ამერიკაში სულ რამდენიმე დღის ჩასულები ვიყავით და ვისაც შევხვდით ან დაველაპარაკეთ, ყველა ან პაკისტანელი იყო, ან არაბი ან კიდევ შავკანიანი. ამ ამბავს შეჩვეულებმა „ახალ ამერიკასავით“ აღვიქვით ქერა ანგლოსაქსი მამაკაცი, რომელმაც გასაუბრებაზე მიგვიწვია თავის კაბინეტში. ჩვენც თავი ნამდვილ ამერიკაში ვიგრძენით.

ოფისის მენეჯერმა უკვე კარგად ნაცნობი ხელოვნური ღიმილით შემოგვთავაზა, დასხედითო და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— რა შეგიძლიათ და რა სამსახური გინდათ? — რატომღაც ასეთ შეკითხვას არ მოველოდით და ვერაფერი ვთქვი. იგი ჩემს პასუხს არ დაელოდა და განაგრძო:

— უმაღლესი განათლების მქონეთათვის სამუშაო არა გვაქვს, მაგრამ შემიძლია შემოგთავაზოთ ელექტრომექანიკოსის, კალატოზის, მზარეულის და მატარებლის მემანქანის ადგილები. გადაიხდით 200 დოლარს და მისამართსაც მოგცემთ. მანამდე ვესტიბიულში ანკეტები შეავსეთ და შემომიტანეთ, — თან ანკეტის ფურცლები გადმოგვცა და მოგვიბოდიშა, სხვებსაც უნდა გავესაუბროო.

— ვახო, რა ავირჩიოთ? — ვკითხე ძმაკაცს ოთახიდან გამოსვლისთანავე და კიდევ ერთხელ გავუმეორე შემოთავაზებული პროფესიები.

— ეს რა სამსახურებია! — აიმრიზა ვახო.

— შენ რა, პირდაპირ დირექტორის ადგილს ელოდი, თუ როგორაა შენი საქმე?

— არა, უბრალოდ, შენ ხომ იცი, მატარებელს ნაღდად ვერ წავიყვან. ელექტრიკოსობაც ნათურის გამოცვლის დონეზე ვიცი. ჭამა კი მიყვარს, მაგრამ გაკეთებაზე რა მოგახსენო...

— ვახო, არმიაში მშენებლობაზე მიმუშავია... აგურებს და ბლოკებს ასე თუ ისე ვაწყობდი, შენც გასწავლი, ადვილია... მოდი, კალატოზებად წავიდეთ! — „მიხსნა“ ჩემმა ჯარისდროინდელმა გამოცდილებამ.

— მძიმე სამუშაოა, თან ჭუჭყიანი! იქნებ სხვა რამე მოვიფიქროთ! — დამიწუნა ვახომ არჩევანი.

— ძმაო, მშენებლობაზე თეთრი წინსაფრებით არავინ დადის და თუ თეთრი წინსაფარი ზედაც თეთრი ოთხკუთხედი ქუდი მოგწონს და, მზარეულის ადგილიც თავისუფალია. შენ მზარეულად წადი, მე კალატოზად ვიმუშავებ!..

ბოლოს, ორივე მშენებლობაზე შევთანხმდით, ანკეტები შევავსეთ და მენეჯერის კაბინეტში შევედით.

— ძალიან კარგი, ახლავე მისამართებს მოგცემთ, სადაც უნდა წახვიდეთ, — ეს თქვა და მაგიდის უჯრიდან ფურცლები ამოიღო.

— კაკო, მიდი, ჰკითხე, ხელფასი რამდენი გვექნება? — ჩაჩურჩულა ვახომ. ეს პრობლემა მეც ტვინს მიბურღავდა, გავბედე და ვიკითხე.

— დასაწყისში საათში 20 დოლარს მოგცემენ, მერე თქვენზეა დამოკიდებული. კვალიფიკაციის მიხედვით, ანაზღაურებაც გაიზრდება... — იყო პასუხი.

ამაზე მეტი რა გვინდოდა. ვახოს ნათქვამი რომ ვუთარგმნე, მოულოდნელობისგან გაშეშდა, ორიანმიღებული, დასჯილი ბავშვივით მიყურებდა. აშკარა იყო, „ბედნიერებას“ ვუახლოვდებოდით.

... მენეჯერმა უეცრად შეწყვიტა უჯრაში ქექვა და დამლუპველი კითხვა დაგვისვა:

— ლიცენზიები გაქვთ?

— რა ლიცენზიები?! — გამიკვირდა.

— იმის ლიცენზიები, რომ მართლა კალატოზები ხართ და შეგიძლიათ მშენებლობაზე მუშაობა!.. — ეჭვის თვალით შემოგვხედა ამერიკელმა.

რაც არ გვქონდა, რას წარვუდგენდით.

— ვერაფრით დაგეხმარებით. მე სერიოზულ კომპანიაში გაგზავნიდით. იქ კი ლიცენზიის გარეშე არავის მიიღებენ.

— იცით, ლიცენზია არა გვაქვს, მაგრამ ჩვენს ნამუშევარს რომ ნახავენ, აუცილებლად მოეწონებათ და მიგვიღებენ... — ჩემი სიტყვებისა მე თვითონ არ მჯეროდა, მაგრამ შევეცადე, „ბედნიერება“ ხელიდან არ დამსხლტომოდა...

— უკაცრავად, რომელი ქვეყნიდან ხართ? — სასაუბრო თემა შეცვალა ამერიკელმა.

— საქართველოდან... — ვუპასუხე.

— თქვენ ალბათ არც SOCIAL SECURITY გაქვთ!..

— ეს რაღაა? — მთლად ამებნა ტვინი.

— მუშაობის ნებართვა ამერიკაში!.. მაპატიეთ, მაგრამ ვეღარაფრით დაგეხმარებით. გთხოვთ, დატოვოთ ოთახი, ხალხი მელოდება...

რა უნდა გვექნა, ჭიდაობას ხომ არ დავუწყებდით. ავდექით და კაბინეტიდან გამოვედით, თუმცა, ერთი გაბრძოლება კიდევ გავიბრძოლე, კიდევ გადავდგი ფეხი „კარგი ცხოვრებისკენ“:

— ბოდიში, მუშაობის ნებართვა სად უნდა ავიღოთ? — კარიდან ვკითხე მენეჯერს.

— ცნობარში წაიკითხეთ. იქ ყველაფერს ნახავთ! — მითხრა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა. ამით მანიშნა, თავი დამანებეთ, თქვენს საქმეს თვითონ მიხედეთ და საერთოდაც, თავში ქვა გიხლიათო...

ვახო უკვე ქუჩაში იდგა და ფერი აღარ ედო. მეგობრის გამხნევება დავაპირე. ეტყობა, კარგ დღეში არც მე ვიყავი და ორივემ ერთად წამოვიძახეთ:

— ნუ გეშინია!..

მერე ორივემ ერთმანეთის დასამშვიდებლად გავიცინეთ (თუმცა კი ამერიკაში ნასწავლი ღიმილი გამოგვივიდა) და ჩვენი სასტუმროსკენ გავუყევით გზას...

P.S. ჩვენი უშედეგო ხეტიალი მალე დასრულდა. ხოლო თუ როგორ დავსაქმდით მისმინეთ ოკეანის გაღმა, ამის შესახებ სულ მალე გიამბობთ...

ნიუ-იორკი

ფრაზები

გენიალური

პირველი ადამიანი, რომელმაც ქვის ნაცვლად, გინება ისროლა, ცივილიზაციის შემომტანი გახლდათ.

ზიგმუნდ ფროიდი

ელიზაბეტ შუ კვლავ „პატარა ბიჭუნად“ მრძნობს თავს

ელიზაბეტ შუ ჰოლივუდში უნიკალურ მსახიობად არის მიჩნეული, რადგან შეუძლია თანაბარი დამაჯერებლობით შეასრულოს როგორც მეცნიერის, ასევე მეძავის როლი.

ფილმში – „ლას-ვეგასის დატოვებისას“ შესრულებული მეძავის როლისთვის ელიზაბეტ შუ „ოსკარის“ ნომინაციაზე იყო წარდგენილი, ხოლო შემდგომში, ბოევიკში „წმინდანი“ და თრილერში „უჩინმაჩინი“ განსახიერებულმა მეცნიერმა-ფიზიკოსმა ელიზაბეტს ფართო აღიარება მოუტანა.

„უჩინმაჩინის“ დამდგმელი რეჟისორი, „ძირითადი ინსტინქტით“ ცნობილი პოლ ვერჰუვენია, რომელიც წარსულში სერიოზულად მისდევდა ფიზიკას და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხიც აქვს. ელიზაბეტ შუმ ფიზიკოსი ლინდა ფოსტერი განასახიერა, რომელიც სერიოზული დილემის წინაშე დგას: შეიძლება თუ არა, ხელში ჩაუგდო სამხედროებს ისეთი მძლავრი იარაღი, როგორიცაა გაუჩინარება.

„ვერჰუვენმა თავიდანვე განაცხადა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, გადაეღო პირქუში და ამავე დროს, სექსუალურად დამუხტული ფილმი ადამიანის მანკიერებათა შესახებ, – ამბობს ელიზაბეტ შუ. – „უჩინმაჩინი“, მასში შესული უამრავი სისხლიანი სცენით კი არ შეგძრავს, არამედ იმით, რომ ფილმი თვალნათლივ გვიჩვენებს პიროვნების გახრწნის პროცესს.“

ფილმის წარმატებას უამრავი უსიამოვნება უძღოდა წინ: გადაღებების დროს, ელიზაბეტს ფეხზე მყესი გაუწყდა და სტუდიამ რეჟისორს სხვა მსახიობით მისი შეცვლა მოსთხოვა. ვერჰუვენი ჯიუტად აცხადებდა, რომ ფიზიკოსი ქალის როლში მხოლოდ ელიზაბეტ შუს გადაღება სურდა. იმის გამო, რომ ვერჰუვენი ჰოლივუდში უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობს, მან მსახიობის გამოჯანმრთელებამდე, გადაღებების შეჩერება მოახერხა. მადლიერების ნიშნად, შუ სამუშაოს მალე დაუბრუნდა, ვაჟკაცურად იტანდა ტკივილს და დარჩენილი ორი თვის მანძილზე კოჭლობასაც კი, შეუპოვრად ებრძოდა.

სამაგიეროდ, შედეგი მართლაც შთამბეჭდავი აღმოჩნდა. მხოლოდ აშშ-ში, ფილმმა 70 მლნ დოლარზე მეტი შემოსავალი მოიტანა.

თუმცა, გადაღების პროცესი ელიზაბეტ შუსთვის სხვა მხრივაც აღმოჩნდა დასამახსოვრებელი. „უჩინმაჩინზე“ მუშაობისას, მას ხშირად უწევდა ურთიერთობა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორ რეჟისორთან და ელიზაბეტმა გადაწყვიტა, რომ აუცილებლად უნდა დაესრულებინა სწავლა ჰარვარდის უნივერსიტეტში, სადაც 15 წლის წინ, მხოლოდ ერთი სემესტრი დაყო. მაშინ მსახიობი 21 წლის იყო და ცხოვრებაში ყველაზე მეტად, კინოკარიერაზე ფიქრობდა. ჰოლივუდში მუშაობისას კი მიხვდა, რომ თანდათან „ტვინი ეყინებოდა“, შეეშინდა, ფუქსავატ თოჯინად არ ქცეულიყო და სასწრაფოდ შეუდგა საქმის გამოსწორებას.

„უჩინმაჩინში“ განსახიერებული გმირისგან განსხვავებით, ის ბირთვული ფიზიკის სპეციალისტი არ გამხდარა, – პოლიტოლოგის დიპლომი მიიღო და იმედი აქვს, რომ თუ ოდესმე კარგ როლებს აღარ შესთავაზებენ, პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგება. მას თურმე ძალიან მოსწონს უნივერსიტეტი და მასში გამეფებული ატმოსფერო. თუმცა, მომავალში, მსახიობი რეჟისურაშიც აპირებს თავისი შესაძლებლობების გამოცდას, – ალბათ იმიტომ, რომ მისი მეუღლე, დევიდ ჰაგენჰაიმი, რეჟისორია. ელიზაბეტს სურს, ფილმის პროდიუსერიც თავადვე იყოს, რათა სრულად გააკონტროლოს გადაღების მიმდინარეობა.

საერთოდ, ელიზაბეტი ცდილობს, ცუდი არაფერი ილაპარაკოს თავისი ფილმებისა და პარტნიორების შესახებ, მაგრამ მაინც ვერ მალავს, რომ ყველაზე დიდ შეცდომად, ფილმ „წმინდანს“ მიიჩნევს. ელიზაბეტმა თავისი გმირის სახე იმის გათვალისწინებით შექმნა, რომ ფილმის ბოლოს, ის უნდა დაღუპულიყო. სასინჯ ჩვენებაზე მაყურებლებს ეს არ მოეწონათ, ამიტომ, სასწრაფოდ გადაიღეს ფილმის სხვა ფინალი, რომელშიც ელიზაბეტის გმირმა სიყვარულისა და ბედნიერების მოპოვება შეძლო. „მე რომ მცოდნოდა, ჩემს გმირს ცოცხალს დატოვებდნენ, მის პიროვნებას სულ სხვაგვარად წარმოვაჩენდი!“ – სინანულით აღნიშნავდა ელიზაბეტი „წმინდანის“ პრემიერის შემდეგ.

მაგრამ ფილმში – „ლას-ვეგასის დატოვებისას“ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. სწორედ ამ სურათის წყალობით იქცა ელიზაბეტ შუ, სახელგანთქმულ მსახიო-



ბად. თუმცა, გადაღებების დაწყებამდე, ყველა ცდილობდა დაერწმუნებინა იგი, რომ უარი ეთქვა მედავის როლზე. მენეჯერი უმტკიცებდა, რომ ეს ფილმი მისი კარიერის დასასრული გახდებოდა. თავად რეჟისორი მაიკ ფიგისიც არ იყო ბოლომდე დარწმუნებული ელიზაბეტის შესაძლებლობებში. დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ, რეჟისორი სინჯების ჩატარებაზე დათანხმდა და იმ დღესვე, ელიზაბეტთან კონტრაქტი გააფორმა. „ამ ფილმიდან განსაკუთრებულს არაფერს ველოდი, – აღნიშნავდა მოგვიანებით ელიზაბეტი, – უბრალოდ, მსურდა, კამერის წინ განმეცადა ის ყველაფერი, რაც ამ ქალმა გადაიტანა. მე სავსებით ვიზიარებდი მის აზრებსა და მისწრაფებას – ყველაფერი საყვარელი ადამიანისთვის მიეძღვნა. ამის მსგავსი რამ მეც განმიცდია...“

ელიზაბეტი 1988 წელს დაღუპულ საყვარელ ძმას – უილს გულისხმობდა. ბიჭი ხიდან გადმოვარდა და ელიზაბეტის ხელში დალია სული. ძმის დაღუპვის შემდეგ, გოგონა ერთი წელი დეპრესიაში იყო ჩავარდნილი, უარს ამბობდა გადაღებებზე და ოჯახის წევრებსაც კი არ ეკონტაქტებოდა...

თუმცა, მშობლებთან ელიზაბეტს არც მანამდე ჰქონია შესაშური ურთიერთობა.

ელიზაბეტ შუ მდიდარ ოჯახში დაიბადა. დედამისი ბანკირი იყო, მამა კი – იურისტი და მშენებელი. შუს თამამად შეიძლება ვუწოდოთ ამერიკული არისტოკრატიის წარმომადგენელი, რადგან მისი შორეული წინაპრები, აშშ-ში XVII საუკუნეში ჩასული ინგლისელები იყვნენ. ელიზაბეტის მამა პოლიტიკითაც იყო გატაცებული და, რესპუბლიკური პარტიიდან, კონგრესშიც იყრიდა კენჭს. დედის მხრიდან კი, ელიზაბეტი ჰარვარდის უნივერსიტეტდამთავრებული მეოთხე ქალია.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მომავალი ვარსკვლავის ბავშვობას არისტოკრატიულს ვერავინ უწოდებს. გოგონას სამი ძმა ჰყავდა და ლიზი, ფაქტობრივად, მათი მეოთხე ძმა იყო: ბიჭებთან ერთად თამაშობდა ფეხბურთს, ჰოკეისა და რაგბის, ხეებზე დაძვრებოდა და ტბაში დაცურავდა. ოჯახი ნიუ-ჯერსის შტატის ერთ-ერთი სოფლის დიდ სახლში ცხოვრობდა. დედ-მამა გამუდმებით მოუცლელები იყვნენ და ლიზი მშობლებს იშვიათად ხედავდა.

გოგონა 11 წლის იყო, როცა მისი დედ-მამა ერთმანეთს გაეყარა. ლიზიმ ეს ამბავი ძალიან მძიმედ განიცადა: ცუდად სწავლობდა, შინ გვიან ბრუნდებოდა და მსუბუქ ნარკოტიკებსაც ეტანებოდა. 15 წლის ელიზაბეტი მანქანის უნებართვოდ მართვის გამო დააპატიმრეს. პოლიციელებთან საუბრისას, გოგონამ ცხოვრებაში პირველი სამსახიობო ეტიუდი გაითამაშა: ისე დამაჯერებლად განასახიერა სრულწლოვანი ადამიანი, რომ დაუჯერეს და გაუშვეს.

16 წლის ელიზაბეტმა, ბოლოს და ბოლოს, თავი ქალად აღიქვა: მას აღარ შეეძლო ბიჭებთან ფეხბურთის თამაში, რადგან ყმაწვილები უკვე სხვა თვალით უცქერდნენ, ის კი თაყვანისმცემლებს გამუდმებით დასცინოდა. სკოლაში მას ყველაზე უკომპლექსო გოგონად მიიჩნევდნენ, მაგრამ სინამდვილეში, ლიზს პანიკურად ეშინოდა სასიყვარულო ურთიერთობის, პასუხისმგებლობისა და იმისა, რომ შეიძლება, მეტისმეტად გადაჯაჭვოდა ვინმეს. თვალწინ მუდამ მშობლების მაგალითი ედგა. აწუხებდა მარტოობა, თუმცა ახლოს მაინც არავის იკარებდა...

ვარსკვლავის სტატუსმა მისი პირადი ცხოვრება კიდევ უფრო გაართულა: შუს ეჩვენებოდა, რომ მამაკაცებს ის კი არა – მისი იმიჯი იზიდავდა.

ელიზაბეტი 16 წლის იყო, როცა პირველად გადაიღეს რესტორნის რეკლამაში. აგენტები მისმა სინორჩემ და უმანკოებამ ძალიან მოხიბლა და გოგონა ჰოლივუდში მიიწვიეს. თავიდან, ლიზს მხოლოდ რეკლამებში იღებდნენ, შემდეგ – ერთ-ერთ სერიალში მიიწვიეს. ამას მოჰყვა პირველი კინოროლიც – ფილმში „პატარა კარატისტი“, მან მთავარი გმირის მეგობარი გოგონა განასახიერა.

მალე შუმ ჰოლივუდში, მომხიბვლელი, მაგრამ არაფრით გამორჩეული გოგონას იმიჯი დაიმკვიდრა. ის უმეტესად, ამა თუ იმ ფილმის მთავარი პერსონაჟის მეგობარ გოგონებს ასახიერებდა. ელიზაბეტს ეზიზღებოდა ასეთი როლები, მაგრამ გადაღებებში ინერციით განაგრძობდა მონაწილეობას და საკუთარ თავს არწმუნებდა, რომ ყველაფერი რიგზე ჰქონდა...

საყვარელი ძმის სიკვდილმა ის დიდი ხნით ამოაგდო კალაპოტიდან. ლიზმა

შეწყვიტა გადაღებები, თითქმის ყოველდღე დადიოდა ფსიქოანალიტიკოსის სეანსებზე და, როგორც მოგვიანებით აღიარა, თურმე თვითმკვლელობაზეც კი ფიქრობდა. მდგომარეობა იმ დღიდან შეიცვალა, როცა ლიზმა დევიდი გაიცნო. იმ დროს პროდიუსერს – დევიდ ჰაგენ-ჰაიმსაც ცხოვრების საკმაოდ რთული პერიოდი ჰქონდა. მას პრესტიჟული სამსახური, ბევრი ფული და საკუთარი კინოკომპანია ჰქონდა, მაგრამ ძალიან უნდოდა რეჟისორობა, თუმცა ეყოფოდა თუ არა ძალისხმევა ამ ასპარეზზე წარმატების მისაღწევად, არ იცოდა.

წყვილმა ერთმანეთი შემთხვევით გაიცნო: მეგობრებმა ელიზაბეტი კეგლის კლუბში თითქმის ძალით იმ იმედით წაიყვანეს, რომ გოგონა ცოტა გულს გადააყოლებდა. სანამ დანარჩენები სიცილ-კისკისით აგორებდნენ ბურთებს, ძველ ჯინსში გამოწყობილი, დაუვარცხნელი ლიზი განცალკევებით იჯდა და ელოდა, როდის მოახერხებდა წასვლას ისე, რომ მეგობრები არ გაენაწყენებინა. უეცრად, მან ასევე განცალკევებით მჯდომი ყმაწვილი შენიშნა. ორი საათის განმავლობაში, ისინი გაუნძრევლად ისხდნენ და სხვების თამაშს ადევნებდნენ თვალ-ყურს. ყმაწვილი დროდადრო, ჩუმად გამოაპარებდა ხოლმე თვალს ლიზისკენ.

ბოლოს და ბოლოს, ელიზაბეტმა ვეღარ მოითმინა, ახალგაზრდას მიახლოვდა და ჰკითხა – ხომ არ ისურვებდა ფინჯან ყავაზე მის დაპატიჟებას? „რა თქმა უნდა!“ – სიხარულით მიუგო დევიდმა.

აღმოჩნდა, რომ ყმაწვილს არ ეყო გამბედაობა, პირველი მისულიყო ლიზთან, რადგან ეჭვობდა, რომ ეს გოგონას არ ესიამოვნებოდა: იფიქრა – ისეთ მსახიობს, როგორიც ელიზაბეტ შუა, თაყვანისმცემელთა ყურადღება ალბათ არ აკლია და მისი ზედმეტად შეწუხება არაფერს მომიტანსო.

ლიზი ძალიან გააკვირვა იმ ფაქტმა, რომ ყმაწვილმა ის მაკიაჟის, მდიდრული ტანსაცმლისა და „ვარსკვლავური შარავანდედის“ გარეშეც იცნო...

იმ დღეს, კეგლის კლუბიდან დევიდი და ლიზი ერთად წამოვიდნენ. ისინი დიდხანს სეირნობდნენ, ცხოვრებაზე საუბრობდნენ და როცა გაახსენდათ, რომ შინ უნდა დაბრუნებულიყვნენ, აღმოჩნდა, რომ უკვე დილის ექვსი საათი იყო. ამ ამბიდან ორი კვირის შემდეგ, ელიზაბეტი საცხოვრებლად დევიდთან გადავიდა.

ისინი იდეალურად ეწყობოდნენ ერთმანეთს: დევიდი ლიზს ამხნევებდა, ლიზი კი ყველაფერში უწყობდა დევიდს ხელს. სულ მალე, კაცმა პროდიუსერობა მიატოვა და რეჟისორი დოკუმენტალისტი გახდა. ელიზაბეტმა კი, თავის მხრივ, ჯერ ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩაბარა, შემდეგ ფილმში – „ლას-ვეგასის დატოვებისას“ თავისი გმირი ისე განასახიერა, რომ უამრავი ჯილდო მიიღო: კინოკრიტიკოსთა ნაციონალური საზოგადოების პრემია, ლოს-ანჯელესის კინოკრიტიკოსთა ასოციაციის ჯილდო, პრემია „დამოუკიდებელი სული“ და „ოსკარის“ ნომინაცია.

ცოლქმრული ცხოვრების იდილია ერთხელ კინაღამ დაირღვა: ფილმ „წმინდანის“ გადაღება ინგლისში მიმდინარეობდა. ელიზაბეტის პარტნიორი, ველ კილმერი, იმ დროს ცოლს, ინგლისელ მსახიობ ჯოან უოლის ეყრებოდა. კილმერმა ცოლისთვის ნერვების მოშლა გადაწყვიტა, თავის პარტნიორს დაურეკა და უიმბლდონის ტურნირზე დაპატიჟა. მცირე ყოყმანის შემდეგ, ელიზაბეტი დათანხმდა. ტურნირის საყურებლად, კილმერი, მისი ქალიშვილი და ელიზაბეტი ერთად წავიდნენ. მატჩის დროს, ველი ელიზაბეტს სასაცილო ამბებს უყვებოდა, ქალი კი, გულიანად იცინოდა. გამოთხოვებისას, კილმერი ნაზად ეამბორა შუს ლოყაზე. მეორე დღეს, ყველა ინგლისურმა ტაბლოიდმა, ველისა და ელიზაბეტის კოცნის ამსახველი ფოტოსურათები გამოაქვეყნა. იქვე ეწერა, რომ ველ კილმერმა ახალი საყვარელი გაიჩინა. ელიზაბეტი გააფთრებით უარყოფდა ჭორებს, კილმერი კი, ყველა შეკითხვას მოკლედ პასუხობდა: „კომენტარს არ ვუკეთებ!“ – და ამით კიდევ უფრო უმძაფრებდა ჟურნალისტებს ცნობისმოყვარეობას.

„რა თქმა უნდა, დევიდმა ეს ყველაფერი არ დაიჯერა, მაგრამ ძალიან ეწყინა“, – ამბობდა მოგვიანებით ელიზაბეტი. საბედნიეროდ, დევიდმა თავისი ბოღმა, ოჯახური სკანდალის მოწყობის ნაცვლად, სატირული ფილმით – „ჭორებით“ გამოხატა, რომელშიც მკაცრად იყო გამათრახებული ჰოლივუდის ზნე-ჩვეულებები... ყველა მათი განქორწინების მოლოდინში იყო, მაგრამ ელიზაბეტისა და დევიდის ურთიერთობა ამ შემთხვევამ კიდევ უფრო გაამყარა: 1997 წელს მათ ბიჭუნა – მილზი შეეძინათ. „ახლა მე, ისევე, როგორც ბავშვობაში, კვლავ მამაკაცთა კომპანიაში ვცხოვრობ,“ – მხიარულად ამბობს მსახიობი. თავისუფალ დროს, მთელი ოჯახი ბუნებაში ატარებს: ისინი ხეებზე დაძვრებიან, ტბაში ბანაობენ და ფეხბურთს თამაშობენ. 37 წლის ელიზაბეტი თავს კვლავ „პატარა ბიჭუნად“ გრძნობს. დროდადრო მას ახსენდება, რომ კინოვარსკვლავია და საკმაოდ სერიოზულ როლებსაც ასრულებს...



ბესიკ კეკელიძე

უსახელობა

ეს ამბავი სხვას რომ მოეყოლა, ვერ დავიჯერებდი, მაგრამ ყველაფერი, რაც მინდა მოგითხროთ, მე გადამხდა.

დაიწყო იმით, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ჩემმა ჯგუფელმა და მეგობარმა, ნატომ დამირეკა და ცნობილი მხატვრის, სეხნიას გამოფენაზე დამპატიჟა. საქმე არაფერი მქონდა, მაგრამ მართალი გითხრათ, ხალხმრავალ ადგილებში არ მიყვარს სიარული, მით უმეტეს გამოფენებზე. ათასი ვიღაც მიდი-მოდის, სურათებს ათვალიერებენ და სხვის გასაგონად, შთაბეჭდილებებს ერთმანეთს ხმამაღლა უზიარებენ, ვითომ მხატვრობაში ჭიპი აქვთ მოჭრილი, თვალებს აქეთ-იქით აპარებენ — ჩემი აზრები გაიგონეს თუ არაო. სინამდვილეში არაფერიც არ ესმით, თამაშობენ ხელოვნებათმცოდნეების როლს. საგამოფენო დარბაზში იმიტომ მიდიან, რომ ასეა მიღებული, დროს არ უნდა ჩამორჩნენ, საზოგადოებაში უნდა გამოჩნდნენ, მამიკოების ნაყიდი ახალშეძენილი ტანსაცმლით უნდა გამოიპრანჭონ, ისეთი მოძრაობები უნდა აკეთონ, რომელსაც სარკის წინ საათობით დამუშავება სჭირდება. არა, არ მიყვარს რია-რია, მაგრამ ნატომ ისე მთხოვა, რომ უარი ვერ ვუთხარი და დავთანხმდი. ერთ საათში სამხატვრო გალარეის გვერდით, სკვერში უნდა შევხვედროდით.

ფანჯრიდან გავიხედე, მაინტერესებდა, როგორი ამინდი იყო. სექტემბრის ნიავი, მოუსვენარი, ცელქი ბავშვივით, ქუჩის ყოველ კუთხე-კუნჭულს აწყდებოდა და შემოდგომის დადგომას ზარ-ზეიმით აღნიშნავდა. ნეტავი, ღმერთს წლის ეს პერიოდი საერთოდ არ შეექმნა. მაშინაც სექტემბერი იდგა, ოღონდ მაშინ თექვსმეტი წლის ვიყავი, როდესაც საბამ, ჩემმა პირველმა და უკანასკნელმა სიყვარულმა, მიმატოვა. არ ვიცი, რას შევადარო, ალბათ ვულკანის ამოფრქვევა, მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ყველაფერი ერთად დამემართა და სულიერი ტრავმა იმდენად ძლიერი იყო, რომ დღეს გახსენებაც კი მეშინია. მე მგონი, კაცები ბრმები არიან, ერთი განახათ, ვისში გამცვალა — ჩემს კლასელ გოგოში, რომელიც ვითომ მემეგობრებოდა. ვენახში საფრთხობელა ხომ გინახავთ, ოღონდ წარმოიდგინეთ, სართხობელას მსხლის ფორმის ტანი რომ ჰქონდეს. დედას გეფიცებით, ეკასთან იმიტომ ვმეგობრობდი, რომ სულ მუდამ მეცოდებოდა — რა ვიცოდი, თუ მასში ეშმაკი იყო ჩაბუდებული და ასე გამიმეტებდა.

დღეს ოცი წლის ვარ. უნივერსიტეტში ფსიქოლოგიური ფაკულტეტის მეოთხე კურსზე ვსწავლობ. უკაცრავად, აქამდე რომ არ გაგეცანით: მე ლიზა მქვია.

სექტემბრის თვეზე გაბრაზებული, ჩემს საძინებელ ოთახში შევბრუნდი. ჯინსი ჩავიცვი. დიდხანს ვეძებე მწვანე მაისური, რომელიც ფერის გამო შემიყვარდა. საერთოდ, მწვანე ფერი საბამ შემაყვარა. ჩემს დაბადების დღეზე, მაშინ, თექვსმეტის როცა გავხდი, მოვიდა, ულამაზესი ვარდების თაიგული მომართვა, შემდეგ თვალები ამიხვია, ამ ოთახში შემომიყვანა, ფანჯარასთან დამაყენა და მითხრა:

— როცა გეტყვი, მხოლოდ მაშინ გამოიხედე და დაკვირვებით შეხედე.

— რას? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— შენი ფანჯრის წინ ამოსულ ცაცხვს, — მიპასუხა და გავიგე, როგორ გადასწია ფარდა, — მოიხსენი, — მიჩურჩულა.

თვალებზე ახვეული თავშალი მოვიძრე და ცაცხვს შევხედე.

— ხედავ? — მკითხა საბამ.

მე უფრო ახლოს მივიწიე, ფანჯარა გამოვაღე და განცვიფრებული, ფოთლებს დავაკვირდი. ყოველ ფოთოლზე თეთრად ეწერა — მიყვარხარ. არ ვიცი, ბედნიერებას რაიმე განზომილება აქვს თუ არა, მაგრამ იმწამს მე ბედნიერების უმაღლეს მწვერვალზე ვიმყოფებოდი:

— მეც, ჩემო სიცოცხლევ! — დავიყვირე და მოვეხვიე.

— მთელი ღამე ხეზე ვიჯექი და სიყვარულის ფოთლებს გიხატავდი, მოგწონს?

— ძალიან, ძალიან, — ჩემთვის ვბუტბუტებდი და საბას ვეფერებოდი.

ამ საზიზღარმა შემოდგომამ კი, ჩემი სიყვარულის ფოთლები ქარს გაატანა, ცაცხვის ხე გამიშიშვლა, სული დამიცარიელა. მაისურის ჩაცმით ფანჯარასთან მივედი, ფარდა გადავწიე და ჩემს ხეს მივაშტერდი, რამდენიმე წუთი ფოთლებს თვალებით ვეფერებოდი, ისინი ხომ ჩემი, დიახაც ჩემი უსაყვარლესი არსებები არიან. სახლიდან გასვლის წინ, მათ ყოველთვის ვემშვიდობები, პირველად, როდესაც უკან ვბრუნდები, ფოთლებს ვესალმები. მე ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიყავი და ფოთლების შემხედვარე, საკუთარ ბედნიერებას ვიხსენებ.

— ნახვამდის, — ცაცხვის ხეს დროებით დავემშვიდობე და ოთახიდან გავედი, — მე გამოფენაზე მივდივარ, — მშობლების გასაგონად ჩავილაპარაკე და დერეფნისკენ გავემართე.

— არ დაიგვიანო, — სამზარეულოდან გამოვიდა დედა.

ერთი შევხედე, არაფერი მიპასუხია. საკიდიდან ქართუკი მოვხსენი, ხელზე გადავიკიდე და გავედი. მშობლებს მარტო ის უნდათ, რომ სულ სახლში იჯდე არსად იარო, უფლება რომ მისცე, უნივერსიტეტსაც ბინაში გახსნიან, ოღონდ გარეთ არ გახვიდე, „მზეთუნახავად“ გადაიქცე. ქუჩას ისე გარიდებენ, თითქოს ჯოჯოხეთი იყოს, ლამის სპირტიან ჭურჭელში ჩამსვან. მოსაბეზრებელია.

ფიქრიდან ლიამ გამომიყვანა, ჩემი მე-

ზობელია. ისე უყვარს ლაპარაკი, რომ გათიშვამდე შეუძლია ილაპარაკოს. სულ მიკვირს, ამდენი ენერგია საიდან აქვს, მაგრამ ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ სალაპარაკო თემა არ ელევა. დაგიდგება გვერდით და მეტყველების აპარატს იმდენი ხნით ჩართავს, სანამ ფეხებიდან ფესვები არ გამოგივა. როცა კარგად გაფესვიანდები, მერე გაგიშვებს, მაგრამ მისი მოსმენით ისეთი დაღლილი რჩები, რომ არსად წასვლის თავი აღარ გაქვს. სუფთა ენერგოვამპირია. მომესალმა, მეც მივესალმე.

— გაიგე? — ჩართო აპარატი.

მე ერთი ამოვიოხრე და ისე შევხედე, როგორც ტყვედ ჩავარდნილმა ჯარისკაცმა:

— რა? — ვითომ ძალიან მაინტერესებდა.

— გიორგის კიდევ უყიდეს მანქანა, — მომმართა აღშფოთებულმა.

ეს გიორგი კიდევ, გვერდით კორპუსში ცხოვრობს. დაახლოებით ჩემხელა იქნება. სამ თვეში ერთხელ მშობლები მისთვის მანქანას ყიდულობენ. ისიც, ვითომ მტრის მანქანაა, ისე სწრაფად მოსპობს, გაანადგურებს, რომ საცოდავ მანქანას მხოლოდ ჯართის მიმღებ პუნქტში თუ ჩაიბარებენ. მაგარი სულელი ვიღაცაა. თავში ორპირქარი აქვს.

— რას ამბობ? — ისე გავიკვირვე, თითქოს გიორგი კოსმოსში გაეფრინათ.

— აბა! — დამიკრა ლიამ კვერი.

— ლია, გამოფენაზე მივდივარ, — ნაბიჯი გადავდგი, ვაგრძნობინე, რომ მეჩქარებოდა. თქვენც არ მომიკვდეთ, ჩართო, მაგრამ რა ჩართო! გიორგის მთელი გენეალოგია ჩამოარაკრაკა, ან რაში მაინტერესებდა?! ვიგრძენი, რომ ფესვები იწყებდა ამოსვლას. გავუმეორე: ლია, გამოფენაზე მეჩქარება.

— ვის გამოფენაზე მიდიხარ? — გადაბრუნა ფირფიტა.

— სეხნიას ნახატების გამოფენაა, — ვუპასუხე და ვიგრძენი, რომ ძალა ნელ-ნელა მეცლებოდა.

— რას ამბობ?! — ახლა მან შეიცხადა და მივხვდი, რომ ნატოსთან ნამდვილად დავაგვიანებდი, — სეხნია ვიცი, მაგისთანა მხატვარი არ გვყავს, ძალიან ძლიერია.

ახლა სეხნიაზე ჩაირთო, დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, — ლამის ფეხის ზომაც კი მითხრა. ამ დროს, კიბეზე ლიას ძმა გამოჩნდა — ღმერთმა ხელი მოუმართოს ჩემი გადარჩენისთვის, — შარვალი ჰქონდა გასაუთოებელი და ენერგოვამპირი ლია წაიყვანა. შვებით ამოვისუნთქე და კიბეზე სირბილით დავეშვი. სულის მოსათქმელად, გაჩერებაზე სკამზე დავჯექი. გამოფენამდე თხუთმეტი წუთის სავალია, მაგრამ ისეთ დაღლილობას ვგრძნობდი, თითქოს დილიდან ყანაში ვირივით მემუშაოს.

გაჩერების გასწვრივ გარე მოვაჭრეებს დახლები მოეწყოთ. საერთოდ, მთელი ქალაქი დიდ ბაზრობად გადააქციეს, ხალხი ორ ნაწილად გაიყო — გამყიდველებად და მყიდველებად, ვითომ ამქვეყნად სხვა საქმე არ არსებობდეს. ჩემთან ახლოს ერთ ქალს დახლი ნესვებით აევსო, თვითონ კი, ნესვების უკან ჩამალულიყო და გამწარებული, თვალებს იხატავდა. დაძაბულობისგან ტუჩები მოეპრუწა და პატარა სარკეში ისეთი ცნობისმოყვარეობით იცქირებოდა, თითქოს საკუთარ თავს პირველად ხედავდა. ვერ გავერკვიე, ამ ზღმურტლიან ქუჩაში წამწამების ასე მწარედ დატუშვა რა საჭირო იყო. ამ დროს ავტობუსი მოვიდა. სანამ კიბეზე ფეხს შევდგამდი, ნესვების გამყიდველს კიდევ შევხედე. სიცხეში, სიცივეში, წვიმაში, ქარში საცოდავი სულ ქუჩაში იდგა. მისთვის ქუჩა — თეატრიც, კინოც, კაფეც და ალბათ ყველაფერი იყო.

— ქალი, მაინც ქალია, — ჩავილაპარაკე და გულის რომელიღაც კუნჭულში, თვალზე გაკეთებული კონტური მოვუწონე. ავტობუსში ავედი. ორი გაჩერების შემდეგ, სამხატვრო გალარეასთან ჩამოვედი და საქმიანი ნაბიჯით სკვერში შევაბიჯე. იქაურობას თვალი მოვავლე, ნატოს ვეძებდი, მანაც შემამჩნია და ხელი დამიქნია. მივუახლოვდი და სკამზე გვერდით მივუჯექი:

— სად ხარ აქამდე?

— არ მკითხო, — ხელი ჩავიქნიე, ჩემს მეზობელზე გაბრაზებულმა.

— შევიდეთ? — ჩანთიდან ორი მოსაწვევი ამოიღო.

— მოიცა, ერთს მოვწევ და მერე, — მოვუკიდე სიგარეტს და ნერვების დასაწყნარებლად, ღრმა ნაფაზი დავარტყი. კი ამბობენ, სიგარეტი მავნებელიაო, მაგრამ მე მომწონს. ხანდახან დასამშვიდებლად გავაბოლებ ხოლმე. დედაჩემი სულ მეჩიჩინება — ნუ ეწევიო, მაგრამ რა ვქნა, რომ მომწონს? არც იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომელიც სხვის დასანახავად ეწევა, ხოლო შინ მისვლამდე, ხან სუნამოს ისხამს პირში და ხანაც საღეჭი რეზინით გამოიტენის პირს. არა, თუ ხარ — უნდა იყო, თუ ეწევი — უნდა მოწიო, ყოველგვარი მაიმუნობის გარეშე. არ მიყვარს ცხოვრებაში სხვისი როლის შესრულება.

ამ დროს ჩვენ წინ ორმა ბიჭმა გაიარა. ერთი, ზომაზე მეტად ჩასუქებული, თურაშაულის ვაშლივით ლოყაწითელი იყო, მეორე, ჟირაფივით მაღალი და ყოველ ნაბიჯთან ერთად, კისერსაც ჟირაფივით ხრიდა. ჟირაფა შემოტრიალდა:

— რომელი საათია? — ისეთი თავაზიანი ტონით მკითხა, თითქოს კულტურის მინისტრი ყოფილიყო.

საათს დავხედე:

— ოთხი ხდება, — ვუპასუხე და სიგარეტის ფილტრი ურნაში ჩავაგდე.

— გოგონებო, გამოფენაზე გეპატიჟებით, წამოხვალთ? — ახლა თურაშაულამ ამოიღო ხმა და ისე გაგვიღიმა, ანგელოზი გეგონებოდათ.

— არა, გმადლობთ, ჩვენც გვაქვს მოსაწვევი, — უპასუხა ნატომ და ბიჭებს ჩვენი გაცნობის სვლები წყალში ჩაუყარა.

— მაშინ, იქ შევხვდებით, — გადმოგვილაპარაკა ჟირაფამ და გზა განაგრძეს.

— წავედით? — მკითხა ნატომ.

— მოიცა, ჯერ ისინი შევიდნენ და მერე.

— კარგი, — დამთანხმდა და სკამის საზურგეს მიეყრდნო.

რამდენიმე წუთში წამოვდექით და საგამოფენო გალერეაში შევედით. ვიღაც ქალს, რომელიც კარში იდგა, ნატომ მოსაწვევები უჩვენა.

— ერთი წუთით, — მოგვმართა კონტროლიორმა და ორი ფურცელი გამოგვიწოდა. მე გამოვართვი, ერთი ნატოს მივაჩეჩე, ხოლო ჩემსას დავხედე.

ცარცის ქაღალდზე, შვიდი ფერის ზოლის ფონზე, ასეთი ტექსტი ეწერა:

„მხატვარ სეხნიას, გოგონას პორტრეტის დასახატად ესაჭიროება ნატურა, რომლის ასაკი ოც წელს არ უნდა აღემატებოდეს. აღნიშნულ მისამართზე გამოგზავნეთ ფოტო და ავტობიოგრაფია.“ ტექსტის ქვეშ მისამართი ეწერა. ფურცელი გადავკეცე და ქურთუკის ჯიბეში ჩავიდე. დარბაზში შევედით. იმდენი, იმდენი ხალხი ირეოდა, რომ თითოეული ნახატის სანახავად რიგში უნდა დამდგარიყავი.

— რა ამბავია?! — უკმაყოფილოდ გადავულაპარაკე ნატოს.

— აბა! — დამეთანხმა ისიც.

ძალაუნებურად სხვების ჭკვიანურ აზრებს ვისმენდი, რომელიც სრულებით არ მაინტერესებდა, მაგრამ მოთმინებით ვუძლებდი. ერთი მოგასმენინათ, რას ლაპარაკობდნენ: „სეხნია მოვლენაა, ის ნახატი შედევრია, ასეთი დონე არ არ-

სებობს“ – და ამდაგვარი ფრაზებით დარბაზში გამეფებული ნაბიჯების ხმას არღვევდნენ. არა, ყოველი ნახატი მეც ძალიან მომწონდა, მაგრამ ჩემს აზრებს ნატოს თავს არ ვახვევდი. მივუყვებოდი რიგს, თითოეულ ტილოს გულდასმით ჩავკირკიტებდი და ვითავისებდი. განსაკუთრებით, უზარმაზარი ხეების პეიზაჟი მომეწონა. ცადაწვდილი ცაცხვის, წიფლისა და მუხის ხეები ერთმანეთს ჯარისკაცებივით გვერდში ედგნენ. ახლოს მივიწიე, სურათის სახელწოდება მაინტერესებდა, ვიფიქრე, ალბათ, რომელიმე ტყის სახელწოდება ექნებოდა, მაგრამ განცვიფრებული დავრჩი: სურათს „მეჯვარეები“ ერქვა. თითქოს ჰიპნოზის ქვეშ ვიმყოფებოდი, ისე შევყურებდი ნახატს, მაგრამ ვინმე რამეს დაგაცდის? ზურგს უკან უკმაყოფილო საუბარი შემომესმა:

– რა არის, ზეპირად სწავლობს?

– ამ ახალგაზრდობამ მოქცევა არ იცის.

– უზრდელი თაობა მოდის.

უკან მივიხედე, ასაკოვანი წყვილი, იმის გამო, რომ ცოტა დიდხანს შევჩერდი ნახატთან, მთელ ჩემს თაობას ლანძღავდა. კი მაგრამ, სად გაგონილა, რომ გამოფენაზე სპრინტერული სიჩქარით წრე დაარტყა და ჩათვალო, რომ ყველაფერი ნახე. არაფერი ვუპასუხე, ნაბიჯიც კი არ გადავდგი: ისე არ გამიგოთ, თითქოს იმათ ჯინაზე, – არა, პეიზაჟმა ისე ჩამითრია, რომ იმ ადგილიდან წასვლა არ მინდოდა, ჩემი თაობა კი, მოხუცების უკმაყოფილო წუწუნს აიტანს.

– გოგონი, მიგვიშვით ნახატთან! – ისეთი ტონით მითხრა მამაკაცმა, თითქოს თვალებზე ხელს ვაფარებდი და არაფრის ნახვის საშუალებას არ ვაძლევდი.

– მიბრძანდით, – გზა დავუთმე ახალგაზრდობით უკმაყოფილო წყვილს.

მე და ნატო დარბაზის ცენტრში გავედით, იქ მეტი სიხალვათე იყო.

– შეხედე, – გამახედა მეორე დარბაზში ნატომ.

– ვინ არის? – გაკვირვებისგან პირი დავაღე: ჭაღარა მოხუც მამაკაცს ჟურნალისტები შემოხვეოდნენ და კითხვებით აბრუებდნენ. მე მისმა ჩაცმულობამ განმაცვიფრა – კლოუნივით ფერად ტანსაცმელში იყო გამოწყობილი.

– სეხნიაა, – მიპასუხა ნატომ.

– მერე, ცირკის მასხარასავით რატომ აცვია? – თვალს ვერ ვაშორებდი საუბარში გართულ მხატვარს.

– ასეთი, თავისებურია, – მომიგო ნატომ.

– მდაა, – ჩავილაპარაკე ჩემთვის.

ამ დროს ჟირაფა და თურაშაულა მოგვიახლოვდნენ:

– გოგონებო, დაათვალიერეთ? – გვკითხა თურაშაულამ და ისევ ანგელოზივით გაიღიმა.

– დავათვალიერეთ, – უპასუხა ნატომ.

– მაშინ, კაფეში გეპატიჟებით, – შემოგვთავაზა კულტურის მინისტრობის კანდიდატმა ჟირაფამ.

მე და ნატომ ერთმანეთს გადავხედეთ და დავთანხმდით. ოთხივენი გარეთ გავედით. რაც საბამ მიმატოვა, მე ყოველნაირად გავურბივარ ბიჭებთან ახალ ნაცნობობას. მეშინია ურთიერთობის. რატომღაც ასე მგონია, თითქოს ყველა ყმაწვილი იმას ცდილობს, რომ კაბის ქვეშ გიფათუროს ხელი, შეგეხოს იმ ადგილზე, რაც თავად არ გააჩნია, შეისწავლოს განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის და რაღაც სასწავლო სხეულად გამოგიყენოს. არა, ეს მხოლოდ ჩემი აზრია, რატომღაც ასე მგონია, მაგრამ ყველა ბიჭი ხომ ერთნაირი არ არის. თან, ძალიან მიყვარს ახალი ნაცნობის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა. ამ შემთხვევაში, თურაშაულამ დამაინტერესა და კაფეში წასვლაზე უფრო, იმიტომ დავთანხმდი.

– გავიცნოთ ერთმანეთი, – ჩვენკენ შემობრუნდა ჟირაფა, – მე ლევანი მქვია, – ჩამოგვართვა ხელი.

– მე დათო, – ისევ ანგელოზივით გაიღიმა თურაშაულამ და ისედაც წითელი ლოყები უფრო გაუწითლდა.

– ლიზა, – ძალაუნებურად გავულიმე ორივეს.

– ნატო, – გაეცნო ნატო ბიჭებს.

– რომელ კაფეში შევიდეთ? – იკითხა ლევანმა.

– სადაც ნაკლები რია-რიაა, – ვუპასუხე მე.

– ცეკვა გიყვართ? – ახლა დათო ჩაერთო საუბარში.

– ისე, რა, – უპასუხა ნატომ.

– მაშინ იმ კაფეში შევიდეთ, – თურაშაულამ ხელი გაიშვირა, ლამაზად გაფორმებული შენობისკენ, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს.

ქუჩა გადავკვეთეთ და კაფე „დორე-მი“-ს მივაშურეთ. დღეს ჩვენს ქალაქში ყველაფერს სასწაულ სახელს არქმევენ. ოღონდ რამე დაარქვან, მოვალეობა მოიხადონ და იმას აღარ უყურებენ რა გამოვა. ამ კაფეს სამი ნოტის სახელი რომ დაარქვეს, დანარჩენმა ოთხმა რა დააშავა? თუ მთელი მუსიკა სამ ნოტზე აქვთ აწყობილი?

ლევანმა შესასვლელი ბილეთები შეიძინა და ოთხივენი ნახევრად ჩაბნელებულ, სიგარეტის კვამლით გაჟღენთილ დარბაზში მოვხვდით. წყნარი მუსიკა ისმოდა. რამდენიმე წყვილი დარბაზის ცენტრში იდგა და ცეკვავდა. თავისუფალ მაგიდას მივუსხედით. ოფიციანტმა ოთხი ჭიქა „კოკა-კოლა“ მოგვიტანა და მაგიდაზე მენიუ დაგვიდო.

– გოგონებო, რას მიირთმევთ? – იკითხა დათომ.

– მე არაფერი მინდა, – ვუპასუხე.

– არც მე, – ამყვა ნატო.

– რამეს დალევთ? – ახლა ლევანმა გვკითხა.

– ჯინი ტონიკით – მივუგე მე.

ძალიან მიყვარს ეს სასმელი. როცა დავლევ, ისე ლამაზად, ფრთხილად ჩაიბუდებს ხოლმე ჩემში, რომ გაოცებული ვრჩები. გონების ისეთ ჩახლართულ-ჩახვეულ ადგილებს გამიხსნის, რომ თავი ყველაზე ჭკვიანი მგონია. კარგია, ნელ-ნელა ვწრუპავ და ისიც ნელ-ნელა მიპყრობს.

ბიჭებმა თავიანთთვის კონიაკი, ჩვენთვის კი ჯინი ტონიკით შეუკვეთეს. რამდენიმე წუთში ოფიციანტმა თლილ ჭიქებში ჩამოსხმული სასმელი მოგვიტანა.

– მოწევთ? – სიგარეტი გამოგვიწოდა ჟირაფამ.

– არა, მე სხვას ვეწევი, – ვუპასუხე და და ჩანთიდან სიგარეტის კოლოფი ამოვიღე, ერთი ღერი ამოვაცურე და მოვუკიდე, ჯინი მოვსვი.

– სად სწავლობთ? – გვკითხა დათომ.

– უნივერსიტეტში, ფსიქოლოგიურზე, – უპასუხა ნატომ.

– ოო, ძალიან საინტერესო სპეციალობაა, – ბრძენი კაცივით ჩაილაპარაკა ლევანმა და კონიაკიანი ჭიქა მოიყუდა, – ვიცეკვოთ? – მიმართა ნატოს.

– ვიცეკვოთ, – დაეთანხმა ნატო და წამოდგა.

დარბაზის ცენტრში გავიდნენ. მე ჯინი ისევ მოვსვი და მთელი ყურადღება მათკენ მივმართე. მაგიდასთან თურაშაულა მუნჯივით იჯდა და კონიაკს წრუპავდა. ნატომ და ლევანმა ცეკვა დაიწყეს. ისეთ სასაცილო მოძრაობებს აკეთებდა ლევანი, რომ ძალაუნებურად გამეღიმა. რატომღაც წარმოვიდგინე, რომ ნატოს ჟირაფი ეცეკვებოდა. ამაზე ხმამაღლა გამეცინა და თვალი ავარიდე, რომ არავის შევემჩნიე,

მაგრამ დათომ ჩემი გ[illegible]
ცინება დააფიქსირა:

— ლევანზე გეცინება? — მკითხა გაღიმებულმა.

— არა, როგორ გეკადრება? — შევიცხადე და ჯინი მოვსვი, — უბრალოდ, რაღაც გამახსენდა, — ვუპასუხე, მაგრამ გულის სიღრმეში ჟირაფთან მოცეკვავე ნატო მეცოდებოდა. ვგრძნობდი, რომ თურაშაულა სასაუბრო თემას გონებაში ეძებდა, მაგრამ პირველი სიტყვის ამოღერღვა უჭირდა. ისევ მე შევეშველე, — სეხნიას ნახატები მოგეწონა?

— ძალიან, — ჩაფიქრდა და ისე მიპასუხა, — დიდი მხატვარია.

— მეც ძალიან მომეწონა, — მოვსვი ჯინი და ვიგრძენი, რომ გამიხურდა საფეთქლები, სასმელი ნელ-ნელა, ქურდულად მეპარებოდა. ისევ ნატოსა და ლევანისკენ გავიხედე. მშვიდ მუსიკაზე ერთმანეთს ჩაჰკვროდნენ და ჭიპახუნას ცეკვავდნენ.

— ჩვენ არ ვიცეკვოთ? — მკითხა დათომ.

— ჯერ არა. — მივუგე და ჭიქა გამოვცალე.

ამ დროს, მაგიდასთან ქალი მოგვიახლოვდა, რომელსაც მინდვრის ყვავილების კონებით სავსე კალათა ეჭირა. დათომ ჯიბიდან ფული ამოიღო და ორი ლამაზი კონა იყიდა. ერთი მე გამომიწოდა, მეორე — მაგიდაზე, ნატოს ადგილას დადო.

— დიდი მადლობა, — გამოვართვი ყვავილები და დავსუნე.

ლევანი და ნატოც სიცილ-სიცილით მოგვიახლოვდნენ და მაგიდას მიუსხდნენ. ჟირაფამ ოფიციანტს დაუძახა:

— მოხალული თხილი მოგვიტანეთ და ცარიელი ჭიქები შეგვივსეთ.

— ახლავე, — უპასუხა თეთრწინსაფრიანმა ქალმა და ცარიელი ჭიქები ლანგარზე დაალაგა.

ახლა მე და თურაშაულა გავედით საცეკვაოდ. მიუხედავად სიმსუქნისა, იგი ისეთი მოძრავი და კარგი მოცეკვავე აღმოჩნდა, რომ ნამდვილად გაკვირვებული დავრჩი. როდესაც უკან დავბრუნდით, სასმელი მოტანილი დაგვხვდა. მე ჯინი მოვსვი და თურაშაულას მივმართე:

— დათო, რა კარგად ცეკვავ.

— ვცდილობ, — მიპასუხა კმაყოფილმა.

მთელი საღამოს მანძილზე ლევანი აქტიურობდა. ათასნაირ სასაცილო ამბავს იხსენებდა, დათო კი, ძირითადად, ჩუმად იჯდა, ხანდახან თუ ვიცეკვებდით — ეგ იყო და ეგ. ჯინმა თავისი ქნა — გემრიელად მომეკიდა. ცხრა სრულდებოდა, როდესაც სახლთან ტაქსით მიმიყვანეს.

— ტელეფონის ნომერს არ მომცემ? — მკითხა დათომ.

— შენი ნომერი მომეცი, — ვუპასუხე.

მან ტაქსის მძღოლს კალამი გამოართვა, სიგარეტის კოლოფს გვერდი მოახია და ტელეფონის ნომერი დამიწერა. მე გამოვართვი, ჩანთაში ჩავიდე, ყველას დავემშვიდობე და მანქანიდან გადავედი. საქმიანი ნაბიჯით ნესვის გამყიდველ ქალს მივუახლოვდი და მინდვრის ყვავილების თაიგული გავუწოდე:

— აი, ეს თქვენ, — გავუღიმე.

— უი! — შეიცხადა გაკვირვებულმა და გამომართვა, — დიდი მადლობა!

— ძალიან სიმპათიურად გამოიყურებით, — ჩემი გამბედაობა ალბათ სასმლის ბრალია, თორემ ფხიზელი ასე ნამდვილად ვერ მოვიქცეოდი, — კარგად ბრძანდებოდეთ, — შევბრუნდი და სახლისკენ წავედი. მეორე სართულზე ავირბინე და კარი გავაღე.

მთელი ოჯახი ტელევიზორს მისჯდომოდა და სერიალს უყურებდა. ჩემი მისვლა ვერც კი გაიგეს, არც მე მიაქტიურია მაინცდამაინც. ქურთუკს როცა ვიხდიდი, სეხნიას ფერადი ქაღალდი გამახსენდა და ამოვიღე, ხელს დათოს ტელეფონის ნომერიც ამოჰყვა. ქურთუკი ჩამოვკიდე და ჩემი ოთახისკენ გავწიე. გზად ჩემებს შევძახე:

— მოვედი!

— არ გშია? — მკითხა დედაჩემმა.

— არა, — ვუპასუხე და ოთახში შევედი. ფარდა გადავწიე და ქუჩის ლამპიონით განათებულ ცაცხვს მივესალმე. საწერ მაგიდას მივუჯექი და შვიდფერი ქაღალდი გადავიკითხე, შემდეგ დავხედე სიგარეტის კოლოფის ნაგლეჯს, რომელზეც დათოს ტელეფონის ნომერი ეწერა. ჩემთვის ბიჭის ღირსების საზომი საბადან იწყებოდა — ის იყო ჩემთვის ათვლის წერტილი. რასაკვირველია, მჯობნის მჯობნი არ დაილევაო, მაგრამ მე ასე მიმაჩნდა... ცოტა ხანს გაკრული ხელით დაწერილ ციფრებს დავაშტერდი და მაინც საბაზე ვფიქრობდი. მერე ქაღალდი გადავხიე და ჩავილაპარაკე:

— დათო, ძალიან შორს ხარ, ჯერ ბევრი უნდა იარო, რომ საბას წამოეწიო, — რამდენჯერმე კიდევ გადავხიე ქაღალდი და საფერფლეში გადავუძახე.

სიგარეტი ამოვიღე, მოვუკიდე. ფიქრები საბას ირგვლივ ამეხლართ-ჩამეხლართა. ჯინი ძალიან მეხმარებოდა აზროვნებაში. ოთხი წელი გავიდა და მე მას ვერ ვივიწყებდი, პირიქით — დღითი დღე მიძლიერდებოდა სიყვარული. მაინც როგორი სასწაულია ეს გრძნობა. ალბათ მთელი სამყარო მასზე დგას. ღმერთმა მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულის გამო შექმნა ადამიანი, მიანიჭა მას უსასრულობის აღქმის უნარი, დიახაც, სიყვარული — ეს ხომ უკიდეგანო ოკეანეზე უფრო ვრცელია, უფრო ღრმაა და გაცილებით ბობოქარია. ბედნიერია ადამიანი, რომელსაც ამის შეგრძნების ნიჭი აქვს.

ოთახში დედაჩემი შემოვიდა.

— კიდევ ეწევი? — უკმაყოფილომ გადმომილაპარაკა.

მომენტალურად ჩავაქრე:

— ძალიან ცოტას ვეწევი, — თავის გასამართლებლად ჩავიბუტბუტე.

— არ ივახშმებ?

— არა, არ მინდა.

— მაშინ, მე დავწვები, ვერ ვარ კარგად.

— კარგი, დედიკო, ღამე მშვიდობისა, — გავუღიმე ყველაზე ერთგულ, ყველასგან გამორჩეულ და ყველაზე დიდ მეგობარს, ჩემს უსაყვარლეს მშობელს.

— ძილი ნებისა, — მისურვა დედამ და ოთახიდან გავიდა.

გაგრძელება იქნება

BENTLEY-ს სპორტული ხასიათი

კონცერნ „ფოლკსვაგენის“ ხელმძღვანელობა, რომელსაც ახლა უძველესი ინგლისური მარკა BENTLEY ეკუთვნის, სიამაყით აცხადებს, რომ ახალ BENTLEY ARNAGE T-ს, ძრავის სიმძლავრითა და ჩქაროსნული თვისებებით, დღეს მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს. ამ ავტომობილის ტექნიკური მახასიათებლები, მართლაც, ძალზედ შთამბეჭდავია: 8-ცილინდრიანი V ტიპის ძრავა 456 ცხ.ძ-ს ავითარებს, მისი მოცულობა 6,75 ლ-ია. მანქანა საშუალოდ, 20,6 ლ საწვავს ხარჯავს, მაგრამ აღნიშნული მაჩვენებელი ამ კლასის ავტომობილისთვის გადამწყვეტი არ არის.

ფირმა „ბენტლი“, რომელიც ტრადიციულად, ელიტისთვის განკუთვნილი და ინდივიდუალურად წარმოებული იმ ავტომობილების შექმნაში იყო დახელოვნებული, რომლის უმთავრესი ღირსებები კომფორტი და რბილი მოძრაობა იყო. ახლა ორიენტაციას სპორტული სტილის ავტომოყვარულებზე იღებს. უკანაამძრავიანი ARNAGE T, რომელიც 100 კმ/სთ-მდე სიჩქარეს 5,8 წმ-ში ავითარებს, ისეთ სპორტულ ავტომობილებსაც კი გაეჯიბრება, როგორებიცაა „პორშე“, „ფერარი“, „მაზერატი“ და „ლამბორჯინი“. მათთან შედარებით, ინგლისურ ლიმუზინს უამრავი უპირატესობა აქვს: ვრცელი სალონი, კომფორტი, დიდი საბარგული (374 ლ) – მაშინ, როდესაც სუფთა სპორტული საავტომობილო დიზაინი, თავისთავად გულისხმობს გარკვეულ ასკეტურობას. ახალი „ბენტლის“ ღირსებები კომფორტულობასა და 270 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს უთავსებს ერთმანეთს. 2585 კგ მასის მქონე მანქანას გარედან არ აქვს ქრომირებული დეტალები, რაც თავისთავად, პატარა რევოლუციაა „ბენტლისთვის“. ARNAGE T-ი ფირმის ახალ სამოდელო რიგს _ SERIES TWO-ს ხსნის. წლეულს გამოვა აგრეთვე მოდელ ARNAGE RED LABEL-ის განახლებული ვერსია და დაგრძელებული ლიმუზინის – ARNAGE LONG WHEELBASE-ის მოდიფიკაცია.

ARNAGE T-ის გაყიდვა ევროპაში აპრილისთვის არის დაგეგმილი. წინასწარი მონაცემებით, ახალი ლიმუზინის მინიმალური ფასი, 255.000 ევრო იქნება. ■

გაზის OPEL-ი

ამერიკული კორპორაცია „ჯენერალ მოტორსის“ შემადგენლობაში სტრუქტურულად შემავალი გერმანული ფირმა „ოპელი“ პრინციპულად ახალ მიღწევას წარმოადგენს. ეს არის კონცეპტუალური მოდელი CONCEPT M-ი – ვენი, რომლის ძრავა ბუნებრივი აირით მუშაობს. ტურბოდაბერვით აღჭურვილი ძრავა 1,6 ლ-იანი და 150 ცხ.ძ.-ს ავითარებს. მანქანას ჩინებული დინამიკური მახასიათებელი აქვს: მისი მაქსიმალური სიჩქარე 200 კმ/სთ-ს შეადგენს.

კომფორტაბელური სალონი, მძღოლის გარდა, 4 მგზავრზეა გათვალისწინებული და თითოეულისთვის, ცალკე სავარძელია განკუთვნილი. ელექტრონული სისტემა BPDA (PERSONAL DIGITAL ASSISTANT – ინდივიდუალური ციფრული თანაშემწე) კონდიციონერებს მართავს და ინტერნეტში შესვლას უზრუნველყოფს.

„ოპელი“ ახლა საკმაოდ ბევრ სიძნელეს განიცდის: 2001 წელს ფირმამ 674 მლნ ევროს ზარალი განიცადა, საკუთრივ გერმანიაში მისი საბაზრო წილი კი, 12%-ით შემცირდა. კომპანია ირწმუნება, რომ ყოველ ექვს თვეში, ახალ მოდელსა თუ მოდიფიკაციას წარმოადგენს. მარტო სარეკლამო კამპანიისთვის ხელმძღვანელობა წლეულს 50 მლნ ევრომდე დახარჯვას აპირებს. ■

PEUGEOT 307 — ავტომობილი წყნარი დინამიზებისთვის

ფრანგული საავტომობილო კომპანია „პეჟო“ 307-ე მოდელის მოდიფიკაციებზე მუშაობას განაგრძობს. უახლოეს პერიოდში 307-ე ე.წ. PRESENCE-ს კომპლექტაციით გამოვა და, როგორც ბენზინის, ისე დიზელის 1,4 ლ-იანი ძრავა ექნება. ეს უკანასკნელი 68 ცხ.ძ-ს განავითარებს: ის კონცერნ PSA-ს ინჟინრების მიერ, „ფორდის“ სპეციალისტებთან ერთად არის შემუშავებული (ამ კონცერნში „სიტროენი“ და „პეჟო“ არიან გაერთიანებულნი). პირდაპირი შეშხეფებით აღჭურვილი ძრავა, ავტომობილის კარგი დინამიკის საწინდარია: 100 კმ/სთ-მდე სიჩქარეს ის 14,7 წმ-ში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი — 160 კმ/სთ-ია. ავტომობილი საუცხოო ეკონომიურობთი გამოირჩევა — 100 კმ-ზე სულ 4,5 ლ-ს ხარჯავს. 1,4 ლ-იანი ბენზინის ძრავას, ჩამოთვლილზე ცოტა უარესი მახასიათებლები აქვს: 100 კმ/სთ-მდე სიჩქარე — 15,6 წმ-ში, საწვავის ხარჯი — 6,7 ლ. სამაგიეროდ, მისი მაქსიმალური სიჩქარე 167 კმ-ია.

1,4 ლ-იანი ძრავები წყნარი, აუჩქარებელი სიარულის მოყვარულებისთვის არის გათვალისწინებული და საერთოდ, დიდი პოპულარობით სარგებლობს ევროპული ქალაქების მცხოვრებლებს შორის, რომლებსაც მანქანის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებად, ეკონომიურობა მიაჩნიათ. 307-ე მოდელი, რომელიც პრესტიჟულ ევროპულ კონკურსზე — „2002 წლის ავტომობილი“, მეორე პრიზით აღინიშნა, კიდევ უფრო განამტკიცებს PSA-ს ბოლოდროინდელ წარმატებებს, რომელმაც შარშან, პირველად თავისი ისტორიის მანძილზე, 3 მლნ მანქანაზე მეტი გაყიდა. კონცერნი, რომელიც მსოფლიოს საავტომობილო მწარმოებლებს შორის მეექვსე პოზიციას იკავებს, ახლა ევროპის ბაზრის 15%-ს ფლობს და მიღწეულით დაკმაყოფილებასაც არ აპირებს. ■

BOXER-ი და JUMPER-ი

ფრანგული PSA თავისი მინი-ფურგონების სამოდელო რიგის განახლებასაც აპირებს. ერთსა და იმავე პლატფორმაზე დამონტაჟებული მანქანები, ტყუპივით ჰგავს ერთიმეორეს, თუმცა, მათ შორის განსხვავებაც არის. კონცერნის ერთმა წევრმა — „სიტროენმა“ თავის პირმშოს JUMPER-ი, მეორემ — „პეჟომ“ კი, BOXER-ი დაარქვა. ამგვარი ავტომობილის მთავარი ღირსება, პრაქტიკულობაა, თუმცა ბოლო დროს, კონსტრუქტორები უფრო მეტ ყურადღებას იმას აქცევენ, რომ მანქანა მოსახერხებელი იყოს მგზავრებისთვის. ამის წყალობით, ტვირთის გადასაზიდი თანამედროვე მანქანების სალონები იმდენად არის აღჭურვილი ტექნიკით, რომ ზოგჯერ, პრესტიჟულ ავტომობილებსაც გაეჯიბრება. მაგალითად, აღნიშნულ მოდელებს აქვთ გასწრების სენსორი (მინი-ტელეკამერა მარცხენა გვერდით სარკეში), რომელიც მძღოლს საფრთხის მოახლოებას აუწყებს. დამატებით ოპციის სახით, მომხმარებელს შეუძლია შეუკვეთოს უკანა ხედვის კამერა, რომლის გამოსახულებას მძღოლი სპეციალურ დისფლეიზე მიიღებს.

BOXER-ი და JUMPER-ი სხვადასხვაგვარი მოდიფიკაციით გამოვა. მინი-ფურგონის სიგრძე 2,85 მ-დან 4,05 მ-მდე მერყეობს, სატვირთო ნაწილის მოცულობა კი — 7,5 კუბ. მ-დან 14 კუბ.მ-მდე. ჩვეულებრივ, ამ კლასის მანქანები დიზელისძრავიანია. მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება, სამიდან — 2,0, 2,2 და 2,8 ლ-იანი დიზელის ძრავიდან ერთი აირჩიოს. თუმცა, კომპანიებს მინი-ვენებისთვის ბენზინის ძრავაც აქვს — 2,0 ლ-იანი, რომელიც 80 ცხ.ძ-ს ავითარებს. მინი-ფურგონების მინიმალური ფასი 17,500 ევრო იქნება. ■

დაიშლება თუ არა ნანიკო ხაზარაძისა და ნიკა ლომიძის დუეტი?!

ბოლო დროს, ტელემაყურებელთა ყურადღების ცენტრში, სტუდია „მაესტროს“ წამყვანები მოექცნენ. ყველაზე დიდი ინტერესი კი, უკვე პოპულარული წამყვანის — ნანიკო ხაზარაძის მოულოდნელმა გაუჩინარებამ გამოიწვია. გავრცელდა ვერსია, რომლის თანახმად, ნანიკოსა და ნიკას დუეტი საბოლოოდ დაიშალა, რომელსაც საუუძველს ის უმყარებდა, რომ ნიკას, ჯერ კენტად, შემდეგ კი — ახალ პარტნიორთან ერთად მიჰყავდა პროგრამა. სიმართლის დასადგენად, თავად ნანიკოსა და ნიკას, თითოეულს ცალ-ცალკე დავუკავშირდით.

ნანიკო ხაზარაძე:

— ჩვენი თაყვანისმცემლები აშკარად მცდარ ინფორმაციას ფლობენ. ამჟამად შვებულებაში ვიმყოფები და, ნიკასთან ერთად, გუდაურში ვისვენებ. თბილისში ორი კვირის შემდეგ დავბრუნდები და დარწმუნებული ვარ, ყველაფერი სხვაგვარად წარმოჩნდება. ნიკა თხილამურებზე სრიალით ერთობა და არც მე ვამბობ უარს სასიამოვნო დასვენებაზე.

ნიკა ლომიძე:

— დროს შესანიშნავად ვატარებ. თბილისში რამდენიმე დღეში დავბრუნდები. რაც შეეხება ჩვენს დუეტს, „მაესტროში“ — წინასწარ ვერაფერს გეტყვით, რადგან კონკრეტულად ჯერ არაფერი გადაგვიწყვეტია.

ამ ინტერვიუს მეორე დღეს ნიკა ლომიძე კვლავ ეთერში გამოჩნდა...

დინი ვირსალაძე

მედეა ძიძიგურის ხსოვნის საღამო

ხელოვნების მუშაკთა სახლში მედეა ძიძიგურის ხსოვნის საღამო გაიმართა, სადაც მომღერლის პატივსაცემად უამრავი ცნობილი პიროვნება შეიკრიბა. ქალბატონი მედეა დასაწყისში გამოსულმა ირმა სოხაძემ გაიხსენა, მუსიკალური ნაწილი კი, ძირითადად, რომანსებს დაეთმო, რომლის უზადო შემსრულებელი იყო მედეა ძიძიგური.

მონაწილეებს შორის ახალგაზრდა მომღერლები ჭარბობდნენ. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა თამარ ჭოხონელიძისა და მისი ქალიშვილის დუეტმა. მსმენელების წინაშე წარდგნენ აგრეთვე: თათია გიორგობიანი, სალომე გასვიანი და სხვები.

თათია გიორგობიანი

თამარ ჭოხონელიძე ქალიშვილთან ერთად;

კახა კუხიანიძე ცოლიოლომემისთვის იმზადება

გასულ კვირას კახა კუხიანიძის მსმენელებს საშუალება მიეცათ, ცოცხალი ორკესტრის თანხლებით მოესმინათ მომღერლისთვის, რაც ახალგაზრდა შემსრულებლის დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს. ამჟამად კი, კახა ახალი კლიპის გადაღებებით არის დაკავებული. საინტერესოა, რომ ეს, სიმღერაზე — „ალერსი მინდა“ — გადაღებული უკვე მეორე კლიპი იქნება. როგორც თვითონ კახამ გვაცნობა, ამ კლიპს, პირველისგან განსხვავებული სიუჟეტი ექნება. მომღერალი თურმე რთულ მუსიკალურ ჟანრებშიც აპირებს ძალების გამოცდას და უახლოეს მომავალში, მსმენელებს, სოულთან ერთად, ჯაზისა და ჯაზ-როკის კომპოზიციებსაც შესთავაზებს.

ქართული მინი-ჯაზ-ფესტივალი

სარვამარტოდ ქართველ ჯაზის მოყვარულებს სასიამოვნო სიურპრიზი ელოდებათ: მინი-ჯაზ-ფესტივალი, რომელიც კინოს სახლში მდებარე ბარ-რესტორან „დაკარგულ სამოთხეში“ გაიმართება.

აღნიშნულ საღამოზე თითქმის ყველა ქართველი ჯაზ-შემსრულებელია მიწვეული, მათ შორის, მსმენელთა წინაშე, ორწლიანი შემოქმედებითი პაუზის შემდეგ, OLD FRIENDS BAND-იც წარდგება, რომლის შემადგენლობაში ცნობილი მუსიკოსები: დინი ვირსალაძე, თამაზ ყურაშვილი და თემურ სარჯველაძე არიან. კონცერტი 7 მარტს, საღამოს ათლებს სტარტს და მთელი ღამე გასტანს.

რევაზ ძაგანიშვილი

ᲝᲠᲡᲣᲚ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲛᲘᲚᲘ ᲬᲐᲐᲠᲗᲕᲔᲡ

ცნობილ ფრანგ მსახიობს სოფი მარსოს პარიზის პრესტიჟული გარეუბნის, ნეილის ერთ-ერთ მიწისქვეშა ავტოსადგომზე თავს დაესხნენ. მძარცველებმა სოფი მანქანის „ფოლცვაგენ-პასატის“ საჭიდან „გადმოაბრძანეს“, ჩანთა და გასაღები წაართვეს, სალონში მოკალათდნენ და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდნენ.

ინციდენტის შემდეგ, მსახიობმა შინ დაბრუნებისთანავე, მომხდარის შესახებ პოლიციას აცნობა. მარსოს თქმით, მძარცველები ხუთნი იყვნენ.

35 წლის მარსო ამჟამად ოთხი თვის ორსულია. მომავალი ბავშვის მამა, ამერიკელი პროდიუსერი ჯიმ ლემლი ყოფილა, რომელიც მარსომ 1995 წელს, „მამაცი გულის“ გადაღებაზე გაიცნო.

როგორც პოლიციელებმა განაცხადეს, მსგავსი თავდასხმები თურმე ძალიან გახშირდა. ვინაიდან მძარცველები გატაცების საწინააღმდეგო თანამედროვე სისტემებს ვერაფერს უხერხებენ, მათ მხოლოდ ისღა დარჩენიათ, რომ ავტოსადგომებსა და ავტოფარეხებში, თავად ავტომფლობელებს დაესხნენ თავს. ■

ᲤᲘᲓᲔᲚ ᲙᲐᲡᲢᲠᲝᲛ ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ ᲘᲠᲬᲛᲣᲜᲐ

კუბის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ფიდელ კასტრომ, ცხოვრებაში პირველად, ჰოლივუდის იდეალები ირწმუნა. ყოველ შემთხვევაში, თვითმხილველების გადმოცემით, რეჟისორ ოლივერ სტოუნს კასტრომ ჰავანის აეროპორტში ძალიან გულთბილი გაცილება მოუწყო.

კასტრომ რეჟისორი პირადად მიაცილა თვითმფრინავის ტრაპთან — ასეთ პატივს კი, კუბელთა ლიდერი ჩვეულებრივ, მხოლოდ სახელმწიფოთა მეთაურებს მიაგებს ხოლმე.

ოლივერ სტოუნი ამჟამად კუბელთა ლიდერის შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებს და თან კასტროს საკუთარ შეხედულებებს უზიარებს თანამედროვე კინოს შესახებ. ■

ᲙᲐᲛᲔᲠᲝᲜ ᲓᲘᲐᲡᲘ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲐᲜᲐᲬᲧᲕᲔᲜᲔᲑᲡ

მსახიობმა კამერონ დიასმა განაცხადა, რომ ამ-იერიდან წყვეტს ქუჩაში ავტოგრაფების დარიგებას. 29 წლის ვარსკვლავი აღიარებს, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება მისთვის ადვილი არ იყო და იცის, რომ ამან შეიძლება მისი თაყვანისმცემლები გვარიანად გაანაწყენოს, მაგრამ იძულებულია, გამიჯნოს თავისი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება.

ჩვეულებრივ დღეებში მსახიობს დასვენება, მაღაზიებში შევლა და კაფეში ჯდომა სურს, მაგრამ ყველაფერ ამას სხვებისგან შეუმჩნევლად მაინც ვერ ახერხებს: ფანატები არ ასვენებენ და ავტოგრაფის დასატოვებლად, გამუდმებით აწვდიან ქაღალდის ნაგლეჯებსა და ხელსახოცებს. „მომავალში, როცა ავტოგრაფს მთხოვენ, უბრალოდ უარს ვეტყვი. ჩემი ამ გადაწყვეტილების შესახებ, ხმა მალე გავრცელდება და იქნებ მაშინ მაინც შევძლო ჩვეულებრივი ადამიანივით ქუჩაში სეირნობა“, — იმედოვნებს კამერონ დიასი. ■



ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲡᲢᲘᲕᲘ ᲜᲘᲭᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲡᲢᲘᲜᲒᲘ

სტინგმა დოკუმენტალური ლიტერატურის დარგში წიგნის დაწერა გადაწყვიტა და ახლახან შესაბამის კონტრაქტსაც მოაწერა ხელი. წიგნის გამოსვლა 2004 წლისთვისაა დაგეგმილი.

საგამომცემლო ჯგუფის Bantam Dell-ის რედაქტორი ირწმუნება, რომ წიგნმა პირველივე გვერდებიდან გაიტაცა და სტინგის პროზა ისეთივე პროვოკაციული, დაუვიწყარი და ლამაზია, როგორც მისი სიმღერების ლირიკა.

გამომცემლობა იმედოვნებს, რომ წიგნი მუსიკოსის თაყვანისმცემელების გარდა, სხვა მრავალ ადამიანსაც მოხიბლავს, რადგან ის, საინტერესო და ხარისხიანი ლიტერატურის ერთ-ერთი ნიმუშია.

ისიც აღსანიშნავია, რომ ეს წიგნი ლიტერატურის ჟანრში სტინგის პირველი მცდელობა როდია. დაახლოებით ერთი წლის წინ, მან გამოსცა ბავშვებისთვის განკუთვნილი წიგნი Rock Steady, რომელშიც ასახული იყო ამავე სახელწოდების სიმღერის ადაპტაციური ვარიანტი და ბიბლიური თქმულება ნოეს კიდობნის შესახებ. ამასთანავე თხზულებას ავტორი საკუთარი შეხედულებებით ამდიდრებდა. წიგნიდან მიღებული შემოსავალი მუსიკოსმა მთლიანად ტროპიკული ტყეების შენარჩუნების ფონდში ჩარიცხა.

გააქტიურებული ლიტერატურული მოღვაწეობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სტინგმა მუსიკა მიატოვა. ახლახან მისმა სიმღერამ, რომელიც მუსიკოსმა მეგ რაიანის მონაწილეობით გადაღებული ფილმისთვის Kate & Leopold შექმნა, პრემია Golden Globe Award მიიღო და ამჟამად „ოსკარზეა“ ნომინირებული. ■

მოამგაძა
მანანა ღოღობერიძემ

პროფილაქტიკა-მკურნალობა

რუბრიკას უძღვება
თამარ მამაცაშვილი

სხივური დაავადება

ჩვენს ქვეყანაში დღეს არსებული განუკითხაობის პირობებში, სავსებით დასაშვებია, რომ ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში აღმოჩნდეს რადიოაქტიური გამოსხივების წყარო და ნებისმიერი ჩვენგანი გახდეს რადიოაქტიური დასხივების მსხვერპლი. ამიტომ დროულად მიგვაჩნია, მკითხველს მივაწოდოთ ინფორმაცია სხივური დაავადების შესახებ.

სხივური დაავადება ვითარდება მაიონიზებელი რადიაციის ზეგავლენით ან რადიოაქტიური ნივთიერების ორგანიზმში მოხვედრის შედეგად. სხივური დაზიანების ხასიათი განისაზღვრება დასხივების ტიპით, დოზითა და ხანგრძლივობით. დაავადების პათოგენეზში (განვითარებაში) მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცილის მოლეკულის დენატერაცია (დაშლა). ამის შედეგად ზიანდება ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა ორგანო და სისტემა (ნერვული, ენდოკრინული, სისხლმბადი, კუჭ-ნაწლავის). სხივური დაავადების ბოლო სტადიაში კი, თავს იჩენს მეორადი ინფექცია და სეფსისური მდგომარეობა, რაც იმუნიტეტის დაქვეითებითაა გამოწვეული.

მწვავე სხივური დაავადების ოთხ პერიოდს არჩევენ:

პირველი პერიოდი რამდენიმე საათიდან 2-3 დღემდე გრძელდება. მას ახასიათებს ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნება, ვეგეტაციურ-ვისცერული რეგულაციის მოშლა. სისხლში მატულობს ლეიკოციტები (სისხლის თეთრი ბურთულები), იწყება უჯრედთა დეგენერაციული ცვლილებები.

მეორე პერიოდი 2-3 დღიდან 2-3 კვირამდე გრძელდება. მას ახასიათებს ლეიკოციტების შემცირება (განსაკუთრებით ლიმფოციტების) და თრომბოციტების რაოდენობის დაქვეითება. შედეგად ქვეითდება იმუნიტეტი და ვითარდება მიდრეკილება სისხლდენებისადმი.

მესამე პერიოდი გამოხატული კლინიკური ნიშნების პერიოდია. მას ახასიათებს შინაგანი ორგანოების პროგრესირებადი, ზოგჯერ შეუქცევადი დაზიანება. ღრმად ზიანდება სისხლმბადი სისტემა. აღინიშნება გულისრევის შეგრძნება, პირღებინება, ფაღარათი, მეორადი ინფექციით განპირობებული გართულებები.

მეოთხე ანუ აღდგენის პერიოდი რამდენიმე თვე გრძელდება, შედარებით იოლად მიმდინარე სხივური დაავადების შემდეგ. შესაძლებელია დაავადება გადავიდეს ლეიკოზში ან აპლაზიურ (უკმარი განვითარების) ანემიაში.

ქრონიკული სხივური დაავადება შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც მწვავე სხივური დაავადების ევოლუციის შემდგომი ეტაპი. პრაქტიკულად, დიდ ინტერესს იწვევს ქრონიკული სხივური დაავადება, რომელიც ვითარდება მაიონიზებელი რადიაციის მცირე დოზების ხანგრძლივი მოქმედების შედეგად: დასაწყისში ავადმყოფი უჩივის თავის ტკივილს, გულის ფრიალს, უსიამოვნო შეგრძნებას გულის არეში, ადვილად დაღლას, უძილობას. ხშირია კანის ტროფიკული (კვების დაქვეითებით გამოწვეული) ცვლილებები, კუჭის სეკრეციული ფუნქციის (წვენის გამომყოფი) დარღვევა, თირკმელზედა და სასქესო ჯირკვლების ფუნქციის დაქვეითება. შემდგომში ვითარდება ცენტრალური ნერვული სისტემის კეროვანი დაზიანების მოვლენები, აპლაზიას (რღვევას) განიცდის ძვლის ტვინი.

რადიოაქტიური ნივთიერების ორგანიზმში მოხვედრისას დაავადების კლინიკური სურათი დამოკიდებულია მის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე, ორგანიზმში მოხვედრის გზებსა და სხვადასხვა ორგანოში დეპონირებაზე (დაგროვებაზე).

მწვავე სხივური დაავადებისათვის დასხივების ზღვრულ დოზას შეადგენს 1 გრეი, ხოლო ქრონიკული სხივური დაავადების განვითარებისათვის დასხივების მინიმალური დოზაა 1,5 გრეი.

ქრონიკული სხივური დაავადების დიაგნოსტიკა ყოველთვის არ არის ადვილი ადრეულ სტადიაზე. სისხლის ანალიზის ინტერპრეტაციის დროს, მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო ლიმფოციტების, არამედ თრომბოციტების რაოდენობის შემცირება. ლიმფური ქსოვილი განსაკუთრებით მგრძნობიარეა რადიოაქტიური გამოსხივების მოქმედებისადმი. ლიმფოციტები კი სხეულის იმუნური დაცვის რეაქციების აქტიური კომპონენტია და მათი დაქვეითების შედეგია ის, რომ სხივურ დაავადებას თან ახლავს მეორადი, ჩირქოვანი გართულებები. თრომბოციტები სისხლის ნორმალური შედედების პროცესში მონაწილეობენ. მათი დაქვეითება სისხლდენების გაძლიერებას იწვევს.

სხივური დაავადების საგულისხმო სიმპტომია თმის ცვენა, რომელიც 1,5 გრეიზე მეტი დოზის დასხივებისას იწყება.

მამაკაცებში სასქესო ჯირკვლებზე რადიოაქტიური დასხივების ზემოქმედებით ვითარდება ჰიპოსპერმია (სპერმის ნაკლებობა), ორსულ ქალებში კი, თუ დასხივების დოზა 0,5 გრეის აღემატება, ნაყოფის სიმახინჯე ვითარდება.

რენტგენოლოგიური გამოკვლევა ასეთი გამოსხივების წყაროს წარმოადგენს, ამიტომ დაუშვებელია ადამიანის უკონტროლო, მრავალჯერ განმეორებადი რენტგენოლოგიური კვლევა.

სხივური დაავადების პროფილაქტიკური ღონისძიებები გულისხმობს კონტროლის დაწესებას ყველა იმ პირზე, რომელიც სხივური ზემოქმედების ქვეშ იმყოფება (რენტგენოლოგები, რადიოლოგები და ა.შ.). ნაყოფის დასხივების თავიდან ასაცილებლად ახალგაზრდა ქალის რენტგენოლოგიური კვლევა უნდა მოხდეს მენსტრუალური ციკლის პირველი 10 დღის განმავლობაში.

სხივური დაავადების მკურნალობის დაწყება საჭიროა, რაც შეიძლება ადრე, შემდეგი მიმართულებით: ინტოქსიკაციის შემსუბუქება, ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია, სისხლდენების (ჰემორაგიების) და ინფექციურ-სეფსისური გართულებების აცილება, ორგანიზმის დამცველი ძალების გაძლიერება. ■

ხალხური მედიცინის საგანძური

ეგზემის სამკურნალოდ

ვხარშოთ ექვსი ცალი კვერცხი 12 წუთის განმავლობაში, ამოვიღოთ გულები და ჩამოვაცვათ გრძელ მავთულზე, დავიჭიროთ ცეცხლზე, სანამ იქიდან მცირეოდენი თეთრი სითხე არ ჩამოწვეთავს. მოვაგრავოთ ეს წვეთები სუფთა ქილაში. დავიზილოთ ამ გამჭვირვალე სითხით დაზიანებული ადგილები. ამ მეთოდს ჩინეთში რამდენიმე საუკუნეა მიმართავენ.

ნნევისათვის

1) ნახევარ ლიტრ მაწონში ავურიოთ 1 ჩ/კ კარტოფილის ფქვილი და მივიღოთ დღეში ერთხელ 10 დღის განმავლობაში. სულ ჩავიტაროთ 3 კურსი.

2) გამხმარი სოია მოვხალოთ, დავფქვათ, 1 ჩ/კ გავხსნათ 1 ჩ/ჭ გადადულებულ წყალში და დავლიოთ დღეში 2-ჯერ, დილა-საღამოს.

სახსრების დაჭიმულობა (ნაღრძობი)

1 კვერცხის ცილა ავთქვიფოთ და დავამატოთ 1 ჩ/კ ფქვილი, 1 ს/კ სპირტი ან არაყი. კარგად დავსრისოთ მიღებული მასა, წავუსვათ ტილოს ქსოვილს. დავიფინოთ ნაღრძობზე და კარგად შევიხვიოთ.

რომელი წამალი როდისაა უფრო ეფექტური

წამალი უფრო ეფექტურია, როცა მას შესაფერის დროს ვღებულობთ, როდესაც მკურნალობა შეთანხმებულია ორგანიზმის ბუნებრივ რიტმთან.

გულ-სისხლძარღვების გამაფართოებელი წამალი უკეთესია მიიღოთ დილით, როდესაც ინფარქტის საშიშროება მაღალია. საღამოს შეგიძლიათ წამლის დოზა შეამციროთ.

ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები ეფექტურია დაახლოებით 15 საათისათვის, ამიტომ წამლის დოზა ამ დროისათვის შეგიძლიათ შეამციროთ. საღამოს გამაყუჩებლის მიღება აუცილებელია, რადგან ღამე ტკივილის შეგრძნება ძლიერდება.

ალერგიის საწინააღმდეგო საშუალებას იღებენ გვიან საღამოს, რადგან ღამე ორგანიზმი წარმოქმნის კორტიზოლის მინიმალურ რაოდენობას. ეს ნივთიერება კი აუცილებელია ალერგიული რეაქციების დასამუხრუჭებლად.

სახსრების ანთებითი დაავადებების დროს, ანთებსაწინააღმდეგო საშუალებები უნდა მიიღოთ გვიან ღამითაც.

რჩევები

მზესუმზირის ზეთი რომ არ გაგიმწარდეთ, ჭურჭელს მსუბუქად დაახურეთ, სჯობს, ჰაერმა შეაღწიოს, ან მცირეოდენი მარილი ჩაყარეთ.

ღვიძლი გემრიელი გამოვა, თუ შეწვამდე 2-3 საათით რძეში ჩაალბობთ.

თევზს ქერცლი ადვილად მოსცილდება, თუ რამდენიმე წუთით ჩაუშვებთ ცივ წყალში.

თევზი განსაკუთრებით გემრიელი გამოვა, თუ მას შეწვამდე რძეში დაალბობთ.

რძე დიდხანს არ ამჟავდება, თუ მასში შაქრის ფხვნილს ჩაყრით და ისე აადუღებთ (1 ჩ/კ 1 ლ-ზე).

ისპანახი შეინარჩუნებს თავის ლამაზ მწვანე ფერს, თუ თავმოხდილ ქვაბში მოხარშავთ.

თევზი ვარდისფერი, ხრაშუნა კანით დაიფარება, თუ მას კვერცხში, შემდეგ კი ორცხობილაში ამოავლებთ და ისე შეწვავთ.

ყველი დიდხანს შეინახება და არ გამოშრება, თუ მარილწყალში დასველებულ ტილოს ნაჭერში შეახვევთ.

ვიდრე ქიშმიშს ცომში ჩადებდეთ, ცოტა ხანს რომში ან კონიაკში მოათავსეთ.

თუ შინ რემონტი გაქვთ, ოთახებში დადგით დაჭრილი ხახვით სავსე თეფში, საღებავის სუნი ბინაში აღარ გავრცელდება და გაქრება.

თუ გინდათ, რომ სანთლები დიდხანს ენთოს, ხმარებამდე ჩადეთ მარილიან წყალში შემდეგ კი გააშრეთ.

როგორ გაჩნდა წვნიანი ჯერეი

ძველ ეგვიპტეში ოლიმპიურ თამაშობებზე გარკვეული რიტუალი არსებობდა: თამაშის ყველა მონაწილეს თან მოჰყავდა ხბო ან თხა, რომელსაც ზევსს სწირავდნენ, ხორცს ხარშავდნენ და ნახარშს ბრძოლის წინ, თამაშის მონაწილეებს ასმევდნენ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ნახარში ძალას მატებდა მათ. ასეთი წესჩვეულება ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ხალხს — ხორცის ნახარშს, როგორც ჯანმრთელობის ელექსირს, ასმევდნენ მელოგინეებს და ავადმყოფებს. შემდგომში ხორცის ნახარშს დაემატა ახალი კომპონენტები: ბოსტნეული, მწვანილი, ხორბალი, ცომის ნაჭრები. ამან ბულიონი უფრო გემრიელი და ყუათიანი გახადა. ხმელთაშუა ზღვის მცხოვრებლებმა ნიორით შეკაზმეს „ჯანმრთელობის ბულიონი", ამერიკელებმა ტომატი არჩიეს, კორეელები უძველესი დროიდან გველის ხორცის წვნიანს ამზადებდნენ.

სოუსი ჯვერცხითა და ყველით

მასალა: 8 კვერცხი, 2 თავი ხახვი, 2 ს/კ კარაქი, 1 კონა ოხრახუში. 1 ქილა დაკონსერვებული პომიდორი, 3 კბილი ნიორი, 200 გ გახეხილი შვეიცარიული ყველი, 3 ს/კ არაჟანი. მარილი, პილპილი, მუსკატის კაკალი (გემოვნებით).

მომზადება: ხახვი დავჭრათ და მოვშუშოთ კარაქში, დავამატოთ პომიდორი, შემდეგ დანაყილი ნიორი, წიწაკა, მარილი და დაჭრილი ოხრახუში. ვადუღოთ 10 წთ.

მოხარშული კვერცხი გავჭრათ შუაზე. ამოვიღოთ გულები, ავურიოთ არაჟანი და გახეხილი ყველი. გემოვნებით შევაზავოთ მუსკატის კაკლით, მარილით და პილპილით. ამ ნარევით ამოვტენოთ კვერცხის ნახევრები.

ღრმა ტაფაზე წავუსვათ კარაქი, დავასხათ სოუსი და შიგ მჭიდროდ ჩავაწყოთ კვერცხები. ვადუღოთ 15 წუთს და გავალამაზოთ დარჩენილი მწვანილით.

როგორი ვარცხნილობაა მოდაში 2002 წელს? როგორ მოვუაროთ თმას და როგორ ვუშველოთ გამელოტებულ თავს? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის მისაღებად, თბილისის ერთ-ერთ ცნობილ სტილისტ ვართანას ვეწვიეთ. 22 წლის ასაკში, უკვე რამდენიმე პროფესიონალური კონკურსის პრიზიორია, ამიტომაც, საუბარი მისი მილწევებით დავიწყეთ.

სტილისტი ვართანა:

ექვთიმეში ქეშტს იგტყვიან

ელისო გურგენიძე

– 15 წლისა ვიყავი, როცა „პირიმზეში“ სტილისტმა სლავამ, პარიკმახერობა მასწავლა. ამ ხელობით ბავშვობიდან ვიყავი დაინტერესებული. ჩემს დასთან ერთად, თოჯინებს ხშირად ვულებავდი თმას. თუმცა, ძალიან ვწვალობდი – თოჯინებს ხომ ბუნებრივი თმა არა აქვთ და საღებავს ნაკლებად იღებს.

— რომელ კონკურსებზე გაქვს მიღებული პრიზები, ახლა თაროზე რომ შემოგიწყვია?

– პირველი პრიზი 2000 წელს მივიღე. ეს იყო კონკურსზე – „თბილისი-2000 – აბრეშუმის გზა“. ჩემთვის პირველი შეჯიბრი იყო, მაგრამ გამარჯვება არ გამკვირვებია. ზუსტად კონკურსის დღეს, ჩემთან ჟიურის ერთ-ერთი წევრი მოვიდა, საღამოს ვარცხნილობის გასაკეთებლად. არც მე ვიცოდი ჩემს შემფასებელთან რომ მქონდა საქმე და არც მან, თუ კონკურსში ვმონაწილეობდი. კლიენტი უზომოდ კმაყოფილი დარჩა ჩემი ნამუშევრით და შემდეგ, კონკურსანტებს შორის მე რომ დამინახა, ჟიურის დანარჩენ წევრებს ხან ჩემზე მიუთითებდა, ხან თავის თავზე: მივხვდი, ეუბნებოდა – ეს არის ჩემი ვარცხნილობის ავტორიო. კომისიაში ამ ქალბატონის გარდა, სხვა ჩემი კლიენტებიც ისხდნენ. ასე რომ, გამარჯვების მოპოვება არ გამკვირვებია...

სომხეთში ჩატარებული კონკურსი უფრო სერიოზული აღმოჩნდა. თანაც, წინასწარ გამაფრთხილეს: იცოდე, რომელი ადგილიც არ უნდა აიღო, გული არ დაგწყდეს, – რადგან აქაური არ ხარ, ქულებს დაგაკლებენო. ისე ვნერვიულობდი, ჩემი ხელმძღვანელი მაფრთხილებდა: ისედაც მოლეული ხარ და თუ ასე ინერვიულე, კონკურსამდე ისე გახდები, ვეღარც დაგინახავენო... 3 კილო დავიკელი. შუაღამე კარგა ხნის დამდგარი იყო, კონკურსის შედეგები რომ გამოაცხადეს. ისეთი გადაღლილი და ნანერვიულები ვიყავი, უკვე სულერთი იყო, რომელ ადგილს დავიკავებდი. სრულიად მოულოდნელად, მეორე პრიზიორად გამომაცხადეს.

მოსკოვში ჩატარებულ Мир красоты-ს კონკურსზე კი, უკვე საერთოდ არ ვნერვიულობდი – ალბათ იმიტომ, რომ მოსკოვში სრულიად მოუმზადებელი ჩავედი. შემთხვევით, ჟურნალიდან შევიტყვე, რომ ასეთი კონკურსი ტარდებოდა. სასწრაფოდ დავუკავშირდი საქართველოს პარიკმახერთა და კოსმეტოლოგთა კავშირის პრეზიდენტს, სტილისტ ვაჟა მხითარიანს, რომელიც ახლა მოსკოვში მუშაობს. ვაჟას ძალიან გაუხარდა, ჩემი ხმა რომ გაიგო: ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ვიღაც საქართველოდანაც ჩამოდისო, – მითხრა. კონკურსისთვის აუცილებელი იყო საკუთარი მოდელი მყოლოდა, მაგრამ საქართველოდან მოდელის წაყვანა ძვირი ჯდებოდა. მარტო ჩავფრინდი. ქუჩაში, მეტროს ამოსასვლელებთან ვდგებოდი და მსურველებს თმის შეჭრას ვთავაზობდი, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს, ისევ ვაჟა დამეხმარა – თანამშრომელი გოგონა დაითანხმა, ჩემი მოდელი რომ გამხდარიყო. სამეცადინოდ დრო თითქმის აღარ მრჩებოდა და აღარც გამარჯვების იმედი მქონდა, მაგრამ კონკურსზე მაინც გავედი – მთავარი, გამარჯვება ხომ არ არის. ყველა კონკურსზე რაღაცას სწავლობ, გებულობ – რა არის მოდაში, რა სიახლეებია შემოსული და ამას კლიენტებთან მუშაობისას იყენებ. თუმცა, ამ კონკურსშიც საპრიზო – მესამე ადგილი დავიკავე.

— ჩვენი საუბრის ძირითად თემასაც მივადექით: როგორი ვარცხნილობაა მოდაში 2002 წელს?

– წელს მოდაშია ასიმეტრიულად შეჭრილი თმა. ძირითადი ყურადღება

ჰაეროვან, ბუნებრივ ვარცხნილობას ეთმობა. დავარცხნილი თმა, არც ძალიან სწორი უნდა იყოს და არც ხუჭუჭა, ტალღების ასოციაციას უნდა ტოვებდეს. გასწორებული თმა ახლა აღარ არის მოდაში. თუმცა, წლის მეორე ნახევრიდან, შეიძლება, სწორედ გრძელი და გასწორებული თმა „დაბრუნდეს". რაც შეეხება ფერებს – მოდაშია ნატურალური ფერები: ყავისფერი, წაბლისფერი და ჟანგისფერი. წაბლისფერიც, ისეთი, ჟანგისფერი რომ გადაჰკრავს.

— გასაგებია, მაგრამ ყველა სახეს ერთი და იგივე ვარცხნილობა ხომ არ უხდება. თქვენ თვითონ, როგორც სტილისტი, რის მიხედვით ურჩევთ კლიენტს, როგორ შეიჭრას ან დაივარცხნოს თმა?

– ამ დროს, ყველაფერს ითვალისწინებ: ნაკვთებს, თმის ხარისხი – ყველაფერს აქვს მნიშვნელობა. გამხდარ სახეს არც უკანგადაწეული თმა უხდება და არც მთლიანად წინ ჩამოყრილი, ფართო სახეს კი, უკანგადაწეული თმა უფრო უხდება: ასეთ დროს, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს სახე კი არაა ფართო, არამედ ვარცხნილობა ქმნის ამის ასოციაციას.

— 2-3 წლის წინ თბილისში მოდაში შემოვიდა თმის მელირება, მაგრამ დღესაც გვხვდება ხოლმე ე.წ. „პიორიშკები".

– მოდაში აღარ არის კონტრასტული ფერებით თმის მელირება. თუ თმის მელირება გინდათ, ამისათვის ერთი და იგივე ფერის სხვადასხვა ტონი უნდა შეარჩიოთ, თანაც, არა 2 ან 3, არამედ 5-6 მაინც. წარმოიდგინეთ, გამხმარი ბალახი – მას ხომ თითქოს, ერთი ფერი აქვს, მაგრამ ამ ბალახის თითოეული ღერო მაინც განსხვავებულ ტონალობას ინარჩუნებს.

— ყველამ იცის, რომ ძალიან ხშირად, შელებილი თმის ძირები იწვება. რას ურჩევდით მანდილოსნებს?

– გამომშრალი ან დამწვარი თმისთვის ძალიან კარგია „ველა ეს პეს" პროდუქცია, რომელიც მხოლოდ სალონებში იყიდება, მაგრამ ბუნებრივ საშუალებებს მაინც არაფერი სჯობს. მაიონეზი დაბანამდე ერთი საათით ადრე უნდა შეიზილო თმაში. მაიონეზში, ზეითუნის ზეთი, ვიტამინები და გატარებული მწვანილი და ხახვიც კი შეგიძლიათ შეურიოთ. თმა დიდი რაოდენობით ვიტამინებს იღებს ორგანიზმიდან და ამიტომ, აუცილებელია მის კვებაზე განსაკუთრებით ვიზრუნოთ.

ცხიმიანი თმისთვის სასარგებლოა ერთმანეთში არეული კვერცხის გული და თაფლი, თუმცა, თავზე კვერცხის დიდხანს გაჩერება არ შეიძლება და იგი თმაში შეზელიდან ნახევარი საათის შემდეგ უნდა ჩამოიბანოთ. რაც მთავარია – არავითარ შემთხვევაში არ გაიჩეროთ თავზე კვერცხის ცილა, რადგან ასეთ დროს, თმის კანი არაბუნებრივად იჭიმება.

— იქნებ მამაკაცებსაც ურჩიოთ რაიმე და თმის ცვენის საწინააღმდეგო საშუალება ასწავლოთ.

– სამკურნალო ბალახი ქრისტესისხლა არა მარტო თმის ცვენას აჩერებს, არამედ მას თმა ამოჰყავს კიდეც. აიღეთ ქრისტესისხლა, გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, შემდეგ, გატარებული მასა მოათავსეთ ქილაში და დაუმატეთ სპირტი – ისე, რომ სპირტმა გატარებული მასა ერთი თითის დადებაზე გადაფაროს. ქილას თავზე მჭიდროდ დაახურეთ და მხოლოდ 10 დღის შემდეგ ახადეთ სახურავი. ნაყენი მარლით გაწურეთ, მასა გადაყარეთ, ხოლო სითხე დაბანის შემდეგ შეიზილეთ თმაში და თავის მომდევნო დაბანამდე აღარ ჩამოიბანოთ. ნაყენი კი შეინახეთ და გამოიყენეთ. თმის ამოყვანისთვის ძალიან კარგია „ვიშის" ფირმის „დერკოფის" ამპულები, თუმცა, ის ჩვენთან არ იყიდება და მხოლოდ მოსკოვის აფთიაქებში თუ შეიძენს მსურველი.

— ალბათ ქერტლის საწინააღმდეგო საშუალებებიც გეცოდინებათ?

– ქერტლის საწინააღმდეგოდ ძალიან კარგია „მიზარალი", რომელიც ჩვენს აფთიაქებში შეგიძლიათ შეიძინოთ. საერთოდ, „მიზარალს" სოკოვანი დაავადებების სამკურნალოდ იყენებენ. ქერტლიც სოკოვანი დაავადების ნაირსახეობაა, ოღონდ ამ შემთხვევაში, „მიზარალის" შამპუნი უნდა შეიძინოთ. თუმცა, დიდხანს ამ შამპუნის თავზე გაჩერება არ შეიძლება – წასმიდან 5 წუთის შემდეგ უნდა ჩამოიბანოთ. მისი პირველივე გამოყენების შემდეგაც კი, შეიძლება, ქერტლისგან საერთოდ განიკურნოთ, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, „მიზარალის" შამპუნი 2 კვირაში ერთხელ უნდა იხმაროთ, 1 თვის მანძილზე, შემდეგ კი – თვეში ერთხელ, პროფილაქტიკის მიზნით.

— ბევრი ვერ ხვდება, რა განსხვავებაა ბალზამსა და კონდიციონერს შორის. ამასთან, ბევრმა არც ის იცის, თმის ზეთი როგორ იხმაროს. რა რჩევებს მისცემდით მათ?

– ბალზამი თმას ტკეპნის, კონდიციონერი კი, ჰაეროვანს ხდის მას, ამიტომ თანამედროვე ვარცხნილობებს კონდიციონერის გამოყენება უფრო მოუხდება. რაც შეეხება ბალზამების ხმარებას – აუცილებელი არ არის მისი შეზელვა თმის ძირებში, რადგან ბალზამი თმას არბილებს და ამის გამო, თმის ძირები სუსტდება, ვარცხნილობაც უკეთესი გამოდის. თმის ზეთი კი, სჯობს, შეღებვისას გამოიყენოთ. იგი საღებავს უნდა შეურიოთ. თუ ასეთი ზეთი არ გაქვთ, ზეითუნის ზეთით შეიძლება შეცვალოთ.

— თქვენს გაკეთებულ ვარცხნილობაში შეკრული თმა ჭარბობს. აწეული თმა მოდაშია?

– უკან გადაწეული, გადატკეცილი თმა მოდაში არ არის. უკან ოდნავ აწეული და თავისუფლად შეკრული თმის ვარცხნილობაა ახლა მოდაში. ასეთი ვარცხნილობა და თანამედროვე მოდა, ყველანაირი ტიპის სახეს უხდება.

■

მიმი როჯერსთან | ნიკოლ კიდმანთან | პენელოპა კრუსთან

„ამისთვის ოცდაათიოდე

რომელიც ტალახის გუნდების სამიზნედ იქცა

ტომ ჯრუზის ახალი ფილმის – „ვანილიანი ცის" დასაწყისში, ჯითხვაზე – „როგორა ხარ?" – ის პასუხობს: „ისე, როგორც ზღაპარში". მაგრამ სულ მალე, ეს ზღაპარი ნამდვილ საშინელებად გადაიქცევა. დღეს ხშირად ამბობენ, რომ „ვანილიანი ცა" მეტაფორიულად, თავად ტომ ჯრუზზე მოგვითხრობს. უფრო სწორედ – მის არცთუ ისე იოლ ცხოვრებაზე.

მსახიობის ახალი პროექტი – „ვანილიანი ცა" (2001 წ.) ესპანური ფილმის – „გაახილე თვალები" გაამერიკებული რიმეიქია. ტომ კრუზმა მისი შექმნის უფლება შეისყიდა, ამერიკულ ყიდაზე გადაკეთა, „ვანილიანი ცა" დაარქვა და პროდიუსერად და მთავარი როლის შემსრულებლად მოგვევლინა.

პრემიერაზე კრუზს ჰკითხეს – უამრავ უცხოურ ფილმს შორის მაინცდამაინც ეს რატომ აირჩიეო. „არც ერთმა არ ამაღელვა ესოდენ ძლიერ, როგორც ამან, – უპასუხა ვარსკვლავმა. – როგორც მორევში, ისე ჩავიიჩირე მასში. სეანსის ბოლოს, ძლივს მოვახერხე გრძნობების მოთოკვა – მინდოდა, უმალ ოფისში გავქცეულიყავი და ამ ფილმზე მუშაობის უფლების შესყიდვაზე დამეწყო მოლაპარაკება".

ფრიად საგულისხმო აღსარებაა. ვისაც ფილმი არ უნახავს, ვაცნობებთ – მასში უცნაურად გაორებული კაცის ამბავია მოთხრობილი: ერთ ცხოვრებაში ის ავტოკატასტროფის შედეგად დამახინჯებული მსჯავრდებულია, რომელსაც მეგობარი გოგონას მკვლელობაში ადანაშაულებენ, მეორეში – მდიდარი და მიმზიდველი მამაკაცი, რომელსაც გარს ეხვევიან ქალები. რომელი ცხოვრებაა რეალური და რომელი – გამოგონილი, – ამას მაყურებელი ფილმის ბოლომდე ვერ შეიტყობს.

მაშ, რატომ ააღელვა მსახიობი ესოდენ ძლიერ გაორებული ცხოვრების თემამ? იქნებ, იმიტომ, რომ მას პერსონაჟთან საკუთარი თავის გაიგივების მიზეზები აქვს?

რეალობა და გამონაგონი „ვანილიანი ცის" გადასაღებ მოედანზეც უცნაურად გადაეჯაჭვა ერთმანეთს. ტომ კრუზს ქალის მთავარი როლის შემსრულებელი, ესპანელი პენელოპა კრუსი შეუყვარდა და ის ცოლს, ავსტრალიელ ნიკოლ კიდმანს, ათწლიანი ბედნიერი ცხოვრების შემდეგ გაეყარა. მათი სიყვარულის ამბავი, რომელიც 11 წლის წინ, საპნის ოპერასავით დაიწყო, ერთი წლის წინ, ტაბლოიდურ შოუდ გადაიქცა.

2000 წლის დეკემბერში კრუზმა და კიდმანმა საზეიმოდ აღნიშნეს ერთობლივი ცხოვრების 10-წლიანი იუბილე: ტომი მეუღლეს ლექსებს უკითხავდა, ხელებს უკოცნიდა და ეფიცებოდა, რომ მთელ ქვეყანაზე, ყველაზე მეტად უყვარდა.

2001 წლის იანვარში, როცა მათი გაყრის ცნობამ „იქუხა", თავდაპირველად, ამის არავის სჯეროდა. ცოტა ხანში ყველამ შეიტყო, რომ ეს სიმართლე იყო და გაყრის ინიციატივა კრუზს ეკუთვნოდა. შემდეგ კი, უკვე შოკის მომგვრელი ფაქტი გახმაურდა: იმ მომენტისთვის, როცა მათი განქორწინების ამბავი გახდა ცნობილი, ნიკოლ კიდმანი ორსულად ყოფილა და, ნერვიულობის გამო, მუცელი მოშლია.

ორიოდე თვის მანძილზე, ჰოლივუდელი ჭორიკნები კოლექტიური შოკის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ (თუმცა, ეს მაინც არ უშლიდან მათ ხელს, აქტიურად ეჭორავათ ნიკოლსა და ტომზე). ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ნათელი მოეფინა: მაშინ, როცა კიდმანი მარტო იყო დარჩენილი, ერთ-ერთ გამოფენაზე კრუზი, პენელოპა კრუსთან ერთად გამოჩნდა. კოლექტიური შოკი კოლექტიურმა აღშფოთებამ შეცვალა: ადრე ყველას ეგონა, რომ გაყრის მიზეზი, ნიკოლის ღალატი იყო და ფიქრობდნენ, რომ ვარსკვლავი ბავშვს სხვა მამაკაცისგან ელოდა. მაგრამ გაირკვა, რომ კრუზმა ცოლ-შვილი სხვა ქალის გამო მიატოვა.

კრუზი ცდილობდა, რამდენიმე თვე არ გამოჩენილიყო ხალხში, მაგრამ ბოლოს, „ვანილიანი ცის" პრემიერის დრო დადგა და

ტომიც კონტრიერიშზე გადავიდა. ამ თამაშში ის საკმაოდ დიდ ფსონს დებდა. უკვე მრავალი წლის მანძილზე ის ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ უბრალოდ მიმზიდველი ყმაწვილი კი არა – დიდი, ემოციური დიაპაზონის მქონე ნამდვილი მსახიობი იყო.

80-იან წლებში, ის მონაცვლეობით მონაწილეობდა ძალზედ მომგებიან კომერციულ („სუპერასი", „სარისკო ბიზნესი") და პრესტიჟულ მხატვრულ („წვიმის კაცი", „4 ივლისს დაბადებული") პროექტებში, „4 ივლისს დაბადებულისთვის" კი „ოსკარზეც" იყო წარდგენილი. მაგრამ 90-იან წლებში, როგორღაც ისე მოხდა, რომ კრუზის კარიერა წმინდა წყლის კომერციულ კალაპოტში მოექცა. არადა, ყველაფრიდან ჩანდა, რომ მსახიობს კინოაკადემიის აღიარება სწყუროდა.

1996 წელს კრუზმა გადაწყვიტა, დროებით ხელი აეღო ბოევიკებზე და სოციალურ კომედიაში, „ჯერი მაგუაერში", განასახიერა სპორტული აგენტი, რომელშიც მოულოდნელად იღვიძებს სინდისი. ფილმი მომგებიანი აღმოჩნდა, მაგრამ „ოსკარი" კრუზს კი არა, მანამდე ყველასათვის უცნობ ქიუბ გუდინგ-უმცროსს ხვდა წილად. ის ჰოლივუდის ნამდვილ გმირად იქცა, ხოლო მის ფრაზას – „ფული დამანახვე!" – თვით პრეზიდენტი კლინტონიც კი იმეორებდა... ამ დროს, კრუზი განზე დარჩა.

ერთი წლის შემდეგ, მსახიობს ახალი შანსი მიეცა: ცოცხალმა კლასიკოსმა – სტენლი კუბრიკმა კრუზს თანამშრომლობა შესთავაზა და ეროტიკული დრამის – „ფართოდ დახუჭული თვალები" – სცენარი გაუგზავნა. კრუზი დაუფიქრებლად დათანხმდა წინადადებას. ამ პროექტს მან ორი წელიწადი შესწირა, მოთმინებით გადაულია ზოგიერთი სცენის 100-მდე დუბლი, გადაიტანა ყველაფერი, რაც მის გმირს ხვდა წილად, გადაღების პერიოდში, კუჭის წყლულითაც კი დასნეულდა...

ფილმს კრიტიკოსთა დამცინავი შეფასება და მაყურებლის სრული გულგრილობა ელოდა. დამამშვიდებელი პრიზის სახით, 1999 წელს კრუზმა მხოლოდ „ოსკარის" ნომინაცია მიიღო, მაგრამ არა ამ ფილმისთვის, რომელსაც ორი წელიწადი შეალია, არამედ „მაგნოლიაში" შესრულებული ეპიზოდური როლისთვის.



კრუზმა ძალზედ მძიმედ განიცადა „ფართოდ დახუჭული თვალების" წარუმატებლობა, რომელმაც მის ყველა მოშურნესაც კი ამოაღებინა ხმა. მართალია, შორიდან ისე ჩანს, თითქოს ტომი მთელი ჰოლივუდის კერპია, მაგრამ საკმარისია, ერთი-ორჯერ წაიფორხილოს, რომ მიწასთან გაასწორებენ... ბევრი იკითხავს: რატომ? საქმე ის გახლავთ, კრუზის იმიჯი, ცოლთან მის გაყრამდე, ოდნავ უფრო უზადო იყო, ვიდრე ეს ჰოლივუდის საზომით არის დასაშვები. სახელგანთქმული ადამიანებისთვის აუცილებელია სკანდალი და უცნაურობა. და თუ მართლა არ გახასიათებს რაღაც ნაკლი ან თვალში საცემი ჩვევა, – უნდა გამოიგონო და წინ წამოსწიო ხელოვნურად შექმნილი... ტომ კრუზი ჰოლივუდში „მისტერ წუნდაუდებლად" იყო ცნობილი: უზადო ბიზნესმენის, მეუღლისა და მამის განსახიერებას წარმოადგენდა.

მისი პირველი ცოლი, ელეგანტური და ცივი ქალი კრუზზე უფროსი და გამოცდილი მიმი როჯერსი იყო. მან შეიყვანა ტომი საიენტოლოგთა სექტაში, რომლის წევრიც ბავშვობიდან იყო, 1987 წელს კი წყვილი დაქორწინდა. თუმცა, მათ მხოლოდ ორი წელიწადი იცხოვრეს ერთად, რომლის დროსაც, კუზი გამუდმებით გადაღებებზე იყო და იშვიათად შედიოდა შინ. 1989 წელს მან გადასაღებ მოედანზე გაიცნო ნიკოლ კიდმანი და როჯერსმა მალე მიიღო შეტყობინება, რომ მის ძვირფას მეუღლეს განქორწინების განცხადება შეუტანია სასამართლოში.

ტომი ამ დროს უნაკლოდ იქცეოდა: განქორწინების მიზეზად, „შეუთავსებელი წინააღმდეგობები" დაასახელა, გაყრამდე არც ერთხელ არ გამოჩენილა ხალხში ნიკოლთან ერთად, უკიდურეს თავაზიანობას იჩენდა მიმი როჯერსის მიმართ, რომელსაც მთელი უძრავი ქონება დაუტოვა. ქალიც შემდგომ, არაერთგზის, დადებითად მოიხსენიებდა ქმარყოფილს და არასდროს უთქვამს მასზე აუგი სიტყვა.

კრუზისა და კიდმანის ქორწინებაზე ჟურნალ-გაზეთებში იმდენი რამ დაწერილა, ფურცლები რომ გაშალო, მთელი ამერიკა დაიფარება, ამიტომ, მხოლოდ რამდენიმე საკვანძო ფაქტით შემოვიფარგლებით.

1990 წელს შეუღლებული კრუზი და კიდმანი პირველად, ფილმ „შორეულ ქვეყანაში" გადაიღეს ერთად. შემდეგ რვაწლიანი

„აუსრულებელი მისია 2"

„ვანილიანი ცა"

განშორების შემდეგ ნიკოლ კიდმანი და ტომ კრუზი კარგ ურთიერთობას ინარჩუნებენ; ტომი ხშირად ხვდება მასა და მათ შვილობილებს.

პაუზა ჰქონდათ, თუმცა ცალ-ცალკე, ბევრ სურათში მონაწილეობდნენ. ბოროტი ენები იმასაც ამბობდნენ, რომ უცხოტომელ ნიკოლს მომგებიან როლებში მხოლოდ იმის წყალობით იღებდნენ, რომ ის ტომ კრუზის მეუღლე იყო.

ისინი სანიმუშო წყვილის სახელით სარგებლობდნენ. ერთმანეთს ფაქსით უგზავნიდნენ სასიყვარულო ბარათებს, საჯაროდ ეფიცებოდნენ სიყვარულს, ცდილობდნენ, თითოეული თავისუფალი წუთი ერთად გაეტარებინათ.

შვილები არ ჰყავდათ და, 90-იანი წლების შუა პერიოდში, ცოლ-ქმარმა ერთი გოგონა და ერთი ბიჭი იშვილა.

... თავად ტომი ხელმოკლე ოჯახში გაიზარდა. მისი მშობლები ხშირად ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს. მომავალი ვარსკვლავი 11 წლის იყო, როდესაც დედამისმა შუაღამისას ოთხი შვილი ჩაისვა მანქანაში და სახლიდან გაურკვეველი მიმართულებით წავიდა. შვილები რომ ერჩინა, ერთდროულად რამდენიმე ადგილზე მუშაობდა. ერთ წელიწადში ქალი მძიმედ დაავადდა და სანამ საავადმყოფოში იწვა, ბავშვები თითქმის შიმშილობდნენ. სწორედ მაშინ დაისახა 12 წლის ტომმა მიზნად, რომ ცნობილი და მდიდარი კაცი გამხდარიყო. არადა, თავიდანვე არ გამოირჩეოდა სწავლით, თანაც, ოჯახი ქალაქიდან ქალაქში ხშირად „მოგზაურობდა“ და პირველ წლებში ბიჭმა 12 სკოლა გამოიცვალა.

ტომმა გადაწყვიტა, იმ სფეროში გამოეჩინა თავი, სადაც დიდი განათლება არ იყო საჭირო. თავდაპირველად, მან ჭიდაობას მიჰყო ხელი, მაგრამ მალე მუხლის ტრავმა მიიღო და სპორტულ კარიერაზე ფიქრს თავი დანება.

დედამ, ერთი წლით, ფრანცისკანულ მონასტერში გააგზავნა — იმ იმედით, რომ ცოტათი მაინც შესჩვეოდა მორჩილებას. იქ ბიჭს თეატრისადმი ინტერესი გაუჩნდა. სკოლაში დადგმულ მიუზიკლებში მონაწილეობის შემდეგ კრუზმა კონკრეტული მიზანი დაისახა — 10 წელიწადში კინოვარსკვლავი გამხდარიყო.

ბიჭმა სკოლა მიატოვა. არჩევანი ლოს-ანჯელესსა და ნიუ-იორკს შორის ადვილად გაკეთდა: ნიუ-იორკი უფრო ახლოს მდებარეობდა. დღისით ტომი სინჯებზე დადიოდა, საღამოს — სამსახიობო ოსტატობის კურსებზე, ღამით კი მუშაობდა. რამდენიმე დამწყები მსახიობი ერთად ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. მის რაციონს უმეტესად, ჰოთ-დოგი შეადგენდა, დანარჩენ თანხას სწავლაზე ხარჯავდა.

შოუბიზნესის ჯუნგლებში განცდილი რამდენიმე წარუმატებლობის შემდეგ, მან ეპიზოდური როლის მიღება შეძლო, მაგრამ ერთი პრობლემა შეექმნა: ფილმის — „უსასრულო სიყვარული“ გადაღება ლოს-ანჯელესში იყო დაგეგმილი, დამწყებ მსახიობს კი, გზის ფული არ ჰქონდა.

ლოს-ანჯელესში ტომი ე.წ. ავტოსტოპით გაემგზავრა. ეს დიდი გზა (წინ და უკან) მან ერთი გადაღების დღისთვის გაიარა. ნიუ-იორკში დაბრუნებისთანავე კი, შეიტყო, რომ მსახიობთა შერჩევაზე პასუხისმგებელ რეჟისორის ასისტენტს მოუვიდა თვალში, რაც პატარა როლს უქადდა. ის კვლავ გაემგზავრა ლოს-ანჯელესში და იმდენად მოეწონა რეჟისორს, რომ დაგეგმილის ნაცვლად, უფრო წონადი როლი დააკისრა.

ეს უკვე კარიერის დასაწყისი იყო. ცოტა ხანში, ტომს მთავარ როლებსაც ანდობდნენ. ის ძალზედ ჭკვიანურად მიუდგა კარიერის საკითხს, მხოლოდ საუკეთესო რეჟისორებსა და პარტნიორებთან მუშაობდა, კარგი როლისთვის მცირე ჰონორარებზეც თანახმა იყო.

1989 წელს კრუზი პირველად წარადგინეს „ოსკარზე“. ის უკვე პირველი რანგის ვარსკვლავი იყო, საკუთარი ფირმაც დაფუძნა, რათა თავადაც ეპროდიუსერა და სხვა სტუდიებისა და შუამავლებისთვის არ დაეთმო მოგება, რომელიც საკუთარი ფილმების გადაღებით შეეძლო მიეღო. თანდათანობით, მან მთელი კინოიმპერია შექმნა, რომლის სიმბოლოდ, ტომის განუმეორებელი ღიმილი იქცა...

ერთი წლის წინ „ტომ კრუზის ცხოვრების“ სახელწოდებით ცნობილი საპნის ოპერა დამთავრდა და ამავე სახელის სკანდალური შოუ დაიწყო.

ტომ კრუზს ძალიან დიდი ხნის მანძილზე წყალობდა ბედი. ის ძალზედ დიდხანს ივჯდა ჰოლივუდის ტახტზე. მან უცილობლად ისიც იცოდა, რომ აღმასვლას დაშვება მოსდევს ხოლმე. და მაინც, საეჭვოა განეჭვრიტა ის, რომ ესოდენ ძლიერი ვნებათაღელვის ობიექტი გახდებოდა. საკმარისი იყო, „მისტერ წუნდაუდებელს“ ოდნავ წაეფორხილა, რომ იგი ტალახის გუნდების სამიზნედ ქცეულიყო. რეპორტიორებმა არა მარტო მასა და ნიკოლზე მიიტანეს იერიშები, არამედ ყველა მათ ნათესავსა თუ ახლობელს არ აძლევდნენ მოსვენებას. საეჭვო ტიპები კი,ყვითელ პრესას,მცირე თანხების საფასურად, უყვებოდნენ ბინძურ ამბებს თითქოს მათსა და ტომ კრუზს შორის არსებულ ჰომოსექსუალურ ურთიერთკავშირებზე. ამის საპასუხოდ, ტაბლოიდები აცხადებდნენ: 1 მლნ დოლარს გადავუხდით მას, ვინც კრუზის მამხილებელ ვიდეოფირს მოგვიტანსო...

„ვანილიანი ცის“ პრემიერის წინა დღეს, ამ ფილმს, ბევრი ჩავარდნას უწინასწარმეტყველებდა. მოშურნეები მწარედ მოტყუვდნენ: ფილმს დიდი მოწონება ხვდა წილად და სალაროსაც დიდძალი თანხა შესძინა. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ სურათის წარმატება, მაყურებლის თვალში მსახიობისა და მისი გმირის გაიგივებამ განაპირობა.

ასეა თუ ისე, ამჯერად ტომ კრუზმა ბრძოლის ველი გამარჯვებულად დატოვა.

■

ფართოდ დახუჭული თვალებით



						უნა დ'არეი – ორლეანელი ...	გარეულ ცხოველთა და ფრინველთა მოპ.		გიგი ბერიკაშვილის პირველი ფილმი	ქმრის და ილიასა მკვლელობის ადგილი		დიდი ბრიტანეთის ძველი სახელწოდება
						*						
						მოქალქის გაბრაზებას ალბამეული თუსარი					სადეზინფექციო საშუალება	
										შესახედაობა		
						შუა სუბრალდების წამებისადმი დასდგ.				„სტრიპტიზი“ (ამერიკული მსახიობი)		
აზროვნების უნარი, გონება	მთაგრეხილი კავკასიაში		ვიოლინოს ხების მასალა	ამომწვარი დამლა ცხოველის სხეულზე		ერთ-ერთი რელიგიური სექტის წარმომდგენელი						
				კუბის დედაქალაქი		გრძელი, ფართო წაზოსასხამი						
ქვეყნის შეუზღუდავი მმართველობა		წინააღმდეგობა ორსულობის განლაგების მიხედვით							ბილიარდის სათამაშო ჯოხი		გერმანელი თოფმოდელი	სხვადასხვა პირობებიანადი შეწყობა
ტუბერებიანი მცენარე										ამერიკელის მეტსახელი მეშიკაში		
				ზოლას რომანი								ღრმა ორმო წყლით
ზღვაოსანთა კუნძულები პოლინეზიაში							თელავი (სახელმწიფო)					
მოსახარში წვრილი ძეხვი		ტალზე ჩამოსაკრავი ფოლადის ნაშერი										
ქვეყნის ნაწილი		დამუხტული ნაწილაკი		ბუსული სარეცხი მანქანა	ცუდი თვისება, დეფექტი		მუსიკალური ნოტი					
	ქალაქი იტალიაში		ქართული სიგარეტი									
	ცალკე განყოფილება ვაგონში		ვალერი მელაძის ცნობილი ჰიტი		პოეტ ალექსანდრე ქურიძის ფსევდონიმი							

ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲛ

მე-12 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ა;

კვირის (4 – 10 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი

თევზები – 20/II-20/III



თქვენმა მიმზიდველობამ და მომხიბვლელობამ, შესაძლოა, სიძნელეებიც კი შეგიქმნათ. მაგალითად, არის შანსი, რომ მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი თვალებისთვის, ისეთი მაღალანაზღაურებადი სამუშაო შემოგთავაზონ, რომლისაც არაფერი გაგეგებათ... სიყვარულში კი, წარმატება გარანტირებული გაქვთ.

ვერძი – 21/III-20/IV



საქმეში გაგიმართლებთ. ინტუიცია სწორ სვლებს გიკარნახებთ, ხოლო ენერგია ჩანაფიქრის განსახორციელებლად გეყოფათ. მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ყოველივე ეს მხოლოდ უმნიშვნელო და მოკლევადიან პროექტებს ეხება. სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისგან კი, ჯერჯერობით, თავი შეიკავეთ.

კურო – 21/IV-21/V

კვირის დასაწყისში მხოლოდ მეხსიერების იმედად ნუ იქნებით. ჩაიწერეთ ყველაფერი, რაც დაგეგმილი გაქვთ და გულდასმით შეამოწმეთ ხელმოსაწერი დოკუმენტები. ძალზედ დაძაბული დღეები გელით. ფრთხილად იყავით, რაიმე მნიშვნელოვან საქმეში შეცდომა არ დაუშვათ.

მარგალიტი – 22/V-21/VI



დასვენების კვირაც რომ გქონდეთ, შინ მაინც ვერ მოისვენებთ. ადამიანებთან ურთიერთობის წყურვილის გამო, სამსახურში მისვლა და კოლეგებთან შეხვედრაც კი, დღესასწაულად გექცევათ. აღარაფერს ვამბობთ, საქმიან მოლაპარაკებებსა და ელიტურ ღონისძიებებზე.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

კვირის დასაწყისში, შესაძლოა, მზურვალე თაყვანისმცემელი ან გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ, რომლის წყალობითაც ძალზედ სასიამოვნო დღეებს გაატარებთ. მაგრამ ბედნიერებით დიდხანს ვერ დატკბებით – პარასკევს ოჯახში კონფლიქტი გემუქრებათ.

ლომი – 23/VII-23/VIII



ეს თქვენთვის სავსებით ჰარმონიული კვირაა, რომლის ერთადერთი ნაკლი – თქვენი სულსწრაფობაა. ნუ აჩქარდებით, თორემ ხუთშაბათს და პარასკევს უსიამოვნებას ვერ ასცდებით. სიდინჯე გამოიჩინეთ და წარმატებასაც მალე მიაღწევთ. განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ სექსუალურ პარტნიორებთან ურთიერთობაში.

ქალწული – 24/VIII-23/IX



საკმაოდ უცნაურ სიტუაციაში ჩავარდებით: ერთი მხრივ – საქმეში წარმატება, დამსახურებული წახალისება და საგრძნობი მოგება გელით, მეორე მხრივ – იმ ადამიანების ცუდად შენიღბული შური, ვინც ყოველივე ამას ვერ მიაღწია. მოთმინება გმართებთ!

სასწორი – 24/IX-23/X



თუკი დიდი ხანია ერიდებით რაღაც ძნელი პრობლემის გადაჭრას, დროა საქმეს შეუდგეთ. კვირის პირველი ნახევარი საუკეთესო პერიოდია ყოველგვარი დაბრკოლების გადასალახად. ოღონდ, კარგი იქნება, თუ უსიამოვნებებს პარასკევამდე მოაგვარებთ და შაბათ-კვირას კარგად დაისვენებთ, სასურველია ბუნების წიაღში.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

როგორც წესი, ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულები დიდი შრომისმოყვარეობით არ გამოირჩევიან. მაგრამ გამონაკლისი ყველა წესს აქვს და თქვენც ამ კვირაში წარმოუდგენლად პროდუქტიულად იმუშავებთ – მაშინაც კი, როცა თქვენგან ამას სრულებით არ მოელიან.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII



რაღაც ძალიან ჩახლართულ და სერიოზულ პრობლემას მოაგვარებთ. შესაძლოა, ამხილოთ და გააუნებელყოთ არაკეთილმოსურნე კოლეგა, რაშიც, სხვათა შორის, დაგეხმარებიან ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები, რომელთაც თქვენს სამსახურთან არანაირი შეხება არა აქვთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ენერგიის მოზღვავებას განიცდით, რის გამოც, შესაძლოა, ნაჩქარევი გადაწყვეტილებები მიიღოთ და ზედმეტი პრობლემები შეუქმნათ საკუთარ თავსაც და გარშემომყოფთაც. მხოლოდ ოთხშაბათისთვის შეძლებთ ამ ენერგიის კეთილგონივრულად გამოყენებას და უკვე შაბათ-კვირისთვის სასიამოვნო შედეგებს მიიღებთ.

მერწყული – 21/I-19/II



შემოქმედებითი აღმავლობის ხანა დაგიდგებათ. ისეთ ნიჭსა და შესაძლებლობებს გამოამჟღავნებთ, რომლის შესახებ აქამდე წარმოდგენაც არ გქონდათ. თქვენი უსაზღვრო ფანტაზია და საოცარი გამჭრიახობა აღაფრთოვანებს როგორც ახლობლებს და მეგობრებს, ისე არაკეთილმოსურნეებსაც.



ნამდვილი სიყვარული გეწვიათ თუ უბრალოდ გატაცება

თუ გსურთ გაერკვეთ საკუთარ გრძნობებში და გაიგოთ, ნამდვილი სიყვარული გეწვიათ თუ უბრალოდ, გატაცებული ხართ, უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილი ტესტის შეკითხვებს:

1) რომელ ტანსაცმელს აირჩევთ პაემანზე წასვლისას?

ა) რომელიც თქვენ მოგწონთ – 2;

ბ) რომელიც მას მოსწონს – 3;

გ) ახალ ნაყიდს – 1.

2) რას ნიშნავს თვითვის ოჯახში გატარებული საღამო?

ა) ეს თქვენთვის ტანჯვის ტოლფასია – 2;

ბ) საინტერესო და სასიამოვნოა – 3;

გ) უქმად დაკარგული დროა – 1.

3) როგორ იქცევით, როცა თქვენი რჩეული დაბადების დღეზე წიგნს გჩუქნით?

ა) უფრო საინტერესო წიგნზე გადაცვლას ეცდებით – 2;

ბ) ეუბნებით, რომ ამ წიგნზე ოცნებობდით – 3;

გ) მაშინვე წამოიყვირებთ: „ასეთი წიგნი უკვე მაქვს“ – 1.

4) როგორ მოიქცევით, თუ თქვენი რჩეული დარეკვას დაგპირდათ, მაგრამ ტელეფონი დუმს?

ა) საშინლად ინერვიულებთ – 2;

ბ) მთელ დღეს ტელეფონთან გაატარებთ – 3;

გ) ცოტა ხანს დაიცდით და შემდეგ, მეგობრებთან ერთად სასეირნოდ წახვალთ – 1.

5) როგორ მოიქცევით, თუ შეატყობთ, რომ თქვენი რჩეულის დედას არ მოსწონხართ?

ა) ეცდებით, ანგარიში გაუწიოთ მის მოთხოვნებს – 2;

ბ) ხშირად მიართმევთ ყვავილებს და ეცდებით თავი მოაწონოთ – 3;

გ) პირდაპირ ჰკითხავთ, რატომ არის განწყობილი თქვენ მიმართ უარყოფითად – 1.

6) როგორ მოიქცევით კამათის შემდეგ, თუ იგრძნობთ, რომ მართალი არ იყავით?

ა) დაელოდებით, რომ პირველი ნაბიჯი მან გადადგას – 2;

ბ) პატიებას სთხოვთ – 3;

გ) მომხდარის შესახებ ყველას უამბობთ, მაგრამ არ იტყვით, რომ დამნაშავე თქვენ იყავით – 1.

7) როგორ მოიქცევით, თუ თქვენი რჩეულის გატაცება საერთოდ არ გაინტერესებთ?

ა) მაინც აუბამთ მხარს – 3;

ბ) ხელს არ შეუშლით – 2;

გ) ხშირად დასცინებთ მის „უაზრო“ გატაცებას – 1.

8) როგორ მოიქცევით, თუ ძველი შეყვარებული შეგახსენებთ თავს?

ა) შეხვედრაზე უარს ეტყვით – 2;

ბ) ეტყვით, რომ სხვა გიყვართ და წარსულის დაბრუნება შეუძლებელია – 3;

გ) წარსულს გაიხსენებთ და პაემანზე წახვალთ – 1.

9) როგორ მოიქცევით, თუ გარკვეული ხნით, თქვენს რჩეულს შორს გამგზავრება მოუწევს?

ა) დროს მეგობრების წრეში გაატარებთ – 2;

ბ) უმეტესად, მარტო იქნებით და მის დარეკვას დაელოდებით – 3;

გ) ძველ შეყვარებულს დაუკავშირდებით – 1.

დაანჯამეთ ქულები

9-15 ქულა:

თქვენ ის არ გიყვართ, საკუთარ თავსაც ატყუებთ და თქვენს რჩეულსაც, სჯობს, დროზე მოეგოთ გონს და ცხოვრებას რეალურად შეხედოთ.

16-22 ქულა:

ფიქრობთ, რომ ნამდვილი სიყვარული გეწვიათ, მაგრამ სინამდვილეში, თქვენი გრძნობა ძალიან მერყეევია; მას დრო გამოცდის.

23-27 ქულა:

საქმე მოსალოცად გაქვთ: თუ ტესტის კითხვებზე გულწრფელად უპასუხეთ, მაშინ იცოდეთ, რომ ბედნიერება მოგადგათ კარს და მას მოფრთხილება სჭირდება.

სამართლის პროფესორი „პორნოვარსკვლავი“ აღმოჩნდა



იტალიის ერთ-ერთი უნივერსიტეტის პროფესორი სამსახურიდან მას შემდეგ დაითხოვეს, რაც უნივერსიტეტის რექტორს მისი მონაწილეობით გადაღებული პორნოკასეტა ჩაუვარდა ხელში. ვიდეოკასეტა, რომელზეც საკმაოდ უხერხული სცენები იყო აღბეჭდილი, 66 წლის პროფესორის, ეციო კაპიცანოს კაბინეტიდან მისივე სტუდენტებმა მოიპარეს და რექტორს გაუგზავნეს.

რექტორმა, იხილა თუ არა პორნოგრაფიულ სცენებში მონაწილე ადამიანებს შორის მხცოვანი პროფესორი კაპიცანო და რამდენიმე სტუდენტი გოგონა, უმალ შიდაგამოძიების ჩატარება ბრძანა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ეჭვობდა, რომ მოხუც პროფესორთან სექსზე სტუდენტი გოგონები მაღალი ნიშნების მისაღებად დათანხმდნენ, მაგრამ სიმართლის დადგენა კომისიამ ვერც პროფესორისგან შეძლო და ვერც მისი ნორჩი პარტნიორებისგან. სკანდალში მონაწილე პროფესორი და გოგონები უნივერსიტეტიდან გააძევეს, ვიდეოკასეტა კი იტალიის ხელისუფლებას გადასცეს.

პოლიციამ უკვე დაჰკითხა ინტიმურ სცენებში მონაწილე სამი გოგონა. გოგონებმა არ უარყვეს პედაგოგთან კავშირი, მაგრამ აღნიშნეს, რომ კაპიცანოს მათთვის ძალა არ დაუტანებია და ამის საფუძველი მხოლოდ პროფესორის სიყვარული იყო. თავად პროფესორმა კი, მხოლოდ ის განაცხადა, რომ სამსახურიდან ის „უნივერსიტეტის პრესტიჟის შენარჩუნების მიზნით“ დაითხოვეს, საქმის არსსა და მომხდარის სხვა ასპექტების კომენტირებისგან კი, თავი შეიკავა.

მომთვინიერებლის სასნაულებრივი გადარჩენა

ამერიკის ქალაქ მაიამის ზოოპარკის ბინადარ სამ თვინიერ აქლემს ბავშვების გასასეირნებლად იყენებდნენ. მაგრამ ერთხელ, როცა მორიგი სამუშაო დღის შემდეგ, მომთვინიერებელმა ისინი თავლისკენ მიმავალ გზას გაუყენა, ერთ-ერთმა აქლემმა მოულოდნელად მხედარი გადმოაგდო, ზედ დაენარცხა, შემდეგ წამოდგა და რამდენჯერმე ფეხიც კი დააბიჯა. დაზარალებული მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს.

ყველა გაოცებული დარჩა მომთვინიერებლის გადარჩენით. ზოოპარკის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა მომხდართან დაკავშირებით თქვა: „აქლემის წონა 635 კილოგრამს აჭარბებს, ამიტომ მას ადამიანის დაშავება რამდენიმე წამში შეუძლია. კიდევ კარგი, რომ იქვე ზოოპარკის მცველი იდგა, მან აქლემის დაჭერა და დაშოშმინება მოახერხა.“

დაშავებულმა მომთვინიერებელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თავს ისე გრძნობს, როგორც დიდი სატვირთო ავტომობილის ქვეშ მოყოლილი ადამიანი.

ომს გამოქცეული განდეგილი

ბოსნიელმა სერბმა ილია პანინჩიჩმა ექვსი წელი მთებში გაატარა, რადგან არ იცოდა, რომ ომი დამთავრებული იყო. ივი ბრიტანელმა მშვიდობისმყოფელებმა მთაზე მდებარე პატარა ქოხში აღმოაჩინეს. პანინჩიჩის თქმით, მთელი ამ დროის მანძილზე ის კენკრითა და თხილით იკვებებოდა.

1996 წელს ილიას ძმები ხორვატებმა აწამეს, თავად პანინჩიჩი კი, ცრუ ბრალდების საფუძველზე დააპატიმრეს, თუმცა, მალევე გაათავისუფლეს.

მას შემდეგ სერბი ხალხთან შეხვედრას გაურბოდა. მისი „მეზობელი“ მურა დათვი გახდა, რომელიც ხშირად ცდილობდა მის ქოხში შეღწევას. ამ ექვსი წლის მანძილზე პანინჩიჩი ლაპარაკსაც კი გადაეჩვია.

ომის დამთავრების მიუხედავად, ილია მაინც უარს ამბობს თავისი ქოხის დატოვებაზე და ბრიტანელები ახლა ხშირად სტუმრობენ მას და საკვებითაც ამარაგებენ, თუმცა მის საცხოვრებელ ადგილამდე სამხედრო „ლენდროვერიც“ ვერ ადის და გულმოწყალე მშვიდობისმყოფელებს პანინჩიჩისთვის ძღვენის ზიდვა ფეხით უწევთ ხოლმე.

ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის — „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა ჯემალ გოგიტიძემ და ბორის კაკუბავამ.

ვულოცავთ ბატონ ჯემალს და ბატონ ბორისს და ვუსურვებთ წარმატებებს!

„თქვენ შიგაწვის ძრავა ხომ არ გაწუხებთ?“

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (5 მარტის) 13 საათამდე.

„ფანტაზია“

„ეჰეეე

სიცილი

ჯანმრთელობაა!